

117
1968/3

1968
საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
სამეცნიერო ცენტრი

ბავშვთათვის

31



1968

ენათობი

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 45-ე

№ 11

ნოემბერი 1968 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაირი

ლადო ავალიანი — ახალი ჰორიზონტი. ჩოქანი. ტოპი შესაშვ	3
ოთარ მამფორია — ეტლი წითლისფერისა, პოემა	34
ფრიდონ ხალვაში — შეხვედრა ჩვენებურებთან. ლექსები	44
ლევან გოთუა — მითრიღაბი. ჩოქანი. ვაგრაძელება	46
გონდო კაჭვლაძე — აღსარება. ლექსი	75

10.846

ენის დღიწი — ჩივი ძმა ვიქტორი. ბიოგრაფიული ჩოქანი. ვაგრაძელება	77
---	----

გ ა რ კ ვ ე ვ ი

შოთა კაკანაძე — ენგურაჟის მშენებლობათა	98
--	----

რევოლუციის წარსულიდან

გიორგი გოგთაძე — ხაშურის რაიონის მხარობელთა მონაწილეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში (1917-1921 წწ.)	108
---	-----

ი. ს. ტურგენევის დაბადებიდან 150 წელი

მ. ნათაძე — ი. ს. ტურგენევი 80-19 ს. ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში	116
---	-----

კრიტიკა და მემნიორება

თამაზ ჩხენკელი — ზალაკტიონ ტაბაიის კოეჯის ბარათი	122
შალვა ნუცუბიძე — ვიხრისტაჟისის ერთი ჯგუფისათვის ჯგუფი	133
რევაზ თვაჩაძე — „სიზარმე ზალაკტიონის“ — ორი რედაქცია	141
თ. შარაშიძე — სახელმწიფო მემნიორი	153
ალექსანდრე ბაგაშვილი — „როგორ ვუშვამოთ ქართულ ენას?“	158
გივი ახვლედიანი — ერთი უცნობი ძეგლის ფოლკლორული მოტივი	170



3. ბიკაშკოვი — თბილისი, 1943 წელი. დასაბრუნო

174
 საქართველოს
 ბიბლიოთეკა

წიგნების მიმოხილვა

დავით გვრიტიშვილი — მასალანი 80-18 საუკუნის შოროკ ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან	184
ს. ხუციშვილი — კარგი ნაშრომი	186
3. ჯიხუაძე — „ვარ კავკასიური კომეტარ ბაღით“	189



მთავარი რედაქტორი ულგუჯა შალვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ფლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, თ. ქილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაკვებაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბალანსონები: რედაქტორის — 98-55-11, პ/მგ. შიღინის — 98-55-13, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

ხელმოწერა დასაბეჭდად 10/XII-68 წ. ქალაქის ზომა 70x108. ანაწილების ზომა 71/4x121/2. ფიზიკურ ფორმათა ჩაოდენობა 12. პირობით ფორმათა ჩაოდენობა 16. უე 02576. ტირაჟი 9.400. შეკვ. № 3773.

საქ. კვ. ც.-ის გამოცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ახალი კორიფორმის

რომანი

ტომი მესამე

„ახალი კორიფორმის“, პირველი ნაწილი ეფრანლ „მნათობში“ გამოქვეყნდა 1951 წელს. მომდევნო წლებში „მნათობში“ დაბეჭდა მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილები. ვინაიდან მათი გამოქვეყნებიდან საკმაო დრო გავიდა, მკითხველს ვაგახსენებთ აღნიშნული ნაწილების მოკლე შინაარსს.

1941 წლის ივნისა. ქართველ მეშახტეთა ქალაქი. წყალდიდობა. ძველი მეშახტის, ნიკო არაბიძის ეფო — შატბია გადაარჩენს თავისივე და მის დისშვილს — გერაშს, ამ დღეს მეშახტეთა ქალაქში ჩამოდიან თბილისელი ახალგაზრდები — დამა მეფე და სელიკო. ისინი ნიკო არაბიძისს დაბრუნდებიან. მეფე კონსერვატორიის ვოკალური დარგის სტუდენტია, სელიკო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტისა. მეფის თამამი ქცევა თამარულს ეწვეთ აესებნს. შატბიას, მართალია, თამარულა უყვარს, მაგრამ მეფის გამოჩენა ჩრდილს აუქნებს ამ სიყვარულს. ჭარბით გატაცებულ შატბიას მეფის სახით შოკელებია აღამიანი, რომელიც სულიერად ენათესავება, რომელსაც ესმის მისი გულისწინააღმდეგობა, მხარს უჭერს და ამხნევებს, რადგან თვითონაც ზღოვანთა საყვარის წარმომადგენელია და მისი გვირგვინი შორეულ წარსულშივე ნაზარება იმ სულიერ კულტურას, რომელიც ყალიბდებოდა საუფუნეთა მანძილზე. თამარულა კი განსახიერება პირველყოფილი სისპეტაკისა, ერთგულებისა და ქალური კლდეშისილებისა. მისთვის უცხოა მეფის სითამამე ეფთან ურთიერთობაში, მაღალფარდოვანი, ოდნავ ცალბი ცილი საუბრისა. თამარულა ერთგვიანად თავისთავში შეერყვნილად ატარებს ჩვენი წინაპრების მაღალ მორალურ დეისებებს. შატბია თუმცე გულწრფელად ცდილობს თამარულა დაარწმუნოს თავის ერთგულებაში, მაგრამ გულის საღრმეში მაინც ფიქრობს, რომ ბედნიერი მამინ იქნებოდა, ერთ აღამიანში რომ ეპოვნა მეფისა და თამარულის ღირსებები. თუ თამარულას უკვი უყარგავს მოსვენებას, შატბიას შინაგანი გორება სტანჯავს. ამ სულიერი ტრავმის მომენტში მათ თავს დაატყუდებთ ომი. მაგრამ ამ დიდ გაჭირვებაში ისინი დროებით თითქო უნებლად გამოსავალსაც კი მოულოდნელად მიუხედავად ყოველგვარი უკვისა, შატბიასადმი სიყვარულით თამარულა ისე გამსჭვალული, რომ მას სწორედ ეს სიყვარული გადაადგმევინებს არა მარტო გატყუდებულის, თავისთავისთვისაც, მეტად მოულოდნელ და გაბედულ ნაბიჯს.

თუ რომინის პირველ ნაწილში წინა პლანზე შატბია და ნიჭარბობის ამ ნაწილის საკვანძო მომენტებში სხვა პერსონაჟებზე უფრო მკაფიოდ და სრულად გლონდება მისი ჰასიათის ესა თუ ის თვისება; მისწრაფება და უნებები, შატბიას ფრონტზე წასვლის შემდეგ, რომინის მეორე ნაწილში სამოქმედო ასპარეზი თამარულას ჩნება. თამარულა სხვა ქალბიდან ერთად იჭერს ომში წასული მამაკაცების ადგილს შატბი და იწყება მამე შრომიითა და ხიფათით აღსავსე ცხოვრება. თამარულას პირველი გზამკვლევი მიწისქვეშა წიაღში, გამოცდილი მეშახტე და უზნის უფროსი ნიკო არაბიძეა. ნიკო ადრე თამარულას, როგორც თავის საჩქლოს აღმადგინად უყურებდა; ამ უოგონას არა თუ შატბი შეშაობა, მისი სახელის გავონებაც არა სურდა. ნიკოს წადილს კი — მისი ერთადერთი ვეი მამის კვალს გაყოლოდა — ვის გატყუება წინ ეღობებოდა.

ნიკო არაბიძე განცვიფრებულია, კრატეულ მომენტში რომ თამარელა ვაბედულ ნაბიჯს დადგა და, ეს მიამბიტი გოგონა შარში თამაზად აშოუდგება. ჰველი მემხატის თვალწინ ზრბდება და უკლებდება თამარელა შევანებულ მოქალაქედ და პატრიოტად.

ომის დაწყების შემდეგ შეგი ძალე სტრეპებს შემხატობა ქალაქს, მისი ძმა-სულიკო კი შემოღობამდე, ავადმეიაში სწავლის დაუწყებამდე რჩება და შახტისათვის, თუ ახლომხლო სოფლების კოლმეურნეობებისათვის ლოზუნგებსა წერს და პლაკატებს ხატავს. რომანის ამ ნაწილში პირველად გამოჩნდება თავზეხელაღებული ბარდღა-ბიძინა. რაიონში მას ყველა შიშით უყურებს და ერიდება.

რომანის მესამე და მეოთხე ნაწილში თამარელასთან ერთად უფრო მკაფიოდ იკვეთება ნიკო არაბიძის სახე. ის თავგანწირულად იბრძვის ომის წლებში შექმნილ საბრძოლოებთან. საბიჭვე მსალის ნაკლებობის გამო თავის ეზოში ხეებსაც კი გადაჭრის. ხსნის ცეცხლიან ლავებს, რამდენიმე ცელის განმავლობაში შახტიდან არ ამოდის, რომ საქმე არ შეფერხდეს, პირადი მთავალით სხვებიც გაამხსნევს. ქვეყნის განსაცდელი და ხალხის გასაჭირი ყველას ერთნაირად არ მიაქვს გულთან ახლოს. ამ მძიმე დროში ზოგი ხელის მოთხოვნასაც კი ცდილობს. ასეთების სულისამდგმელად გვევლინება ჯერ შახტის უფროსის მოადგილე, შემდეგ შახტის უფროსი, კართრისტი ლეონტი ბუხალაძე, რომელიც ხელისშეწყობის მავიერ არაბიძესა და თამარელას შედარებულად ებრძვის კლდევც. ამ ბრძოლაში დროდადრო ბუხალაძე მოხერხებულად იყენებს ბარდღა-ბიძინას. ბარდღა-ბიძინას დაუდევრობით ნიკოს უბანში აფეთქება ზდება. ნიკოს პასუხისმგებში აძლევენ, რადგან ამ უბედურებას მის უყურადღებობას მიაწერენ. ბარდღა-ბიძინა შემხატეთა ქალაქიდან გააბნის. შემთხვევით დაჭრილი, პოსტიტალიმ ეწყობა თავისი საყვარლის, შერა არსენიის წყალობით, რომელიც ბარდღა-ბიძინაზე აღტყვივად შემხატეთა ქალაქიდან. ბარდღა პოსტიტალიდან ფრონტზე მიდის იმ იმედით, რომ ბრძოლაში თავს გამოიჩინოს, ჭილ-ტრებს დაიშახტურებს და თავის დანაშაულს ამ გზით გამოისყიდის. მაგრამ ის ტყვედ ვარდება და მტერი სათანადო მოწაზადების შემდეგ მშობლიური ქალაქის მახლობლად პარაშუტით გადაშოსვამს. ბარდღა-ბიძინას დივერსიული ზრახვები არა ჰქონია. ის ფიქრობდა, რომ ამაზე უმოკლესი გზა სამშობლოში დაბრუნებისა არ იყო. ამიტომაც დათანხმდა. მაგრამ დაადგა თუ არა ფეხი მშობლიურ მიწას, გამოცხადების მავიერ მიიშალა და ბატალიონის მებრძოლებს თავსატეხი საქმე გაუჩინა. ბოლოს მას მიანიც შეიპყრობენ და როგორც დივერსანტი ნაიბზარის ფერდობზე დახრებენ. ბარდღა-ბიძინას გასამართლების შემდეგ ირკვევა, რომ შახტში მოხდარ აფეთქებაში ნიკო არაბიძეს ზრალი არ მიუძღვრს. ნიკოს აღრინდულ უფლებებში აღადგენენ. და ის კვლავ ხალხით შეუდგება საქმეს. თამარელა კი ამსობაში ერთ ქირს რომ ვადღურჩება: ბარდღა-ბიძინას სახით, მეორეს ვადაყურება. მოულოდნელად ირკვევა, რომ ის თავდაიწვევებამდე უყვარს შახტის მთავარ ინჟინერს ჰანდრო ჭიდაშელს. თამარელა, რა თქმა უნდა, ამ თანადგებობის ამ სიყვარულს. ზიდაშელს კი თავისი არ იმლის. ძილს ფეხზე დამდგარ ნიკოს ჩემად ატყობინებენ შახტისა დაღებვის ამბავს. თავზარდაცემული არაბიძე გულმოდგინედ უმალავს ანათის შეილის დაღებვას. გულისჩიბეში საიდუმლოდ ინახავს შავ ქალაღდს. მაგრამ ანათი ზიდაშელის მიზეზით შემთხვევით შეიტყობს ამ უბედურებას და მძიმე სულიერი და ფიზიკური ტრავმა მას ლოვანად ჩაადგებს. კარგანის შემდეგ ძლიერსლივობით ფეხზე წამომდგარ, ახალი უბედურება დაატყდება თავს.

ომის წლები არა მარტო იმათთვის, ეინც ფრონტზე იმყოფებოდა და მტრის ტყვია ეშქრებოდა, არამედ იმათთვისაც, ეინც ზურგში დარბა, აღსაცეც იყო შრავალი ხიფათით, განსაცდელთ და მძიმე განცდებით, რაც ნაჩვენებია „ახალი პოტიონტის“ პერსონაღების მავალითზე, რომანის წინა, ოთხ ნაწილში.

608.

ნ ა ვ ი ლ ი მ მ ხ უ მ ი

თამარელას დღეობა.
3 ნოემბერი 1943

ხუთ ოქტომბერს პირველ ცულაში ეწეშობოდა. ნაშუადღევს შინ რომ დაღბრუნდი, ათამზე ბე-
ფან-ზე დაშედა. ეიას და გურამს ეთამშობოდა.
დამანასა თუ არა, ჰაემეშს თავი ანება და კი-
ბეზე ჩამიწეება. ეს კაცო რედეც საშიში შესახე-
დაობისაა და იმ დღეს ზომ ხულ ტყურას გადა-
გამიკვირდა, მოფერებით რომ დამიწყო ლამარაკი.
ღვლა ტალღებით პურის ასაღებად წავიდა და მიე-

-ვირს, გზაში როგორ აცდით ერთმანეთსო. ეს ერთი
ხანია, შინ სუესკაშისით მიხედა დაბრუნება, რად-
გან თბილი წყლის შხაბი არ მუშაობს და შერს
ციფი წყლთ ზომ ვერ ჩამოფრეცება. ბრეხენტის
პიჯაისი გახდამი ხელი შემამეება; პიჯაკი და
მუნარადი თითონ შეიტანა ოთხში, მე კი ჰაე-
შეების გვერდით, ტახტზე ჩამოფეცქი სულის მო-
სათქმელად. წინათ ასე არ ვიღებოდი. ახლა კი,
საქმელ-სასმელი რომ შემოვავლდა, ძალა მუხ-
ლებშიაც გამომეება, მელაყებშიაც. ის კი არა,

ასე მეონა თვალსაც დამაკლდა-შეთქი, ისე არგულად მჭერებმა ზოგჯერ ვარწმუნო ყველაფერი. ბუფან-ბუ ისევ მალე გამოვიდა აივანზე, რაღაც მოუსვენრობა შეატყვევ, თანაც მალიშალ საეჭვოდ გადმოხედდავად ხოლმე ბეჭს ფეხიდან. ერთი-ორჯერ თვალთ რომ შეესწარი მის ფეხრულ თვალთვალს, გულმა აღარ მოითმინა, გამოწყვევად შეეხედე და გვიხე:

- აგრ რატომ მივერებ, ბუფან ძია?
- მაინტერესებს, წუხანდელი ამბის ხომ არაფერი შეგიტყვია.
- რა უნდა შემტყუო?
- მოგა აბა ლელა და... გეტყვის.
- შენ უთხარი ლელას რამე?
- კი, რაღაცა...
- ლელას თუ უთხარი, ბუფან-ძია, მე, რა, არ მენდობი?
- ნდობა რა შეაშია... რაფერ გითხრა თუ არა კი...
- როგორც ლელას უთხარი... ისე.

ბუფან-ბუ ცოტა ხანს კიდევ იდგა დაფიქრებული, მერე ტახტზე გვერდით მომჩადა და ხმადაბლა, შემპარავი კილოთი გამანდო:

— დღეს, უფინა არაბიძის ოჯახში ყოფილან ისინი და... — შემოხედა. მეც შევხედე რაღაც აგუსწინათგონობით გულგადაქანებულში. ერთ ხანს ასე გამჭრებული შევცქეროდათ ერთმანეთს. მერე ბუფან-ბუმ თვალი მოშარიდა, თავი დახარა და უფრო სხადაბლა განაგრძო, — ნიყო გადაუსახლეთ-ბითა... სხმათს კი... თავი მოუკლავს.

ტახტზე კი არა, თითქმის მადლა ატყორცნილ საქანელაზე ვმჯდარაფიცი, უცებ საშინელი ბისწრაფით დადმა წამოსულმა დაგვარგე წონაც, ვრწო-ბაც, ვანდაც... მერე ერთი წამით ვფრთხენი რა საშინლად მტკიცია შეზღბი... მეტი აღარაფერი მახსოვს. გონზე მხოლოდ მეთრე დღეს მოესულვარ, მაგრამ განძრვება და ფიქრი შესაძვე დღესაც არ შემელო. ტახტიდან პირველ წამოსულს შუბლი იატაკზე დამიკრავს. ოცი დღე ვიწვიე. კაცმა არ იცის, რა მოხდა, რას ვრწოდენ... მე შენ გეტყვი, ვინმეს ამის თაბანზე რამეს ჰკითხავს!..“

10 ნოემბერი

„დღეს ბუზალაძემ თავის კაბინეტში გამომიხანა და ცოლად მოხარა:

- განცხადებას დაწერ — შენი სურვილით წახვალ, თუ ბრძანებით მოგხანა?
- გაოცებულმა გულბრჯვლოდ გვითხე:
- რა დავაშვე ასეთი?!
 - მეტი რაღა უნდა დაამავი, მოღალატის საცოლუ ყოფილხარ!
 - არ მესმის რომელ მოღალატეზე მელაპარაკებით, ამხანაგო ლეონტი?!
- ბუზალაძემ ცინიკურად მომივი:
- შენს „მეტირფას“ მატბია არაბიძეს სამშობლოსათვის უღალატნა. აბა რაზედ ააფუნდრიაკვს ნიკოლა არაბიძის ოჯახი?

ლაპარაკის თავი აღარ მქონდა. ფეხზე ძლივს

ვიდექე. შემეშინდა — ახლა კიდევ არ ჩამავდის ლეონიდა ამ ახალმა უბედურებამ-შეთქი. ეს რა ლეონისწრობა — არაბიძისთანა ერთგული და მატრიოტიზმი მოღალატედ მოგვითლეთ; — პატრიოტიზმი ბუზალაძისთანა ფარისევლმა ორგულეზმა ჩამოირიგეს!.. მაგრამ, როცა გუნებებან, თუ გინდა ნუ ირწმუნებ ბუზალაძის ერთგულებასა და არაბიძის ორგულობას! ძალი აღმართხ ხნავსო. ბოლოს ამ ძალამ მსენელიც თუ ქვეშ არ მოიყოლა?

- სიტყვა არ შემეზბურებია, ისე გამიყვლი ბუზალაძის კაბინეტიდან. მისი განაჩენი სწორედ მაშინ დაშეწია, კარგში რომ გადადიოდა.
- კ ჩორტუ ვას ვეზო.

გადაწყვეტიტე შახტს აღარ გადავარებოდი; მაგრამ ათითვე ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმული, რომ უცებად გამახსენდა — ერთ ჩვენს მემუბტეს დავიანებისათვის ცხებ რომ მოუსაჯეს. მეც დეგრტორად არ გამოამავადოს ბუზალაძემ-შეთქი. ვინ იცის, გუნებში სწორედ ეს აქონდა — ან შეურაცხყოფა მიმევენებინა, ან არასწორი გადაწყვეტილება მიმედლო. უმაღლესტისავერე შევბრუნდი. საღამებში ხელახლა გამოვარევი ნათურა და შტოლნას მივამურე. შტოლნიდან, ის იყო, რაკიომის მდივანი ბეჭლარი გამოვიდა. ასე უდროო დროს გარეთ რომ დამინახა სპექსამოსითა და ნათურით, გაკვირვებით გვითხა:

- რომელ ცვლამი მუშაობ?
- მეორეში, ამხანაგო ბეჭლარ!
- მეტე, ახლა რომელია?
- მეორე.
- მეტე, შენ სად დატანტალე მუშაობის საათებში?
- რა მეტნა, ბუზალაძემ გამომიძახა და...
- ბუზალაძემ?
- გამომიძახა და მოხსნიდაც დამეშუქრა, განცხადება დაწერიე! არ ვიცი, რამდენად სწორია ასეთი მოპყრობა?

— ვიცი, ვიცი, — თავისთვის ჩაილაპარაკა ბეჭლარმა. მერე ისევ მკვახედ გადმომკრა. — შენ რა, სწორად არ მივაჩინა მისი გადაწყვეტილება?

— რომელია სწორი მისი გადაწყვეტილება; რომ ეს იყოს?

- ბეჭლარმა გამოწყვევად შემომხედა, მეტე თავისი ახალაც ჩაათვლიერა და დამყინავად თქვა
- მაინც, რა არ მოეწონს?!
- რომელი ერთი გითხრათ?
- მაინც?
- შახტის აშენებელი არაბიძე თუ მოღალატე ყოფილა, აქაურობის დამატყვევარი ბუზალაძე კი პატრიოტი, რაღა საქრობა რამის თქმა...
- არაბიძის აყვარე შენ არ გვეითებხ. ბუზალაძეს კი ასეთ ბრალდებას რომ უყენებ, რა საბუთით?!
- რა საბუთი უნდა იმ ამბავს, რომ თავისი საჭიროებისათვის, შახტიდან ყველაფერს შინ უწოდება.
- მაინც რა ვაზიდა? გადამირეცხ ეს ვივო! —

ბეღების აქვეით წამოიძახა ბეგლარმა და კვლავ მოავლო მხერა პირში წყალდაფუხვებულ ამაღს.

ყოტა კი გამიყვარდა, რაიკომის მდივანმა სალაპარაკოდ თავი რომ გამოხადანა და ასე წერილად დამიწყო ყველაფრის გამოკითხვა, მაგრამ მალე მივხედი... სხვა შემთხვევაში ასე არ მოიქცეოდა. უნდაც არ შემომხედოდა. დახარბებინებდა ჩემს თავს რაიკომში და მესამე მდივნის ხელით განმძობდა ტყავს. ახლა კი რაიკომის მდივანი მართი არ იყო, ხალხი უხვია, ხალხს კი სხვაგვარად თვალს როგორ აუხვევდა. ასე ძალიან რომ არ „დაინტერესებულყო“ ბუზალაძის უპასურობით, ხომ იფიქრებდნენ, ესეც ამის მფარველი ყოფილაო. ახლა ისე ვიფიქრებდი და გახვევული, აღარც საკუთარი თავის დაზოგვა შემიძლო, აღარც სხვისა; ამიტომაც გულახდილად ვუთხარი ყველაფერი რაიკომის მდივანს.

— იმერს ის ხე-ტყე საბიფედე არ გამოადგებოდა და ამიტომ წაიღო.

— რა არ გამოდგებოდა, ამხანაგი ბეგლარი? თუ მართლა ისე უსამეფლოდ მსხვილი იყო, შეიძლეოდა ენად ენად ირად, ენად ოხსად გაბოხა და ისე გამოეყვება. კითხეთ შებიფედე და გეტყვან...

სანამ მე ვლაპარაკობდი, ბეგლარი ისე გადახედვდა ხოლმე თავისიანებს, ამკარა იყო, გუნებში მყოფანმყოფა. ბეგლარმა ბოლის ერთი ამბიფულ-ჩამათვლიერა, მერე მიხვდა, — კარგი, გასწი სა-მეშალოდ, და — წაიფიდა. შეირე დღეს ბეგლარს ბუ-როზე ბუზალაძე დაუბარებია. ტყავი გაუბერია. რაიკომიდან დამბრუნებულ ბუზალაძეს ამხანაგები-სათვის უოქვამს — ბილშევიკურად ვაღარც ვე-ლაფერი, ხომ გაგიფიქრათ — ჩათრევეს ჩავილა ხუბიით. ხომ სასაცილო და სატირალია ერთსა და იმავე დროს — ბუზალაძე და ბილშევიკი! ბუზალაძეს რაიკომის მდივნისთვის ისეც უოქვამს, მე მოხსნას ვუბრუნებდი იმ მიღლატის საცილეს და, ახლა რა ვქვამ, ეს რომ გვაფეთო, ხალხი რას იტ-ვეს, არადა, შეიძლება მიღლატის საცილის შეს-ტში გაჩერებო? ბეგლარს შახტიდან ჩემი გათავი-სუფლების ნება მიუცია ბუზალაძისათვის. ლეონტი-საც აღარ დაუყოვნებია. იმ დღესვე ბრანებით მომ-ხსნა, როგორც უკარგისი მუშა და თავიდან მიმი-შორა. მაგრამ მოაფრებთ მაინც არ მოუხვევია. სამხედრო კომისარიატში დაურკვია: ფრონტს მაინც ენაჭირებია გოგოები — სანიტრებად თუ სხვა რაზე-ზე და ტყველად რომ დახვებება, აჯერ, თამარელას სამეც გაუწინეთო. სამხედრო კომისარის მოადგი-ლეს თავისი წარუსავის ბეგან-ბუსავისის უკითხავს — როგორ, თამარელა აღარ მუშაობს? დღეს შეს-ტიდან დავკრევეს, — როგორმე ფრონტზე უკარით თავი ამ უსაქმოს... შახტიდან მოხსნილია — მი-ღლატის საცილე ყოფილაო! — კომისარის მოადგი-ლეს კი ისეთი მოსწრებელი პასუხი გაუცია, ისე-ლი... — თუ მიღლატის საცილეს, თქვენ რა, ფრონტი მიღლატების საცილევებს თავშესაფარი ვფიქრობთ? — ბუზალაძეს ენა ზავარდნია. დამით კი სწორედ სახლის წინ, ბეგან-ბუ დახვედრია,

მახარის კალთა გადაუწევა, წყალსადენის დიუ-მიანი მილის გადანაჭერი უწევინია და უსაქმოს... თუ თამარელას თავს არ დაანებებ, მემსა რსებმა გავს მამინ პასუხი ამ რკინისთანო.

მევიერს, როგორ გახედა ასეთმა ფრთხილმა კაც-მა. მაგრამ როცა საჭიროა, ეტყობა, კერძოდ ისა არ იყოს, ბეგან-ბუსაც არ ავლია გახვევულება. ვე-ლაფერს მოველოდი, მაგრამ თუ ბეგან-ბუ გამოე-ჭობავებოდა, ჩემს სიციოტელში ვერ წარმოვიდ-გენდი. ყველაზე საყვარელი მინც ისაა, რომ ამის თაობაზე ჩემთან არა თუ არ დაუტრამბავნა ბეგან-ბუს, კრანტიც არ დაუბარებს. ეს ყველაფერი ძალიან მივიერს, ალბათ დელო იმიტომ, რომ ეტყობა, სრულებით არ ევიწიბო ადამიანის ბუნებას...

16 ნოემბერი

„დღეს საოცარი ამბავი მოიტანა შინ ბეგან-ბუმ. ამ რამდენიმე დღის წინ ჩემი მოხსნას თაობაზე სიდაშული და ბუზალაძე სამეცდრო-სახი-ცოცხლოდ დასტავებინა ერთმანეთს. სიდაშულს უო-ქვამს — მიღლატეები თქვენ უფრო ჩანანათ. ვიდ-რე ისინი, ვინმედაც ეჭვი გაქვთო. ამ გაჭირების დროს შეიძლებოდა თამარელას გათავისუფლე-ბათ?... ბუზალაძე მაინც რაიკომში გატყველო და ბეგლარისათვის შეურიგლია — თამარელას გულის-თვის სიდაშულმა მიღლატე მიწოლაო. ბეგლარს, რა თქმა უნდა, სიდაშული დაუბარებია და უო-ქვამს, — შენ, რა, მოეწყინდა ხურგში ყოფნა და პატივი, თუ რა ამბავიათ. ხომ არ ვინდა, ფრონტზე გიკრა თავიო... ხიდაშული რაიკომის მდივანსაც არ მორიდებია, ლეონტიზე უარს იმ დღე დაუწევია. — ფრონტზე გაგზავნათ რომ მემუქრები, ვანც იქ არის, სასჯელს იხდის თუ რაო! მე კი მეტონა, ფრონტზე ყოფნა ამ განსაცდელში პატრიოტობა იყოო. ეს თქვენ გემინათ, აქ, თბილ ადგილებზე მოკალა-თებულეს ფრონტისაო. ცუცხლშემინთებულ ბეგარ-საც აღარ დაუყოვნებია: ბუზალაძისათვის უოქვამს — დღესვე გაათავისუფლე ხიდაშული შავიანი ინფი-რის მოვალეობისაგან, ახლა თუ ნებით არ წა-ვა ფრონტზე, „ხათრს“ აღარ გაუტყავენ, მინც წაიყვანენ... ხიდაშული უსიტყვოდ გამობრუნებუ-ლა უკან, აი რას აკეთებს ბუზალაძის ენა. ვინც მართალს ეტყვის და წინ გადაუდგება, ვეღას თა-ვიდან იშორებს, ჩვენი გამარჯვებისათვის თუნდაც დიდად საზიანოც რომ იყოს ეს ნაბიჯი. ეტყობა, გამარჯვებებსა და დამარცხებებს მისთვის ერთი ფასი აქვს. ამ უარის ხალხს არავისთან არ გაუჭირდება შეგება. რაზე რომ იყოს, ხვალ ისევე აკოცენენ პირზე მტერს, როგორც უემინ მოვლარეს კიციდნენ.

რაც შახტიდან მოხსნეს, თამარელა ერთ ხანს დაბნეული დაპირიალირბდა, მაგრამ ეს ამბავი დიდ-ხანს არ გაგრძელებულა. ბუზალაძის მსაჯვრობის შეტყობამ ის წყის გამოაფხიზლა და პირველად ხი-

ყოველმეორე სერიოზულად ჩააფიქრა თავის მიზანულ-
ზე ადრევე ფიქრობდა და ახლა კიდევ უფრო მე-
ტად დაწმინდა თავის ვარაუდში, რომ ერთადერთი
სწორი ნაბიჯი საყვების მოწოდება და ინსტიტუტ-
ში გამოცდების ჩამატება იქნებოდა. სამთო საქმეს
ახლა ისე კარგად იყო პრაქტიკულად დაფუძნე-
ლი, რომ სამთო ფაქტობრივად არ გაუჭირ-
დებოდა. მით უმეტეს, თუ წელიწადს შახტში მუ-
შაობამ ეს საქმე ისე შეაყვარა, ხშირად ავიწყლებო-
და ნიკო ანაბიძის სიტყვები ამის თაობაზე, მაშინ
თამარულა შახტის ჯურღმულს კიდევ შიშით უცე-
როდა და ვერ წარმოედგინა, რა უნდა ყოფილიყო
შემატება საჭიროებაში მიმზიდველი და, მით
უმეტეს, ცხოვრების მიზნად დასახსნავი.

თავისი განზრახვა არაფრისთვის გაუშვლია, გული
რომ არ აჩულებოდა, ბავშვებსაც არ გამოშვებო-
ბია, ისე გაიხარა სახლიდან. თან წაიღო შახტის
წერილები და საყუარის დღიურები, რაც უნო
ძველმოღურ, ჩანთასავით მოზრდილ პაფუღელში
ჩაატვა. დანარჩენი ყველაფერი — ტანსაცმელი,
წიგნები, აუ სხვა წერილმანი შინ დატოვა. რაც ორ
წელიწადს შემსახველ საღარიბო ფული აგროვა,
აქედან იქვე გადაადგილებინა და როცა შინ არა-
ვინ იყო, იქაურთა გამოიტარა, შერე ნაქტარაღვი
სახე ციფრ წელით დაბანა და წავიდა. იმედი ჰქონ-
და, თუ ნაცნობი კონდუქტორი არ შეხვდებოდა,
ბილეთის სამ-თხმავ საფასურს გადაიხდიდა და
თბილისამდე როგორმე ჩააღწევდა, იქ კი ერთ თა-
ვის სკოლის ამხანაგს მიადგებოდა და ყველაფერს
შეაგვარებდა. ის ამხანაგი მომლოდინე ჯერ კიდევ
იშის დაწყების წინ წაიყვანეს თავისთან და ახლა
სავე უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფაქტობრი-
ვის შესამე კერსზე იყო. გოგონამ იშის დროს რამ-
დენჯერმე მოსწერა თამარულას — უსწავლელი
არ დარჩე შახტის შემყურე, გვეოფა გმირული შრო-
მა, ჩამოდი, მაშაიში დიდი კაცია და ყველაფერს
მოუბრუნებს ინსტიტუტში რომ მოხვდე. თუმცა
დარწმუნებული ვარ, არც ისე გაგიჭირდება გა-
მოცდების ჩამატება. თამარულა სწორედ ამ გულის-
ხშიერი ამხანაგის იმედად ეშურებოდა თბილისისა-
კენ.

თამარულა ახლა სხვას არაფერს ნატრობდა,
ოღონდ არავინ შეხვდებოდა, მაგრამ მას სადა
ქონდა იმისი იღბალი, რომ ნანატრი უბოხელ შა-
ინც ასრულებოდა. სწორედ საღურის ახლის გა-
დაყვარა ბუხალაქზე. მანქანა ქუჩის პირას გაჩერ-
და, ჩქარა ნაბიჯით მიმავალმა თამარულამ მართა-
ლიად დაძლია და საჩუქრულში მოჩუქვნიანებით რომ
გამოჩნდა ნამავაივის სახე, მაგრამ ამ „მოწყენებას“
თვალის მოსარიდა. გულმა კი რაღაც არა სახიკეთო
უკრინა. გაიფიქრა თუ არა თავისი სახელი, და ხმა-
ზე ისიც იცნო, ვინც ეხსება, უნდა გაიფიქრა: „და-
ვიღებე“. სხვა გზა არა ჰქონდა, გაჩერდა და ში-
ხედა, ბუხალაქში, ის იყო, კარი გაღო. მანქანიდან
გამდგომდა. დონეშემოფიქრილი, თამარულას მოახ-
ლოვების მილოდინაში კმაყოფილებით იღიმებოდა.
— ვერ მიყანი, გოგო?

— თქვენი ცნობა ძნელია. — მიამიტად მიუკო
თამარულამ. ბუხალაქზე კი ეჭვი არ შეპარვია... ამ
პასუხის ორპირიანობაში. მაგრამ რა, ჩემი იღბა,
თავისი ეჭვი და ვარაუდი გაემეღებინა?

— კი, ახლა იცა ჩანებულელი ვეღაფერი,
ახლობლის ცნობაც გაგიჭირდება. სად მიხვალ ამ
შუალაქში?

— შუალაქე ჯერ შორსაა, მაგრამ... აგერ სადგურ-
ზე, ნაცნობი კონდუქტორის ნახვას ვაპირებდი,
ფრონტიდან შეილი ჩამოსვლია და, იქნება...

— შახტისა შესახებ იცოდე რამე? ჩემო თამარულა,
რას გაცივებ, სანამ ომი არ დამთავრდება...
კარგა, დაველოდებით, ინახვულ კონდუქტორი და
მერე ერთად წავიდეთ, სახლში მანქანით მივიყვან...
თან საღაპარაკოც მაქვს შენთან...

— მაგისთვის როგორ შეგაწყუბებთ. თანაც, ქვე-
ფანა ერთმანეთის შტრად ვევილის და ახლა ერთად
რომ დავეინახონ, რას იტყვან?

ბუხალაქში მოულოდნელად გაიყინა.

— რა გეპებს ჩვენ სამტრო!.. იმას თუ გულის-
ხშიბ, შახტიდან რომ გაგათავისუფლებ... რა შე-
ნა? რაიკობის მდივანმა დამირეკა, სანამდი უნდა
იყოლიო შახტში მოდელატის საცოლოო. მერე რა
ხიდაშვილით რომ ვერ შევეყვამებოდი ბუღალარს!..
გინდოდა ზაღლოდნოსიან გავსიოსე? შენ კი, ჩემს
გასატრის რომ მიმხედარაფავი, ცოტა ხანა სადმე
თავი შეგუარებინა, ნახავდი, თუ ხელახლა არ
მიუიღებდი... ხში იგი, დღეს რომ ასეა, ხვალ იცა...
ვინ უშვებს თავს ხეტყვას? კარგი ანა, გადი სად-
გურზე, ნახე ის შენი კონდუქტორი და დანარჩენზე
გზაში ვილაპარაკო.

„დღეს ჩემს წასვლა აღარ მოხერხდება, ასეთი შა-
ვი კატა რომ წინ გადავიბრუნე, უკან გაპარუნეა
სუბოია. — გაიფიქრა თამარულამ. თითქო შარ-
თლა კონდუქტორის სანახავე შეურეზობათა, თამა-
რულამ „დაუკრამ“ ბუხალაქზე, საღურზე გა-
ვიდა, მატარებლის ჩომოღვიმის დაველიდა, ნაცნობი
კონდუქტორიც „ინახულა“ და უკან დაბრუნდა.

— რათ, იმ შენმა ნაცნობმა კონდუქტორმა? —
იკითხა ბუხალაქში.

— არაფერი. კვითხავ ჩემს შვილს და თუ რამე
იყის, შეგატყობინებთო. — პირველად თქვა ტყუი-
ლი თამარულამ. ის კონდუქტორი, რომლის ნახ-
ვაც ჰქონდა გადამწყვეტილი, უთხრეს — დამის მა-
ტარებულს უნდა მოკვეთო. ეს კი დაუფარა თამა-
რულამ ბუხალაქზე.

— სტანდარტული დაპირებაა, — ჩაიციხა ბუ-
ხალაქში. — რომც იყოფეს რამე, მაინც არ გეტ-
ვეის, მით უმეტეს, თუ კუდი ამხანაგი. ვეღა თავს
უჭრთხილდება.

— რატომ, თუ გენდობა?

— თუ გენდობა კი, მაგრამ გენდობა?
თამარულას გაუკვირდა, მანქანაში მძღოლს რომ
ვერ მოგრა თვალის. მის ადგილას საქვითან თვა-
ლით ბუხალაქე იყდა.

თამარულას ბუხალაქის ბოლო სიტყვებისათვის
ყური კარგად არც უვლია. საგონებელში ჩავარდნი-

ლი გოგონა ახლა მარტო იმაზე ფიქრობდა რა მიზეზით უოჭა უარი ლეონტისათვის — მანქანაში ვერ ჩავჯდებით. მოსაზრებულობა და კრიტიკული მფობარებობიდან თავის დაღწევის გამოცდილება არ აკლდ, მაგრამ ახლა თითქმის დმერთი და ვნამაჲ ბუზალაძის მსარევე იყო. მონუსხულივით გამტრებული თამარელა ადგილიდან ფეხს ვერ სძრავდა. ბუზალაძისთანა მსაჯერისათვის ძნელი მისახვედრი არ იყო რა გასატირიც ადგა ამ გოგოს. ბუზალაძე იმასაც ადვილად მიხვდა, რომ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. მან ერთი არაბად გამოხვდა თამარელას მანქანის ფანჯარიდან და მოულოდნელად გადაიხარხარა. ამ ამბავმა თამარელა კიდევ უფრო დააზნია. ვერ მიხვდებარყო ბუზალაძის ამგვარი საქციელის მიზეზს. ბუზალაძე კი იცინოდა. თამარელამ ერთს წამით შეავლო თვალი მძღლის საზღვრიდან წინ წამოხრილი ლეონტის და იმავე წამს მისი წარურთულბავე შეაფიქრდა მოგზა:

— როგორ გატყობ... გემინია! თუ... არა შევდა მწვერი ხესათ?...

თამარელა ვერ მიხვდა, ბუზალაძემ რა შეუმჩნევლად იმიოვდა მის თავმოყვარებობაზე, რა ისტატურად მოუჭრა უკანდასახვეი უკა.

თამარელას არაფერი უთქვამს, უკან კარის სახეღურს სწვდა, მაგრამ ვერ გააღო.

— აფერ, ჩემს გვერდით დაჯექი, რა უკისხვიით იქცევი, — ღია ფანჯარიდან გამოსძახა ლეონტი და წინა კარიც გაიღო.

— შეფერი სადმე გაგზავნეთ? — იკითხა თამარელამ.

— რაც მანქანის ტარება ვისწავლავ, ხანდახან მე თვითონ დამწყებ, როგორც მომხმასიათება. წიღან, აფერ სოფელში ვიყავი. კაცი შავდა სანახადა...

თამარელამ, მართალია, დაკვდა ბუზალაძის ნებბს, მაგრამ მის გვერდით რომ დაჯდებოდა, სწორედ სიკვდილი იყო ახლა ამ კაცთან ასე ახლოს ყოფნა.

— წავედიო. კარი კარგად მოხურე, დაკეტილი არ უნდა იყოს. — თამარელამ კარი ვერ გააღო, ხელახლა რომ დაეხურა. ისევ ბუზალაძემ გაბყო მელავი, კარა გააღო და მაგრად მოიჯახუნა. თამარელას არ ენათმოუნა, ამასთანავე ბუზალაძე მელავით უნებლიეთ მის მეგრესაც რომ შეეხო, მაგრამ, ცუდი მაინც არაფერი უფიქრა.

მანქანა ნელა დაძრა. შეჭმარების იხსურვი სინათლე ამ სინელეში ყველაფერს არა ამქვეყნიური ვლერითი მისავდა. რაკი თამარელას არ ესამოურებოდა მანქანაში ბუზალაძის გვერდით დაჯდომა, ახლა ისე უჭევებოდა, რომ მანქანა ძალიან ნელა მიჰყავდა ლეონტის. ლეონტი კი იმის სწუხდა, რომ წინააღდევე თავიბი სურვილისა, საკმაოდ სწრაფად მივიდა და, ვითუ ვერ მოეწყრო ვვადგობის მიე მოფიქრებდა და თქმა, როგორც უწიდა. ბუზალაძის სახლი სწორედ შუა ვახზე იყო საღვურსა და ზიზიზიბაძის სახლს შორის. და ამ შუაღვლეს ახლა უკვე ისე სწრაფად უახლოვდებოდნენ, ერთი პირობა ბუზალაძემ იმედიც კი დაკარგა, რის თქმაც მინდოდა, რაც განსრახული მჭონდა,

ჩანს არ უწერია ახდომით. ვერ მიხვდებარყო რა ვმართებოდა. ჩვეულებრივ ვნაწყლიანმა, ცხელ, კრძნეტივ ვერ დაძრა. თამარელასი აჭე კრძნეტივ შენებია, არც ისე ყოფილა მისით მოხიბლული და თავბრუდახვეული, ვნა დაამოდა. მანქანა მოულოდნელად გააჩენა ბუზალაძემ. თამარელამ ვაკვირვებით გადახვდა.

— თამარელა, დღეს რა დღეა?

— ორშაბათი.

— ოცდახუთი ნოემბერი. მოდი, ეს ორშაბათი, ეს ოცდახუთი ნოემბერი იყოს ჩემი შერჩევბის დღე!

— ხელ ერთია, ადრე თუ გვიან მაინც მოვევება ჩიხბი...

— რატომ, რა კანონმოხიერებაა?

— ვტყობა, არის რაღაც... ვერ ერთი, ხასიათი, მეორე შეხედულება. მე თქვენი გზით ვერ ვივლო, ვერც თქვენი აზრბს ვაგვიარებ.

— ვერ ერთი, რასაც ვლაპარაკობ, ის ყოველთვის არ არის ჩემი შეხედულება, რადგან მე მარტო ჩემს თავს არ ვეკუთვნი, ამოდუნა საქმის ხელმძღვანელი ვარ. თქვენ ათასნი ხართ, მე ერთი. მოდი და ყველას გულში ჩაიხედ — ყველას ანგარიში გაუვირებს შეუძლებელია.

— შეუძლებელია, თუ ამ საქმისათვის მოწოდებულნი არ ხარ! დავნიშნეს და... თქვენც ორივე ხელით მოგბლაძევეთ თბილ ადვილს!

— ეს უკვე კრიტიკა! — სიცილით შეაწევტებნა სიტყვა ბუზალაძემ.

— რატომ გააჭერეთ მანქანა?

— რატომ და... წიღან რომ შერიგება შემოგთავაზე, კიდევ, იცი რა საბოლოარი მჭონდა? ძალიან მინდოდა. ჩემი ქალიშვილი გამეწრო შენთვის, ხვალ თბილისში მიდის... შევიაროთ ჩემს თვასში, მეგრე მე და ჩემი ქალიშვილი ერთად მიგაცილებთ მანქანით სახლამდე...

— გვიანაა...

— არც ისეა. თუ საათამდე ქათმბიყ არ იბუდებენ... შენი უარი მხოლოდ იმის მომსაწავებელი იქნება, რომ არასოდეს აღარ შევირგდეთ. იმიტრამე მინდა ჩემთან მომხმანდვ, რომ... ჩემს ქალიშვილმა გაგვხაკოს, რომელია ჩემს შორის მართალი! თამარელა, ძალიან გთბოე, ნუ შეტყვი ამაზე უარს... ჩემს ქალიშვილს ძალიან გაუჭარბება შენი გაერთობა.

— რა იცით?

— დარწმუნებული ვარ! სოკი რამ ნათქვამი მაქვს შენს საქმიანობაზე შატბში და... ასეთი ქალები კიდევ არიანო, გაუკვირდა. — ერთი სიტყვით, თუ ჩემი ხათრით არა, ჩემი ქალიშვილის გულითვის მაინც ნუ ოტყე უარს, ასედაც როდინმე ხომ უნდა მოგენბულებინა ჩემი თვასი. სხვათა შორის, თვასში ნამყოფი ადამიანი, ხელსხვა თვალთ შეხვდავბ ზოღმე იმასაც კი, ვინც... ერთი სიტყვით ამისი ახსნა შენ ჩემგან არ გვირდება.

ლეონტიმ საჭე ნელა მიმარუნა, ქურა გადასტარა

და, მანქანა აღმართს შეუდგა. თამარელა ხმას არ იღებდა, მაგრამ თავის თავზე გული მოსდიოდა. ასე იოლად რომ დაეცა ბუნალაძის ნებას.
 — თუ მიინდებინებ, ხვალ სადგურის ბაქანზე გამიყიდვდი, ერთად გავიცვილებითი თქვენს ქალიშვილს. გაენობისათვის ესეც იკმარებდა...

— ხვალ დღესადრინ უნდა გავამზავრო, რაღა საღამარაკოა, ჩემო თამარელა, მოვედით და ენაა.
 — ლეონტიმ მანქანა დაამუხრუჭა, შემობარუნა და დიდი ალაყაფის კარს ზედ ცხვირით შიბჯინა, მერე სწრაფად გადმოვიდა, ალაყაფის კარი გააღო და მანქანა ეზოში შეიყვანა. თამარელამ საჩქველში რომ გადაიხედა და ქუჩიდან ბუნალაძის ფასადი დალანდა გაუვირდა: მართალია, საგულდაგულოდ იყო დამარულ-ჩაბნელებული ფასადის ყველა ფანჯარა, მაგრამ თუ სახლში ვინმე იყო და სინათლე ენო, ერთგან მაინც როგორ ვერ ვპოვნა შეჭა სულ მცირე შეპურებანა.

როცა მანქანა დაბინავა, ბუნალაძემ მკლავში ხელჩაქვილებული თამარელა შინ უკანა კარით შეიყვანა. კარი შეინიდან რკინის ურდულით გადარახა და შემდეგ ვაწრო ხის კიბეს შეოთხე სართულისაკენ შეუვსვენ.

— ჭალიშვილმა ვერ გაიგო თქვენი მოხელა, თუ... — მორცხვად, ვეპით და შიშით აკითხა თამარელამ.

— ალბათ წიგნს კითხულობს... შექსპირითაა გატაცებული, სადისურტაციით შრომისთვის ვუხადებ... სანდახან მის ტრაგედიებს — „კამლეტს“, „მაკბეტს“... ხმაალა კითხულობს და, ვერ წარმოიდგენ მეც რა სიამოვნებით ვუსმენი იმ, ჩვენზე ათასჯერ უფრო ჭკვიან კაცს ხამი საუკუნის წინ იგი რა უთქვამს? — „და ვით გამოცდილ პოლიტიკოსს მფეფრება, აუნდა ვრარაგერს ვერა ზედადვი, მაინც თქვი, ვბედავ...“

— მაგას თვითონ შექსპირი არ იტყობდა, სულ სხვაა, როცა თავისი ნაწარმოების გმირს ათქმევინებს...

— შენ როგორც განდა, ვადვი ფაქტია, რომ გმირს შექსპირმა ის ათქმევინა, რასაც თვითონ ფაქტობდა...

— არ დაიჯეროთ, დაგაქვიწვდათ, წედან რას ლაპარაკობდით?

ლეონტიმ კარს ზელით უბიძგა. კარი გაიღო და მასპინძელი თამარელას შეუძღვა საუშაოდ დიდ ოთახში, რომელიც დამის ნათრითი იყო ცასფრად განათებული. ეს ბურუსივით მერთალი სინათლე ოთახში ყველაფერს ბუნდოვნების სამოსელში ხვევდა. ოთახიც გაყოლებით უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. წინა ოთახში გაედიდნენ. ის უკანა ოთახზე შეიძლება უფრო დიდიც იყო, მაგრამ განათების წყალობით პატარა ჩანდა. ამ ოთახს მიწდისფერი ნათურის შეუი მოაფრთხა და აქაურობა რაღაც შექწითელ გამჭვირვალე სითხეში ჩაძირულს გავდა...

— თამარელა, ავერ როიალთან დაჯექი... კიდევაც რომ იცოდე, მაინც ვერ დაუტრავა, ახლა ისეთი

დროს! იცეცა და ვეღარ დაიქცა ეს ქვეყანა!.. ამუნება ხომ ძნელია, მაგრამ ეტყობა, არც დანერგვა ვაფილა იხე ადელია, როგორც ვეფრანა.
 თამარელა როალის შრეველი სკამის ნაპირზე ჩამოჯდა. აქეთ-იქით რაღაც შიშით მიმოიხედა.

— თქვენი ქალიშვილი სამლიდან ხომ არ გაპარულა?

— ახლა არც ეც გამიყვინდება, ქალიშვილები ფრონტზე წასვლა მოდად იქცა.

— ნე ეშინიათ! ყველა რომ მოვიდეს ფრონტზე, თქვენი ქალიშვილი ფეხს არ მოიცვლის აქედან!

— რატომ ვითომ?

— განმეფრებულს გაჭირვებისა და ხიფათისაკენ არასოდეს არ მიუწვდის გული!

— მაგ საკითხზე ჩემს ქალიშვილს ვყაბათე. ის ჩემზე მეტად ნაკითხი არას, ჩემზე მეტიც იცის!

— ასეთი გულახდილი არ მახსოვხართ!

— აქ ოჯახია, თანაც ორი ვართ მარტო, აბა გარეთ რომ ვეფლაფერი ილაპარაკო, ხალხს ვიფეგონები!

— კაი კაცს არც გულახდილობის უნდა ეშინოდეს, არც ხალხის.

— კაი კაცობა ყოველთვის ძველი მოაქრობის ფულაოთაა... თუ გასაყალი არ ვქნება, ვინდა გტონია, ვინდა არა!

— ამას ყველაფერს თქვენი გამოცდილებით ლაპარაკობთ, თუ...

— კაცი მარტო თავის გამოცდილებას ენდობას!

— მერე ეს გამოცდილება სად შეიძინეთ, პატივფეული ლეონტი?

— სად შეიძენდი თუ იგი?

თამარელამ უცქირა, უცქირა, მერე თავი სინამდელით დაუქვინა.

— თქვენსთანა ხელმძღვანელს რომ ხალხის წინამძღოლობის და ზედს ნაპარებენ...

— არ მოეწონს არა, ჩემისთანა ხელმძღვანელები? რას იზამთ, კიდევაც რომ იჩივლოთ, ისევე ჩვენ შეგვევითებოიან. ხელმძღვანელებად ინიტომ გვიარჩევენ, რომ ვცენდობიან. რაკი გვენდობიან, ჩვენ რასაც ვიტყვით, მართალიც ის იქნება...

— სამართალი როდის იყო...

ბუნალაძემ გაიცინა, მაგრამ რაც გაიფიქრა არ გაუმშელია — „ბოღეს არ მიხვდა ეს საწყალი“.

— დაუძახე თქვენს ქალიშვილს, მავიანდებია, შეტს ვეღარ მოვიცილო...

— შე ჭალო, ჯერ ოჯახში ფეხი რიფიანად არ შემოვიდგამს...

— ძალიან ვთხოვთ, დაუძახით.

ლეონტიმ კვლავ მზაკურულად გაიცინა. თამარელას რაღაც ავად ეჩინება ეს სიცილი და ზეზე წამოიჭრა.

— აქ რომ იყო, დაუძახებდი, მაგრამ ჩემი ქალიშვილი ცხრა შთას იქითაა.

— ცხრა შთას იქით?

— თბილისს დილით გაემეზავრა!
 — კაცი ვერ გაივებს როდის ხურობთ, როდის...

— შე სულაც არ მეზურება...

— მაინც... არ გცნობივართ!

— ქალის ცნობას რა უნდა?..

— მართალია, დამით უფრო ადვილია ხსენების ჩადენა, მაგრამ მაინც არ შევთან, თუ თქვენ ასეთი...

— მართლა ხელული ვიქნები, ახლა შენ რომ დური გიგდო!

— ბუზალაძის ამ სიტყვებზე თამარულას სინანულით გაეღიმა. თუმც უკიდურესად აღელვებული იყო, მაგრამ წონასწორობა მაინც არ დაუკარგავს.

— რა უნდა იყოს ადამიანისათვის ნდობაზე ძვირფასი! შე თქვენ გენდობი, თქვენ კი ასე გაამართლები ჩემი ნდობა!... ნუთუ ადამიანი ასე ვერაფერ და საძაგელია?.. — და თამარულას გაახუნდა კიდევ ერთი განმადვლი, როცა ბარდლა-ბიძინამ ის შტრასენი შიამყვდობა, გუბები ჩააგდო და სინანულში დარჩენილი ვიღო მაშინ მხოლოდ იმან გადაარჩინა რომ მოხერხებულად შეეხო მის ველაზე „სუსტ“ ადვილს — ადამიანობას, და ის ბარდლა-ბიძინაც კი, ორიოდე წლის წინ ნაცისარას გორაზე რომ დასტრატეს, ბუზალაძისთან შედარებით თამარულას ახლა ნამდვილ რაინდად წარმოუდგა. — სწორედ ეს იყო უთუოდ მიზეზი, რომ თამარულას ბუზალაძის განათვლად ათქმევინა, — შე ადამიანებზე გული იყო არ გამტყობა... ამის შემდეგაც კი არაფერს აღარ ვენდო! შენ კი აღბათ... რა ვუყოთ, რომ ადამიანის სახე გაქვს... იქნება ადამიანი არცა ხარ...

— რაც ვინდა, ილაპარაკე, ილაპარაკე სანამ არ დაიღლები, ასე აჯობებს ჩვეთვისაც, ჩემთვისაც, დაიღლები უფრო კარგად შეგძინება...

— შე აქ დარჩენას არ ვაპირებ!

— თამარულა, შე ხომ აღარ ვარ და არა, მაგრამ აღარც შენ ხარ ზეშევი. ვილაპარაკით როგორც დიდებმა!

— რა მაქვს თქვენთან სალაპარაკო?! — თამარულამ კარსაკენ ერთი ნაბიჯის გადადგმა მოასწრო. ბუზალაძე წინ გადაუდგა და შეაჩერა.

— აქამდე რომ იქველი ზეშევირად და გულუბრველიდი, ისიც ვუყოდა. დრო მიდის, ქვიშის საათი ხომ ვინახავ? ესორებაც სწორედ იმ საათის ქვიშას გაეს!

— მერე თქვენ რა, ქვიშას გაეს თუ, წყალს...

— მერე ის, რომ ამაღამ აქ დამიტოვებ შენს ქალწულობას...

თამარულამ ჯერ ვიციეთი-ამაყვითა მხერა, მერე სახე უკუნე ზედ აფარებულ ხელისულებებში დამოდა და ატირდა. ატირდა სიმწრისა, სინაზისა და ხირცხელისაგან... ბუზალაძემ კი უფრო ხმაშიაღლა განაგრძო.

— ...მაგრამ თან წაიდგებ ჩემს კეთილგანწყობილებას და, ამირიდან მივუღლებ შენს შედვივ და ერთგულ მფარველად!

თამარულამ მოულოდნელად შესწყვიტა ტირილი, ხელები ძირს დაუშვა. ბუზალაძეს ზურგი ისე შეაქცია, თვალებში არ შეუხედა. შემოვლით სედაა კა-

რისაკენ გაქცევა: ლეონტიმ კარებამდე მისვლა არ ატალა, ზურგიდან დააცხრა, იღლიებს უკვე მარჯვდ შევერებული მკლავები შემოხვია, მერე ორიოდე ხელით მის მკერდსაც წაებოტინა, მაგრამ თამარულამ მოსწრო და შეკრდზე ისე აიფარა ხელისგულები, გვერებოდათ ზედ რკინის ხუფები ჩამოუვციათო. ბუზალაძემ გაავებულ გოგოს ვერასვითი მკერდზე ხელები ვერ შეამშვინა.

— ასეთი დონიერა თუ იყავი, დმერთმანი არ შევთან!..

— თუ არ დამეზნებები, მალე ბევრ რამეზე იტყუა, არ შევთანო და, იქნებ სანახებლადაც გაეიხდებ ეს თავსელობა!..

— რაც ვინდა, მიწოდე, გამლანძღე, გამოაბე, ოღონდ... თღონდ... ბუზალაძემ სული შიითქვა, — იმის მაკურად, უდიდეს პატივად ჩავეთვალა, თავი რომ გაგიყადრე, აქით მლანძღე და შეშუკრები? სად გაქვს ჭკუა, გოგო!

თამარულამ ერთი დონიერად და მოულოდნელად გაიბოძლა, მაგრამ ბუზალაძის მკლავებს თავი მაინც ვერ დააღწია.

— ახლა შენ რომ მე მავთობი, შექნება კიდევ სადმე თავი გამოსაყოფი? მერქმევა კაცი?

აქამდე მკერდზე რომ ეპოტინებოდა, უეცრად ბუზალაძემ მკლავები ძირს ჩამოაცურა და თამარულას წელზე ისე შემოაჭლო, საწყალ გოგოს სუნთქვა შევერა, დინე გამოეცალა, ბუზალაძემ უშალ იგრძობი თამარულას მხრივ წინააღმდეგობის შესუსტება და ძალ-ღონე მოკრებილმა გოგო ძლივს, მკერამ მაინც ასწია და იქვე, ორ ნაბიჯზე საწოლამდე ხელში ატატებული მიიფანა, ზედ გადაამხო; თამარულამ პირველად იცვლა თავის სიცოცხლეში უმწიო ქალის სმით. როდესაც ლეონტიმ საწოლზე გადაამხოილ და ზედ მუხლებით მიბჯინის გადმობრუნება დაუპირა, სასწორკვეთილმა და იმედდაკარგულმა თამარულამ სხვა რომ ვეღარაფერი მოახერხა, ლეონის მოვლადუქა. ბუზალაძეს ამ ხნის განმავლობაში მისთვის ერთი წამითაც არ უშვია ხელი, და ახლა, რაკი გადმობრუნება ვერ მოუხერხა, კვლავ ასწია ასე გასაღიანებული გოგო. თამარულამ ნახევარი ლეონის საბან-ბალიშთანად თან აიტაცა და უეცრად იქ, სადაც ერთი წუთის წინ ბალიში იღო, თეთრ, ქათქათა ზეწარგადაფარებულ ლეონზე თვალი მოკრა შავ ლაქას და უშალ მიხედა, რომ ის, რველვერი იყო. ლეონტი მკლავებში წელშიმწვედველ გოგოს ზურგს მარცხენა ლეონით ჩაზურებოდა და ცხადია, არაფერი შეუნიშნავს. თამარულა ერთი დონიერად და უეცრად გადაიქცა წინ, ლეონტის უნებლიეთ ცალი ხელი გაქვია. თა-

მარცხა მყერდით დაცვა თუ არა საბან-ბალიშიანად ლეონზე უმაღლესა რეგულაციას, სწრაფადვე შეტრენდა და ახლა პირისპირ აღმოჩნდა ვნებათაღელვით და მკრეპლად ბუზალაძესთან. თამარულამ ნივანის ლულა ყველში მიაბაჩინა ბუზალაძეს და, ვიდრე ის ასეთი მოულოდნელობით რეტდისხმული, რამეს მოილოებოდა, თამარულამ მუცელზე მიბჯინილი ტერფით ღონიერად გასტორცნა მოპირდაპირე კედლისაკენ. ბუზალაძე დარბაზებით საველდავულოდ დაემანულ ფანჯრის ძირს ჩაიკვცა.

მარჯვენა ხელში რეგულაციისმომარჯვებულმა თამარულამ მარცხენა ხელით ტანსაცმელი და თმა შეისწორა, მერე უკუხვლით რთილთან მივიდა, მრგვალ სკამზე ჩამოჯდა და რამდენჯერმე ღრმად მოითქვა სული.

თამარულამ რეგულაციის ლულა აუქნია ბუზალაძეს — ანიშნა ადგილი.

— საბოლოოდ მოვილაპარაკეთო! „ახლა შენ რომ მე შეაგობო, შექნება კიდევ სადმე თავი გამოსაყოფი? მერქმევა კაცი?“ — მისივე სიტყვებით გამოაჯაფრა ლეონტის თამარულამ და მორიდდა აუქნისას სწოლობით, მავად მოლაპლამე ნივანის ლულა ფანჯრის ქვეშით, კედლის ძირს სასაცილოდ ჩამსობილ მტერს ის, როგორც იყო, წამოდგა შერცხვენილი, დამარცხებული, მარჯამ გულის ხილამეში მანძილ დარწმუნებული და დამკერებული, რომ... თამარულას აქედან ცოცხალი თავით არ გაუშვებდა.

რადგანაც ბუზალაძე თხოიოდვე ნაბიჯზე მიუახლოვდა თამარულას, მან შეაკრად შეაგება.

— მანდ შეტრდი!

ბუზალაძე უსიტყვოდ დაემორჩილა.

— შეგიძლია ე მაც სკამზე ჩამოჯდე.

ბუზალაძემ სკამი მისწია და, სადაც წედან იდგა სწორედ თამარულას მიერ მიჩინებული ადგილზე დაჯდა.

— თამარულა, მართალია, რეგულაციი ვიჭირავხ ხელში და ამ წუთში შენა ნებაზე მათამაშებ, მაგრამ იყოფე, მე მანც მატის უფროსი და... ნო-შენკლატურული შეშაკა კარ! ყოველ წუთში მისალოდნელია ჩემი კიდევ უფრო აღზევება, ხულ უფრო და უფრო დიდ პოსტზე დაწინაურება... მე შენდობიან, ასე, რომ რაც უნდა მითარბონ ძირი, ჩემს ფსევდამდე მანვე ვერავინ ჩააღწევს! პოდა ვინმე ამ სახიფათო კომედიის თამაშს თავი დაანებო, მინ მშვიდობით წახვიდე! რა თქმა უნდა, სულ სხვა საქმეა... თუ ჩემი საყვარელი გახდები! ზეალვე ადგილობის თავმჯდომარედ ავარჩევინებ შენს თავს, დეკლარებ, ადამიანად გაქცე! ჩემი რომინში გადგომება სახელი, მერე მოელ რესპუბლიკაში და, თუ ჩემს რჩევას ყურს უგდებ, იქნებ მთელს კავშირშია!

თამარულა რეგულაციისმომარჯვებულმა და მყერდზე მჭერა მიცემული უსმუნდა ბუზალაძეს. თვალში ეჩიხვლავ არ შეუხედა. მხოლოდ მის წინადადებაზე — „თუ ჩემი საყვარელი გახდებით“, კინაღამ დაკარგა წითასწორობა, კინაღამ გაუფრდა რეგულ-

აცი. და ასეთი რამ კიდევ რომ არ განმეორებულყო, მან შეაკრად შენიშნა, ახლა რეგულაციის ძირი იყო, ძალამორებილ და გათამაშებულ რეგულაციას.

— მოქალაქე ბუზალაძე, ჯერ მრალდება უნდა მოეცმინათ და მერე, როცა ნებას მოეცემდნენ, ვთქვათ თქვენი სიტყვა. მე შეიძლება ძალიან პატარა და უნებო არსება ვარ თქვენიან შედარებით, მაგრამ ვინ თქვა, რომ პატარას დიდზე ნაკლები თავმოყვარობა უნდა ჰქონდეს?! თქვენ ისეთი შეუარაცხოვრა მომხდენო, არა მეოინა, რითიმე შეგედლოთ ამის გამოსყიდვა! ნაშუსის დაკარგვის სანაცვლოდ ადგილობის ადგილი შენტში ხომ კარგი წინადადებაა!

— ყველაფრის გაგება შეიძლება, როგორც ცუდად, ისე კარდა... მე შენთვის კარგი მხურს, მაგრამ ცუდად გესმის და, რა ჩემი ზრალია!

თამარულამ თავის უნებურად ახლა კი შეხვდა ბუზალაძეს თვალში და ამ საოკრად წყველ კრილში აციმციმებულმა შეეშავა გუგუშმა აფიქრებინა და ათქვიცინა ასევე მოულოდნელად.

— დიდი, დიდი ეშმაკის მოცემული ბრძანებით, მოქალაქე ბუზალაძე!

— რას იზამ, თუ ბიჭე ხარ, გაიარე ეშმაკის გარემე უსკურულზე ცხოვრების ეს ბეჭვის ხილი... იქნებ ჯრავა იცო, რომ არავის არ სჭირდება გამოუძვლილი ანგელონი. ყველას გამოსცლილი ეშმაკი ურჩენია! მეც ცხოვრება მინდა, და ჩემს ხატად ის ავირჩიე, ვინც ამ ცხოვრებაში განცხრომის გზას მიჩვენებს!

თამარულა ისევ შეამტერდა ბუზალაძეს წერილ კრილში მოციმციმე შეეშავა გუგუშში. შეამტერდა და შეეშინდა — რამდენი ცხოვრება, რამდენი მსაყვრობა გათსტყვიოდა ამ ორი შავი წერტილიდან.

— განცხრომის გზა! და ამ გზაზე გადაჯვრილი, გაუბედურებული თანამეშაველები! „კარგია!“ სხვას უბედურებაზე შენი ბედნიერების ამინება... სისხლიში ჩაწებული ლუკმის ტამა!

— ჯერ ერთი — ცხოვრება ბრძოლაა. მერე, ყველაზე უკეთესი თვითავი იქაა ამისული, სადაც ყველაზე მეტი სისხლია დაღვრილი... თუ ასეა, მასსადამე ყველა თავთავი სისხლით ნასაზრდოვია, ყველა პური სისხლიანია!

— მე მაგ სისხლზე არ გუებნები... ბუნებას ცოდავ არ მიუღწევს! თანამედრობით ურთი საფხურით მაღლა იდგე, სხვაზე ერთი ლუკმით მეტე გჭირდეს! ამისათვის თანამეშაველებს რომ არ დაინდობ, დააბესლებ, სასიკვდილოდ გაიმეტებ, — არ ეს არის სისხლში ჩაწებული ლუკმა და ის განცხრობა — თქვენი რომ ასე გუებრებიათ!

— შენ მე რას მუდავებ? მე ჩემი მჭერდულით და სინდისით ვესპოვობ, შენ რომელი გზაც მოგწონს, იმ გზას გაყევი!

— მე კი მივდივარ ჩემი გზით, მაგრამ მიშვებ? რატომ უნდა გადამიდდე ამ გზაზე?.. იმიტომ რომ, ჩემი უფროსი ხარ, იმიტომ რომ ნოშენკლატურის მუშაკი ხარ?!

— მე ერთი დიდი უბნის ხელმძღვანელი ვარ, ხელმძღვანელი კი ყველაფრის ბატონ-პატრონია, ყველაფერზე პასუხისმგებელია, რაც მას ახარია, მას კი შახტების, მანქანების და შენიშების გარდა ადამიანებზე ახარია... ადამიანები კი როგორც მონეტებზეა ახარული საპატრონებელი! თქვენ ყველას ესურს რომ ყველაფერში ანგარიში გაგიწიოთ მე, მაგრამ არ ესურს, თქვენც ვამიწიოთ ანგარიში... შემომხუტეთ ეს ჯოჯოხეთური სიმძიმის ტვირთი!

— მერე რა კავშირი აქვს მავს ნამუხის ხელყოფასთან? რატომ უნდა ვამდგე ჩემი ქალწულობა თქვენი მსხვერპლი... მარტო იმისთვის, რომ თქვენთვის ეს დიდი თანამდებობა მოუციათ? თქვენი თანამდებობების საყოფაცხოვრებო, რომელიც წაუღებინათ ცოლებს ნამესუ ახალით, კარგი მუშები და უნარიანი ხელმძღვანელები აითვალისწინოთ და ბოლოს თავიდან მოიშორეთ, მერე რა დროს! ესა თქვენი ხელმძღვანელობა, ესა თქვენი პასუხისმგებლობა, ესა თქვენი სამსახური ხალხისა და ქვეყნის წინაშე? და ამას ყველაფერს აკეთებთ იმის იმედით, რომ თქვენ გენდობიან, ყველაფერს გააბატონებ და რაკი გენდობიან, ამიტომ დაგიჯერებენ კიდევაც მტრუნა?!

— დამიჯერებენ იმიტომ, რომ რასაც მე ვაკეთებ, ეს დამსახურება უფრო მტრია იმ დანაშაულზე, რომელიც ერთი გოგოს ნამუხის ახლას არ აღუმატება!..

— და ამას აცხადებთ ასე ურცხვად და თავხედურად! იმ ერთი გოგოს აზრით კი შეიძლება პირიქით იყოს!.. და იმ ერთი გოგოს სახელით მე ბრალს ვდებ შახტის უფროსს ლონტი სეფასტისძე ბუზალაძე!

— შენ რაში უნდა დამო მე ბრალი, ვინ მოგანიჭა ამის უფლება? იარაღით მამინებ? იყო მამისთვის რა მოგელის?

— არაფერ იყოს, ვის რა მოგელის! მოძალადებს კი თურმე უნდა ულაპარაკო ძალის ენით! მე მხოლოდ ახლა ვიწმუნებ ეს უბრალო ამბავი!

— შენ ახლა მარტო ძლიერი კი არა, მართალიც ხარ, რაკი რევოლუციონერი გიჭირავს ხელში!

— ეე, რა თქმა უნდა, კარგად იცით საკუთარი გამოცდილებით! რა დამსარებას ქვეყანაზე წყარავს! თუ ძლიერიც არა ხარ, მარტო სიმართლეს თურმე ფსი არა აქვს!

— ქვეყნის წყარავს, ხელ ერთია, ვერ შეცვლია. სუბია, ეე რევოლუციონერი განზე დასდით და ისე შელაპარაკო!

— არ მოგწონს? ხომ ხედავ, როცა ჩემსთანებს ძალაც უძირაათ ხელში, თქვენთანებს ერთი წუთითაც არ შეუძლიათ ამის მოთმენა, ჩვენ კი მთელი სიცოცხლე ვითმენთ თქვენსთანაშა მატყარების აღვითმებომა!

— ხელ ეე არის?

— არა ეს შესავალია ბრალდებასა. ბუზალაძემ ისე გაღაბაბრება, სკამმა ტრილი მოიღო.

— ეს თუ შესავალია, ბრალდება რაღა იქნება?!

— ბრალდება კი ეს არის: პირველი: თქვენ შემთხვევით შემხვედით ქუჩაში და მოთხროთ, რომ შინ მიმოვივანდით მანქანით. მეცა გზაზე კი განვიწყაზვადეთ, რომ ესურს თქვენი ქალიშვილი გამაგნოთ, რომელიც ხელ თბილისში მიდის. ამ სახაბით მომიყვანეთ თქვენს ბინაში, სადაც ქალიშვილი არ აღმოჩნდა. ის თურმე ამ დილით გავიშვარებიათ თბილისს. ხართ თუ არა თქვენ უსინდისო და მატყუარა?

ბუზალაძემ წარბი შეიჭმუნა. თამარულამ თვალის მოკერა, როგორ დაიკრუნუნა შიში მარჯვენა ხელის თითები და მერე მუხტად შეიკრა იგი.

თამარულამ განაცხადა — მეორე: თქვენ შემომიტყუეთ აქ, მამიყვებელი კარი და გამომიგზადეთ, რომ უნდა გაეხვე თქვენი საყვარელი. ამის შემდეგ იტყუეთ გნა, რომ თქვენ, ჩვენი ხელმძღვანელი, არა ხართ უხელო და გადაგვიარებელი?

ბუზალაძე წელში მოხსარა. შევი ახლა მხოლოდ მის ზურგსა და კეფას ანათებდა. სახე კი იდაყვებზე დაყრდნობილ ხელსუფლებში ჩაემაღა.

— შესამე: დაგნიშებს თუ არა შახტის უფროსად, პირველი დღეებიდანვე აითვალისწინეთ ჩვენი სახელუფანი მემსხტე. უბნის უნარიანი ხელმძღვანელი, პატიოსანი და ამისანი, თავდადებული მუშაკი ნიყო არაბიძე ადამის მაგივრად, რომ ასეთი კაცო ხელისუფლებზე გეტარებინათ, სიხელი მოუწალებოთ სიციოცხლე გაუმწარეთ მხოლოდ იმისათვის, რომ ეს არ იყო თქვენზე დიდი წარმოდგენისა და არ მოაჩნდათ შახტის უფროსის თანამდებობაზე ღირსეული კანდიდატად. ხომ არის ეს დანაშაული და ზორტმოქმედება?

ბუზალაძე არ განძრეულა.

— მეორე: შახტის საჭიროებისათვის ახლომანლო ტყვეებიდან რის ვაი-ვაგალანთ გამოიხდული საბიფე ძელებს დიდი ნაწილი თქვენს უბოში პირადი საჭიროებისათვის გადმოატარებინეთ, სხვაც, თუკი რამ სახლის მშენებლობისათვის დატყარდებოდით, უცერემონიოდ უშიდებოდით შახტიდან, თანაც მუშახელის ნაკლებობის დროს, შახტის მუშებს აიძულებდით შინ მოგზმარებოდნენ მშენებლობაზე! ხომ არის ეს ქურდობა და თვითმობა? მეუთე: ჩაიგდეთ რა ხელში ძალაუფლება ერთი უბნის ფარგლებში, თქვენი მამამლობით გულამუყებელი და თვალახვეული რაკილის მდივანი ვერ ხედავდა, რა მარჯედ სარგებლობდით მისი ავტორიტეტით და რა ფართოდ შლიდით ფრთებს. ყოველმხრივ ცდილობდით ამ მხარდაჭერის წყალობით თქვენი გავლენის ქვეშ მოელი რაიონის მოქცევის. თქვენ ვიარყედნენ ყველა ორგანიზაციის და საბჭოს წევრად, თქვენ ხშირად შესავალი სიტყვით ყველა სადამოს, ყველა საქმიან და საზუიო სხდომას, თქვენ პირველი ისაკურობდით ყველა ჟილდოს! თქვენს გარშემო თუკი მოუყარეთ მოღქენილება და მუაპრყვებს, ქვეყნის ინტერესები ამ განაშლელის ფაშა მთლიანად ანაცვალეთ პირად ინტერესებს. ხომ მოითხოვს სამართლიანობა, რომ ასეთ კაცს ეწოდოს მოღალატე!

ბუხალაძე ისე უყვარდა წამოიჭრა ზეზე, შეშინებულმა თამარულამ კინაღამ შეკვილა. მას ხულ დაევიწყდა, ხელში რევოლვერი რომ ეჭიანა. ბუხალაძეს რომ გამხედაობა და მიხედვრილობა კყოფნოდა, რევოლვერიც და თამარულაც ახლა მის ხელთ იქნებოდა. მაგრამ ამ საბუდისწერი წოთმა მშვიდობიანად ჩაიარა, ბუხალაძე მოხსლტვით დაეცა სკამზე და მარჯვენა მკლავით ახლა სასურვეს ჩამოჭრდნობილი ისევ ფიტრას და საგონებელს მიეცა.

თამარულამ კი კვლავ იტრპო ძალა ხელეში. ნაგანის ტარს თითები კვლავ ხარბად ჩაბუღდა და გულიც მოეცა. მან მხოლოდ ახლა მიაქვია წყნადღება იმას, რომ ხელში ნაგანი ეჭიანა. სამხედრო წვრთნის დროს მემასტეტა ჯგუფს ხელმძღვანელი ვარდა შამანიასა და გრანატისა, ნიგანის სმარებანიც ავარჯიშებდა. ზომ შეიძლებოდა ბუხალაძის ნილიში კეში ბრაუნინგი, ან პარაბელუმი აღმოჩენილიყო. მაშინ ზომ შეატყობდა ბუხალაძე რომ ამ იარაღის არა თუ ხმარება, ხელში დაქურაყ არ ემარჯვებოდა თამარულას.

უეყრად ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ბუხალაძემ თავი წამოსწია და დააუკრა. მერე თამარულას შეხედა.

- არ ვუპასუხო?
- არ გაბედო განძრვამ!

ბუხალაძე კვლავ მოეშვა. თავი ჩაქინდრა. ტელეფონის ზარმა სამჯერ დარეკა და ბინა კვლავ სიჩუმეში მოივიცა.

— მე მარტო ერთ რამეში ვაღანაშაულებ ჩემს თავს, — ხმადაბლა თქვა ლორტიმ, — იმაზე რომლის გული — რა ემმკად მომეხსნათა შენი აქ მოყვანა!

— რაკი ეს „ოპერაცია“ თქვენ ასე შესანიშნავად ჩატარეთ, ჩანს, ასეთი შემთხვევა თქვენთვის პირველი არ უნდა იყოს!.. გასაგებია, წარმატება ამხნეველი და ათამაშებს აღამიანს, მეტსაც ვიტყოდი: ასულელებს...

— მაგამი გეთანხმები. ამ საღამოს ნამდვილად გახსულელიდი!.. სხვისა რა გიოხრა და, შენთვის კი მართლა არ უნდა გამეხედა ასეთი რამე... მაგრამ ეს დამე... ეს... როგორც მამაკაცს, შეიძლება კიდევ როგორმე შეატკებოდნენ გულისთქმას ავილა, მაგრამ როგორც მსახტის უფროსს... რაკ მართალია, მართალია, ამ მხრივ ნამდვილად ვერ მოეხომე...

— „ვერ მოზომა“. — ჩაიციხა თამარულამ. — სხვა ხომ ყველაფერი კარგად „მოხმოთი“ — კარგი ახლა, შენი დაეინევა მაკლია! ის კი არა და, რას მოთოვიდი სამაყვინოდ, შენი ბრალეულები რომ ჩემს შორის დარჩენილიყო?... თუ ამალამ აქ დარჩენას არ აპირებს, მაშინ წასვლასაც ხომ უნდა იფიქრო?... რის იმედით აბიარებ ამ შუაღამეზე...

თამარულამ ნაგანზე ანიშნა.

- მაგს ვერ გაგატან. მაგის უღლება კი არა მატეს!.. რომ დაგიტოვიან და გაეზრდიკონ, მერე...
 - ვუტყვი, ბუხალაძემ მათოტა-მეიჭი.
- შუალამის გახსენებამ თამარულას მოულოდნელად

ძილი მოგვარა... შეშინდა, არ ჩამოვლინობო და ზეზე წამოიჭრა. ბუხალაძე წამუდგა

- წაიფიხანი?
- თქვენ ფებს არ მოიცილეთ აქედან.
- მე მეგონა, შევრიგდით-მეოქი, და... — ბუხალაძემ ერთი ნაბიჯი გაუბუდვად გადადგა თამარულასაკენ, თამარულას ავად ენიშნა ბუხალაძის ეს მიძრაობა და უკან დახვევა რომ დააპირა, უცაბედად რიაილს მიხვალა.

ბუხალაძე კიდევ უფრო გათამამდა... იფიქრა, რისა მემშინია ამხელა კაცს, მართლა ხომ არ მესხროსო, და, ერთი ნაბიჯით კიდევ მიუახლოვდა რიაილთან მიმწყედველ თამარულას.

— ლორტი! — ხმადაბლა, მაგრამ გაფრთხილებს კილოთი წამოიძახა თამარულამ და რევოლვერიანი ხელი ფერდზე მიიბჯინა.

— მოწყვი ეგ თხერი, რა შენი საქმეა რევოლვერი...

— არ ეტყვირები... ნახევარი ნაბიჯაც და...

ნახევარის მავთვრად ლორტიმ კიდევ გადადგა ერთი ნაბიჯი. ის ისე გაიტაცა ფსიქოლოგიური ზემოქმედების ედუნებამ, რომ თამარულას გამაფრთხილებელ შემაძილებს უკვე აღარავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა და ფიქრობდა — სადაცა რევოლვერი ხელიდან გაუკარდებდა და თვითონ კი ჩემს მკლავებში აღმოჩნდებოდა, მაგრამ... გადადგა თუ არა კიდევ ერთი ნაბიჯი და მკლავებგამოილიო ის იყო თამარულას მყერდში ჩაყვრას უპიარება, უეყრად გაისმა გასართის გამაყრუებელი ხმა... თამარულა პირველი ჩაიყვრა რიაილის ფეხთან. ბუხალაძე ერთორ წამს გაოცებული და ჯერ-კიდევ მკლავებგამაყვინილი იდგა, მერე ხელისგულები მუცელზე, ტიპის კვამით შეშინილ, წელში მოიხარა და ტადაც არანორმალურად მოგურუნხული დაეცა იატაკზე.

სულ რადაც ნახევარი საათის წინ ჩაიწინებელი თამარულა დღლაადრიან სიცილმა და მხურანა გამოაღვიძა. თვალი რომ გაახილა, პირველად ღია კარის ზღერბლზე შეჭრებული ბეჭან-ბუხს სილუეტი დაინახა. ეს სილუეტი მთლიანად ახსებდა ვიწრო კარის ჩარჩოს.

- თამარულა, გპინახვ?
- არა, რა იყო, ბეჭან ბიძია? — თამარულამ მარცხენა ხელის ნიდაყვი ლოკის დააყრდნო და წამოიწია.

- რა გახარო, რომ იყოდე...
- მაინც... რა?!
- წყუტლ ბუხალაძე... მოუკლავთ!

თამარულამ საბანი უცებ წელამდე გადაიძრო და თავისუფალი ხელი მყერდზე იტაცა, პერანგის გულისხარი მობლუჯა,

— ბეჭან ბიძია, რას ამბობ? მერე, კაცის მოკვლა გაგვხარდა?!

შეგან-ბუ თამარულას საწოლის ნაპირზე ჩამოჯდა. — კაცის მოკვლა არ გამეხარდებია, მაგრამ არაკაცის მოკვლას უფლთის მივსალმებში! შენი არ ვიცი, მე კი ასე მეგონია, ვიღაცამ ეგ ჩაიღინა, უკ-

თებს თავის სიყოფიერებაში აღმათ ვერაფერს გააკეთებდა.

თამარულას ცხადად წარმოუდგა თვალწინ ბუნალაძე. მაყოფოდ ზავსმა მისი ბოლო სიტყვებიც და, თიქობის ყოცხალს გაამთებათ, ისე ვაივლო ვეღომი — „არ მინდოდა შენი შავი ხისხლის დაღურა, მაგრამ, რა ჩემი ბრალა“. ბეგან-ბუს კი ჩურჩულით ჰკითხა:

— ასე ამბობენ, მოკლავაი?

— არა, ამბობენ, თავი მოკლავსო, მაგრამ რა შეილება, თავი მოკლას! მაგისთანები თავს არ ეკლავნი... დაწმუნებული ვარ, ვილაცის მოკლულია!

— დაწმუნებული რატომ უნდა იყო...

— შენ ის მითხარი, რატომ არ უნდა ვიყო? რატან ახეთი ყოფილა რაღაცა ჩვენთვის გაუგებარი და აუხსნელი კანონზომიერება.

რაც ბეგან-ბუ თამარი შეშვიდა, ახლა თამარულამ პირველად შეჭედა სახეში პირდაპირ და გაბეღულად.

— ბეგან ბიძია, იქნებ გადაჩვენს ბუნალაძე...

— ასე ყველა მტერი გადაჩვენს აღებს თურმე გაუშვილი საავადმყოფოს სახელებში! ბედლარი კი თმებს იღვრესო! რომ უფროსი მისთვის, ბუნალაძეს წუხელ თაუ მოკლავსო, იყო რამდენა უკვირია — რა დროს ვე იყო?! ხუდავთ, რა მიყო მაცხოვრებლად! მიიღი და დარჩახე. ყველას თავისი ტყუილის ჯაჭვი ჰქვას. საუბრების დაქარავეის ემინია! — ბეგან-ბუ წამოიღებ.

— შენ კარგად იყავი. დღეს ეს ახალი ამბავი ჩემად დავამდგროი — თქვა და პირზე ხელეხაფარებული მოგუდული სიცილით გავიდა თიხაბიდან.

თამარულა გათყვებული ფიქრობდა: „ბუნალაძის სიცილით ბეგან-ბუს ასე მინც რატომ უნდა გახარებოდა? არახილეს ისინი ეს დაპირისპირებები არ ყოფილან, რომ ჭირივით სძულეობათ ერთმანეთი. ჩემი გამოცდა ზომ არ უნდა ბეგან-ბუს? მართალია, იცის, არახილის დაუბინებელი მტერი რომ მზელდა, მაგრამ... მაგრამ ის, რომ ბუნალაძისთანები ბეგანისთანებსაც კი სძულთ... სძულთ ვსაძვლვერ უბნობანი, ბეგან-ბუს კი ძალანი უფარის სანდო სახლი. რა შავის პასუხია და, ვე არ იყოს, ამასწინათ ჩემი გულსაძვის ბუნალაძეს რომ დახვედრია, წყალსაღვინის მილის გადნაპერი უჭერებო და უჭეკამა — თავს გაიციხეთქავე, თამარულას თუ არ დაეხსნებო?... აღმათ ემინიდა, ბუნალაძემ სადმე არ მოხმწყვდიონ და სამაგრიო არ გადამიხადოს, მე შენ ვებტყვი, გაუჭირდება ჩემი წახდენა ბედლარის მარჯვენა ხელსო. ვინ იცის, შეიძლება ამასაც ფიქრობდა ბეგან-ბუ, და რაღა გასაკვირველია, თუ ახეთი ქვებუდანის საიქიბის გამწვანებდა გახარადა“...

პირველ და მეორე მოქმედებაში, რომ მესამეში უნდა დასვენო, ერთი თავისუფლად ამონისრქოის, ცოტათი გაიღმოს, უტყუთ, ბარბაღებს და ბაბუისს უკანასკნელ პაექრობაზე, რომელიც მათი პირველი დღის გამაზახილი და დაგვირგვინებაა, ისინამონოს ქეთის და კოტეს გამოარჯებთ, რაიც ამასთანავე სიკეთის, სამართლიანობის გამარჯვებასაც მოასწავებს, და კარგ გუნებაზე წავიდეს შინ. აქ ოდნავი გადაკარბებაც კი შეიძლება მოსაყვლინებელი გახდეს წარმოდგენისათვის. დრამაში კი, პირიქით, რამდენად მეტს დაძაბვ მოქმედებას, უმჯობესია. რაც უფრო მეტად ააღლევ მსუფრებლის გონებასა და გრძნობას, რაც უფრო გაართულვ სიუჟეტს, უკეთესია, ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს სირთულე, ყურადღების ეს დაძაბვა, გამართლებული, ბუნებრივი, რეალური უნდა იყოს⁴.

ვიქტორის უსათუოდ ჰქონდა სიუჟეტური კვანძის გამოყენების, დაძაბვის უნარი და ამავე დროს ზომიერების გრძნობა.

მოვიყვანოთ ერთი მაგალითი:

ვიქტორის მოწინააღმდეგენი ზშირად ამტკიცებდნენ, თითქო „ლეილა“ ასე იმითმ მოეწონა ხალხს, რომ ამ ოპერაში აქტორმა გამოიყვანა ქართული ხალხის საყვარელი გმირი მეფე ბარტყელ. ვიქტორის მართლ აღინიშნება: „საქმე ის კი არ არის, რომელ გმირს გამოიყვან, მთავარია, რა პირობებში გამოიყვან ამ გმირს, როგორ სიტუაციას შექმნი, რამდენად დაძაბვ მსუფრებლის ყურადღებას გმირის ბედობილბიანობით, რა კარგადაც არ უნდა იყოფდეს მსუფრებელმა ამ გმირის ბიოგრაფია (ზომ ყველამ იცოდა 18-20 წლის ქაბუკი მეფე ერეკლე ვეზირს არ მოეკლავს, რომ თავისი სატრფოსათვის ესამონებინა), იგი შინც ღელავს საყვარელი გმირის გამო. მთავარია, როგორ გამოიყენებ ამ სიტუაციას, რამდენად გაიტაცებ მსუფრებელს, თორემ ბევრი ხალხის უსაყვარლესი გმირი გამოუყვანიათ სხვადასხვა ნაწარმოებში, მაგრამ ყოველთვის როდი იწვევს აღტაცებას მსუფრებელში“.

მაგალითისათვის ვიქტორს მოჰყავდა და არაყვირის ოპერა „შოთა რუსთაველი“. დიმიტრი არავიშვილს, როგორც უკვე აღვნიშნე, თავისი ხალხი ნიქით, აგრეთვე, ცოდნით, ოსტატობით ვიქტორი თვლიდა მეტად ძლიერ და სურვიოზულ კომპოზიტორად. და, აი, ასეთმა ძლიერმა კომპოზიტორმა გამოიყვანა თავის ოპერაში თამარ მეფე. თამარ მეფე ხომ ქართველი ხალხის უსაყვარლესი გმირია? იგი მას ღვთაებად, ყოველივე საკეთის, სიბრძნის განსახიერებლად წარმოსახავს. მართლაც, ბრძენი, ქეთილი, მზეთუნახავი, უნაკლო... აი, ეს გმირი გამოდის სცენაზე და რა აღჭრათვანებას იწვევს? არავითარს რატომ? არ უყვართ თამარ მეფე? არა, მხოლოდ იმიტომ, რომ არ არის

საკმარისი მართლ გამოიყვანო ხალხის საყვარელი გმირი; მთავარია, როგორ გამოიყვან მას, რა პირობებში და რა გარემოცვაში? წინ უნდაც შოთა რუსთაველი, რა გრძნობებს? წინ უნდაც ამ ოპერაში? რადაც სიბრალულსა და თან სინანულს, ნუთუ ასეთი იყო შოთა, ქართველი ხალხის და მსოფლიოს მთავარი აღიარებული გმირი. რატომ ხდება ეს? მუსიკა ხომ შესანიშნავია. რადა ღირს მართლ არაბის არიოზო, შოთას არია, გუნდი, ორკესტრი, ყველაფერი ესე იგი, არ არის საკმარისი კარგი კომპოზიტორი იყო, რომ კარგი ოპერა დაწერო. საჭიროა კიდევ განსაკუთრებული ნიჭი მუსიკისა და სიუჟეტის შერწყმისა. რა თქმა უნდა, თუ ნამდვილი კომპოზიტორი და მუსიკოსი არა ხარ, ეს განსაკუთრებული ნიჭი ვერ გიშველის. ეს ისეთი, როგორც, მაგალითად ყველა კარგ მწერალს, როდი შეუძლია კარგი კინოსცენარის დაწეროს. აქაც აუცილებელია განსაკუთრებული ნიჭი და უნარი. ზშირად რა ვინდ რა კარგად გააბრებული ლიტერატურული ნაწარმოებაც არ უნდა იყოს, სცენარიც, ვერ აღწევს მსუფრებელამდე, ვერ იწვევს. იმ ემოციებს, რაიც უნდა გამოიწვივა, რისთვისაც იყო შექმნილი ეს ნაწარმოები.

საქართველოში, — ამბობდა ვიქტორი, — რატომღაც, რა კარგი მუსიკოსიც არ უნდა იყოს კომპოზიტორად არ მიაწინათ, თუ ოპერა არ დაწერა. ეს კი სრულებით უმართებელი და მცდარი აზრია. შოპენს არც ერთი ოპერა არ დაუწერია, მაგრამ ნეტაც ბევრი გვეყვდეს მაგიოსთან კომპოზიტორი. ბეთოვენს, რომელიც მსოფლიო მუსიკის უბადლო, მიუწვდომელი მწვერვალია, აქვს ოპერა „ფიდელიო“. რა თქმა უნდა, ცუდია ამ სუსტიო, ვერ იტყვი, იგ? ბეთოვენმა მაგრამ თვითონ ოპერა, როგორც სცენიური ნაწარმოები, არ არის გამარჯვებული. არ შეჩნა საოპერო სცენას, როგორც სხვა, მუსიკალური ამ მხატვრული თვალსაზრისით ბევრად უფრო სუსტი ნაწარმოები. და თუ იღვმება, უფრო კონცერტის სახით, ამ კიდევ მუსიკალური სკოლის თუ კონსერვატორიის საქმენებელ, საგამოდო სადამოებზე. იმასაც ვერ იტყვი, რომ ოპერა სუსტ, უმნიშვნელო სიუჟეტზე აგებული, ამ მთავარი გმირია მკრთალი, თუ ნაძალადელი. არა, თავისუფლებიანათვის მებრძოლი, ხალხის მტარავალი დაუძინებელი მტერია, ამ ხალხისათვის მსხვერპლად შეწირული ფიდელიო უსათუოდ დიდ თანაგრძნობასა და სიყვარულს იწვევს. მაგრამ მთლიანად ოპერა ძნელად მოსასმენი, მოსაყვენია. ბეთოვენის სიმფონიებს ვატაკებთ. სულმოთქმულად უსმენ, ოპერა კი, სადაც ეს შესანიშნავი გმირი იტანება და იღვმება ხალხის კეთილდღობისათვის, ვერ იწვევს ისეთ ემოციებს, როგორიც მოსალოდნელია. ამავე დროს ჩვენ ვიცით მრავალი ოპერა ბევრად უფრო სუსტი კომპოზიტორის მიერ შექმნილი, სადაც ზშირად არც თუ მთავარი გმირია თავისთავად ისეთი მიმზ-

დელი თუ მნიშვნელოვანი, როგორც, ეთქვით, ფედელიო, მაგრამ მისი ბედი, მისი განდობილი უფრო ვიტყვებით და გაუღლებით, ვიდრე ეს შესანიშნავი პიროვნება, უდიდესი გენიის მიერ შექმნილი. ესე იგი, ვიქტორის აზრით, თვითონ ოპერის სიუჟეტს, ლიბრეტოს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, თითქმის ვადამწყვეტი, ცხადა, თუ იგი ორგანიზულად შერწყმული იყო მუსიკასთან.

ჰოდა, ვიქტორმა თავისი დრამატული ოპერისათვის იიღო ისევე ა. ცაგარლის პიესა „ლევის ქალი გულჯავაიზი“. ეს პიესა არ იყო ისე პოპულარული, როგორც ხანუშაა, არც თუ ისე ზნობრივ იდეებზეა სცენაზე იმ ხანებში, მაგრამ ვიქტორი, ალბათ, დანტერესდა დრამატული კენჭით, რომელიც საფუძვლად ედგა მას. ვიქტორმა აქაც თავისებურად დაამუშავა სიუჟეტი. პიესაში, მაგალითად, ერეკლე მეფის მხოლოდ ერთი გეზირია გამოვლენილი, რომელსაც გულჯავაიზი შეეცდენს და მისი გულის მოსაგებად მეფის მკვლელობას განაზრახვინებს. ვიქტორმა გამოთქევინა ორი: რევეზი და თეიმურაზი და მათი მპყრობით გააძლიერა სიუჟეტის კენჭი. პიესაში სრულებით არ არის როსტომი — ხევსურა, რევეზის მსახური, აქ კი, ოპერაში, იგი საკმაოდ მნიშვნელოვანი სახეა და ასე შემდეგ...

მე მიწდა ერთგვარი ანალიზი გავუყვით ამ ოპერის ლიბრეტოს, რომ უფრო ვსაყავი იყოს, თუ როგორ მუშაობდა ვიქტორი თვითონ სიუჟეტზე მის დრამატულ არსზე. დავიწყით თავიდან:

პირველი მოქმედება, რაღაც დღესასწაულია ლევის ქალის ლეილას სამფლობელოში. ღრეობა, ცეკვა, სერდერა... როცა მხიარულება უბაღეს წერტილს აღწევს, გამოჩნდება დღეობა უცებ შეწყდება უოველივე, როგორ, — მრისხანედ მიმართავს ლეილა თვისტომებს, — „ოქვენ აქ ცეკვავთ და ლხინობთ, როგორც მამაჩემი მკვდარია? (უნდა ითქვას, შესანიშნავი იყო ამ როლში ცნობილი მომღერალი ე. პარინკინა, ლამაზი, ტანადი; სუფთა, ძლიერი ხმა ჰქონდა). მერე ვინ მოკლა იგი? — განაგრძობს ლეილა, — საზარელმა, საზოხარმა მეფე ერეკლემ!“

დარცხვენილი ხალხი თავაჩინდრული ღმს. ლეილა მიმართავს თანამემამულეთ. იგი მოითხოვს შერისძიებას.

— აღარ არიან ჩვენში რაინდები? აღარავის უდღეს სისხლი ძარღვებში? აღარავის ეწვის გული, რომ საყვარელი ბელადი მოგვიკლეს?

ახალგაზრდები ხანჯლებზე იტაცებენ ხელს და ფიცსა სდებენ შერი იძიონ — ახლავე შხადა ვართ საზრძოლველად! წაივდეთ, თავს დაუხსნათ მტერს! მოკლათ მეფე ერეკლე!

— არა, — შეიჩვენებს მათ ლეილა, — ქართველია ვართ ძლიერია? აშჯარა ომში მათ ვერ და ვამარცხებთ. ღმს უნდა მოკლათ ერეკლე, მაგრამ ფარულად, ზემად, მაშინ მოსიძობა და გაქრება ქართველთა ძლიერება. ვინ არის ვმირი,

ვინ ითავებს შეიპაროს ქართველთა შერთს და მოკლას ერეკლე! — მოუწოდებს ლეილა — ვფიცავ, ცოლად მართ ომსა გფევეში ვინც ერეკლეს მოკვეთილ თავს მომიტყვას! ვინც გამოდის ახალგაზრდა ლეი, სულეიშანი და აცხადებს:

— მე წავალ, ან ცოცხალი არ დაებრუნდები, ან ერეკლეს თავს მოგიტანი!

ხალხი ლეილას მეთაურობით გზას უღოცავს ჩაინდს და საზვიმოდ აცოლებს მას.

— სიკვდილი, სიკვდილი ერეკლეს! — ვაიძვის.

ემშვება ფარდა.

მაყურებელი უკვე აღდგებულაა ერეკლეს ბედი, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველმა ქართველმა იცის, რომ ერეკლე მეფე არავის არ მოუტლავს, მაგრამ სიუჟეტის კენჭი უკვე ისე ძლიერად წარმართა, იმდენი ექსპრესიით თვითონ ლეილასა და მთელი ამ ხალხს საქციელში, რომ მაყურებელი გიტაცებელი და მოგადობელია.

მასსოვს, ფარდა რომ დაეშვა, ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, თითქო შიშმა შეიპყრო ხალხი, მხოლოდ მერე იკრიალა ტამში მსახიობების და თვითონ ავტორის დასაჯილდობელად.

მეორე მოქმედება. წალკატი ლეილას საყოფელში. ლეილა და მისი მოახლე ასია. ლეილა ელის სულეიშანს, ღელავს, შესძლებს თუ არა ჰაბუტი შეასრულოს აღთქმა. ასია ამშვიდებს ლეილას, არწმუნებს სულეიშანს ვაყიკობაშია — არა, — ამბობს ლეილა, — ერეკლე ზრძენია, იგი თავდაფიწყებთ უყვარს თავის ხალხს, არც თუ ისე აღვილია მათი მოტყუება.

გაორჩნდნენ ლეკები. დამუხრებულნი, თავდახრილი. სულეიშანი დაიღუბა. ერეკლეს თვით გამოეგზავნია მისი დედა ლეილასთვის, ლეილა უშეძრუნებელია. სწყველის ერეკლეს, თავზარდაცემული, გააფთრებელი, სასოქარკეთილებშია ვარდება დამუხრებელი ლეკები ვიზინევიან. უშწუოდ იმტრევეს ზელებს ლეილა, ალას ევეღებთა უშველოს, ასწავლოს ზეჩხი ერეკლეს დასაღუბავად.

ამ დროს გამოჩნდება რევაზი, მშვენიერი ქართველი ჰაბუტი, ერეკლეს საყვარელი ვეზირი. რევაზს უყვარს ლეილა. ლეილა კი თვალთმაქცობს, სიყვარულს ეფიცება რევაზს, ოღონდ ცოლად გაყოლაზე უარს უცხადებს. რევაზი ვაოვნებულია:

— რატომ, მამ არ ვიყვარე? მატყუებდი?

— არა, — ამბობს ლეილა, — მიყვარხარ, მაგრამ... შენ კარგად იცი, მეფე ერეკლემ მოკლა მამაჩემი, ფიცო მატყვს დაუბუდი, არ გაუთხოვდები, სანამ ერეკლემ შერთს არ ვიძიებ. მოკლათ ერეკლე და შენი ვიქნება.

— რას ამბობ, ლეილა! — აღშოთთებულია რევაზი, — როგორ, მე მოკლა ჩემი მეფე ერეკლე! ვერაგულად მიეგპარო მას და... არასდროს!

— მამ არ გყვარებია!
 — გონს შიდი, ლეილა!
 რევაზი ეფიცება სიყვარულს, ვეერდება ხელი აიღოს ამ ვანზრახვამზე:

— მეფე ერეკლეს ზომ ფარულად არ მოეცა ეს მამაშენი. პატრიოსან ორთაბრძოლაში გაიწვია იგი და სძლია, შენ კი მაქვსებ ქურდულად მიიყვარო ჩემს ბატონს, ჩემს მეფეს და მოკლა! ო, ლეილა, უარყავ ეგ სიტყვა, — ვეერდება რევაზი სიყვარულ არსებას, მაგრამ ლეილა მტკიცედ მოითხოვს თავისას.

— შითხარ. მოკვლავ თუ არა ერეკლეს?
 — უთხრებდა უკანასკნელად.
 — არსდროს! (რა თქმა უნდა, აქ ტამის გრილია).

— მამ, სამუდამოდ გამშორდი!
 რევაზი, თვითონაც აღფრთოვებული, ეძლიება ლეილას. ლეილა შედის თავის კოშკში.

გაოგნებული რევაზი მართო ზის წაღოტ-წი, სასოწარკვეთილი, ვაუბდღერებელი, რომ სამუდამოდ დაქარგა სიყვარული არსება. უახლოვდება ერთგული მოხუცი როსტომი (როსტომის როლს ასრულებდა შესანიშნავი ბანი — ისეცა, იგივე ფინე აქოთო და კოტეშო შექმნა მაყარ კოტრაიშვილის სახე). ტარმაგი, ჭკვიანი ჩაინდი, რევაზის ერთგული ბეჭართანა და: შეგობარი. როსტომი ამშვიდებს რევაზს და უმხელს—ტყუილად განიციდი ასე, ლეილა თვალთმჭვლობს, არ უყვარხარ, იგი ორგულია, თეიმურაზის მსახურმა მოიხარა, ლეილა მისაც ისევე ეალერსება, როგორც შენ. მისაც ისევე ეფიცება სიყვარულს.

რევაზს არა სყვარა ლეილას ორგულია. თეიმურაზიც ხომ მეფე ერეკლეს ვეზირია, მისი უსაყვარლესა შეგობარი, შეუძლებელია.

— მერწმუნე, — ეუბნება როსტომი, — არა გყვარა და დაეცადოთ, საცა არის თეიმურაზი გამოჩნდება თავისი მსახურით, სწორედ იმან მაცნო ეს ამბავი.

მართლაც, შორით გამოჩნდება თეიმურაზი. რევაზი და როსტომი მიიშალეებიან. ლეილა ისევე კისკისითა და მოწვევებითი სიყვარულით მიეგებება თეიმურაზს როგორც რევაზს შეტევა და და მსაც ეალერსება. აღფრთოვებული რევაზი ედღარ მოითმენს, სადაროდან გამოვარდება და ხმალს იშაშველებს. რევაზი და თეიმურაზი ერთმანეთს ებრძვიან. შესანიშნავები იყენენ თეიმურაზისა და რევაზის — ამ ორი ულამაზესი ჭებუკის — როლში სანდრო ინაშვილი და ჩვენი ბუბუბუ — ეანო სარაჯიშვილი. ერთი უფრო შემართებული, უფრო ვაკაცური, მეორე უფრო ლამაზი, ნაზი, რაღაც თითქო უფრო ვანყენებელი მეოცნებე, უფრო მოხიბლული ამ ცბურთი ქალით, უფრო დამყერი და აწყოლი. ჩაინდები შეიბეზვიან, მაგრამ ლეილა შეატყობს თუ არა თეიმურაზს სძლევენო, შეუში ჩაუვარდება მათ. მას არ უნდა თეიმურაზის დაღუპვა, რადგან იმედი აქვს, რომ მას უფრო ადვი-

ლად დაიყოლებს თავის სურვილზე, ზემურზე ლეკები მოვარდებიან. გაბრაზებულენი, რომ ორმა ქართველმა ვაბუნა ლეკეთნი შეჯგუფლნი მათი მთავრის ქალის შემფრთხვებ, მისიველად მიცევილებიან ჩაინდებს.

— სიუკელი ორივეს! — გაიძახის ხალხი.
 — არა, — შეიარხობს ლეილა, — თავი დანებებო, ხელი არ ახლოთ!

გააფრთხილებელი რევაზი სტოვებს ვერავი ქალის ბუნავს. თეიმურაზი კი ლეილასთან რჩება. მთავრებელი ლეილას: რად დარჩა თეიმურაზი, ვითოდ დაიყოლიოს ლეილა და თავისი ყალი სიყვარულით და აღერსით ათქმვეინოს ის, რაიც რევაზს ვერ დააცდენინა. ასე თავდება მეორე მოქმედება.

შესამე მოქმედება მათში მიმდინარეობს. მეფე ერეკლე თავისი ამალით სანადიროდ გამოსულა. თვითონ ერეკლე ჭერ არა ჩანს. გამოჩნდება თეიმურაზი. მას შორიახლო, როგორც ლანი, დასდევს რევაზი და მისი ერთგული როსტომი. რევაზი ეჭვობს, რახან ლეილამ შეიარღობა თეიმურაზი, შეიძლება კიდევაც დაიყოლია მეფის დალატებო. როსტომი ეციხება: რევაზს რატომ არ ვეტყვიო მეფეს, რომ თეიმურაზს მისი მოკვლა უნდა.

— არა, როსტომ, მეფეს იხე უყვარს თეიმურაზი, არ დაგვიჭერებს. იქნებ ცილიც კი დაგვიწამოს და გაგვაძევოს, მაშინ კი თეიმურაზსაც მეტი საშუალება მიეცემა თავისა შეიბნელი განზრახვა შესარულოს. არა, მეუბნები თვალი უნდა გვიჭიროს თეიმურაზზე, ერთ წუთს არ მოვიშორდეთ, რომ იარაღით ხელში შევესწროთ და ვამბოლოთ. სხვა გზა არ არის!

— რომ დაგვასწროს და მოკვას მეფე? — წუხს როსტომი.

— არ უნდა დაგვასწროს. ბედი ასე არ გავწირავს. დამიყრე, ფხიზლად ვიყოთ და ჩვენი სიფხიზლით დაეცაეთ მეფეს.

მეფის მსხუბულები, მეომრები, მონადირეები მხიარულად ერთობიან და ნანადირებს შეეცევიან. მოშორებით რევაზი და როსტომი საუბრეგონე ფხიზლად დგანან, თვალს არ ამორებენ თეიმურაზს. თეიმურაზი კი გაოგნებული, ფერწასული, საოცრად ვატაწულ სახით ყულებტარით იწეის. ნუთუ გაიშვებებს მოკვას თავისი სიყრმის მეგობარი, საქართველოს მეფე, ჩაინდი ერეკლე? რევაზი და როსტომი მონადირეებში გარეული თვალს არ ამორებენ მას. გამოჩნდება მეფე ერეკლე. იგი მთის ბილიკით ჩამთრბის. ახალგაზრდა, თერთ ჩოხაში გამოწყობილი, პატარა კახის ცნობილა სურათი რომ არის, სულ ისეთია. ამ როლს კარგად ასრულებდა გიორგი თუმანიშვილი. საოცარი მსგავსება. სხარტი მიხერა-მოხერა, ცოცხალი სახე.

ერეკლეს გამოჩენას ხალხი ტამის გრილით ზედება. იმდენად დამაბულია მდგომარეობა, იმდენად აღზნებულია მყურებელი ორი წინა

მოქმედებით: შურისგებით ანთებული ლეილას თვალმამკობით, რევების და თეიმურაზის შერყენებით, თუ რევების და როსტომის მღელვარებით, რომ ამ სიტუაციაში საყვარელი გმირის გამოჩენა ოვაციებს იწვევს.

ერყელ მშვენიერ ვენებაზეა ვერძლით მოთხრობს თავის საყვარელ თეიმურაზს, იწყება ღრუბლაში. მრავალწამიერი, ცეცხლ-თამაში. მაგრამ ამ მხიარულებას მალე სწყვეტს უცებ ამოვარდნილი ქარიშხალი. მონადირეები იშლებიან, სცენაზე ჩამოხრდილება. ერთი შეთქმის ტენა, ძახილი. კოკისპირული წვიმა, აღარც თეიმურაზი, აღარც მეფე აღარ ჩანან. სად არიან, ხომ არფრთხილ მოხდა? ტექსტ-ქუხილის ვრთაილი... ფარდა.

პატარა მუსიკალური ანტრაქტი, ქარიშხლის გამოშატველი მუსიკით.

იწყება მეორე მოქმედება. დარბაზი ლეილას კოშკში. ბუხარის ანთია. აღდგენილი ლეილა მოუხვეწილად ძრწის სცენაზე, ვეღარც ასია ართობს თავისი ტყბილი სიმღერით თუ ზღაპრით — „იყო ერთი მეფის შვილი“.

— გაჩურღი, ასია, — აწყვეტინებს ლეილა, — რა თქმა, სად არის თეიმურაზი ეს ქარიშხალიც ჩემს სატანჯველად ამოვარდა. თეიმურაზმა შიშობა, დღეს მეფე ერეკლე სანადიროდ იქნებათ ახლა-მხალი მთებში. თუ მოასწრებს, დღეს უნდა მოასწროს. მეშინია, ვათუ რევებმა ეჭვი აიღო და მიუხედა განზრახვას. ნუთუ ვერ შევისრულებ გულს წაფილს, ნუთუ ვერ ეძიებ შურს, ოჰ, საზარელო, საზიზღარო მეფე ერეკლე, ნეტავი ხელში ჩამოვარდებოდე! ისმის კაცური.

— ვინ არის, მობრძანდი! — მიტრიალდება ლეილა, — ალბათ, თეიმურაზია! — შესძახებს და კარისაკენ გაეშურება.

იღება კარი. კარის ღირზეზ დგას მეფე ერეკლე. თეთრ ჩოხაზე შავი ნაბადი მოუგდია. ერთ წუთს ლეილა და ერეკლე დგანან უძრავად. ლეილას არასდროს არ უნახავს ერეკლე. ისინი ერთმანეთს არ იცნობენ.

— ვინა ხარ? — ეკითხება ლეილა.
— მეოპარი ვარ მეფე ერეკლესი, მასთან სანადიროდ ვიყავი. ქარიშხალი ატყდა და უცებ ჩამოხრდილა. ცა და მიწა ინგრევა. დავიფანტე. ბევრი ვიხეტილა ტყე-ღრუბში, დავიქანტე, დავსველდი, შემიფარე, ლამაზო, ვიდრე ქარიშხალი ჩადგება.

— მობრძანდი, სტუმარი ღვთისაა, მოისვენე, — ეუბნება ლეილა.

ერყელ შემოდის, იქვე, დარბაზის სიღრმეში ტახტზე მიწევება, ნაბადს წაიხურავს. ჩაეძინება. დარბაზში ისეთი სიჩუმეა, ბუხის გაფრენა ზარბაზნის ხმად მოგვეჩვენება. ერეკლე თავისი დაუძინებელი მტრის ბუნავში მარტო, უიარაღო, მძინარე!

მაგრამ ლეილამ რა იცის ვინ არის ეს სტუმარი? იმედის ნაეჭრქალი უნათებს გულს. —

უცებ ჩამოხრდილა, დავიფანტე, იქნებ თეიმურაზმა დრო იხელთოს და მოსტყოს ერეკლე. ხომ დამხარდა...

ისევე გაისმის კაცური და ახლა თეიმურაზი შემოდის, დაღლილი, დაქანცული, საშინელი ეჭვებით გაოგნებული, ნატარჯი.

ლეილა აღტრთოვანებული ეგებება: — რა ჰქენ, მოჰყალო? თეიმურაზი შეკრთება.

— არა, ლეილა, რევებმა ვგონებ ეჭვი აიღო, თვალს არ მაშორებს. გაეწვალდი, ქარიშხალიც ჩემს ჯიბრზე ამოვარდა. მეფე თვალს მიეფარა, ვეღარ ვიპოვე, დავსველდი, გაგვივდი... ლეილა თავს ეკლებს. ეს ხომ ერთადერთი იმედია შურის გებისა.

— მოდი, გათბი, დანაყრდი, — ბუხართან მიჰყავს, ეალერება, უყვავებს.

უცებ თეიმურაზი შენიშნავს, რომ დარბაზის სიღრმეში ტახტზე ვიღაც წევს ნაბადწაბურული.

— ვინ არის იქ? — შესძახებს ეჭვით შეპყრობილი.

— მეფე ერეკლეს ვიღაც მებრძოლი, გზა ახწევა და თავმსადაგი მოხვდა.

— არა, შენ მე მლაღატო, ეს რევებია! — შესძახებს თეიმურაზი, მძინარეს მივარდება, ნაბადს ახდის და ადგილზე გაქვავდება.

ლეილა კი იცინის, დაცინის თეიმურაზის ეჭვიანობას. თეიმურაზი გონს მოვა.

— გაჩურღი, ლეილა!

— რა მოხდა, ხომ დაწმუნდი, რომ რევებია არ არის?

— რევებია არ არის, მაგრამ... — თეიმურაზს ხმა ჩუქვარდება.

— ოჰვი, ოჰვი ვინ არის?

— ლეილა, ეს ხომ თეთი მეფე ერეკლეა! — შესძახებს თეიმურაზი და სასოწარკვეთილი სახეზე ხელებს აიფარებს.

— ოჰ, ალაჰ ჩემო, გმადლობ, რომ საზიზღარი, საძაგელი მეფე ერეკლე ხელთ ჩამივდე! — აღტაცებულია ლეილა, — ჩქარა, ახლავე ხანჯალი დაკარგი გულში — ლეილა ეხვევა თეიმურაზს, რომ მოუღუნოს ნებისყოფა და გონება დაუბნელოს, გაატანს კიდევ თავისას, ხანჯალს აამართუნებს გონებაწართმეულ, მთრთოლვარე თეიმურაზს და ამ დროს გაისმის დამბანის ხმა.

მეფე ერეკლე ზეზე წამოვარდება, თეიმურაზი ხელშია აღჭირვილი. სარკმლიდან შემოცველდებიან რევები და როსტომი. ისინი ფეხდაფეხ მოსდევდნენ თეიმურაზს და კიდევ მოუხსრის. აღტაცებული ტაშის ვრთაილი, შეძახილები ფარავს მოღერლის ხმას და ორკესტრსაც. მსახიობებზე მოღერებული არიან ვრთხანს ადგილზე გაშვდნენ, სანამ მამურების აღტაცება მინელებდა და მათი ხმები ისევე გასაგონი ხდება. მეფე ერეკლე გაოცებული შეპყრებს თეიმურაზს.

— შენ ჩემი მოკვლა გინდოდა, თეიმურაზი!

რას? — ძლიერ გასაგონად ეუბნება იგი სიყრბის მეგობარს, და მერე უკვე ძლიერი, შეუდრეკელი ხმა გაისმის: — თეიმურაზ, შენ უღალატე შენსა სამშობლოს, შენ უღალატე მთელ საქართველოს!

ისევე ტანის გრილი და უფრო ძლიერი შეძახილები... შეძახილები.

— არა, მეფე, — ამბობს თეიმურაზი, — გრძნობამ დასძლია გონებას, ვიხივ ვამატო, მეფე! — ხანჯალს ჩაიკეცს გულში და უსულოდ ედგა.

სცენა თანდათან იცვლება მეფის მეორებით. მღვდლარსა, ჩოჩქოლი. ლეილას უნდა დრო იხელთოს: „ან ეხლა, ან არასოდეს!“ — შესძახებს, თავის პატარა ხანჯალს იძრობს და მეფეს მივირდობა, მაგრამ რეჟისორი უხიზლად არის, იგი უფოყმანოდ ჩასცემს ხანჯალს საყვირელ არსებებს. ლეილა კვდება. ტანში, ოვაციები, ფარდა ეშვება.

ამ თითქოსდა მეტისმეტად დაძაბულ სცენებს, ამდენ უსულო გეჰმს სცენაზე, მაყურებელი სრულად ბუნებრივად აღიქვამს და, გვიჭრბობ, იმიტომ, რომ მთელი მოქმედება, ლეილას დროებაზე თვით ლეილას პირველი გამოსვლიდან, მისი პირველი მოწოდებიდან — მოკლან ერეკლე, ამ უკანასკნელ აქორდამდე — თვითონ ლეილას დაღუბამდე, ისე დაძაბულია, თან ისე ბუნებრივად ვითარდება, ისე თანმიმდევრულად მატულობს დრამატუზმი — ჯერ მკვლელობა გავაგინა, მერე რეჟისორი და თეიმურაზის შეცდენის ცდები. შემდეგ ექვები, დაიყოლია თუ არა ლეილა თეიმურაზი, ამ უკანასკნელის მერყეობა, განცდები. ისიც, რომ რეჟისორი უარყოფს ამბოლოს თეიმურაზი და ამით თითქოს სათუთად ხდის მეფის უნებულობას, და ბოლოს, როცა მეფე ერეკლე უიარაღო, მხლებლების ვარდზე, მარტოდმარტო შემოდის ლეილასთან და დაღლილ-დაქანცული იძინებს კიდევ მტრის ბუნავში, თითქოს ზეარაკად მიცემული ამ გაფთხობებულ ქალის ხელში... როცა ლეილა გაიკვება, რომ მის კომპიში მეფე ერეკლეს სძინავს, და დაიყოლიებს კიდევ უნებისყოფი თეიმურაზს ხანჯალი აღმართოს, მაყურებლის ყურადღება, მღვდლარება თუ გატაცება ამ ზომამდეა დაქიშული, რომ აქ რა გინდა რა დაძაბვა იგი ისროლე, რა გინდა რა ხანჯლები ატრიალე, იგი ყველადფერს აიტანს, მიიღებს და დაიჭრება; ოდნოდ მოქმედება რომ არ იყოს წინასწარ ასე მომზადებული, ყურადღება ასე დაძაბული, მაშინ, რა თქმა უნდა, ამ ხანჯლების ტრიალს, ამ ფანჯრებიდან სროლას არავინ დაიჭრებდა და ირწმუნებდა.

ოპერა „ლეილა“ დაიდგა 1922 წელს და ისეთივე წარმატებით მიდიოდა, ისევე აღტაცებით მიიღო იგი მაყურებელმა, როგორც „ქეთო და კოტე“, მაგრამ ეს ის დრო იყო, როცა ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ მოიპყრებოდნენ ელემენტები, რომელთაც არ ესმოდათ ჩვენი

ხალხის კეთილდღეობა და ყოველგვარი საშუალებების ეჭმდნენ, თავისი ცრუნებით-ცრუნილი განწყობილების გამოვლინებისას. ეს ხალხი ჭარბად მიაწყდა თეატრს, „ლეილას“ მეორე და მესამე წარმოდგენაზე. ლეილას დაღუბას და ერეკლეს გადაიჩინას რაღაც სხვა ელფერი მიაწერეს, მოაწყვეს მთელი ობსტრუქცია: იტყდა ერთი ყვარილი, ვითომდა პატრიოტული გამოხატულები, უმსგავსო შეძახილები.

ვიქტორი აღმოვითებული იყო.

მახსოვს, მესამე წარმოდგენის დასასრულს ჩვენი ლეილაში ამ უმსგავსო საქციელით შემოწუნებულმა ვიქტორმა წამოიძახა: „რა ეჭა, გამოვალ, ვიყვარებ ერთს, დანიშნდნენ, წავიდნენ, სადმე მოედანზე იყვირონ, მე რას მერჩიან, ამით ხომ მარტო იმას მიიღწევენ, რომ ოპერას მოაძინებენებნო“. რა თქმა უნდა, არ გავუშვით, ეს ხომ პირდაპირ რაღაც მიტირგის მსგავსი გამოვლოდა.

ვიქტორი მართალი აღმოჩნდა, ოპერა მოიხსნა. მთავრობის დადგენილებაში პირდაპირ ეწერა: „რადგან ჩვენი საზოგადოების ზოგიერთმა ელემენტმა ოპერა გამოიყენა თავისი ნაციონალისტური ზრახვებისათვის, ოპერა დროებით მოიხსნას სცენიდან“.

გავიდა დრო. ეს ელემენტები გაიფანტნენ, გაქრნენ. ყველა მიხვდა, სად და რაშია ქართული ხალხის გამაჩვენება და ბედნიერება. წარსულს თავისი ადგილი მიეცეთყოფ, აწყაოს კიდევ თავისი, ნამდვილი, საღი პატრიოტული გრძნობით აღფრთოვანებულნი, ჩვენი ქვეყნის სუავითეონი შეილება თავს სდებენ სამშობლოსათვის, მშვიდობიან შრომაში თუ ბრძოლის ველზე.

მეფე ერეკლე, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და მკრავლი სხვა წარსული დროის სახეები არა ერთბაშად გაბრწყინებულა ჩვენი პოეზიის, პროზის ფურცლებზე, თუ სცენაზე. არავის მოსვლია აზრად ამ საყვირელი სახეების გამოჩენა რამე ბნელი ზრახვებისათვის გამოყენებინა.

ოპერა „ლეილასაც“ აღმათ ჩქარა იხილავს ჩვენი მაყურებელი და საკუთარ მსჯავრსაც გამოიტანს.

საინტერესოა, რომ ვიქტორი მაინცდამაინც არ განიცდიდა „ლეილას“ მოხსნას. მაშინ კი ლეილა, რომ ზოგიერთმა მაყურებელმა ასე გამოიყენა ის ხალხს პატრიოტული გრძნობა, როცა ისუღმდებულა ოპერას. მაგრამ მერე, იმ დამსკვე, შინ რომ დაებრუნდით, საოცრად კარგ გუნებაზე იყო.

„რა ვუყო, რომც მოხსნან, ჩემი ბრალი არ არის, ამით არც ოპერის ღირსება ილახება. ვავა დრო და „ლეილა“ თავისას მოიპყოს.“

ძალიან უყვარდა ეს ოპერა, თითქმის ისევე, როგორც „ქეთო და კოტე“ და სწამდა მისი გამაჩვენებისა. მის ხომ საოცარი ალღო ჰქონდა, წინასწარ აფასებდა, წინასწარ ჰპრეტდა ზოლ-

წყობილი მისდამი, მუდამ თანაუგრძნობდა და ახალსებდა, მაგრამ რუსები რომ იტყვიან:

«Любит царь, да не любит псарь».

აი, ასე იყო ნამდვილად.

ჭერ ხომ ყოველი მისი ახალი ოპერისა თუ სხვა ნაწარმოების დადგმა-შესრულების წინ ერთი ვიი-უბედურება ატყდებოდა. მუდამ გამობტბებოდა ვიღაც: «ეს ქართული მუსიკა არ არის, ან როგორ შეიძლება კინოტეატრის და მაქანკლეების გამოყვანა სცენაზე, თქვენ რუენით ქართულ ხელოვნებას» და სხვა ასეთები.

აქ კი ყოფნიდა ვიქტორის უნარი და გამტანობა, რომ ყველასათვის საყადრისი პასუხი გეცა ერთხელ. ვგონებ, «ლუილას» განხილვისას სულ სასაცილოდ აიგლო, თურმე, ყველა, და თავისი იუმორით აღსავსე საბოლოო სიტყვა (იგი უდავოდ ენამახვილო კაცი იყო და პოლემიკის ნიჭიე ჰქონდა) ასე დაამბოლოვა თურმე: «დიდ წარმოდგენას განზადებთ, დესწარით, ისამოყენეთ, დასაწყისი სრულ რვა საათზე». ეს ხომ ტონის სიტყვებია ლეონკოვლის «გამბაზების» პროლოგიდან. ვიქტორმა სრული ხმით იმღერა, თურმე, ეს სიტყვები და ჰაერშიე მოხაზა მ — როგორც ამას ხატოვანად ასრულებს ტონით», თითქო განგებ შშეწიერ ხმაზე იყო იმ დღეს, ყვებოდნენ შემდეგ ამ ამბის დამწერეთ.

შგონი, მხოლოდ ერთ ადამიანს არ უღალატნია, გული არ უტყენია მისთვის, ეს გახლდათ ალექსანდრე წუწუნაე. მას მუდამ სწამდა ვიქტორის და რითაც შეეძლო, ხელს უწყობდა.

ვიქტორის ბედი იყო, რომ მაშინ თბალისის ოპერის ხელმძღვანელი ცნობილი რეჟისორი და საზოგადო მოღვაეე ალექსანდრე წუწუნაეა გახლდათ.

ის რომ არა, ვიქტობ, ძალიან გაეჭირდებოდა ვიქტორის და შეიძლება დაგვიანებოდა კიდეე საზოგადო ასპარეზე გამოსვლა. ა. წუწუნაემ პირველვე გამოჩენისთანავე იკრძინო და იწამა ვიქტორის ხალასი ნიჭი. ზემოთ უეეე ეთქო, როგორ აღუდგა იგი წინ ზოგიერთ საემოდ ავტორიტეტულ პირებს და კავტორიულად მოითხოვდა «ქეთო და კოტეს» დადგმას. მაშინ ხომ არავინ იცნობდა ვიქტორს, არც მის ოპერას.

წუწუნაემ ყველაზე ადრე და ყველაზე ნათლად დინახა ეს ოპერა, განწერტა მისი გამარჯევა, გაიტანა მისი დადგმის საეთობი და უმალვე შეუდგა საქმეს. არც შეეცდარა. «ქეთო და კოტემ» ბრწყინვალე გამარჯევა მოუტანა როგორც ავტორს, ისე მის პირველ დამდგმელს. ვიქტორის ხანმოკლე შემოქმედებით გზაზე ალექსანდრე წუწუნაეა მხარში უდგა მუდამ, თანაუგრძნობდა, პატავს სცემდა მის საქმეს, მის ხალას ნიჭს და რაც შეეძლო ხელს უწყობდა.

ა. წუწუნაეა პირველი შეხვდა ვიქტორს, როცა იგი სულ ახალგაზრდა, ყველასათვის უცნობი ჰგებუეე მოულოდნელად გამოცხადდა ოპე-

რის თეატრში თავისი ოპერით და... ალექსანდრე წუწუნაემ უთხრა ვიქტორს გამოსათხოვარი სიტყვა, როცა თხოუმეტი წლის შემდეგ ვიქტორის ცხელარი ოპერის თეატრის შენობასთან დაასვენეს.

«თხოუმეტი წლის წინათ, — თქვა ა. წუწუნაემ, — აქ მოვიდა სრულიად ახალგაზრდა კაცი, ნოტების მძიმე რეველოთ ხელში. მაშინ მას არავინ იცნობდა და იგი ბევრს მოითხოვდა ჩვენგან. ახლა იგი ისეე მოვიდა აქ. მას უკვე ბევრნი იცნობენ, მაგრამ ის აღარაფერს მოითხოვს. ჩვენ ცოტას ვზრუნავდით მასზე, ვიდრე იგი ცოცხალი იყო, და შეიძლება იმპროვიც დავტოვია ასე ადრე».

კიდევ ბევრი თბილი სიტყვა თქვა წუწუნაემ იმ დღეს, გვიანდა იყო.

ის სინანული, რომელიც იმ დღეს გამოთქვა წუწუნაემ, იმის დამადასტურებელია, რაკეთილი, პატისანი, რა დიდი საზოგადო მოღვაეე იყო იგი. მაგრამ წუწუნაეა ტუქილად სდებდა მრალს თავისთავს, ა. წუწუნაეა მუდამ გულისხმიერად და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის მოვალეობას როგორც ვიქტორისადმი, ისე სხვათა მიმართ, სანამ ხელი გაუწეუდებოდა. სამწუხაროდ, ყველა რიდი ეკიდებოდა თავის საქმეს ასეთი პასუხისმგებლობითა და გულისხმიერებით. მაგრამ აქ სხეც უნდა ითქვას, ვიქტორს, აღბათ, ჰქონდა იმის ძალა და ენერგია რომ ემუშავნა, დაეწერა, მიეტანა თავისი ნაწარმოებები მსმენელამდე. ეს იყო მისთვის მთავარი. თავისი ცხოვრების პირობების გაუმგობრებისათვის კი ვერ იცლდა და აღარც ძალა ჰქონდა. იგი ისეე ახალ ნაწარმოებზე ფიქრობდა და იცნებობდა, ისეე მაგიდას უქდა... პო, არც შრომა ეზარებოდა, არც ნიჭი აკლდა, კაცმა რომ თქვას, მაგრამ, აღბათ, მარტო ეს არა ემართდა ადამიანის კეთილდღეობისათვის.

ავილოთ სულ უბრალო რამ. ორშაბათობით ხომ თეატრში გამოსასვლელი დღეა. რეპერტუარი იწყება სამშაბათიდან. ცნობილია, რომ მაყურებელი შაბათ-კვირას უფრო ხალისით ესრება წარმოდგენას, ვიდრე სხვა დღეებში. ისეთი იმდროინდელი აფიშები. ნახავთ «ქეთო და კოტეს» კვირას ან შაბათს? არა. სამშაბათი, ოთხშაბათი, პა და პა, ხუთშაბათი ან პარასკევი შეიძლება გამოეროს, ოღონდ შაბათ-კვირას თუ ვერა, ვერ ნახავთ. გამოსავლის სახით თუ გაუშვებდნენ იმ დღეებში რომელიმე ორგანიზაციის მოთხოვნით, რომელიმე ზეიმის ან ყრლობის დროს, თორემ ისე ვერა...

ეს ამბავი ძალიან სწყინდა ვიქტორს. — ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, ერთხელ მაინც არ ენახო «ქეთო და კოტე» საკვირაო აფიშაზე ბოლოში იყოს! — იტყობა.

ნურავინ იფიქრებს, რომ ეს უმნიშვნელო რამ იყოს. ჯერ ერთი, თვითონ მსახიობები ყო-

ველთვის უფრო მეტის გულისყურით ეყიღებოან ამ უწყე დღეების წარმოდგენებს და მეტის ხალსით ემზადებოან, ხალხიც ყოველთვის მეტი ესწრება, თან საზეიმოდ არის განწყობილი და უფრო ადვილია მისი გულის მოგება.

ვიქტორი უანგარო კაცი იყო, ამას მისი მთელი ცხოვრება ამტკიცებს. მაგრამ ცხოვრება ხომ მაინც ცხოვრებაა და იგი თავისას მოითხოვს. ვგონებ უკვე ვთქვე, იმ დროს კომპოზიტორს მართო თეატრის შემოსავლის პროცენტები დაფიქსირდა სხვა არავითარი სახსარი არ ვაანდა. ახლა წარმოიდგინეთ, თუ ერთი ოპერა მუდამ უშეშოსავლო დღეს იდგმება, ხოლო მეორე მართო შემოსავლიან დღეებში, აქტორი თავისთავად ზარალდება, და, რაც ყველაზე მთავარია ნაწარმოების ხარისხიც დაბლა იწეხს. აქედან მომდინარეობს ამ ორი ნაწარმოების შეფასების სხვადასხვაობა. ერთი ნაწარმოების რეპერტუარი ნელ-ნელა კნინდება, მეთრესი კი მალდება. მართალია, „ქეთო და კოტეზე“ იმდენად არ უმოქმედია ამ დამკისებობას. იგი უძლეოდ ყოველგვარი დიზრკოლებს, მაგრამ რად უნდა ყოველიყო აგრე? რად უნდა შეხვედროდა ამდენი წინააღმდეგობა მის შემქმნელს, რად უნდა სტყეოდა გული ყოველი აფიშის გამოჩენაზე? რად უნდა ეფიქრა გროშებზე, რად უნდა ეხრუნა, დრო და ძალა დავხარჯა, რომ კარგი მსახიობები დაეყოლიებინა მის ოპერაში სასიამოვნოდ!

— არაფერია, — ანუტეგებდნენ ვიქტორს, — შენ ის უნდა გიხაროდეს, რომ შენი ოპერა სამშაბათობათა უფრო მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე სხვა შაბათ-კვირას.

— მიხარია, როგორ არ მიხარია, — მწარედ ხუმრობდა ვიქტორი... — ციცი, მე უნდა ვათრიო ვირო ტალახიდან.

ერთხელ ასეთი ოხუნჩობის მოწმე ვახდა ერთ-ერთი ასეთი გამტანი თუ პრივილეგირებული აქტორი, იწყინა:

— შავით რა გინდა თქვა, ვინ არი ვირო?

— ვირო? — არ დაყოვნა თურმე ვიქტორმა, — მართალი ვითხრა, სახელდობრ ვირზე არ მოეჭიკრა, ეს ხომ ალუგორიაა, ფოლკლორი, მე უფრო თეატრის შემოსავალი, სალარო მქონდა მხედველობაში, მაგრამ რაკი შენ ასეთ გამჭრიახობას იჩენ, შენი ნებაა, ვერ შეგედავები.

რა თქმა უნდა, ვერაფერი მისი მეგობარა და ხელისშემწყობი იქნებოდა ამის შემდეგ ეს პირიოვნება. მაგრამ ვიქტორს ეს ნაკლებ აწუხებდა. მან ხომ თავისი თქვა, გული მოიფხანა, და მერე... არა, არა ჰქონდა იმის თავი ვიქტორს, ეფიქრა ვისთან რა ეთქვა, ან როგორ ეთქვა, ვის რა ესაამოენებოდა, რა არ ესაამოენებოდა, რომელ საჭირო კაცთან როგორი ურთიერთობა ვებია. რამდენაერ გვისაყვედურებია შენი „არ ვარცა ასე, ვიქტორ, ან რად გინდა, რომ ტყუილებარაოდ კაცი ვადიკილო,

ხომ იცი, ის როგორი გავლენიანია, ცოტა პოლიტიკაც უნდა იხმარო“.

— არა, — გვეტყოდა ვიქტორი, — ვიქტორი პოლიტიკა კი არა, პოლიტიკანობაა. ვგლა მჯელება, ახლა იმზედა ვიფიქრო, ვისთან რა შეიძლება ეთქვა ან არა ეთქვა. ეგ ჩემი საქმე არ არის, ჩემი საქმეა ოპერები ეწერო. ამის უფლებს ვერაიერ წამართმევს და სხვაფერე, როგორც უნდაო, ისე მოიქცენ. ჩისი შნოც არა ვაქცს, ბევეიც რომ ეცადო, მაინც არაფერი ვაშეოვა.

მართლაც სრულებით არ ეხერებებოდა ცოტა-ოდენი დიპლომატია გამოეჩინა. რასაც ვაიფიქრებდა, იმას იტყოდა, ყოველი მისი ფიქრი, განზრახვა, კმაყოფილება, წყენა, უქმყოფილება, სიხარული სახტეე ეტყობოდა.

მასთვის, ერთი მისი ყოფილი თანაერსეული — კიევის ინსტიტუტში ვერთად სწავლობდნენ თურმე, დიდ თანამედებობაზე დანიშნეს.

ვიქტორი ვახარებული მოვიდა: „ვაგაეთ ვინ დანიშნეს! მიაელო, ვეცხვი, ყველფერს ვაში-ეკეთებს, თქვენ არ იციო როგორ ვუეყარო, რა მეგობრები ვიყავიო... მაშინვე შეუბნებოდა, ღირო, ყველფერს თავი დაანებე, მეუნი საქმე მუსიკაო, რა ჩანდაბად გინდა ეს კომერციული ინსტიტუტი, ტუვილუბარალოდ კარგეე დროს, იქნებ რა სახელოვანი მუსიკოსი გამოხვიდო... ჰოდა, მივალ ახლა და ვეცხვი, ხედაე, შენ მართალი ვამოლდეეე და. მგონი, არ შევარცხენი-მეტიეე, — შიამიტად ყუებოდა ვიქტორი. — ამ რომანსებს მაინც დამაბეჭდვინებს, მოკვეცი მაგათი ვადაწერიო...“ — მოკლედ, დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ მხოლოდ სიტყვით, საქმით კი ვერ იქნა და ვერ მოიცალო, ვერ მივიდა... დრო კი მიილიოდა. ვუბნებოდიოთ: — „ა, ბიკო, მიდი, იქნებ მართლა ვაგიკეთოს რამე, ან ბინა მივადლებინოს, ან...“ „ეჰ, ბინა რად მიწდა, ხომ ვართ აგრ და ვართ, — იტყოდა ვიქტორი, — აი, რომანსები რომ...“ ვერ იქნა, ვერ მიადწია. ბოლოს გვიბარზებოდა კიდევ, რომ შევახსენებდიოთ:

— დამანებეთ თავი, მივიდე ახლა და ვედრი-ეო; — ვახსოვს, ჩვენ ოდესღაც მეგობრები ვიყავით და ახლაც მეგობრობა ვამიჩიე მეტიეე დალოეკლო, თუ ჩემთან ვამომცნაურება უნდა, არ იცის, ვინცა ვარ? ყოველ კუთხეში ჩემი აფიშებია ვაკრული, ან „ქეთო და კოტეზე“ რამდენაერა ყოფილა. ზის ლოეაში და კვდება სიცილით. თუ კაცია თვითონ ვამოვიდეს იმ ლოეიდან და მითხოს, როგორა ხარ, ვიქტორ, ვახსოვს, მე იმიავითეე ვუბნებოდი, ხომ არა-ფერი ვიქირსო“.

სამწუხაროდ, ზოგიერთ დიდ კაცს როდი უყვარს ლოეიდან გამოსელა და ძველი მეგობრების მოგონება.

ის კი არა, ამ იმზედა კინაღამ ცუდი შედეგი მოჰყვა. ვიქტორი არ მივიდა მასთან და არ სიხოეა მფარველობა, სხვები კი მივიდნენ და მოახსოეა, ვიქტორი ტრაბახობს, თითქოს თქვენ

მისი ძველი მეგობარი ხართ და იქაინება კიდევ. რომ თქვენი მეოხებით ანგარიშებსაც კი გაუსწორებთ მაგან და მაგან პირებს.

ნეტა რა ანგარიშები ჰქონდა ვიქტორს გასასწორებელი, ან ვისთან? კაცმა რომ თქვას, არც თუ ვინმე ემტერებოდა მანქანაშიანც, არც თუ დასავრულად სთვლიდა თავისთვის როდისმე. ისე, ცხელ გულზე თუ შესჩივლებდა ვინმეს, აბოლებს, რამე უკუღმართობაზე, თორემ წუწუნნი და გულში ჩაჩენდა არ იცოდა და მუდამ ხალისიან და ოპტიმისტურ გუნებაზე იყო. აი, მივიღოდა შინ გამბრახებულად, გაფითრებული (რამე რომ ეწყინებოდა, სასოცარო გადაფითრება იცოდა), იტყოდა, ჯანდაბას, წავალ სამზე, გადავიკარგებო, მაგათთან არც სიკოცხლად ღირს და არც მუშაობა შეიძლებაო. თუ რამეს ვეტყოდი, შევეკამათებოდი, და ამშვიდებდით, გავიწყობოდათ; თავი დამანებო, თქვენ რა იცით, რა გესმიათ. დაწყებდა ოთახში ბოლოს ცემას. გაივლიდა სულ რამდენიმე წუთი და ავტო უკვე რომელიღაც კლავირო უქირავს ზელში, ათვალეირებს, და ცალ ხელთ რომ დირიგირებს, რიტმს ურტყამს, ახლ დიდინებს თავისთვის, ან არადა, უკვე მაგიდასთან ზის, რაღაცა ადვილს დაკვირვებით, სახე უღიმიან, ის სიფითრეც გადასცლია, აღარაფერი ახსოვს, გარდა იმ მელოდისა, იმ პანგისა, რომელიც ესმის ახლა, რომელსაც უკვე მოუხიზლავს და შორს გაუტყინია. თუ შეეხსენებდით წიდან თქმულს, გავიწყობით გაზოგავებოდა, უცებ, ვერც კი გაიგებდა რაზე ელაპარაკებო, მერე გაიღივებდა, — პო, — იტყოდა, — თ, ნახე, შესანიშნავია არა? — მის უკვე აღარაფერი ახსოვდა, და ისევ ის სიკოცხლოთ სახე ვიქტორს იყო, თავისი საქმით გატაცებული და თავის ძალაში დარწმუნებული. ისეც მომხდარა, რომ მეორე დღესვე შეხვედრია ის, ვინც წუხელ აწყენინა და მაგარადა აწყენინა, ის ისევ ამრეზილი ზედება, დარწმუნებული, უფროდ ამხედრებულია ჩემს წინააღმდეგ და, ალბათ, დავას დამძიწებსო, ვიქტორს კი აღარაფერი ახსოვს. „გუუყურებ ამ კაცს და ვფიქრობ, ნეტავ, რას მეტუტება, რა აწყენინა, — თავისი უღვეველი კომიზიოთ ჰყვებოდა ვიქტორი, თურმე, ნუ იტყვი, მე კი არა, მას უწყენინებია ჩემთვის და ახლა ფიქრობს ან გავლანძვავ, ან, ვინ იცის, სადმე ვუჩივლე კიდევ და თავი უნდა იმართლოს... მე კი შევეყრებ შის დაგრძელებულ სახეს და ძილვს ვიგონებ, რამდენ იყო საქმე. ნეტა რა მისი თავი მაქვს, დღის ერთი ისეთი რომანისი პანგი ამკვიატა, მივდგარი, მივიმღირი, ვფიქრობ, ნეტა ბარბიტონისთვის აჭობებს თუ ტენორისათვის...

წყენას გულში ვერ ჩაიჩენდა, რომ გაფიცდებოდა, გამბრახებოდა, არ დერიდებოდა, იქვე გაელანძლა, ვისგანაც ეწყინებოდა რამე, მგრამე უმაღლე გაუელიდა ხოლმე ეს გამბრახე-

ბა. ამით სარგებლობდა კიდევ ზოგიერთი წერილმანი და უღიასი ადამიანი, ვინც უღიყო და, ვიქტორს გამოყოლი გულს (არ აქვს უკუხედველა ვისიმე შუთი ებია, ან ვისიმე კეთილგანწყობა გამოუყენებია).

მაკ ისევე მოხდა. მიუტანეს ამავე იმ „მეცნიატს“ და, ხომ მოგხსენებთ, რა არის მიტანილი სიტყვა, გაწყრა თურმე: — რასა ჰქვიან ძველი მეგობარიო, მე განა ისეთი კაცი ვარ. მე ასე და ისეო. ერთი მოვიღეს ჩემთან და მე მას ვუჩივებ სეირსო! — არაა თქმა უნდა, ამ ვითარებებში ეს ამავე ახლა ჩვენ მოგვიტანეს. ვიქტორმა მარტო ვაიცინა: „კიდევ იტყვიან კომიკური სიტუაცია იშვიათია, ძნელი მოსაძებნიაო. ავტო არ არის ყოველ ნახეზე, ნუმაზარეული, მარტო დაიკუზე და აიღე... არა, რა დილობატიორად ჩავაყვებ საქმეები, ხომ ზედავთ, რა მოხერხებული კაცი ვარო! აფსუსს, ჩემი რომანსები, იქნებ გამეწყობ რამე, მარა რომ არ გეგნება კაცს მაგისი შნო, რას იზამ, — და მაღე ეს ამავე დივიფიყა.

მეტად თავისებური კაცი იყო, იქდა თავისთვის და წერდა, დადიოდა თეატრში, კონცერტებზე... ისეთი მზიარული, ენამტყვეული, ცოცხალი კაცი იყო, ყველას უყვარდა მისი სტუმრობა. გამზიარულდებოდა, რაღაცა სეცენებს წარმოადგენდა, ფოკუსების ჩვენებაც უყვარდა. ერთი საინტერესო ფოკუსი იცოდა: თავის განუშორებელ ხელჯობს ისე გააშვებდა იატაკზე და მერე ისე ათამაშებდა ხელუხლებლად, რომ ყველას აოცებდა. სინამდვილეში კი სულ უბრალო ფანდლი იყო; დადებოდა, მუხლებზე გამოიბამდა ძაფს, ფეხებს ფართოდ გაშლიდა, ქობს შუაში დაყენებდა. ქობი ძაფზე ეყრდნობოდა, ვიქტორი კიდევ დაფიქრებული ზის და ხელებს ამობრავებს ფაკირივით, ვითომდა პიანოზით აძიებულს ქობს პაერში გამოკვიდოს და მის სურვილზე იმობრავს. ეტყვიან: „აბა, წინა“ ფეხებს ოდნავ მოხნიეს, ძაფი მოსუსტდება, ქობი წინ იხრება, „ახლა ჩემსკენ!“ გამოსი ფეხებს და, შეხეთ, ქობი მისკენ არ წაიოიელა! ახლა რომელიმე მანდილოსანსკენ: „აბა, თავი დაუკარი, უფრო დაბლა!“ ქობიც მორჩილად გადაიხნიებდა იქითკენ, ახლა მეორე მხარეს, ვინმე სხვის პატრესაცემად. მაგვივით უბაროდა ვიქტორს, რომ ატყუებოდა დავა: „რთობრ ანერებს, იატაკზე აქვს დაწებებული? ტყვიაა შიგ ჩასხმული?“ ახ კაცი, რას არ იტყოდნენ. ვიქტორი კიდევ ამავედ აავდებდა ატყუვლიდა, — აბა, გასინჯეთო. რა თქმა უნდა, არავითარი წებო, არც ტყვია, იმ ძაფს კი შეუმჩნევლად მოწყვეტდა და იქვე, სადმე კუთხეში მიადგებდა. „ფაკირი ვარ, ფაკირი, ინდოეთში ვიყავი სპეციალურად მაგის შესასწავლად!“ — ამტკიცებდა ვიქტორი. კიდევ

ათსანაირი ფინდი იყოლა. თუ ხასიათზე იყო, ყველას სიკალით დახოცავდა. არც სიმღერა ეზარებოდა, მრავალმიერის ყოველთვის თვითონ აწყოებდა, ჭკვი პირველი ხმით დიწყებდა, მერე მეორეზე გადავიდოდა, მე შენ ვერტუვი, ვაუტორდებოდა, მთელ სუფრას აიყოლიებდა, მერე კი, როცა აირეოდნენ და ვერ გაიყვებნენ, ვინ რას ვაიმახოდა, წამოადგებოდა: „აწი თქვენი იეთო“. მოლხენა, სუფრა უყვარდა, ღვინოც, მაგრამ ზომიერად მაგრად დაღუული არასოდეს მინახავს, ღვინის დაძაბუნას ვერ იტანდა. რაც უნდა ჰქირევული თამადა ყოფილიყო, ვერ დაიმორჩილებდა: „შე ვა-ცო, ღვინო იმისთვისაა, რომ ისიამოვნო, — ეტყოდა ვიქტორი, — თორემ თუ მოშავლი, რად მინდა“. თვითონაც ადგებოდა, სხვებსაც აიყოლიებდა. ხანდახან უსიამოვნებამდეც მიდიოდა საქმე. „მე ასე მიყვარს და, თუ არ გინდათ, ნუ მეცხებით, — იტყოდა, — შემძლია ახლაც გავეცალოთ“. ვინ გავშვებდა.

არც სიმღერაზე იტყოდა უარს, არც დაცვაზე, მიუჭლებოდა რთიას, ხშირად რომელიმე ოპერის ურთულეს პარტიასაც კი შეასრულებდა. ძალიან უყვარდა ტონიოს არია „კამბაზებიდა“, დონ ხოზეს, „არია ყუავილით“, გერმანის უაქანისკენი არია „პაკის ქალიდან“, „დღეს თუ შენა ხარ, ხვალ მე“ კარგადაც გაშისდიოდა, თუ ხმაზე იყო: და თუ ხმაზე ვერ იყო, მაინც ხიზლავდა თავის ტემპერამენტითა და შესრულების მანერით. მიღალ ხმებს ფა-ლეტით აიღებოდა. იშვიათად რომ ვიქტორა სადმე სტუმრად ყოფილიყო და არ ეძღვრებინათ.

გადამეტებოთ ღვინის სმას ვერ იტანდა. ისე კი სადღის არ შექამდა, ერთი-ორი ჰქა არ დაელოა. ღვინო მუდამ ჰქონდა შინ. დასხდებოდნენ მშება სადილად და ერთ ბოთლ კახურ ღვინოს გამოცლიდნენ. მერე კარგ ვუნებაზე დამდგარი ვიქტორი თავისი მაგიდისკენ გაეშურებოდა, „რა უნდა ეცას, — იტყოდა, — ერთი ჰქა ღვინო, ცოტა პური და ყველი, ზორის ნაჭერიც თუ იგლო ხელთ, ხომ სულ ბედნიერია. მოიგონებდა ხშირად ხალხურს:

არც არავის ყმად ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლია,
ძველი პური, ძველი ღვინო
წლის წლობამდინ გამყოლია.

ძალიან მოსწონდა: „გენიალური არაა? — გენიალურია, გენიალური და რას ვიკლავთ თავს ამ ფუფუნებისათვის...“ ნეტა რომელ ფუფუნებაზე ლაპარაკობდა...

ვიქტორს კარგი. მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ვანო სარაჯიშვილთან, სანდრო ინაშვილთან, მწერლებიდან ვალაკტიონ ტაბიძესთან, სოსო გრიშაშვილთან, მარიჭანთან, მიხეილ ჭავ-

ხიშვილთან, იოსებ მჭედლიშვილთან. ვალაკტიონი, სოსო გრიშაშვილი, მარიჭანი და მხოვნი მჭედლიშვილი ხშირად ეხმარებოდნენ ვიქტორს ტექსტების შედგენაში. სოსო გრიშაშვილი განსაკუთრებით უყვარდა.

ახლა მომავლიდა, ამ ჩამდინებე წლის წინათ, სოსოს ერთი ჩემი წიგნი ეუძღვენი წარწერით: „ჩვენი ოჯახის ძველ მეგობარს“. ძალიან ვსიამოვნა და მიიხრა: განსაკუთრებით მაღლობელი ვარ წარწერის გამო ამით შენ ვიქტორი მომავონე და ჩვენს მეგობრობას ხაზი ვაუციო. ბოლო დროს დაუმეგობრდა პროფესორ შალვა ნუცუბიძეს. ძალიან თბილი ურთიერთობა ჰქონდა, აგრეთვე, ჩვენს სახელოვან მხატვარ ლადო გუდიაშვილთან, რომელსაც მუდამ აფასებდა, როგორც ბრწყინვალე ხელოვნის, სხვათა შორის, განზახავა ჰქონდა, ლადოს დავსურათებინა „ქეთო და კოტე“ ახალი დადგმა. ლადო და ვიქტორი ხშირად ლაპარაკობდნენ ამაზე და გეგმებს აწყობდნენ. აღარ დაცალდა. მართალია, ლადომ კი გააფთრმა „ქეთო და კოტე“ ახალი დადგმა, მაგრამ ვიქტორი ველარ მოესწრო. ვიქტორი გარდაიცვალა 1933 წელს. ხოლო საქართველოს ხელოვნების დეკადზე მოსკოვში 1936 წელს დაიდგა „ქეთო და კოტე“ ლადო გუდიაშვილის ჭადისნური ხელით გაფორმებულ.

ღიდი მოწონება ხვდა წილად „ქეთო და კოტეს“ მოსკოვში. თეატრში ტევა არ იყო. ძალიან ვარგად მიიღო ოპერა როგორც მკურნებელმა. ისე პრესამ. აღტაცებული რეცენზიები დაიბეჭდა: „სიცოცხლე სიხარულია!“ „ოპტიმისტური სემქტაქლი“ და სხვ. მე მაშინ მოსკოვში ვცხოვრობდი. და როცა კულუარებში მეგობრები გამოჩენილ თეატრალებსა და ხელოვნებისმცოდნეებს ეუბნებოდნენ: იცით, ნინა ისიდოროვნის ძმა არის, ყველა მილოცავდა და აღტაცებული მიქებდა ამ „შესანიშნავ“ წარმოდგენას. მე კი, როგორ მიმხმინდა... ყველა რომ იციონდა, მე ცარმულნი მაღდებოდა თავლებზე. ვერ სამი წელიც არ იყო გასული, რაც ვიქტორი გარდაიცვალა. რატომ ისიც აქ არ იქდა, ჩემს გვერდით, ლოჯიაში, ისე როგორც თბილისში ვისხედით ხოლმე. რატომ არ მოესწრო ამ ზეიმს...

რახან ჩვენი სახელოვანი პოეტი ვალაკტიონ ტაბიძე ვახსენეთ, ერთი ამბის მოყოლაც, მგონი, არ იქნება ზედმეტი.

ვალაკტიონ ტაბიძე გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე თვით აღტაცებული შემხვდა მწერალთა კლუბში, ბიბლიოთეკაში. მე ხომ მაშვემობდანი ვიცნობდი მას, ვიქტორისაგან. სიტყვამ მოიტანა და ვუთხარი, წიგნის დაწერას ეპაირებმეთქი ვიქტორზე.

— ჰო, ჩინებული აზრია, — მომიწონა მან, — ძალიან საინტერესო პიროვნება იყო. მეტად ნიჭიერი და ამავე დროს კეთილი, უბრალო, უპრეტენზიო. რა დასანანი, რომ ასე უღრგობადა

დაიღმა... ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით, — თქვა და აქვე მომიყვა ერთი ამბავი, იქნებ გავაგებეთო.

ერთ ზაფხულს ბაქურაინში ვისვენებდით... მაშინ ხომ არ იყო ზამთრობით ბაქურაინში ისეთი ღატაკობა, როგორც ახლა. ზაფხულობით დაედროდი წაღვარში, ბაქურაინში, როგორც აი, ახლა წყნეთი შემოვიდა... ერთ მშვენიერ დღეს შემხვდა ვიქტორი. — რას შერები, როგორა ხარ? — შეკითხება.

— რაღა როგორ, მივლივარ.

— საღ, თბილისში?

— ჰა...

— რა დროს თბილისა, შე კაი კაცო, ამ შუა ზაფხულს.

— რა გნა, ფული გამომელა და... უნდა გავბრუნდე.

მოგესვენებო, — თავისი კეივანი, ოდნავ ირონიული ღიმილით დაძინა ვალაქტორმა, — მე ხშირად განვიციდი ხოლმე ფულის გაპირებებს.

— რას ამბობ, — შესძახა თურმე ვიქტორმა, — რას ქვია ფული, შენ თვითონ არა ხარ ფული. პოდა, ერთი შენი საღამო მოვაწყვით, ეგვე შენი ფული. ხალხი არ მოვა, არ გიკნობენ, თუ რაო!

— მე ჭერ უარზე ვიყავი, — ყვებოდა ვალაქტორნი. — აბა, აქ რა საღამო უნდა მოვაწყვით, ან ესა სცხელა ეხლა ლექსებისათვის.

— გავიგონია, ეინ დაგჭერა, — დაქვე შენაო, დღეს და ხელა ხომ არ მოკედები შიმშილით, და შერე მე ვიციო. — დატრიალდა, რა ცოცხალი კაცი იყო! რა დღეში ისეთი საღამო გამოითა... აფიშებიც ეი გამოუშვა, მართალია, ხელთ ნაწერს, მაგრამ ძალიან კვებტორი. სულ წითელ-მწვანე უხარამხარა ასოებით ეწერა: „ვალაქტორნის საღამო“. გაიგესო თეატრი. პატარა ფიფქული თეატრი იყო, აბა რა იქნებოდა იმ დროს ბაქურაინში, მაგრამ ტყეა არ იყო, იმდენი ხალხი მოაწყდა. თან პროგრამაც სიონტრესო შეადგინა, ან საღ იშოვა ეს ხალხი, მაგრამ იგი ხომ მუდამ ვარს შემოიყრებოდა ხოლმე, თუ ვინმე მუსიკოსი, ან მომღერალი იყო ახლომხალხო... პოდა, მშვენიერი პროგრამა გამოვიდა. ვიღაც ქალი მღეროდა. არ მახსოვს კი ვინ იყო. თვითონ ვიქტორიც გამოვიდა. წარმოიხვედნეთ, კოტონ არა იმღერა „კოტონი და კოტედიან“. „ოჰ, რა კარგია სამშობლო ჩემი“, ხომ იცით, ხანდახან ძალიან კარგად მღეროდა. ისე მოეწონათ, ბისზე უძახოდნენ, ძლივს გაუშვეს სცენიდან. შერე კიდევ ჩემს სიტყვებზე და წერათლია რომანსები იმღერეს... შერე მე წამაიფიქსებე ლექსები... გათავდა საღამო. მე აგერ ვარ. გარეთ, ხალხში გავერე, მეკითხებთან, მთხოვე, — კიდევ მოაწყვეთ ასეთი საღამოო. უკლებ ვიქტორი შეძახის. პატარა გადანაყოფი ჰქონდა დარბაზს, საღარო. შევიდი. ზის ვიქტორი, მაგადაზე გროვად ყრია ფული. მაშინ ჩვენ ფულს

რა ძალა ჰქონდა, — ჩაიღიმილა პოეტმა, — მაგრამ ამდენი ფული დიდი ხანია აღარ მინახა.

— აბა, — გამოიწილა, — სულ შენისი...

მე თავი მოვიკალი, შუაზე გავიყოთ-მეთქი და იქვე დავიწყე გავყოფა. პირდაპირ შუაზე გავყავი რაც იყო, აბა, დათვლას ხომ არ შევეუდგებოდი. თავი მოვიკალი, რას ქვია გავყოფა. მე რა შუაში ვარ, შენი საღამო იყოო — ეს მაგრამ ხარჯები?

— ხარჯები არაფერია, ცოტაოდენი თეატრის ქირა გადავიხადეთ, სხვა რა ხარჯი იქნებოდა

— ეს ამდენი ხალხი რომ შეეწებო. ან შენი...

— რა შეეწებოდა, გავერთეთ და ის არის. — არა, ძმობილი, ეს შენი საღამო იყო, შენი სახელით მოვიდა აქ ხალხი, ფულიც შენია, ჩემი საღამო რომ იქნება, ის სხვაა.

არასწოთ არ დათანხმდა. მთელი ფული თვითონ ჩამიტერა წიბებში, ახლა ხომ გვეყოფა ერთხანს და აღარ წახელო. იმ დამეს ვახშაში გადავიხადე, იქვე სადგურის ლექსაში, ვინც მოვიხელთეთ მონაწილეთაგან, პატარე ვეციო.

ისეთი კმაყოფილა იყო ვიქტორი, ბავშვით უხაროდა, სულ იმას გაიძახოდა: გავიგონათ, დამდგარა ამხელა პოეტო და ამბობს, — ფული არა მაქვსო. თვითონ თავიდან ფეხებამდე ფული არ არის! დაქვე ეხლა და იქიფე.

იმ ვახშაშე ისეთი მხიარულება, ისეთი კონცერტი გაიმართა, მგონი, საღამოს სწობდა, — ყვებოდა ვალაქტორნი. ვიქტორნი ხალხს იყო. რამდენი იმღერა, როგორ გავგამხიარულა, შეც წამაიფიქსებე კიდევ ახალი ლექსები. რადრო გავატარეთ... მართლაც, თბილისში ჩამოსვლა აღარ დამეცოვებია და კარგა ხანს მეყო ის ფული... რა ცოცხალი, რა ხალხიანი კაცი იყო, ისეთი მომთავი, მოუსვენარი, პირდაპირ სიციცხლის, სიხარულის განსახიერება. ას წელიწადს ვიციცხლებო, — ამბობდა, — მე რა მომკლავსო... — დხეთ, რა ადრე მოესპო წუთი-სოფელი. ვინ იფიქრებდა, — სინანულით დასძინა პოეტმა, — დიდი, დიდი დანაკლისია ჩვენი მუსიკისათვის.

ამის შერე აღარც მინახავს ვალაქტორნი. ისიც მალე მოსწყდა ამ წუთისუფელს...

კომპოზიტორებიდან ვიქტორი მეგობრობდა დიმიტრი არაყიშვილიან, მეღვინეთუხუცესთან, ადრე კარგი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ვრიგოლ კოლძესთან.

ჯაქარია ფალიაშვილი მეტად სერიოზული, დინჯი კაცი იყო. ვიქტორი როგორღაც უფრო მეტ საერთოს მის ძმასთან, ცნობილ დირიჟორ-ვანი ფალიაშვილიან პოულობდა და მასთან მეგობრობდა. მახსოვს, თეატრში, თუ ზაფხულობით ბორჯომსა ან წალევერში სცხდან ვიქტორი და ვანო, რადაცას ჰყვებთან და კვდებთან სცილით.

— თუ, ვიქტორ, შენ რა ვითობა, მოქალაქე სიცილით და ეს არის, — ეტყოდა ვანო და სიცი-

ლისაგან მომდგარ ცრემლს იწმენდა, — პირდაპირ იუმორის ღმერთი ხარ, ბიჭო, მოდი ერთი კომიკური ოპერა კიდევ დასწერე.

— არა, — გაიციუნებდა ვიქტორი, — შე უკვე დაწერე, ახლა დრამატულს ეწერ.

სამწუხაროდ ბევრი დაუღვევარი ადამიანი ტრიალებს ზოლზე თეატრის და ხელოვნების მოღვაწეთა ირგვლივ და ყველას როდი ესმის თავისი მოვალეობა ისე, როგორც საკიროა. ვიქტორს არა ერთხელ სტყენია გული მათ გაშლა. საინტერესოა, რომ ესენი ხშირად სრულიად უწინაშელო პიროვნებანი იყვნენ, მაგრამ ზიანის მოტანა მაინც შეეძლოთ.

მოვიყვან ერთ მაგალითს: „ქეთო და კოტეში“ ახალი შემსრულებელი უნდა შეეყვანათ. რეპერტოია დღის ორ საათზე იყო დანიშნული. მიღის ვიქტორი და ხელავს, მისი მსახიობები სხედან ვანზე, ღარიბი ნათესავებით. რევი-სორის თანაშემწე კი ტრილუსს სცენაზე, სხვა რეპერტოია მიჰყავს.

— რაშაა საქმე, — ეუბნება ვიქტორი, — ახლა ზომ ჩემი საათებია.

— წილი, თუ ძმა ხარ, ხელს ნუ გვიწლი, ზომ ზედაც, სერიოზული რეპერტოიაა, — ავღებულად ეუბნება აულაყუდა, — დაიწყოთ! — კონცერტმეისტერი უკრავს, მსახიობები მღერიან.

დაიკვდა ვიქტორმა, ვიდრე ერთი არაა შესრულებული და ისევ ეუბნება:

— კარგი ახლა, თქვენ ზომ გუშინაც კონცერტით, დღეს დილის თერთმეტი საათიდან თქვენი იყო სცენა, ზვალაც თქვენი დღეა. შე მარტო ეს ორი საათი მაქვს, გაათავეთ.

გავიგონია! ის მარტო ხელებს იქნევს, აინუნში არ აგებებს შენს სიტყვებს. რას ვააწყობ, ზომ არ დააელებ ზელს და არ გამოაგლებ სცენიდან ან შას, ან მსახიობებს, თუ კონცერტმეისტერს! ვაფთობებული მოვიდა შინ ვიქტორი. „რა ვქნა, — ამბობდა, — როგორ ვეჩხებო. ჩამივლო რეპერტოია და ეს მერამდენაა. სხვა გზა არ არის, უნდა მოვხსნა წარმოდგენა. აბა ისე მოუშვადებლად ზომ ვერ გამოუშვებ მსახიობებს, ისიც ახალგაზრდებს, გამოუცდელებს. სულ გაახალტრებს ოპერა, ვინ რას უკრავს, ან რას მღერის, ვერ ვაიკავ. მოხსნა წარმოდგენა და ისევ შენ ხარ ავი კაცო, უკრავი. დაიწყება ახლა: წარმოდგენა ჩავიშვალა, რეპერტუარი დაგვირღვიაო, მევე ვიქნები დამინავე...“

რამდენჯერ წამოიღო ვიქტორმა „ქეთო და კოტეში“ ნოტები ოპერიდან პროტესტის ნიშნად. ერთხელ მოელო სეზონი არ გადიოდა, და ეს იმ დროს, როცა ისეთი პოპულარული იყო. რამდენჯერ უკითხავთ ვიქტორისათვის ზეენს გამოჩენილ მოღვაწეებს: რამდენი ხანია არ გვიჩანავს „ქეთო და კოტეში“, მოგვენატრა, რატომ არ იღებებოთ? ყველას ზომ არ აუნსნიდა, რაშიც იყო საქმე. მაგრამ, აი, შედეგობოდა რამე

კონტრესი, ან სესია თუ ყრლობა, მოხსნაღვენი მოითხოვდნენ „ქეთო და კოტეში“ დადგმის დახურვისას, საზეიმო საღამოზე. მაშინ კი იყვრებდა გულს ვიქტორი, არ გულმეცხდა წარმოდგენას, სინამ არ მოაზრდებდა და არ ვაწმენდა ისე, როგორც უნდოდა. მაგრამ აბა, სულ ასეთ შემთხვევას ზომ ვერ დაელოდებოდა.

აი, რა ზღვობდა ხშირად, ავილოთ თუ გინდ ორკესტრი, ან გუნდი. მაგონი, უკვე აღინიშნენ, რომ მაშინ ორკესტრი და გუნდი როდი შედგებოდა ჩვენი მუსიკალური სკოლის თუ კონსერვატორიის აღზრდილებისაგან, რომელიც აინტერესებოთ შობილეთი მუსიკის განვითარება და, ყოველგვარი ძილდატანების გარეშე, სულითა და გულით მუშობენ ამ დარგში. არა, ქართული საოპერო მუსიკის განვითარების ალიონზე, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში, საოპერო თეატრს წერ კიდევ არ ჰყავდა საკუთარი კადრები, ორკესტრსა თუ გუნდში. იყვნენ კარგი მუსიკოსებიც, თუ მომღერლები, მაგრამ მათ ნაკლებად აინტერესებდათ ჩვენი მუსიკის ზედ-იღობა. მათ უფრო შემოსავალი, ხელფასი აინტერესებდათ, ახლა წარმოიდგინეთ, აი, ასეთი ორკესტრიონალი მუსიკოსი უკრავს, ვთქვათ, „კარმენის“ ან „აიდას“ პარტიას ორკესტრში, ან მღერის გუნდში. მან ზომ ზებრად იცის ეს ოპერები და ზედმეტი შრომა არ სჭირდება მისი შესრულება-განმეორებისათვის. ეს არის, რომ ღირფობი არ არევისოარი ცოტაოდენ სხვა ტემპს მოითხოვს მისგან, ხან შეინატრება, ხან გააძლიერებს. ეიმეორებ, ამას შრომა არ სჭირდება. მაგრამ, აი, იღებება ან მეორდება ახალი ოპერა, მისთვის სრულებით უცნობი, უჩვეული, მან უნდა ისწავლოს, დრო დაეკარგოს, უფრო უფრადლებით იყოს რეპერტოიაზე, მრავალჯერ გაიმეოროს, მოკლებდ, ზედმეტი შრომა გასწიოს. დანიშნულია რეპერტოია. „ოპ, — ამბობს ეს ხელოსანი-მუსიკოსი, — ისევ ეს ქართული ოპერა. ღმერთმა არ იცის, რას სწერენ, ან რას გვაკრავინებენ. უხალისოდ მიღის რეპერტოიაზე, რადგან იცის, რომ ამ ოპერის რეპერტოიის გაცდენისათვის, ან უგულო, არაკვალიფიციური შესრულებისათვის არაიენ ეტყვის საყვედურს, არც დატყსივენ, არც დააწარმებენ (რაც შეიძლებოდა მომხდარიყო და ზღვობდა კიდევ თუ იგი გააცდენდა რამელიმე სხვა პარფილგერებულ ოპერის რეპერტოიას, პირიქით, აეტროს ჩივილზე მარტო ღმილოთ და ავღებულად ხელის ჩაქნეით უპასუხებენ. აბა, წარმოიდგინეთ, რამდენი შეგნება და პარტიონება უნდა ჰქონდეს მას, რომ მაინც ისეთივე გულთ მოკილოს ამ საქმეს, როგორც, ვთქვათ, სხვას ეკიდება, რომლის ავღებისათვის, გაცდენისათვის სერიოზული უსიამოვნება მოელოს.

ჰოდა, აი, ასეთი ორკესტრის ან გუნდის მსახიობი აცდენს რეპერტოიას ან უუფრადღებოდ ღიღინებს თუ უკრავს რაღაცას, თან

მეზობელს ეჩურჩულება, მოკლედ, რეპეტიცია კი არა, რაღაც გაუგებრობა სცენაზე თუ ორკესტრში. არც კონცერტმეისტერი, არც კაპელმეისტერი, არც თუ რეჟისორის თანამშრომელი, ვის ხელშიც არის ამჟამად ძალაუფლება, არა ბრაზობენ, არც მოათხოვენ ყურადღებას. რა ქნას ავტორმა? მსახიობს, სოლისტს კიდევ დანაშაულებს როგორღაც. ვიქტორს ხშირად შინ მოჰყავდა მსახიობები. აქ ამზადებდა მათ, მაგრამ უხედი და ორკესტრი? იმდენ ხომ ვერ მოიყვანდა შინ და ვერ დასხამდა ჩვენს პატარა ბინაში. იყო შემთხვევები, რომ ნახევარზე მეტი არ ესწრებოდა არა თუ რეპეტიციას, წარმოდგენასაც და, თუ ესწრებოდნენ, აი, ისე უყურადღებოდ და უგულვლოდ იქცეოდნენ. დაუწყებლად, აბსოლუტური — დაუწყებლად, აი, რა ავღლიანებდა მათ. ყოველი გადღეინილი, ან ჩაგარდნილი რეპეტიციისათვის ხომ არ შიირბენდა თვერის დირექტორთან ან სამინისტროში. ბოლოს და ბოლოს, ეს თავმოყვარეობის საკითხი იყო. გაბრაზდებოდა ვიქტორი „მოცხნა წარმოდგენას, წავიდეთ ოპერას!“ მივდიოდა ვიქტორი ოპერის სამხატვრო ნაწილის გამგესთან: „როგორ შეიძლება, ღმერთმა არ იცის, რას უკრავენ, ან რას მღერაან. წუხელ წარმოდგენაზე ნახევარი ორკესტრი არ გამოცხადებულა. სულ გაასალტურეს ოპერა. წავიდეთ, მოვხსნა რეპეტიცია დღეს“.

ბილეთები კი ყველა წარმოდგენაზე გაყიდულია. დამშვიდებდნენ ვიქტორს, მიიღებდნენ რაღაცა ზომებს, ოდნავ გამოკეთდებოდა საქმე და მალე ისევ აირკვდა. დაავლდა ვიქტორი ხელს ოპერას და წამოირღებდა ერთხელ ისე ვამერადა. პრესშიაც კი გაილაშქრა. როგორც ვიქტორის ამ წერილიდან ჩანს, ოპერაში მარტო ვიქტორის საქმე როდი იყო ასე, იმ დროს ზოგიერთი უსულგულო ადამიანის ბრალი იყო ხშირად ჩვენს უნივერსიტეტის ხელკავანთა ურთიერთობის გაართულება, გაუგებრობა.

გავიდა წლები. ბევრი ებრძოდა ვიქტორს სიცოცხლეში, ბევრა სიკვდილის შემდეგაც. მრავალი მათგანი აღარ არის ცოცხალი, ზოგმა კი შემდეგ დაათვა ვიქტორის ღვაწლი და ახლა სათუთლო წერილებს წერენ მასზე. ესეც ხომ ვიქტორის გამარჯვებაა... დავი, აგრე იყოს. უნდა ითქვას, რომ კომპოზიტორთა ახალი, ასე რომ ვთქვათ, მესამე თაობა დიდი ყურადღებითა და პატივისცემით ეყურება ვიქტორს, მის სხენებს, მის შემოქმედებას. ითარს თქმობაში, ალექსანდრე მუჟაჟაინი, დავით თორაძე, ნიკოლოზ გუდიაშვილი, აბესალომ ბუკია, რევაზ გაბიჩიანი და კიდევ მრავალი სხვა ამჟამად აღიარებენ ვიქტორ დოლიძის დეაქლს ქართული მუსიკის განვითარებაში და ყოველმხრივ ხელს უწყობენ მისი მუსიკალური მემკვიდრეობის შესწავლა-გამხანაგებას.

ალექსი მუჟაჟაინიანმა შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა კომპოზიტორთა კავშირში ვიქტორის

რის ხსოვნის საღამოზე მისი გარდაცვალების ოცდამეექვსე წლის თავზე.

„ვიქტორ დოლიძე, — თქვა მან, — ქართული საოპერო მუსიკის ერთ-ერთი დამაარსებელია. მისი ნაწარმოებები აღსავსაა განსაზღვრული იდეებითა და გულში ჩამწვდომი მელოდიურობით“. ა. მუჟაჟაინიანმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ვიქტორის მუსიკალური მოღვაწეობა, მისი მემკვიდრეობა არ არის ჯერ სათანადოდ შესწავნილი და შეფასებული და რომ ეს ხარვეზი „უსათუოდ უნდა ამოივსოს უახლოეს დროს“.

აქ მინდა მოვიყვანო ერთი პატარა მავალით, რომელიც ცოტად თუ ბევრად გაამუქებს ვიქტორის დამოკიდებულებას ზ. ფალიაშვილთან. მაჩივლია, თვითონ მე არა ვარ დამსწრე ამ ამბისა, მაგრამ ბევრ საკმაოდ პატივსაცემ პირს უამბნია ჩემთვის ეს ეპიზოდი.

ვიქტორის მომხდენი კომპოზიტორთა თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი მეტად მუშაობდა სულისკვეთებით გამოვლია საზოგადოებრივ ასპარეზზე. ისინი ებრძოდნენ ძველ თაობის კომპოზიტორებს და არაყიშვილს, ზ. ფალიაშვილს. თვითონ ვიქტორსაც — როგორც ასაკით ამ ახალთაობასთან უფრო ახლო იყო, — მაგრამ მასაც „ძველი მუსიკის“ ევაგონად თვლიდნენ, და თუმცა ისე ძლიერად არა, როგორც უფროსი თაობის შემოქმედთ, მაინც ხშირად ესმოდნენ თავს. ამ ახალი თაობის ზოგიერთ წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ ეს სახელმძოხვეჭილი კომპოზიტორები „ჩამორჩენილი, დრომოკმუნლი იყვნენ, მათ არა სწორი გზით მიჰყავდათ ქართული მუსიკა, და რომ ძველი კლასიკური ფორმის ნაცვლად უნდა შექმნილიყო ახალი ფორმები. კომპოზიტორთა კავშირის ერთ-ერთი კრებაზე, რომელიც შვერათა კლუბის დარბაზში შემდგარა, ამ ახალგაზრდა კომპოზიტორების თაობას სასტიკად გაუღაშქრია ძველი თაობის კომპოზიტორების, განსაკუთრებით ზაქარია ფალიაშვილის, ჩვენს საოპერო მუსიკის ამ ბუმბერაზის წინააღმდეგ.

ვიქტორმა სასტიკი პასუხი გასცა აქ გამოხულებს (ის, გვგონებ, მაინც კომპოზიტორთა კავშირის მდივანი იყო, ხალხი თავმჯდომარე დირიჟორი არაყიშვილი).

— რას ამბობთ, რას! როგორ, წავშალეთ ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა, დირიჟორი არაყიშვილის მუსიკა?! მამ ვის, ვის გაყვეთ, ვის მოვუსმინოთ, ვისი მუსიკა დაეყურათ? — ეითონ შენ ძალიან მოგწონს! — ესროლა თურქი ვიდაცამ.

ვიქტორმა არ დააყოვნა რებლიკის პასუხი. — ნეტა რა მნიშვნელობა აქვს რომელიმე ჩვენგანის მოწონება-არმოწონებას. როგორ შეიძლება ამ დიდი საკითხის ასე გასაზარალება. ჩვენ ვლავრაკობთ მუსიკაზე, მის მნიშვნელობაზე, მის ზემოქმედებაზე. ხალხი, აი, ვინ წყვეტს საკითხს და არა რომელიმე ჩვენგანი. ყოველ კომპოზიტორს თავისი მელოდიური სამ-

ვარო, თავისი ინდივიდუალური მელოდიური ხანერა თუ ხერხი გაანჩია, რაღა თქმა უნდა, მე სხვათაირად ვწერ, სხვათაირ ხერხს მივმართავ, რომ ნაწი ნაწილი მითვითონ მსმენელამდე. ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაჟიშვილი სხვათაირად, თქვენ კიდევ საკუთრივ თქვენი მინერა გაქვთ. სცავთ, იმუშავებთ. მიიტანეთ თქვენი მუსიკა ხალხამდე, დმერთმა ხელი მოგამართოთ. მაგრამ თქვენ ეს არ გინდათ, თქვენ ვინდათ, რომ ავტობუსის ზაქარია ფალიაშვილს წერა, მისი მუსიკა არსად არ შეისრულოს, არც დიმიტრი არაჟიშვილს, არც ვიქტორ ლოლიძის (ან იქნებ მე სადმე შუა ადგილას მტოვებთ, რადგან ასაკით სადაღე შუა ადგილზე ვარ? გმადლობთ, არ ესპირიტებ ასეთ შედავას!). თქვენ ვსურთ მოსპობთ ისინი და რახან მართო თქვენ დარჩებით, ხალხი ძალადუნებლიედ მოვისმენს, მეტი რაღა გზა იქნება— ასე, არა? არ გამოვა, ყმაწვილებო, ამაში თქვენ არავინ დაგიპერათ მხარს. უნიკლების ხერხია: არ გაუშვა, დაიჭი, მოსპე, და იქნებ მაშინ გამოიჩნდეს. მშ ზაქარია ფალიაშვილის წაშლა იყოფოდა, ვაჟა დრო, ბევრი ჩვენგანის აღარ იქნება იქნეყნად. ეს „ახალი მუსიკის“ შესწავლი კი ისე გაქრებიან, არც მათი სახელები, არც მათი რეპანი ეხსომება ვინმეს, ხოლო ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა ისევ ისე აცოცხლებს მოსწონს იგი რომელიმე თქვენგანს თუ არა. რას ამბობთ, რას? ჯერ აბესალამისად მერმანის დუბტის მსგავსი შექმენით რამე და მერე თუნდაც სულ მოსპეთ მთელი თანამედროვე ქართული მუსიკა ერთი რამ მწყის მხოლოდ, — თქვენს საფლავზე, ისე როგორც შრავალ სხვათა საფლავზე, ზაქარია ფალიაშვილის „თავი ჩემოს“ დაუკრავენ, ეს კი უკვე ზედმეტი პატივისცემა იქნება თქვენთვის. მაგრამ რა გაეწყობა, ტრადიციად იქცა. შექმენით, აი, თუნდაც ერთი ასეთი ტრადიცია, თუ ვაჟკაცები ხაროთ არა, „Книжка тонка“ რუსები რომ იტყვიან— თავისებური ოხუნჯობით დაამთავრა ვიქტორმა სიტყვა.

მოკლედ, სულ არია ეს კრება, სასაცილოდ ავდო ახალი „თეორეტიკოსები“. თვითონ ზაქარია ფალიაშვილს არც კი დაინება თორმე ლაპარაი, როცა იგი, ოდენა შეცბუნებული, აპირებდა „თავი ემართლებინა“ „ძველი მუსიკისადმი მიდრეკილობისთვის“, „მთავთა თაგს რად უყადრებ, ვინ არიან, რა ესმით, ან რა შეუქმნიათ, რა კაპიტალთ გამოდიან აქაო?“ მართლაც, ეს წამოწყება ისე ჩაიშალა, რომ მერე, მგონი, აღარავინ გამოსულა ასე სააშვარაოზე. ისე ჩემ-ჩემად თუ ბუნდუნებდნენ და „ობობოდნენ“.

უნდა მოიყვანო ერთი მაგალითი ზაქარია ფალიაშვილთან შეხვედრისა რომელიც ავრე-თვე, ცოტად თუ ბევრად, ახასიათებს თვითონ ზ. ფალიაშვილის დამოკიდებულებას ვიქტორთან.

როგორც უკვე ვთქვი, მე კონსერვატორიაში ესწავლობდი ფორტეპიანოს კლასში. რაღა თქმა უნდა, ისეთი ნიჭით არ გამოვიჩინე, რომ როგორც ვიქტორის დას შეეფერხებოდა, მაგრამ საკმაოდ კარგ მოწოდებ ვითვლებოდი, მიყვარდა მუსიკა და ცოტათუნე მესმოდა კიდევ ვიქტორის წყალობით. როცა მეორე კურსზე გადავდიოდი, გამოკიდებს თეორიასა და პარპონიაში, სხვა კომპისის წევრებთან ერთად, ზაქარია ფალიაშვილიც ესწრებოდა.

ვგონებ, ხუთ-ხუთი მოსწავლე ჰყავდა თითო გამოკიდებულს. მე ფალიაშვილთან მოუხვდი. ჯერ რამდენიმე თეორიული, შედარებით ადვილი ამოცანა მომცა. გამოვიყვანე. „ქარგია, კარგი“, — ჩაილაპარაკა მან და ახლა გვაჩი მკითხა. მეც ვუთხარი.

— დოლიძე? ვიქტორ დოლიძე ხომ არაფერია თქვენი? — მკითხა.

— და ვარ მისი.

— ვიქტორის და? — და უმაღლეს მიუბრუნდა ჩვენს ლექტორს ტერგევიანდის (შემდეგ ერევიანის კონსერვატორიის რექტორს).

— შენ რა, ძმობილო, ტუქილად მაქარგინებდ ღრის ვიქტორის და ყოფილა, იმიტომ არ გამოვიჩნდა, კითხვას ვერ ვასწრებდი, რომ უკებ მაძახებდა. ვიქტორის და მას ხომ აბსოლუტური სენა აქვს (ალბათ, ვიქტორის თუ ველის სმობდა).

— რომელ კლასში სწავლობთ? საკომპოზიტორიაში? — შემიკითხა.

— არა, ფორტეპიანოს კლასში.

— პოპლან კარგი, ძალიან კარგი, — ჩაილაპარაკა, — ვაჟი აუცილებელია, — ესე იგი ექვი არ ეპარებოდა, რომ მე კომპოზიციის ნიჭიც მიქნებოდა და ფორტეპიანოს შესწავლასაც საჭიროდ თვლიდა. უმაღლეს ჩამიწერა ხუთიანი და გამიშვა.

— თვისუფალი ხართ, გისურვებთ წარმატებას, — და ისევ გევიანდის მიუბრუნდა, — არა, შენ კიდევ მისი სენა გამასიჯვინე! ხმა, ვიქტორის და...

ასე მივიღე ხუთიანი, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიქტორის და ვიყავი. ზაქარია ფალიაშვილმა, ალბათ, ვადამყვებია, რომ ჩვენს ოჯახში, ისევე როგორც მათ ოჯახში, უფლა მუსიკისი იყო. ხომ ენობილია, რომ სახელოვანი კომპოზიტორის მძა — ივანე ფალიაშვილი შესანიშნავი დირიჟორი იყო, მეორე მძა — ლეო-კომპოზიტორი, და — კონცერტმეისტერი, ხოლო კონცერტმეისტრისათვის ხომ აუცილებელი კარგი სენა. მათი ოჯახიდანაა გამოსული ცნობილი მომღერალი იულია ფალიაშვილი, ნიჭიერი დირიჟორი და მუსიკისმეოცენე ვახტანგ ფალიაშვილი. ეტყობა, ზაქარიათ იმდენად სწადდა ვიქტორის ნიჭიერება, ექვი არ ეპარებოდა, რომ მისი დაც უსათუოდ ისეთივე მუსიკალური ნიჭით იქნებოდა დაჯილდოებული.

ზაქარია ფალიაშვილი ყოველთვის აღიარებ-

და ვიქტორის მუსიკალურ ნიქს, გემოვნებას, პოტენციას, ერთ რამეს უსაფუძვლურებად მხოლოდ: რატომ ხალხურ მოტივებს არ ამუშავებენ. ვიქტორი კი ეტყობა: კომპოზიტორის საქმე ის არის, საკუთარი მელოდია შექმნას და მთა-შახტბლას ხალხი, თორემ რა ბედენაა, იაღო დიდი ხნის წინათ, ხალხის მიერ უკვე შეყვარებული და ათვისებული სიმღერა ან მელოდია და ორკესტრზე გადაიტანა. ეს ხომ კომპოზიცია არ არის. როცა საკუთარი მელოდის შექმნი და ისე მოაწონებ ხალხს, რომ იმთავითვე ათვისებენ და ამღერალებიან მეორე დღესვე ხალხური გვერნება, აი, ეს არის საქმე, ეს არის კომპოზიცია.

ახლა არ შევედგებით იმის მტკიცებას, თუ რომელი იყო მართალი და რომელი ცდებოდა, ვფიქრობ, ეს უფრო ბეჭეტობა იყო. რა თქმა უნდა არც ზაქარია ფლიაშვილი თვლიდა აუცილებლად მართალ ხალხურ მოტივებზე მუშაობას და არ იყო წინააღმდეგი ჩრდილოაღმოსავლური მელოდებისა, ისევე, როგორც ვიქტორს არ მაინადა საძრახისად ხალხური მოტივების გამოყენება. და თუ „ქეთო და კოტე“ მთლიანად საკუთარი ვიქტორის მელოდიაზეა აგებული (ოღონდ, რა თქმა უნდა, საერთო ელემენტი ქართული ქალაქურია) შემდეგ, განსაკუთრებით რომანსებში, სიმფონიურ ნაწარმოებებში („ვერია“, საფორტეპიანო კონცერტი) იგი სულ უფრო და უფრო ხშირად იყენებდა ხალხურ მოტივებს, თუმცა, რა თქმა უნდა, საკუთარი მისი, ორიგინალური ყოველთვის ქარზობდა.

უკანასკნელი მისი ოპერა „ჩერმენი“, რომლის დამთავრება, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა, ძირითადად ხომ ისურ ხალხურ სიმღერებზე იყო აგებული. რაც შეეხება მის მშობლობურ გურულ სიმღერებს, ვიქტორი მთლამ ოქნებობდა დაეშუშავენა ეს რთული, მარაველხმობიანი სიმღერები, გადღებან იგი ნოტებზე, ორკესტრზე. როგორც თვითონ იტყობა „დღის სინათლეზე გამოეფინა“, მაგრამ ძალიან საინტერესო მიანიჭა. — მეორე სემასტიან ზახია საკუთარი, რომ გურულ სიმღერებს მოგარისონ, იტყობა ხოლმე.

როგორ უყვარდა ვიქტორს გურია, მისი სიმღერები, მისი მთა-ველი, ზეპარი მდინარეები, ანკარა წყაროები როგორი სიყვარულით იგონებდა დედისეულ ლხავურს სულ ოცნებობდა, ერთი მოვიყვლო, მთელი ზაფხული გაეატარო იქ, ბავშვობა მოვიგონო. ერთი ძველბეჭდულად, უღარდელად წამოვიწვე ზენს ეზოში მწვანე მოღზე ზენი შტრანგი ბიჭების კრიმანკული შოვისმინათი...

თავისუფალ დროს მოიგონებდნენ ძმები აღრინდელ მოგზაურობას საყვარელ დედისეულში, მცა ბებიათაში. დაღარში გამოცხვარი ყველიანი კვერები, ხის შამფურზე შემწვარი წიწილები. გემრიელი ტყემალი... ქვეყნის ხილი

და ჩურჩხელები. ვინ დაუკავებდა? ბებიას დროს თხილნარი ჰქონდა გაშენებული. მახსოვს, მე-მოდგომას რომ ზავილიდი; სახლის რიგით ფართო აივანი, წინა თუ უკანა, თოქქმეს ბოჯიჩის ბირამდე იყო დაფარული ვასახობად გაფენილი თხილათ. ამ თხილზე გადებდნენ ფიტარს კიბიდან ოთახის კარამდე და ისე დღიოდნენ.

ეზოს ყოველ კუთხეში იყარა თხილის ნაკუჭები, როგორ აგებავიზებდა ბუხარს, თუნდაც ბავშვს ერთი ტორი ნაკუჭი რომ შეეყარა.

იმდენს ეკამდით ამ გემრიელ, თხელკანიან თხილს, ლამის ავად დაეგმდარიყავით. ზაფხულობით შევერეოდით ბირდაბრის თხილნარს და ზედ ბუჩქებზე კურადვით ჯერ კიდევ ნედლ ნაყოფს, ავეე ვაცილით მწვანე წიწვიბიან ჩენჩოს. იყო ერთი ნადირობა, გადამახილები: „მოდით, აქ უფრო ბევრია“, „ეს ჩემი ბუჩქია, სხვა ამოებენ“, „შენ ვინ დაგამტყცა, მოკვლები ამდენი თხილის ქამით!“ და სხვ.

ვიღრე ოჯახი ოზურგეთში ცხოვრობდა, ბავშვებს ყოველ ზაფხულს ლხავურაში გზავნიდნენ, იქ ხომ უფრო გრილა და, ეგეც არ იყოს, ამ მრავალწერიანი ოჯახისათვის შედეგაით იყო რამდენიმე ხნით დასვენება ბავშვებისათვის. შემდეგ, როცა თბილისში გადმოსასლდა მამაჩემი, ბირველ ხანებში ამა რა აჯარაკლდა თავი ჰქონდა, აკრფდნენ გაზაფხულზე ბავშვებს და გაისტუმრებდნენ ოზურგეთში, ხოლო აქედან უკვე სოფელში, ლხავურაში, საყვარელ ბებია მყასთან. გაიგებდა თუ არა ბებია ოზურგეთში ჩვენი ჩამოსვლის ამბავს, იმწამსვე გაეწობდა ურემს, თან ძღვენსაც გამოატანდა უფროსი ქალიშვილის ოჯახში: ხაჭაპურებს, ჭვინტ ყველს, უთიელ, ოქროსავით მშხინავ მკადის ფქვილს, ქაშაშებს, ჯერ ამ მოვიჭეფიფანებდით, მერე ისევ შებამდნენ ურემს, ჩავკუპკუავდნენ შოგ, თან ჩვენი საუვარელი დედაც კისიკოც გამოგვეყვებოდა, ბავშვებს ხომ მოვლა უნდოდა და, ამა, მართლ ბებია მყა რას აუვიდოდა ამდენ წვრილფეხობას, მით უფრო, რომ ზმირად უმცროსი მამიდებიც მიხყვებოდნენ თავის ტოლ ძმისწულეს.

ჩავიდოდით, სულ ავიცლებდით იქაურობას. იყო ერთი გრიამული, სიცილი, სიმღერა, თამაში, სულ ავაფორიაქებდით მყუდრო მიღამოს, მაგრამ მყა ბებიას უხაროდა ამ შემაწუხებელი სტუმრებისათვის ვარჯა.

სალამო ხანს ფარდაც დაეკავებდნენ ეზოში, დიდი კაცის ძირას, გამოვიდოდნენ მეზობლის გოგო-ბიჭები, ზოგი ნედლ კაჯალს ტეხდა და მწვანე ნაჭით თითებს იღებავდა. ეზოში კიდევ ერთი დიდი მსხლის ზე იდგა. სწორედ იმ დროს მწიფდებოდა, როცა თხილი უკვე შემწმარი იყო, ძალიან გემრიელი იყო მსხალი და თხილი ერთად.

შელამებისას მახლობელ მთის ფერდობიდან უკვე მოისმოდა სიმღერა, გლეხები ყანებიდან

ბრუნდებოდნენ, ჩაქურებში გამოწყობილი აწე-
ართული ბიჭები გამომწვევად გასძახოდნენ კრი-
მანულს. ვიქტორი უმაღლე აპყებოდა. რამდენ-
ჯერ გამოვიანია მისგან შემდეგ: „მრავალშვი-
ანია, როგორც ბახი, ძალიან ძნელი ჩასაწერია.
უნდა მოვიდოდ ხელი გურულ სიმღერებსო“.

აღარ დასცალდა. ბევრი რამ არ დასცალდა.
აპყებოდა ვიქტორი კრიმანულს. ახლა ეს
მოზრდილებიც შემოგვიერთდებოდნენ, ხშირად
ბებია ერთ ბოთლ სანთლის არუსაც გამოიტან-
და. მინდვრებში ნაქაჯართ მიაწოდებდა: კარგია
თხილზეო.

ვიქტორის ჩამოსვლას რომ გაიგებდნენ, ორ-
ლობეში ლამაზ-ლამაზი ქალიშვილები გამოჩნ-
დებოდნენ თავიანთი გიტარებით. ბე-
შვობიდანვე ვიქტორის მოვალეობას შეი-
დგენდა იმ გიტარების მოჩურღება. ზოგს
აწყობა სჭირდებოდა, ზოგს სიმის
გამოცლა, ზოგს კიდევ ამ სიმის მოსაჭერი
ხრახნი, ან კიდევ რამე სხვა ზიანი ჰქონდა. სი-
წყავედა ვიქტორი ამ დაზიანებულ ინსტრუმენ-
ტებს, ზოგს აქვე აწყობდა, ზოგს კიდევ უფრო
სერიოზული რემონტისათვის დაიტოვებდა და
ორიოდე დღის შემდეგ სახეგაბრწყინებულ საბა-
ტარძლებს უკვე მოწესრიგებულ, აწყობილ
გიტარებს ჩააბარებდა.

— დაღამდა. ეზოში კი დიდხანს გაიხმის „გახ-
სოეს ტურთაე“, „სულთაო“, „სიმონა დოლიძე“.
ჩუმი სიცილი, ხუმრობა. შერე ისევ კრიმანულ-
ლი, სანამ ბებია არ გამოვა და არ დაშლის შე-
გვიანებულ მექლისს.

დილა ადრეან ვიქტორი წამოდგებოდა, ბი-
ჭებს საბნებს წაავლევდა, — აბიჭს წყალზეთს
ეს შთის წყალი იქვე ბებიას სახლის ტექტადა
მოჩუხჩუხებდა, გურუის შალალო მთებიდან
მოდენილი, ქვებზე აქაფებული, ცივი.

ვიქტორი შარვლის ტრეტებს შალა აიკეცა-
ვდა. წყალი შეტოპავდა. „უპ, რა ცივია!“ —
შესძახებდა. იყო ერთი ლოჯოების კერა, სი-
ცილი. „რა კალმახი დაიჭირა!“, „რაღა გვიჭირს
დღეს, ვჭეფობო!“ დასცინოდნენ ერთიმეორეს.
ხელ-ფეხ დაჭარხალებული, გაწურულეები მიი-
ბენდნენ შინ. აქ კი მავა ბებია და დეიდა კესი-
კო უკვე შლიდნენ სუფრას. დალაგებდნენ
ცხელ მკაიდებს, ჭყინტ უფელს, ტყეშალში ჩაწყო-
ბილ შემწეარ წიწილეს.

როგორც ნეტარი ჭეყანა, ისე აგონდებოდა
ვიქტორს ლიხაურში გატარებული ეს დღეები.
აგერ ორმოც წელს მიღწეულს, უკვე სახელმო-
ხვეპილ კომპოზიტორს რამდენჯერ უთქვამს:—
ერთი უნდა მოვიცალო, ჩაველე ლიხაურში,
ჩვენს დღეში ჩავედე ძველებურად, შარვალ-
აკაბიჭებული. ერთი-ორი ლოჯო ამოვადო
ნაბირზე და სიხარულით დავეთერო. ეს, რა
არის ჩვენი სიცოცხლე, — დასძენდა, — მე-
დამ რალაცას მისდევ, მუდამ ჩქარობ, ვერა-
ფერს ასწრებ, ვერ მოვიცლოა, რომ ერთხელ
შაინც აისრულო გულის წადილი... გაგიგონია?
სულ ამას გაიმახი: — არა, ეს თქვარა დეკამთავ-
რო, ეს კონცერტი ბარემ შევასრულებინო,
კიდევ, კიდევ, აბა, ჩქარა, მოვასწრო დრო ეს
მიღის, ილევია. ამოთა ამოთა.

□ ბაბრძილვა იმნება □



ანგუჰკვისის მუხენებლათან

„ვოლგა“ მდინარე მაგანაზე გადავიდა, მარცხნივ გაუხვია და შთის კალთას შეუყვია.

— ცოტაც და ზედ მწვერვალზე მოვკეპვივით!
— ალტაცებით გადაუღაბარაჲა უკანა საეარძელზე მჭდომმა ახალგაზრდა ქალმა მეგობარ ქალს.

— ეს გზატკეცილი ამ ორი წლის წინათ არ იყო. სვანეთს მიმავალი საფრემე გზა ენგურის მარცხენა ნაპირს მიყუებოდა. დროებითი გვარაბის მუხენებლობამ იგი ჩაეკრა. მის ნაცვლად ახალი, კეთილმოწყობილი გზატკეცილი გაიყვანეთ. — თქვა მძღოლის გვერდით მჭდომმა კაცმა.

შთის დაკეცილ გზაზე მანქანა ფრთხილად მიდიოდა. მკვეთრი მოსახვევები და კლდეთა შევრილობე ქალებს შიშს გვიბოდა.

— შოფრის ოდნავი გაუფრთხილებლობა და... დმერთმაეც ნუ ჰქნას! — კვლავ ჩაილაპარაკა პირველმა ქალმა.

მეორე უფრადლებას არ აქეცედა სახიფათო მოსახვევებს, იგი დაეინებოთ იცეირებოდა უფსკრულისაკენ, სადაც ვიწრო კალაპოტში ჩამქდარი მაგანა ეგულებოდა, შვარამ იგი არ ჩანდა. მერე მზერა ვაღმით გადაიტანა, იქ ტაფობზე ლამაზად ნაგები ახალ-ახალი, სამსართულიანი შენობები და მოხეტრხებულად დამარექტებული ჭუხები მოჩანდა. დაბა ჭვარზენი, მარცხელე სამაო საცეკრი იყო.

შთაბეჭდილებებით გაბრუებულ ქალებს სიტყვები არ უფრინდათ ყველაფრის სათქმელად. ვერც კი შეინანეს, როგორ დატოვა მანქანამ ცენტრალური მაგისტრალი, მარცხნივ გადაუხვია და შთის ხელფრენურ ტრილში გავიდა. მგზავრები ახლა ენგურის მარცხენა მხარეზე ამართული შთის კალთაზე მოხედნენ. აქ პეიზაჲეიე შეიცვალა. მდინარის ორივე ნაპირის გარკვეულ მონაკვეთზე ხეობა დაღრღნილ-დაფლეთილი იყო. ბუღდობერები და ექსკავატორები ფლეთ-

დნენ და ფლეთდნენ შთების გულს; ლოდებისა და ქეთათა ცვენას ყველაფერი წაეღეკა. მხოლოდ აქ-იქ გადაჩრნილიყო ოციოდე ძირმაგარი მუხა და რცხილა. შვარამ ვაი ისეთ გადაჩრჩენას, ისე იყვენენ ნაცემ-ნაგვემნი, რომ საციოდავად გამოიყურებოდნენ.

— არ გინდათ ბეტონის ქარხნის მუხენებლობა დაათვალიეროთ? — მიმართა წინა საეარძელზე მჭდომმა ახალგაზრდა კაცს ქალებს და შოფრის მანქანა შეაჩერებინა.

ქარაფოვან შთის კალთაზე მუხენებლებს პატარა მოედანი გამოუკვეთათ. დაშთავრებამდე იყო მისული ბეტონის ქარხნის მიმღები ხეიმრების მუხენებლობა.

— ეს სამამულო წარმოების ასაწყობი ქარხანაა, მრავალ კომპლექსს აერთიანებს. ამ ხეიმრებში, — თითი გაიშვირა კაცმა, — ბეტონი მშრალად აირევა. მერე იგი სამი არხით გაივლის იმ გვირაბს, — აქაც თითით უჩვენა გვირაბის ყელო, — გადავა ქარხნის მეორე განყოფილებაში, სადაც წყლით აზილება და ავტომატური არხებით კაშხალის მუხენებლებს მიევა.

— უჰ, რა ძნელი გადმოსატანი იქნება სამუხენებლო მასალები! — თქვა თათისი.

— სოფელ ჭვართან ალბათ შენინნეთ, უნგურის ქალებში დვას დრავა, იგი რთული კომპლექსის ქარხანაა. კალაპოტიდან ამოაქვს ქვალორლი და ქვიშა, აბარისხებს მათ, ამივე დროს შეუქლია ოქროს გამოჩრევეც. დრავას შიღამოებში ახლად დახარისხებული ქვა-ღორღისა და ქვიშის შთელი გორებია. იქედან ამ ქარხნამდე, ოთხნახევარ კილომეტრზე, თქვენ ხედაეთ საბაგრო გზის ანქებს, შაგირები ნახევარ მანძილზე უკვე დაქიმულია, მალე შთლანად დამთავრდება მუხენებლობა. საბაგრო გზა სამგან კვეთს ენგურის კალაპოტს. მისი ოთხი არხით გადმოზიღდება სამუხენებლო მასალა კაშხალის მუხენებ-

ლობაზე. მშენებლობას ქიათრელი სპეციალისტი ამირან ფანცულაია ხელმძღვანელობს.

ისევე მანქანაში ჩასხდნენ.

— შესდევით, აფეთქება! — „ეოლგას“ წინ გადუღებდა წითელაღმანი ახალგაზრდა მუშა.

აგრომობილმა რამდენიმე მეტრი კიდევ გაიარა და დადგა. გუშავი შოფერთან მიიჭრა, რომ ორიოდე „მარიალიანი სიტყვა“ ეთქვა, მაგრამ პირდაღებული გაშეშდა, მოულოდნელობისაგან უკან დაიხია. მანქანაში სამმართველოს უფროსი, გივი ჭყონია იჯდა.

— ნუ გეშინიათ, მეტს აღარ წავიწყებ წინ. ვისი ცვლა მუშაობს? — იკითხა ჭყონიამ და მანქანიდან გადმოვიდა. იგი ორმოც წელს მიხალგებულ, შალაო, ბრგე ვეჯაკი იყო.

წითელაღმინა ვერც კი მოასწრო პასუხის გაცემა, რომ ზედმედ კაისმა აფეთქების ხმა, მერე მთა შეხანზარდა, მთელი გულთ ამოიღშვალა: ეჭომ ენგურის ხეობაში დაიწყო რხევა და შედო აუვა, ვხადაგზა თანდათან მისუსტდა და ბოლოს საღდაც, შორს, თოვლიანი შიშის კუთხეში გაატრუნა.

ყველამ გაიხედა მარცხნივ, საიდანაც აფეთქების ხმა გაისმა. მიწიდან ავირდნლი ჭექა-ქუხილი მიწყნარებულცი არ იყო, რომ ჰაერში გამოკიდებული უთვალავი სხეული გამოჩნდა, ისინი ტყვიანაკრავი ფრინველებივით მიწას უახლოვდებოდნენ.

მოულოდნელად მათ თავზე რაღაცამ მძლავრად გაიშხილა, მერე ათიოდე მეტრზე ყრუ გრუხუნით დაეცა.

შეჩერებული სატვირთო აგრომობილების შოფერები და მგზავრები ზედ შეაგზაზე დაეცემულ ლოდთან მიიჭრნენ. ლოდ ისეთ ადგომზე ეგდო, დიდი მანქანა გვერდს ვერ აუვილიდა.

— აი, ბატონო, მანქანებისათვის ათიოდე მეტრი წინ წაწყვის უფლება რომ მიმეცა, მსხვერპლი იქნებოდა. — გამოცალი კაცის ტონით თქვა წითელაღმინამ ახალგაზრდამ.

— თქვენ მაინც ძალიან ახლოს მოვიხდით მანქანების შეჩერება, ეს მეორედ არ მოგივლდით! — შეაცრად თქვა ჭყონიამ.

— ტექნიკური წესებით გათვალისწინებული მანძილი დაცულია. ჩვენ პირველად არ ვახდენთ აფეთქებას. ასეთ შემთხვევას ჯერ ადგილი არ ჰქონია, — უპასუხა წითელაღმინამ.

მართლაც, ვასაკვარი იყო, როგორი ძალის უნდა ყოფილიყო აფეთქება, რომ კლდის ამოდენა ნაკლები ასეთ სიმძლავრე აესროლა. აფეთქება ხომ გზის ჭვემით მოხდა.

— როგორც ჩანს, ფეთქებამ მასალა დიდი როლდენობით ჩააწყის. ეს საშეშია, მეორედ აღარ უნდა განმეორდეს. — ჩილაპარაკა ჭყონიამ.

— ბატონო გივი, დიდხანს მოგვიხდება დგომა? — იკითხა თანსიმ. ასე, ოცდაათი წლის იქნებოდა თანსიმ. ტანკენარი და საკმაოდ ლამაზიც იყო.

— აღბათ მალე, ამ კლდის ნაკლებს გვერდზე მიაგორებენ და გზა გაიხსნება.

— რა სანახაობა იქნება, რომ აქედან დაგორებდნენ. — თქვა მეორე ქალმა. მას ნუნუს ეძახდნენ. იგი ექვსა-შვიდი წლით უმცროსი ჩანდა თანსიმზე.

— ეს არ შეიძლება. ხეობის ორივე მხარე მშენებლებითა და სამშენებლო ტექნიკით არის სავსე. ლდის დაგორება მსხვერპლს გამოიწვევს. — უპასუხა ჭყონიამ.

ამასობაში მეშემა შეგროვდნენ. ძალაყინებით ლდი გზის ნაპირზე მიანჩესს.

ახალგაზრდა ქალები, ნუნუ ღვინჯილია და თანის ბერიძე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტები იყვნენ. ისინი პრაქტიკის გასაეღელად მადლიერ კამპლის მშენებლობის სამმართველოში გამოგზავნეს, სამმართველოს უფროსს, ჭყონიას, სტუდენტები მშენებლობის გასაცნობად წამოეყვანა და მათი სურვილის მიხედვით ფაქტობა და პრაქტიკის ობიექტის შერჩევას.

— გზა გახსნლიალ — გაისმა ამ დროს. მგზავრებს დიდი მანძილი აღარ გაუვლიათ.

მძლოლმა ბონდო ბურჯალანამ „ეოლგა“ პირველი უზნის კანტორასთან დააყენა. სამმართველოს უფროსმა უზნის უფროსი ვლადიმერ ქაბაძე იკითხა.

— კანტორაში არ არის, ობიექტებზეა. — უპასუხა ახალგაზრდა ქალმა, აღმრიცხველმა ვალია კარაპეტინამ.

კანტორა ზედ ციებამ კლდეზე იყო გადამდგარი. ირგვლივ მოაჯირი ერთყა. აქედან ხელისგულივით მოსჩინდა ენგურის ხეობა. ჭვემით, ხეობის მთების კალთებზე, ჭიანჭველებივით ირეთდნენ ადამიანები და სამშენებლო ტექნიკა.

ქალებმა პირველი შურა გადახერგილ ენგურს მიაყარეს. იქ ეს ბობოქარი მდინარე დროებითი გვირგვინს წყალმომღებ პორტალში შედიოდა და უჩინარდებოდა. აქედან შორს იყო წყალგამყვანი პორტალი, მაგრამ მაინც ჩინდა მისი ყელდან გამოშვადარი ენგური. იგი ქარდოვან კალაპოტს ეხეთქებოდა, იმსხვრებდა, შეფეგბს მალღ ისროდა და, თუმცა ხმა არ ისმოდა, შორი მანძილიდანაც იგრძინებოდა როგორ ღმუღოდა. მისი ექვსას მეტრზე დამზარალი კალაპოტი თანდათან ივსებოდა მონგრეული ქანებით. იბურღებოდა, ფეთქებოდა, ინვგრეოდა მთები და სიღრმეში მიიწვედნენ რისხეადქცეული ადამიანები და ტექნიკა, რომ მათა მტერდში 280-მეტრტიანი კაშხალი ჩაეჭვდათ.

გ. ჭყონიამ პრაქტიკანტებს მდინარის მარჯვენა მხარეზე ძლიეს შესამჩნევ ხერხულზე მიუთითა და თქვა:

— ეს არის წყალმიმღები პორტალი ზვიდ-მეტეილომეტრისანი გვირაბისა, რომლითაც ენგური ვალის რაიონში გადაედინება და, როგორც

იციო, იქ მილიონთობას ათასი კილოვატა-ათას სიმძლავრის მიწისქვეშა ელსადგურს ამუშავებს. წყალმიღები პორტალის მშენებლობას გამოყვანილი ოსტატი აკაცი უგრანხელიც ხელმძღვანელობს. ჩვენ მის უბანსაც დაეთავლიერებთ, მაგრამ მანამდე, მოდი, ჩავიდეთ ძირს, კაშხალის მშენებლობის მისამზადებელი სამუშაოები ენახოთ და მშენებლები გაიცნოთ.

ზონდო ბურჯალიანმა მოტორი ჩართო. მანქანა ფრთხილად დაეშვა ზეობის მარცხენა კალთაზე. რა ახლოს იყო მშენებლობის ობიექტში, ერთი გადაბედილი ოციოდე წამებზე ჩანდა, მაგრამ, ვერ აქნა და ვერ დასრულდა კლდოვანი შიის სპირალივით დაკლანხილი გზა. შესამედი გზა გაიარეს. აქ მშენებლები ფუს-ფუსებდნენ. მანქანა შედგა და სამმართველოს უფროსი გადმოვიდა.

თავზე ჩაქინდასრული მშენებლები მკერდგაფატრულ შიის კალთაზე იყვნენ შეფენილი, ბურღით კლდეს ეჭიდებოდნენ, მაღლა არ იყურებოდნენ, ღმერთმა იცის, შეინიშნეს თუ არა ცისფერია „ვოლგა“, მხოლოდ ქვემო მოსახვევში მდგომი ექსკავატორის მენაქანამ აიხვდა ჭყონისაყენ და მაინცე მისკენ გამოემართა.

— გამარჯობა, ივანე! როგორა ხარ თ შენ და შენი ექსკავატორი? — წინ მიეგება ჭყონია ექსკავატორის მენაქანეს, ივანე მაყარჩუს.

— როვეე ჭანმრთელად გვრწმობთ თავს. — იყო პასუხი.

ჭყონია მშენებლებისაყენ მარტო წაიდა. მშენებლობის ხელმძღვანელი ცდილობდა ყოჩაღად ევლო, მაგრამ ორჯერ თუ სამჯერ კლდეზე ხელები მიყრდნობა მაინც დასჭირდა.

მხოლოდ მაშინ, როცა ჭყონია სახიფათო ვასაწვლელზე გავიდა, სხვებს გამოეყო ერთი საშუალო სიმაღლის კაცი და მის შესავებებლად წამოვიდა.

— გამარჯობა, ამხანაგო ჭიჭიკო! როგორა არის საქმე? — ხელსჩამორთმევისთანავე იციობა ჭყონიამ.

— შეჩვეული ვართ მძიმე სამუშაოებს, მაგრამ მიწისქვეშა შრომას მაინც სჯობია ამ ქვაბურების გამოჭრა. — უპასუხა ღმირლით უფროსმა სამთო ოსტატმა, ჭიჭიკო გიორგობიანი.

— თქვენ თავი ისახელეთ ღრობებით გვირახისა და წოლხერელების მშენებლობაზე, ვფიქრობ, არც აქ შერცხვებით.

— იმ მშენებლობებზე დიდი გამოცდილება შეიძლება, ამიტომ აქ უყეთესი მაინცნებლები ვაქვს, — უპასუხა გიორგობიანმა და მბურღავეებს გასამბა: — შეიცვენით!

ყველამ შეაჩერა მუშაობა. ოდღიან სახეზე მკლავი ჩამოისვეს, ზოგი იქვე ჩამოყდა კლდე-თა პატარა შვერილებზე, ზოგი ჭყონისაყენ წამოვიდა.

ერთი, ორმოც წელს გადაცილებული კაცი თავაზიანად მიესალმა სამმართველოს უფროსს

და თავი დაუქრა, პასუხად გვიმ ხელი გაუწოდა.

— როგორა ხარ, ილია. მგებდმუქრანსკრავი-ნები კლდეებს? — მან სხვებსაც ჩამოართვა ხელი.

— მე შრომა არ მღობს, უფროსო. გულით მიყვარს ჩემი ხელობა. — უპასუხა ოდნე ჩოფურა მბურღავემა და გინე ვაღვა.

იგი კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ილია ასლამაზოვი იყო. საქართველოს რამდენიმე ქვის მშენებლობაზე სახელმწივეკილი და დღესაც მკავშოვლელი გვირახამყვეანი.

ილია ვერ დავისახლებთ თავისი ბრიგადის მოწინავე წევრებს, ყველა მოწინავეო, ამბობს ბრიგადირი. და, მართლაც, მისი გვირახამყვე-ნები — ვლადიმერ ჩაყევაძე, გურამ ტაბატაძე, ომარ ხოხიაშვილი, პლატონ ჭიჩინაშვილი, ნოდარ გულორდავა, ივანე მაყარჩუკი და სხვები ღრობებით გვირახისა და წოლხერელების მშენებლობის გმირები არიან. მაგრამ მათი სტიქია მარტო მიწისქვეშა შერკინება არ ყოფილა. ეს ერთი ხანია ისინი მიწის ზევით ამოვიდნენ და გმირულად ფლეთენ მთათა ტინის მკერდს.

ჭყონიამ ყველა სათითაოდ მოიკითხა, მერე კვლე ასლამაზოვს მიუბრუნდა.

— ილია, რამდენი მანეთი გამოიმუშავე მაისის თვეში?

— ოთხსთერამეტო, ჩემმა ბიჭებმა ორასოც-დაათიდან ორასსამოცდაათამდე მანეთი, თითო-ეულმა.

— კარგად გიმუშავიათ. — შეეხუმრა ჭყონია გვირახამყვეანებს.

— მე ძალიან მიყვარს ჩემი ხელობა. ჩემი ბიჭი ვლადია თერამეტი წლის არის, წელს საშუალო სასწავლებელს ამთავრებს, ალბათ, შემოდგომამზე ვარში წავა. დაბრუნდება თუ არა, ჩემთან დავაწყებინებ მუშაობას. შეიღმა მამის კარგი ხელობა უნდა ისწავლოს.

— სანამ შენი ვალოდია ჭარიდან დაბრუნდება, ენჭურქსი ექსპლოატაციაში შეეა. ასე რომ, აქ მას სამუშაო არ დახვდება! — გაეხუმრა მერამ ტაბატაძე.

— საქართველოში ელსადგურებისა და გვირახების მშენებლობას რა გამოთევს! ასლამაზოვის მოსწრებულ პასუხზე ბიჭებმა გადახარხარეს.

მაღე ყველა საშუაოს დაუბრუნდა, მხოლოდ ჭიჭიკო გიორგობიანი შეყოყნდა სამმართველოს უფროსთან.

— ჭიჭიკო, ფრთხილად იმუშავე, წელანდელმა თქვენმა ფეთქებამ კინაღამ მსხვერპლი გამოიწვია, ეგებერთელა ლოდი ამოტყორცნა გზატაკილე.

— შეუძლებელია იქამდე ოთხმოცამდე მეტრი იქნება, როგორა მოხდა ამ სიმაღლეზე ლოდის ატყორცნა! — გაიკვირვა გიორგობიანი.

— ეტყობა, დიდი რაოდენობით ჩააწყეს ფეთ-

ქებადი მასალა. შენი წინასწარი გაკონტროლებით გაჩეუე აფეთქება არ უნდა ხდებოდეს.

— სწორედ ახლა მოვკლივით დიდი ძალის აფეთქებით კლდის შვერილი, პატარა აფეთქებით ვერაფერს დავაკლებდით. ალბათ, იქიდან ამოიტყორცნა ლოდი. ფეთქებადი მასალის ჩაწყობა უჩემოდ არ ხდება.

მანქანიდან გადმოსული ქალები ცნობისმოყვარეობით აყეტებდნენ თვალს. ადგილზე უფრო გრანდიოზული და რთული ეჩვენათ მშენებლობა.

— გვიარაბების მშენებლობა დავათვალიეროთ. — თქვა თაისიმ.

ქალებმა გულმოდგინედ დახვედრეს მარჯვენა ნაპირის მშენებლობა. იქვე ისეთივე მუშაობა მიდიოდა, როგორც გამოძმა.

— აბა დავიძრაოთ. ჩვენ ორჯერ მეტი მანძილი გვაქვს კიდევ ვასავლელი, — თქვა მანქანასთან დაბრუნებულთაგანე ვიგი ჭყონიამ და ქალებს „ჟოღვის“ კარი გაუღო.

მანქანამ ტეხილი ვზით იწყო ძირს დაშვება. სამმართველოს უფროსი გზადაგზა ამოწმებდა ობიექტებს. ბოლოს თვით ენჯერის კალაპოტამდე ჩავიდა მანქანა.

ვიგი ჭყონიას წინ მიეგებნენ პირველი უბნის უფროსი ვლადიმერ ჭარბაძე და უფროსი სამთო ოსტატი მაქსიმე კაპანაძე. მამაკაცები ერთმანეთს შეეცილნენ ქალებისათვის ავტომობილის კარის გაღებაში.

— ამ უბნის უფროსი და უფროსი სამთო ოსტატი, — ჭყონიამ ქალებს მშენებლები წარუდგინა, შერე დაშვედრით მიმართა: — ეს ქალიშვილები ჩვენთან პრაქტიკაზე არიან გამოგზავნილი. ვაიციანთ თქვენი მუშაობა, შეიძლება აქ დარჩენა ისურვონ.

— ექსპრისანტები შევანეთ, თუკი პრაქტიკანტი სტუდენტები გზამდებობი, გირჩევთ, ჩვენთან დარჩეთ. უკეთეს კოდნას სხვაგან ვერ მიიღებთ. — მიმართა ქალებს უფროსმა სამთო ოსტატმა და თაისი თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა.

— აქედრე მშენებლები ერთნაირად ფლობენ მიწისქვეშა და მიწისზედა სამუშაოთა შესრულების ოსტატობას. დიდი გამოცდილება აქვთ, მთფან ბევრს ისწავლიათ. — ჭარბაძემაც შეაგულიანა პრაქტიკანტებო.

— ჩემი ბიჭებისთანა მშენებლები მთელ მშენებლობას არა ჰყვენ, ყველა მათგანი რამდენიმე პროფესიას არის დაუფლებული: გვიარაბ-გამყვანცი არის, მბურღავიცი, მეშხბტეცი, აფეთქებელიცი, კალატოზიცი...

— და ბეითალიცი, ალბათ, — არ დამთავრებინა სიტყვა თაისიმ კაპანაძეს და გამომწვევდ დასძინა: — როგორი უნივერსალური ზალხიცი არ უნდა გაყვდეთ, თქვენს ობიექტზე მაინც არ დატრებთ. მაგრამ, რატომ ვდავობთ, ვავარაუნეთ, რისი გამკეთებლები არიან თქვენი ბიჭები.

კაპანაძის ერთი ბრიგადა ახლოს მუშაობდა, იქამდე ვასელა ძნელი არ იყო. მასხინძლები დასამუშავებელი ქვაბურისაკენ წაუძლინენ სტუდენტებს.

მუშებს ბურღვა დამთავრებინათ, ისვენებდნენ. ახლა ფეთქებადი მასალა უნდა ჩაეწყოთ. ისინი ფეხზე წამოდგომით შეხედნენ ინჟინრებს. ჭყონია, ჩვეულებრივად, ხელის ჩამართმევით მიესალმა მათ და სათითაოდ მოიკითხა ყველა: — ბრიგადა, რომელსაც სამმართველოს უფროსი ესაუბრებოდა, ოთარ სილაგამისა იყო, ამ მოწინავე კოლექტივს მთელს მშენებლობაზე სახელი გაუთქვეს მისმა წევრებმა — ჭიჭიკო ჭარბაძემ, ბონდო წიჭარაშვილმა, გრიგოლ გოგუბაშვილმა, კუკური აკობიამ, ზურაბ ნუსისწყვერაძემ და სხვებმა. ამიტომ უთხრა ჭყონიამ კაპანაძეს:

— ამხანაგო მაქსიმე, შენი ობიექტის მთელსა წაწარმოო მაივენებლებს ვერ დავემდურებით, მაგრამ სხვა ბრიგადებამაც ისევე უნდა იმუშაონ, როგორც სილაგამის ბრიგადა მუშაობს. ზომიერი, მომავალი წლიდან კამხალის მშენებლობა დაიწყება. მთამხანადებელი სამუშაოები უახლოეს ხანში უნდა დამთავრდეს.

— ჩემი ყველა ბრიგადა საუკეთესოა, ვფიქრობ, ამდურავი არც ერთს არ ვუქმის.

— მართალია, სხვა ობიექტების ბრიგადებშიც არ არიან ცუდი, მაგრამ ახლა შეტი გვიართებს. მთების კალთების დამუშავებას რომ დავამთავრებთ, მერე მდინარის პიტალი კალაპოტი გავაქვს გასაპტელი ორმოცი მეტრის სიღრმეზე. კამხალის ფენდაბენტიც ამოსაყვანად.

— მარტო მე რა შეაში ვარ? — მხრები აყარა კაპანაძემ.

— მაქსიმე, ნუ გვიკირს ჩემი შენიშვნა. მუშაობის ტემპი კიდევ უნდა გაიზარდოს, სხვებს მაგალითი შენ უნდა მისცე, — მხარზე ხელი დაჭრა ჭყონიამ და შერე ბრიგადირს მიუბრუნდა: — თანახმა ხარ, ამხანაგო ოთარ?

— ამ საქმეს მე წამოვიწყებ. — კუკური დაუკრა ბრიგადირმა.

— მაგრამ, ვმიშობ, ახლამაზოც გაუსწრო. გიორგობიანის ეს ბრიგადა ძალიან ძლიერია. — თქვა წამქვებულურად ჭარბაძემ.

მუშებმა სამუშაოს მამაურეს. ინჟინრები და პრაქტიკანტები უკან გამობრუნდნენ.

— ამხანაგო ვალდია, სულ ჭიჭიკო გიორგობიანის ბრიგადებს ასახელებთ, როგორც მოწინავეს. მართალია, მე და ჭიჭიკო ერთმანეთს ვეჭვებდებით, მაგრამ ერთმანეთისათვის ტოლი არ დავგიდევია. — წყენით უთხრა უფროსმა სამთო ოსტატმა უბნის უფროსს.

— ახლა რიც ნახე, როცა გიორგობიანთან არის, შენზე რას ამბობს. ორთვეს ერთმანეთს გაეჭობრებთ, ვერა ხდებობ, მაქსიმე? — გაეცინა ჭყონიას.

— ამ მთების კალთებზე, ვატყობ, მაგარი ბრძოლა გააჩლებული, — თქვა ნუნემ.

— ასეა ნამდვილად, ბრიგადები, ობიექტები და უბნები ერთმანეთს ეომებიან, მაგრამ ყველა იმარჯვებს, მარცხდებიან მხოლოდ ეს ბუმბერაზი მთები და შეუღრმეული კლდეები. — კერა დაღერა ჰარბაქემ.

— დღესანს მოიხდება ლოდინი? — კითხა გზაზე გამოსულ კაპანაძეს ექსკავატორის მემანქანემ, ნიკოლოზ კაპეიკინმა. მისი მანქანა მოშორებით იდგა და ქანების მონგრევას ელოდებოდა, რომ თავის საქმეს შესდგომოდა.

— ფოთქებადი მასალა უკვე იწყება, ოციოდე წუთში აფეთქება დაიწყება.

— ხომ ვითხარო, თასი, ძალიან მაღალია მთქვი დასამუშავებელი მონაცვეთი. აბა, იხედე ზემოთ, აქედან, მგონი, სამსი პეტრიც იქნება ზემო წერტილამდე. — მიმართა ნუნემ თასის.

— პეტია. — უპასუხა ჰარბაქემ და შერე დასძინა: — ეს ამხანაგი — კაპეიკინი ექსკავატორის მემანქანეა. ისე უჩინოდ მუშაობს, ქანების მონგრევას ვერ ვასწრებთ.

— აფეთქებას, ალბათ, ვერ გავასწრებთ! — თქვა ჰუნიამ.

— ვერ ვასწრებთ, გიორგობიანმა ობიექტზე და ჩემთანაც ფოთქებადი მასალის ჩაწყობა მთავრდება. ამფოთქებლები უკვე აღვიღე არიან. — უპასუხა კაპანაძემ.

ყველანი მოფარებული ადგილისაკენ გაემართნენ.

ქალები გულისფანქვალთ ელოდნენ აფეთქებას, აინტერესებდათ, როგორი იქნებოდა ახლამკვრელადფლეთილი მთის კალთა.

ახლგაზრდა, წამოგარი გვირაბგამაყვანები საუბრობდნენ, ხუმრობდნენ, ქუჩარულად ქალებს უთვალთვალდნენ. მხოლოდ ჰარბაქეს არ ცილდებოდა სახიდან ოდნავ შესამჩნევი ღიმილი.

„თუ ეს ქალები ჩვენთან დარჩნენ, ბიჭებს გადაშირევენ“. ფიქრობდა ვალოდა ჰარბაქე.

სწორედ ამ დროს გაიხმა გიორგობიანის ობიექტიდან აფეთქების პირველი ხმა და მამინვე კაპანაძის ობიექტიც მიყვა. ორიოდ წუთს გაგრძელდა ერთიმეორის მიყოლი ქუხილი, როცა ხმაური მოწყდა, ყველა გამოვიდა საფარიდან. ზემოში მტრის კორიანტელი იდგა, ირგვლივ არაფერი ჩანდა. ექსკავატორის მემანქანეს, ნიკოლოზ კაპეიკინს გულზე ზელები დაეჭრა და მოთინებოთ ელოდა, როდის დაიწმინდებოდა მტრის სქელი ნისლი, რომ თავის საქმეს შესდგომოდა.

ნისლი რომ გაიფანტა, გამოჩნდა ნაფლეთებადქცეული მთის კალთა, ქვაბურები ამოყვებული იყო ქანების შეგებით.

— შეუღდეო საქმეს! — გასცა განკარგულება უფროსმა სამთო ოსტატმა.

ყველამ ობიექტს მიაშურა, რომ ახალი ნგრევა მოეშაადებინათ. კაპეიკინის მანქანა ფოთქობდა და მღვარი დინგი მონგრეულ ქა-

ნებში აურია. „ვოლა“ ტაბით აუყვა მთის კალთებზე დაეცილ გზატკეცილს.

მაღლივი კაშხლის მშენებლობის სამმართველო ამ ცოტახნის წინათ გვარზენიდან ენგურის მარჯვენა მხარეზე გადაიტანეს, მშენებლობას მიუახლოეს. იქ ადრე სოფელი ფოცხო იყო, ახლა მარჯვენა დასახლებას ეძახიან. პატარა ტაფობზე ერთმანეთზე მიყოლებით შენდება სამ-მოხსართულიანი კაბიტაღური შენობები. მალე მათი რიცხვი ისე გაიზრდება, რომ დასახლებას, ალბათ, დაბად მონათლავენ.

თასი და ნუნე სამმართველოს აივანზე გადამღვარიყვნენ. აქედან კარგად მოსჩანდა ერთიმეორეზე ტერასებად მოჭრილი მთები. ისინი ფუჭიდან მწვევალებამდე ტყეებით იყვნენ დაბურული.

— ნუნე აბა, გადახედე ზეობის იმ ნაწილს, სადაც საგუბარი მოეწყობა, რამოდენა სივრცეა! — თქვა თასიმ.

— ორასათმხოცი მეტრის სიმაღლის კაშხალი მილიარდამდე კუბურ მეტრს წყალს შეაგუბებს. ბუნებრივია, დიდი სივრცე დაიფარება წყლით. კარგი პროექტი შეუდგენიათ, მთის მდინარის ყინულოვით ცივ საგუბარში მხოლოდ კალმახსა და სხვა ძვირფასი გოჩის თევზებს მოამეღებენ. ამბობენ, აქ მოშენებული თევზი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ოცდახუთი პროცენტით დააკმაყოფილებსო. — დასძინა ნუნემ.

— ნუნე, ინსტიტუტს რომ დაეამთავრებთ, აქ წამოვიდეთ სამუშაოდ, რას იტყვი?

— ენახათ, რან ვეჩინებებს ახლანდელი პრაქტიკა.

აივანზე გივი ჰუნიამ გამოვიდა.

— მეორე უბანში მიედივართ, წამობრძანდით, ეს ობიექტიც ნახეთ.

ქალები გაყვნენ.

მეორე უბანი სამმართველოსთან ახლოს ირის, უბნის კანტოკასთან გაიარეს, მაგრამ მანქანა არც შეუჩერებოთ, პირდაპირ ობიექტისაკენ აიღეს გზა.

მშენებლები ეს უბანი ამ ორიოდ წლის წინათ არც იყო. აქ ყველაფერი თავისი პირველყოფილი სუნთქვით ცხოვრობდა. ახლა აღმოაჩნდა და ტექნიკის მიდამოსათვის სახე უცვლიათ.

სწორედ იქ, სადაც, კაცი იფიქრებდა, გზა, მშენებლობა და შრომა მთავრდებოდა, ასეული მეტრის სიმაღლეზე, თოქმის მთის მწვერვალზე, იგრობოდა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის ძალა და სიდიადე — მთა ჩვეულებრივი სიმშვიდით იდგა, მის მკერდში გაყვანილი ასათ მეტრზე მეტი კვეთის გვირაბი ყრუ გზაგონით კენსოდა.

გვირაბის წინ ქანების ნაყარი მოესწორებინათ, საყმაოდ მოზრდილ მოედანზე თავისუფ-

ლად მოძრაობდა სამშენებლო ტექნიკა. გვირაბიდან მოზრდილი ღეღე გამოდიოდა, მისთვის კალაპოტი გაეჭრა.

მანქანა ღელეზე გადავიდა და გვირაბში შევიდა. „კოლგას“ უჭირდა წყლიან გზაზე სვლა. ზუთასობად მეტრის გაელის შემდეგ იგი გაჩერდა. ჭყონიამ კარი გამოაღო და შეეკუთვნულ ხალხს გამოვლამარაჟა. უბნის უფროსი აჟაკი უგრეხელოძე და სამმართველოს მთავარი ინჟინერი ნოდარ ემხვარი რაღაცაზე კამათობდნენ. მერე ჭყონიად ჩაერთა საუბარში. მათი ლაპარაკი არ სმოწონდა, სამშენებლო ტექნიკის მოტორების გუგუნის სმენას აზრობდა.

— თუ ისურვებთ, გადმოხრჩანდით, დაათვალიერებთ აქაურობაც, — უთხრა ჭყონიამ მგზავებს.

აქ განსაცვიფრებელი იყო ყველაფერი: $11\frac{1}{2} \times 11\frac{1}{2}$ კვადრატის გვირაბის ჭერი და გვერდები ასობით მეტრზე უკვე დაებეტონებინათ. ერთმანეთზე იყო მიწყობილი პაერმიწოდებელი და წყალგადამქანი ვეებერთელა მილების სხვადასხვა დანადგარი, მრავალგვარი მათულ-გაყვანილობა, სამშენებლო მანქანები და საშენი მასალა გარკვეული წესრიგით განვლავებინათ; მაგრამ აღაშინებდა მაინც ფრთხილად მოძრაობდნენ. სიარულს იატაკზე გაფანტული წყლის გუბებზეც აძნელებდა.

ეს უბანი გვირაბის სამი ნაწილის მშენებლობას აერთიანებს. პირველი, რომელიც უგზავრება მიწისქვეშ მოხდნენ, დამხმარე გვირაბია. მისი მშენებლობა კარგახანია დამთავრდა და ექსპლუატაციაში; მეორე ნაწილი წყალმომღები პორტალია. ამ გზით ენგური საწნეო გვირაბში უნდა შევიდეს, იგი უკვე გაყვანილია, მესამე მშენებლობა ჭერ მანქან არ არის დამთავრებული, პროექტით გათვალისწინებულ კვეთამდე ჭერ კიდევ ბევრი უკლია, მერე მოხდება მისი დაბეტონება. მესამე ნაწილია საწნეო გვირაბის მშენებლობა.

წყალმომღები პორტალიდან ენგური საწნეო გვირაბში შემოვა. დიდი წნევის ქვეშ მოქცეული მდინარე აქედან გვირაბის ცენტრალურ მაგისტრალში ვადავ. ამ გზით იგი ვალის რაიონის მიწისქვეშა ელსადგურისაკენ ვააკვლავს გზას.

მეორე უბანი, რომელსაც აჟაკი უგრეხელიძე ხელმძღვანელობს საწნეო გვირაბის მშენებლობაზე მუშაობს აქამდე მთელი ინტენსივობით. აქ, სადაც გვირაბის სამი ნაწილის შესავალ-გასასვლელი იყრიან თავს, სტუმარ-მასპინძლები ფეხზე იდგნენ და გულმოდგინედ ათვალიერებდნენ წყალთა შეყრის ვეებერთელა დარბაზს.

— ბევრი აკლია მშენებლობის დამთავრებას? — დაინტერესდა ნუნე.

— 1970 წლისათვის ყველაფერი მზად იქნება, ობიექტს საექსპლუატაციოდ გადავცემთ.

— 1970 წელს 12 თვე აქვს. — შენიშნა ემხვარა.

— დანიშნულ ვადაზე მზად იქნება — მიუგო ა. უგრეხელოძემ.

— პირველ ნახევარში?

— ღიბს, პირველ ნახევარში. ჩემი ბიჭები ამის ვარანტიას იძლევიან.

მართლაც, მეორე უბანზე რვა ბრიგადა მუშაობს, ყველა ისინი კომუნისტური შრომის საპატიო სახელს ატარებენ. მათი დიდი გამოცდილება და შრომის სიყვარული აძლევდა უფლებას უგრეხელოძეს ასე ამბოვდა მიყვარ პირობა სამმართველოს უფროსისა და მთავარი ინჟინრისათვის.

ქალები განცვიფრებული იყვნენ მიწისქვეშა ნახევრის სიღრმით.

ასეთივე მეტრის სიმაღლეზე, სიანეთის მიუვალ მთების გულში გაყვანილი ეს ნახევობა გამარჯვება და ზეიშა აღაშინებს გონებისა და ფიზიკური ძალისა. მთელ სიგრძეზე ხელოვნის ხელით ნაქრწივით სუფთაა იგი, ნაგებია პრობორციების ზუსტი დაცვით. ამიტომ, ერთი შეხედვით, საუფრენებისათვის ნაგებ სიღამა-ზისა და სიღრმის მებღს უფრო ჰაკვს, ვიდრე თვალთა ხედვისათვის მალე დასაფარავ ნაგებობას. და, როცა ამას წარმოიდგენ, გული გწყდება — ნუთუ აღაშინებს გონებისა და შრომის გამარჯვების ასეთი ნაყოფი ორიოდ წლის შემდეგ თვალს უნდა მიეფაროს!

ქალებს უძნელებდობათ ტინის იატაკზე გაფანტული წყლების გაელა თვალს არ აცილებდნენ ელექტროქსელის გაყვანილობას, სავერტილატო მილზე, პნევმატურ დანადგარებს, მათულ-ტრაქტორებით დაქსელულ ჭერს და ფრთხილად მიიწევდნენ წინ.

მანქანა უკან მიჰყვებოდა, ინჟინრები გზადანაგზა შეხვედრილ გვირაბგამყვანებს ესაუბრებოდნენ. ჭერი ჭერ კიდევ არ იყო დაბეტონებული, მალე იმ ადგილას შეჩერდნენ, სადაც რკინის ქარგის აწყობა მიდიოდა, რომ გაეგრძელებინათ ჭერის დაბეტონება, საიდანაც მიწისქვეშა წყლების ღვართქაფი მოდიოდა.

— გვირაბის მიმართულებით დაქანება ძალიან დიდაა, მიწისქვეშა წყლების გადაქანება ძნელი ხდება, — თქვა უბნის უფროსმა, როცა ახლადგაყვანილი გვირაბის სიღრმეში შევიდნენ, და ქალებს მიმართა: — ამის იქით ფეხით სიარულს ვერ შეძლებთ, მანქანაში ჩაბრძანდით.

ჭერიდან მონადენი თავსება მანქანის სახურავზე ხმაურით ედინებოდა, თითქოს ქვეშ უშენდნენ. მძლავრი პროექტორების შუქზე გამოინდა, როგორ წმენდდა ავტოდამტვირთველი მანქანა მონგრეულ ქანებს. ლაბადაშოსხმული გვირაბგამყვანები მუხლადღე წყალში იდგნენ, მათ რუხინის ჩქმები იცავდა. ერთი მათგანი სხვებს გამოეყო და ინჟინრებს მოეგება, ქალე-

წყის სამართლიანი, კეთილმოწყობილი სახლების მშენებლობა. ყოველთვის კარგად უნდა იქნებოდეს ემატებოდა და შიის ბატარა სოფელი თანდათან იზრდებოდა.

თვამებტინიანი სამართლიანი სახლები სოფლის ოდასახლების, ბარაკებისა და შიის მშენებლების ფონზე საოცრად ლამაზ კონსტრუქციას ქმნის. და ახლა, დაბაში რომ შეხვალთ, თვალწინ გადაგვლებათ ქალაქური ტიპის დასახლება, კეთილმოწყობილი ქუჩებითა და ყვავილოვანი გაზონებით.

ენგურის მშენებლობის დაწყების ხმამ მაშინვე შორს გადწია და მალე ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა კუთხიდან დაიძინენ მშენებლები სამხრეთისაკენ. აქ ჩამოვიდნენ ბრატსკის სახელოვანი მშენებლები თავიანთი ტექნიკით, მათ შორის ყველაზე მეტი მძღოლები იყვნენ. ისინი ბრატსკზე ვალმოხდელ ოცდახუთონიან მანქანებს მართავენ.

ძალიან უძნელდებოდა დონბასელ ინჟინერს, აბესალომ მამულაშვილს შეიდი წლის შეგვეყვებოდა მეგობრების მოშორება, მაგრამ გული მშობლებთან მიწაწაღებულ წამოწყებული სმელო-შვილი საქმისაკენ მოუწევდა, და გულს ხომ ვერ უღალატებდა! უარეს დღეში იყო ტატანა ვასილენკა, მისი მშობლიური კუთხე დონბასი იყო, საქართველოსთან მის მშობლად ქმრის მშობლებთან ოჯახი აკავშირებდა, ისიც ამფოთებდა, რომ უკვე კარგად მოწყობილი ოჯახი უნდა ენერგია. მაგრამ რა ექნა, ქმრისათვის ანგარიშის გაწევა აუცილებელი იყო და ბავშვებსაც მშობლიურ ენაზე აღზრდა ესაჭიროებოდათ.

1965 წლის ივნისში ცოლ-ქმარი სამსახურიდან გაათავისუფლდნენ. საბოლოო ანგარიში მიიღეს, საოჯახო ნივთები კონტინერით ზუგდიდისაკენ გაგზავნეს და თვითონაც გამოემგზავრნენ.

— კი მაგრამ, შენ დარწმუნებული ხარ, ჩველა თუ არა საქართველოში, სამსახურს ვიშოვიო? — ვითხა ტატანა ვასილენკამ შეუღლდეს.

— ვიშოვიო. და თუ მაინცდამაინც მალე არ აღმოჩნდება ადგილი, დროებით ჩემს მშობლებთან, სოფელში, ვიცხოვრებო. თუმცა, არა მგონია, ამოდენა მშენებლობაზე ჩვენთვის ადგილი არ აღმოჩნდეს. — დაამშვიდა იგი აბესალომმა.

და, აი, შახტმშენებელი ინჟინერი, დონეცკის შახტის ყოფილი უბნის უფროსი აბესალომ მამულაშვილი, თავისი მეუღლით, ენგურის მშენებლობის სამმართველოში გამოცხადდა.

დიდი გამოცდილების მქონე ინჟინერი დაბასათებდა და რეკომენდაციები არ დასჭირვებია. იგი მაშინვე მიიღეს მაღალი კაშხალის მშენებლობის მოსამზადებელ სამუშაოებზე უფროს სამთო ოსტატად. რა ვუყოთ, რომ დონბასში უბნის უფროსი იყო და აქ თანამდებო-

ბით დაბალო რანგი მისცეს და ხელუფლებაზე დაენიშნა. ამაზე წინასწარ ესაუბრა სამმართველოს უფროსი, მაგრამ აბესალომმა უარი წუთითაც არ შეყოყმანებულა.

— ვიცო, უკეთესი თანამდებობა გვეჭირათ დონბასში, მაგრამ ჭრჭერობით მეტა შესაძლებლობა არა გვაქვს, მალე შესაფერისი თანამდებობას გამოვინახავთ... გულს არ დავწყვეტო. თქვენი მეუღლეს გვირამაშვებელია, მაგრამ, ვფიქრობ, უკეთესი იქნება ბინათმშენებლობაზე იმუშაოს ჭვარზენში. ხომ არ ვაგვიპირდებით? — მიუბრუნდა იგი ტატანა ვასილენკას.

— რა ვიცო, ბინათმშენებლობაზე არასოდეს მიმუშავებია და... — არა უშვავს, მალე ამ საქმიანობასაც შეეწყობით. ჭრჭერობით სხვა ადგილი არა გვაქვს იმუშავეთ, გეთაყვათ, სამუშაოს მწარმოებლად ბინათმშენებლობაზე. იცით რა... გულახდილად გეტყვით, არც ვირჩევთ მიწისქვეშა სამუშაოს ჩვენს მთებში.

— კარგი, თანახმა ვარ, მაგრამ ბირველ ხანებში მუშაობა რომ გამძინდელდეს... — ქალმა წინადადება არ დაამთავრა, სამმართველოს უფროსი მიუხედა.

— ჩვენგანაც მხარდაჭერისა და დახმარების იმედი გკონდეთ. ბინად სადა ხართ?

— ჭრჭერობით სასტუმროში, ორ-სამ დღეში ბავშვებს სოფელში წაგიყვან, ჩემს მშობლებთან, და შერე, ალბათ, ბინას მოგვეცემო.

— ბინით ახლავე დაგაკმყოფილებთ, — დაამშვიდა სამმართველოს უფროსმა აბესალომმა და მაშინვე გასცა განკარგულება ჭვარზენში ბინის ორდერის გამოსაწერად.

ინჟინერმა მამულაშვილმა მარტო ცოდნა და გამოცდილება კი არ უჩვენა მშენებლებს, მისმა ორგანიზაციულმა უნარმა მალე მიიპყრო ხელმძღვანელთა ყურადღება და, ორი წელიც არ იყო გასული, უბნის უფროსად დაწინაურეს.

1968 წლის ივნისის ერთ მშენებელ საღამოს აბესალომ მამულაშვილი სასტუმრო ოთახში იყდა, თავისი დონბასელი მეგობრის გვერდით. მასპინძელი სტუმრის ენგურის მშენებლობასა და მშენებლებზე ესაუბრებოდა.

სტუმარი დონბასელი იყო, მეუბნებო ინჟინერი, იგი წლების მანძილზე მუშაობდა მამულაშვილის უბანზე, თანაც ერთ სახლში ცხოვრობდნენ, მეზობლებად.

ელადიმერ სტეპანიჩი — ასე ეძახდნენ სტუმარს — ახალ ოთახში ისვენებდა. ამ შემთხვევით ისარგებლა და ჭვარზენში ეწვია მეგობარ ოჯახს.

მოულოდნელი იყო სტუმრობა. მასპინძელმა გულთ გაიხარეს, როცა მუდამ მხიარულმა ელადიმერ სტეპანიჩმა მათი სახლის ზღერბლს გადაახიჯა და ორივე ცოლ-ქმარი გულში ჩაიყრა. ერთი დღით მოსული სტუმარი, ავტო მხე-

მე დღე იყო ჯვარზენი იმყოფებოდა და მამულაშვილები მაინც ვერ ელუოდნენ. დილიდან საღამომდე მშენებლობის ობიექტებსა თუ სხვა ადგილებში დაატარებდნენ. ხეალ დილით სტუმარი გამგზავრებას აპირებდა და აბესალომმა გადაწყვიტა მისთვის ენგურბესის მშენებელ მეგობარმა ვიწრო წრე მოეწვია გასაცნობად. ახლა სტუმრების მთლიანად ისინი ჩქარობდნენ, ერთმანეთისათვის უთქმელი არაფერი დარჩენილიათ.

— აქამდე არ ვიცოდი, რომ ენგურბესი საბჭოთა კავშირის უდიდესი, უნიკალური მიწისქვეშა ელსადგური იქნება. წელიწადში ხუთმთხევარი მილიონი კილოვატსათი — ეს ზემოთა საქმე არ არის! რა კარგი ვეწინი, რომ გინახულეთ. ძალზე კმაყოფილი ვარ, მეგობარო. — გულლიად ამბობდა ვლადიმერ სტუმანიანი.

— გრანდიოზული იქნება, გრანდიოზული, ჩვენი ქეისი. მიწისქვეშა ელსადგურის სიმძლავრე მილიონობისას ათასი კილოვატსათით გაზისაზღვრება. ამის გარდა, სამი მიწისზედა ელსადგურიც უნდა აიგოს, მხოლოდ უფრო მცირე სიმძლავრის. ჩვენი ქეისი ბევრად გადაჭარბებს საქართველოში ამჟამად მოქმედ ყველა ელსადგურის სიმძლავრეს. მშენებლობა გრანდიოზულია, მაგრამ ეს კი არ არის მთავარი, თვით მშენებლობის სირთულეა მწელდასაძლევი.

— შერე, ხომ არ გაშინებთ ეს სიძნელე?

— არა, ჩვენ მას დავძლეეთ!

ოთახში სტუმრად მოწვეული ცოლქმარი შემოვიდა. მამამძებლა მეგობარი შემოსულთ გააცნო, და, რადგან დონხასელთან საუბრის გამგრძელებლები გამოჩნდნენ, ბოლოში მოიხადა და გავიდა.

საუბარი ზღადაცანობილებს შორის მალე აიწყო, მერე მათ სხვებიც მოემატნენ.

ზარის უწყვეტი ხმა გაისმა და ოთახში შემობარბა აწვეულმა დათომ, ასე ეძახდნენ ახალგაზრდა ინჟინერ დავით ბერაიას, ენაქვი-მატიანობისა და ენამოსწრებულობის გამო. მას თითქმის არასოდეს ემატიებოდნენ და არც იყო საჭირო, ყოველთვის და ყველგან სასურველ სტუმრად ღებულობდნენ. სახლისა და გულის კარებს ფართოდ უღებდნენ.

— ო, დათო მოვიდა, წყეული დათო! — გაისმა ერთდროული ხმები.

დათოს შეაკაცო არ დასჭირებებია სტუმრის გასაცნობად.

— ისტორიული მშენებლობის ისტორიული მშენებელი, სამი და გასათხოვარი, თვითონ უცოლო, ინჟინერი დავით სოფრომის ძე ბერაია. — წარუდგინა თავი სტუმარს.

საქმიანი საუბრის ატმოსფერო უცებ შეიცვალა.

— როგორაა საქმე, თუ იცით, სადილი მზად არის? — შემოსვლისთანავე ახმაურდა დათო.

— შენებური უხამსი არაფერი თქვა. — შენიშნა ერთმა.

— არა, გვეციები შენს სიღვრეს.

— აბა, ენა! უკვე დაიწყო!

— ნუ ღელავ, ეს დარეებით, ჩანან მსტდერტი მე არ მეყოლება, — უღარდელაქ! ტმამებსა დათომ.

ყველა გაისმა ზარის ხმა. სტუმრებს დიასახლისი შეხვდა. მან სიხარულით მიიღო სამმართელოს უფროსი ვეიი ჭყონია, მთავარი ინჟინერი ნოდარ ეშვარი და მათი თანმხლებნი. სტუმრებს შორის ნუნუ და თაისიყ იყვნენ. დიასახლისმა ბოლიში მოიხადა, რომ სამმართველო ტანსაცმლით შეხვდა საპატიო სტუმრებს.

— მაგავ ბოლიშს ნუ მოიხდით, ქალბატონო ტატინა. ეისრეებდი, ყოველთვის ასეთ ფორმაში, ესე იგი სუფრის გაწეობის სამზადისში მენახათ. ვეიი, მაშინ პურ-მარილი არ ამცდება, და ამას რა სჯობია! — ყველას დაასწრო დათომ.

— მზარეულობა ჯერჯერობით მანდაშიაინც არ მიგარკა. ქართული კერძები ვერ გამოძღის კარგი. — მკვეთრი რუსული აქცენტით უბასუხა დიასახლისმა.

— რა წარმოსადგვი, რა მშვენიერი ქალი!

— ალტაცები ჩაუჩურჩულა თაისიმ ნუნუს.

— ეს ჩვენი დონეკელი მეგობარია. მისი და ჩვენი ოჯახები სულ ერთად იყო. ახლაც არ ვიციცებთ ერთმანეთს. და, არ, გვესთუმრა კიდევ. — დასძინა დიასახლისმა, როცა დონეკელი მეგობარი სტუმრებს წარუდგინა.

დიასახლისი გახარებული იყო, მისი ოჯახის რუსი და ქართველი მეგობრები სუყარულით შეხვდნენ ერთმანეთს.

ტატინა სამმართველოს დაუბრუნდა. საუბარმა ფართო ხასიათი მიიღო. ყველა ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, ახლოს გაეცნო სტუმრისათვის მათი საყვარელი მშენებლობა.

— ნამეტანი ლამაზი ფერებით მოხატეთ თქვენს შრომასა და მშენებლობას, ისედაც მოხიბლული აქეთრი ხალხითა და ბუნებით, უარს არ ვიტყოდი, ოჯახიანად აქ გადმოვსახლდე. — გულწრფელად თქვა სტუმარმა.

ოთახში შემოიჭრაღა ორი გოგონა. ისინი მკლავებგამოლილი გაიქცნენ დონეკელი სტუმრისაკენ და მუხლებზე დაუსკუბდნენ. ბავშვებმა საერთო მხიარულება შემოიტანეს.

გოგონები ლამაზები იყვნენ. კახტა მოქნილი ტანითა და თეთრი, ლამაზი სახის ნაკეთებით ისინი ღელვას გაედნენ, თაღისსფერი თმბოც დედისა ჰქონდათ, მამისაგან შავი თვალები და ფართო შუბლი მიეღოთ მეგვიდრეობით. ერთი შეხედვითვე იტყოდით, რომ ეს ბავშვები დები იყვნენ.

— ეთერი, ხომ გახსოვს დონეკი, დეიდა ვალიენტინა და იგორი? — ეკითხებოდა სტუმარი უფროსი გოგონას.

— ო, როგორ არა, ძალიან შენატრებიანი, მომავალ წელს უსათუოდ ჩამოგვიყვანეთ, უსა-

თოდ, — ეტიკეტებოდა ბავშვი ელდმერ სტეპანისს.

გ. ჭყონიამ შეამჩნია ნუნუ და თიისი ცნობისმოყვარეობით რომ უცქეროდნენ ყველას და ყველაფერს.

— ეს ოჯახი სამი წელია ვადმოვიდა აქ, ქალი რუსია, განათლებით სამთო ინჟინერი, ჩვენთან მუშაობს, მაგრამ არა თავის პროფესიით, დაბის ბინათმშენებლობაზეა სამუშაოს მწარმოებლად. აქ რომ ჩამოვიდნენ, არც მან და არც ბავშვებმა ერთი დღერი ქართული სიტყვაც არ იცოდნენ, მაგრამ აი, ზომ ხედავთ... უფერი უკვე მესამე კლასში გადავიდა, ქართულ სკოლაშია, — უთხრა გივი ჭყონიამ ქალებს.

აბესალომის შემოსვლამ საერთო ჟრიაშული გამოიწვია, მან, უმირგვლეს ყოველისა, ბოდინი მოიხადა სტუმრებთან, დათომ კი ტაში შემოქცა და ამით გამოხატა მოახლოებული სადილისათვის მზადყოფნა.

— ტატიანა ვასილევა, ახლა კი დროა სუფრა გაიშალოს! — გასძახა სამხარეულოსკენ აბესალომმა.

ჭყონიამ პრაქტიკანტი ქალები წარუდგინა მასპინძელს:

— ჩვენი პრაქტიკანტებია, მისი უკვე ვეღარაა, პარაკე ამ ქალიშვილებსა და ამხანაგებს... — მან მთავარ ინჟინერს გადახედა, — თქვენს უბანში ვაივლიან პრაქტიკას. თქვენ ზომ წინასწარ დამეთანხმეთ ამაზე, წინააღმდეგი, ალბათ, არც ახლა იქნებით. — მიუბრუნდა ჭყონია ქალებს.

— თიისი! — თავისდაუნებურად აღმოხდა აბესალომს, სინამ ქალები პასუხს ვასცემდნენ. — თქვენ ჩემთან პრაქტიკაზე?!

— გიკვირთ? რამდენიმე წელი გამოვიდა, ავადმჯობური შევებულემა მჭონდა, დამაგვიანდა... ბედმა მაინც არ აშკადინა თქვენს ცოდნასა და გამოცდილებას, — სვალები გაუბრწყინდა თიისის.

— როგორ, თქვენ იცნობთ ერთმანეთს?! — იკითხა ჭყონიამ.

— დიას, მე რომ შევედი ინსტიტუტში, პრაქტიკული აბესალომი უკვე ამთავრებდა, ჩემს მეზობლად ცხოვრობდა...



ხაშურის რაიონის მზრომელთა მონაწილეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში (1917-1921 წწ.)

თებერვლის. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებამ (1917 წ.), როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც გამოაცოცლა რევოლუციური მუშაობა. კომუნისტები რამდენადმე განათავიუფლდნენ პოლიციელთა დევნიდან. დაიწყო ბოლშევიკური უჩრდების აღდგენა, მის გაგრძელებას მშრომელთა შემოკრება. როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „...თველ მილიონობით დაბნელებულმა ხალხმა გამოიღვიძა და პოლიტიკას დაეწაფა...! გაძლიერდა პროპაგანდა რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე — სოციალისტურ რევოლუციამდე გადასვლის ლენინური თეორიის განხორციელებისათვის.

ხაშურის რაიონში ბოლშევიკური უჩრდების აღდგენის საქმეს სათავეში ჩაუდგა რევოლუციონერი გრამიტონ მოწონელიძე, მან აღადგინა რეაქციის წლებში გაუქმებული ბოლშევიკური უჩრდები ამიერკავკასიის რეინიგზის ხაშურის სახელისწილი, ნოქრებში და რაიონის ზოგიერთ სოფელში.

1917 წლის 6 აპრილს, როგორც მენშევიკების განუთი „ერთობა“ იტყობინება, ხაშურის მენშევიკურმა ორგანიზაციამ სოფ. მოხისში მოიწვია 20 სოფლის წარმომადგენელთა კრება. კრებაზე უნდა იერჩიათ აღმასრულებელი კომიტეტი და სხვა მოხელე პირები. კრებაზე მენშევიკებმა მოუწოდეს გლეხობას, მხარი დაუჭირონ ახალ მთავრობას (გლეხისხმება ესეკა მენშევიკური მთავრობა, ვ. გ.) ამ კრებაზე გლეხობა საბოლოოდ დაიწყუნდა, რომ მენშევიკების გამოსვლეში სხვა არა იყო რა, გარდა მოტყუებისა და მევირადა ფრანგებისა.

რევოლუციური მასებისათვის ცხადი გახდა, რომ მენშევიკები იბრძოდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის წინააღმდეგ, ისინი შოითხოვდნენ სოციალურ-დემოკრატიული საკითხის გადაჭრის გადაღებას დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. წინადადებას აძლევდნენ მუშებს, ხელი აეღოთ კლასობრივი ბრძოლის ისეთ ბასრ იარაღზე, როგორც გაფიცვა, და შოითხოვდნენ გადაუჭრელი დეტოვებინათ მსათთან საშემო დღის საკითხიც კი.¹

თვით მენშევიკური განუთი „ერთობა“ ვერ მალავს მენშევიკების გამოსვლების გამო ხალხში გამოწვეულ უკმაყოფილებას და წერს: „კრებაზე გამოსვლებით უკმაყოფილო ხალხი გაიბზოდა — არა, არ შეგვიძლია, ჩვენ რუსეთის ვერ დავმორდებით, რასაც რევოლუციური რუსეთის ხალხი მოიპოვებს, ჩვენ ის გვინდა.“²

ხაშურელმა მენშევიკებმა, რომლებიც ხაშურის რაიონის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით გამოდიოდნენ, ხალხში საამუშაოდ დაგზავნეს თვინითი გაწინილ პროპაგანდისტებ, შთ მზარს უჭერდა მისალოვის (ხაშურის) რეინიგზის მენშევიკური მუშათა დეპუტატების საბჭო. ეს ორი პოლიტიკური ორგანიზაცია ატარებდა სოფლად მართვა-გამგეობის რეორგანიზაციის, ისინი ამყარებდნენ ხელდაუდნენ, რომ არ შეეძლოთ პოლიტიკური დასაყრდენი და სოფლად აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში იჩრეოდნენ მველ

1 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ. 1957, გვ. 376.
2 გაზ. „ერთობა“, 1917, № 20.

ნაირალებს, იმ ადამიანებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას.

ამ არჩევნებით გამოწვეული უმაყოფილების შესახებ ოთხი მენშევიკური გაზეთი „ერთობას“ მოჰყავს უცმყოფილო გლეხთა ნათქვამი: „ჩვენ რა ვიკოდით, ჩვენ ეინ გვეითხა. ჩვენ როდის დავგისწრეს, ისე აირჩიეს“¹ და სტ. უცმყოფილო გლეხობის ზეგავლენით მენშევიკები იძულებულნი შეიქმნენ სოფ. ალისა და ქვეშეთის სასოფლო საზოგადოებაში ხელახლა ჩაეტარებინათ არჩევნები. მართვა-გამგეობის ძირფესვიანად შეცვლა მოითხოვეს ხაშურის რაიონის სხვა სოფლებშიც.

რაიონის გლეხობა მიწის მოითხოვდა და მიწის მიცემა კი მენშევიკებს არ შეეძლოთ, ისინი მხარს უჭერდნენ მიწაზე ყერძო საკუთრების დატოვებას. მენშევიკების ვეცლა ცუდა, თავი დაეღწიათ აგრარული საკითხის გამო შექმნილი მძიმე მდგომარეობისაგან, უშედეგოდ მთავრდებოდნენ.

1917 წლის 25 ივნისს მენშევიკებმა კვლავ მოაწვიეს ხაშურში ახლო სოფლების კრება. მიწის საკითხზე მოხსენება გააკეთა მენშევიკმა ნ. იმეიშვილმა. მან ბევრი ილაპარაკა „გლეხთა განთავისუფლებაზე“, „საწარმოო ძალების განვითარებაზე“, მაგრამ კონკრეტულად ამასრა გლეხობისათვის მიწის მიცემაზე, თუმცა საკითხი მიწის შესახებ იყო დამყნებული. გლეხებმა როცა განაცხადეს „ჩვენ მოვიბოვებ მიწას, მიწაზე ყერძო საკუთრების მოსპობას“, ორატორი დადრთხა და თავისი სიტყვა ასე დააბოლოვა: „თქვენ მრუდე გზით მიდისხართ“.² საერთოდ, ქართველი მენშევიკები, ისე როგორც ყველა სხვა საკითხში, აგრარულ საკითხშიც ენერგულად უჭერდნენ მხარს დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას და ურჩევდნენ გლეხებს მეკამელებთან კონფლიქტები მოეგვარებინათ შეთანხმებით, მომრიგებელი კომისიების საშუალებით.³

რაიონის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. მუშებისა და გლეხების ამ ისტორიულმა გამარჯვებამ უღელდესი გამარეოლუციონერებელი გაელენა იქონია ქართველ ხალხზე. ოქტომბრის რევოლუციამ, — წერდა ი. ბ. სტალინი, — ერთი დავკრით ვადატრიალა ყველა ურთიერთობა და დააყენა მშრომელი კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხი. ლოზუნგი „მთელი ძალაუფლე-

ბა მუშებსა და გლეხებს“ მეხიეთ გაფართოვდა ჩვენს ქვეყანაში და ფეხზე დააყენა ჩაგრული მასები“.⁴

რსლმ ხაშურის ბოლშევიკური ორგანიზაცია, ხაშურელი მშრომელთა სახელით, მხურვალედ მიესალმა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, მაგრამ როგორც მთელ ქართველ ხალხს, ისე ხაშურელ მშრომელებსაც კარგად ესმოდათ, რომ რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით ყველაფერი არ დამთავრებულა. კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას ვერ კიდევ შრავალი საშუალება ჰქონდა რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამის შესახებ ვახეთი „ბრძოლა“ წერდა: „...ბრძოლა მედგარი, ბრძოლა სასტიკი და დუნდობელი მხოლოდ ახლა იწყება... ამ იმპერიალისტურ ომში ათაიასობით ამოიკეცა, შინ შიმშილით და სიცივით ფიზიკური გადაშენება, ან იარაღით ხელში კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის დამარცხება და ხალხის საქმის ხალხისავე ხელით გაყვება“.⁵

მენშევიკები დარწმუნებული იყვნენ, რომ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ბოლშევიკურ პარტიას თანაგრძნობდნენ, და ამიტომ უნდობლობას უცხადებდნენ მათ, ირთმევდნენ იარაღს და ათარდებდნენ მენშევიკურ გვარდასს. ხაშურის არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციაში დაისვა საკითხი შეიარაღების შესახებ.

1918 წლის 4 თებერვალს ხაშურში თავი მოიყარეს სოფლებიდან ჩამოსულმა დემობილიზებულმა ჯარისკაცებმა. ისინი შეეკრბნენ შილიციის წინ და იარაღი მოითხოვეს. „იარაღი სამშობლოს დასაცავად გვესაჭიროება და ჩვენ უნეტ მოვიხმართ, ვიღერ თქვენი გვარდიელები“, — განუცხადეს მათ მენშევიკების შილიციის უფროსს. ამ ოპერაციას სათავეში უდგნენ ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრები სოვრატ და ფილაშინ ვიგიტაშვილები, ვანო კორკოტაძე, ვერვმ ჩაღუნალი, არჩილ ქალიაშვილი, ვანო ლომსაძე, ალექსანდრე ბუნიაშვილი, ვანო ძაძაძა, ისიდორე ლომიძე და სხვები. მათი ხელმძღვანელობით ვანაიარდეს საგუშაგოზე მდგარი შილიციელები და საწყობიდან გაიტანეს 1700-მდე შაშხანა.

ამ ფაქტს გამოეხატა მენშევიკების ვახეთი „ერთობა“. მისი კორესპონდენტი პროვოკაციის უწოდებს იარაღის გატაკებას, მაგრამ ვერ მალავს, რომ მენშევიკების უზადრევი შილიციაც და გვარდიაც უძლური აღმოჩნდა ორგანიზებული მასების წინაშე. აი, რას წერს იგი: „4 თებერვალს დილის 9 საათიდან ხალხმა იწყო დენა სხვადასხვა სოფლებიდან. ხაშურში ჩამოსულთა რიცხვი 600-ს აღემატე-

¹ გაზ. „ერთობა“, 1917, № 30.

² გაზ. „ერთობა“, 1917, № 93.

³ ი. მირცხულავა, ოქტომბრის რევოლუცია და აგრარული გლეხური საკითხი საქართველოში (1917-1921 წლები), თბ., 1965, გვ. 28.

⁴ ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 57.

⁵ გაზ. „ბრძოლა“, 1917, № 23.

ბოდა. უმრავლესობას შეადგენდნენ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, რომლებიც დემავოვია-პროვოკაციით ადღეუბდნენ „ბრბოს“. „ბრბო“ შეგვეფუძა საბჭოს არსენალთან და დაეინებინათ შოთაბოფა იარაღს. ხაშურის რაიონის თავდაცვის კომიტეტის წევრებმა კორაიამ და პარტიიმ სთხოვეს ხალხს აერჩიათ თავიანთი წარმომადგენლები მისილაპარაკებლად, რაზედაც დთანხმდნენ. აირჩიეს თითო სოფლიდან ორ-ორი კაცი და დაიწყეს მოლაპარაკება სოციალ-დემოკრატთა კლუბში.

„ბრბო“ არ დაელოდა მოლაპარაკების დამთავრებას, შეამტვრია 282-ე უფის ღრუთინის არსენალის კარები და გაიტაცა იარაღი.

1918 წლის 12 თებერვალს გორის მაზრიდან შობასენებდნენ თბილისის გუბკომს, რომ მოკლეს ოქონის აღმასკომის წევრი. იმის გამო, რომ ხაშურის რაიონის გომის უბანზე გამეფებულა „ანარქია“, მკვლელო ვერ აღმოაჩინეს. როგორც საარტიფო ლოკუმენტებიდან ირკვევა, მკვლელობა ჩადენილ იქნა იარაღის გატაცების მიზნით.¹ ამავე წლის 1 ივნისს სოფელ ფლუვის მახლობლად მოკლეს მენშევიკთა მილიციელი და აართვეს იარაღი.² შშრკომელი გლეხობის შეიარაღების და აჯანყებისათვის მხადების საქმეს ბიძეს აძლედა მემამულეებისა და თავადებისადმი მენშევიკური მთავრობის მოხელეთა მხარდაჭერის პოლიტიკა. მენშევიკური მთავრობა საშუალებას აძლევდა ნაირალებს — მემამულეებსა და თავადებს ძველი „ავალი“ ამოღონ გლეხობისაგან. ამის შესახებ ხაშურის რაიონის გომის თემიდან წერდნენ მენშევიკური პარტიის ც.კ.-ს: „ყოფილი მემამულე ამირეჯიბი გლეხებს ახდევინებს დალას იმ მამულისათვის, რომელიც მას ადრე ეკუთვნოდა, ამ საქმეში მას ეხმარება მენშევიკური სასამართლო“. ამავე წერილში აღნიშნულა, რომ აჯარბული კომისია მიწების მიზომვის დროს მეტრთამეობას ეწევა.³

ფართოდ გიშალა გლეხთა მოძრაობა მიწისათვის, მაგრამ მენშევიკთა მიწის რეფორმას, რომელიც ფაქტიურად მოტყუება იყო, არ შეეძლო გლეხთა მოთხოვნის დაკმაყოფილება. ბოლშევიკები განუმატრადენდნენ აჯანყებას, რომ მიწის რეფორმის განხორციელება და მემამულეების ალაგმვა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო. საინტერესო ფაქტს ასახელებს გზ. „ერთობა“ სერამის რაიონში „საადგილმამულო რეფორმის“ გატარების შესახებ: „ის იყო კომისია უნდა შესდგომოდა საქმეს, მას ყვირით წინ გადაეღობა წყალობა ხაჩიძე შეილებითურად და მტკარით მიმართა: „თქვენ

თავადების კომისია ხართ და ვნახათ როგორ ჩაიბარებთ მამულებსო“. ამის შემდეგ მოტყუება გლეხებს კომისია ვაერკება და მხილავლებსისათვის იარაღი აეყარათ, მაგრამ ვერ შესძლეს, წყალობა ხაჩიძე მიიღე არ ცხრებოდა და გაიძახოდა: „დაიცათ თქვე ბურჯებო! ავერბოლ შევიკები მოვლენ და ვიგინებენ სერას“. ამის შემდეგ წყალობა ხაჩიძე შეილებითურად დაატესალეს და სამაზრო კომისიაიტიში ვაგზენეს“.¹

გლეხთა მოძრაობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო სოფ. ხცისსა და ოსიაურში და 1918 წლის ივნისში შეიარაღებულ აჯანყებად გადაიზარდა, ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და ხაშურის საორბულმავლო დეპოს მუშები. აჯანყებულეებმა დაიკავეს სოფლის კანცლარები და შემდეგ ხაშურზე გაილაშქრეს, აჯანყება სათანადოდ ორგანიზებული არ იყო, მთავარი გაიანდათ საერთო ოცენობით საბარბოლო იარაღი და მენშევიკთა გვარდიამ შეძლო მისი ჩაქრობა.

მენშევიკები მხეტურად ვაუსწორდნენ ხცისსა და ოსიაურელ აჯანყებულეებს, გამოიყენეს და სასამართლოს ვაერმე დახერბეს მათი აქტიური მონაწილენი, მშრკომელი ხალხი ვერ შეაშინა რეპრესიებმა და კიდევ უფრო მუდროდ დაიარაზმა ბოლშევიკების ირგვლვარეოლუციის აწვირთებას ხელს დაწყოდა და აჩრბედა ფრონტიდან დაბრუნებული ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცების დიდი ჯგუფი. ისინი სათავეში ჩაუდგნენ აჯარბულ მოძრაობას და მოითხოვდნენ მიწის საკიობის რეოლუციურად გადაწყვეტას. მშრკომელთა ფართო მასებს ხაზრში ამოუდგნენ ახალგაზრდები, რომლებმაც ხაშურში შექმნეს ახალგაზრდობის მებრბოლო ორგანიზაციი „სპარტაკი“.² მის მუშობას დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს „სპარტაკის“ ცენტრალური კომიტეტი „სპარტაკის“ ორგანიზაციები ხაშურში შეიქმნა პ. ცირეკიძის, გ. დევიდარიანისა და აშასის (ამირბეგვის) ხელმძღვანელობით 1919 წლის მაისში.³

ხაშურში შექმნილი „სპარტაკის“ ორგანიზაცია სწრაფად იზრდებოდა, სულ მალე 200-ზე მეტ ახალგაზრდას ავირბინებდა. სწორედ ამ პერიოდში საქართველოში მზადდებოდა შეიარაღებული აჯანყება ხაშურის ბოლშევიკების კომიტეტიმ სერობოლუ დავალენებმა მისცა კომევირბის; საჭირო იყო იარაღის შოვნა, დაიწყო ახალგაზრდობის რაზმების შედგენა შეი-

¹ გზ. „ერთობა“, 1918, № 145.

² ხაშურულ რეოლუციონერთა, მოგონებანი, ტ. 3, გვ. 261.

³ გ. ვანია, საქართველოს კომევირბის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1964, გვ. 23.

¹ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1947, ან. 1, ს. 227, ფ. 20.

² იქვე, ფურცილო 22.

³ საქ. სსრ ცსა, ფ. 1825, ან. 1, ს. 109, ფ. 91.

რადებული ახალგაზრდები თავს ესპოდნენ მენშევიკთა გვარდიელებს, ართმევდნენ მათ იარაღს და აიარალებდნენ ბოლშევიკთა რაზმებს, ვაზალებდნენ მენშევიკური წყობილების დასამხობად.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის უბადრუტი სექციონების შედეგად, იმის შედეგად, რომ მათ ვერ შესძლეს წესრიგი დაეყარებინათ ქვეყნის შიგნით, დღით-დღე იზრდებოდა უკმაყოფილება ქართველ შრომელთა და ჯარის ნაწილებს შორის. დიწყო დეზერტირება მენშევიკური არმიის რიგებიდან და გაიწყობისადმი თავის არიდება ახალწვეულთა მიერ. თა, რას წარდა ამის შესახებ სამხედრო მინისტრი საქართველოს მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარეს, 1919 წლის 17 თებერვალს: „იმ მიზნით, რომ შევსებულიყო ლაშქარი... ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეულ იქნენ 1896-1898 წლებში დაზარალებული მოქალაქენი. მიუხედავად ამისა, რომ გაწვევა დანიშნულ დროზე უფრო ადრე დაიწყეთ, სანახევროდაც არ სრულდება გაწვევის ნორმა... კასპულიის ტერიტორიაზე ორივე სქესის ქართველნი ცხოვრობს 1.700.000 კაცი, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აქედან 2 პროცენტზე ჯარში უნდა იქნეს გაწვეული ე. ი. 34.000 კაცი. ფაქტიურად გაწვეულია 11.016. მცხოვრებნი გაწვევას უპასუხოდ შეტყდნენ. ახალწვეულნი ცხადდებიან მცირე პარტიზად 3-10 კაცამდე და არა განსაზღვრულ დროს. ბევრი სოფლებიდან ახალწვეულები სრულიად არ ცხადდებიან. არ იცნება კართი მშვიდობიანობის დროის შტატამდამდე გამო ჩვენ ვერ შევძლებთ მტრისგან თავდაცვას. ეს უველაფერი გამოწვეულია, — დასაცვის მინისტრა, — რესპუბლიკაში გააფხვებული ანარქიითა და სამოქალაქო აღმინისტრაციის მოუწყობლობით“¹.

მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება, რომელსაც ქართველი ბოლშევიკები ამზადებდნენ, უნდა დაწყებულიყო ოქტომბრის რევოლუციის მეორე წლისთავზე, 1919 წლის 24 ოქტომბერს, ღამით. აჯანყების ხელმძღვანელობისათვის ზაშურის რაიონში ტუბ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოგზავნა ზაშურ აიდაროვი, ა. ლომიძე, ჭეჭელაძე, მათიკაშვილი და სხვები.²

1919 წლის სექტემბერში სურამში ჩატარდა ზაშურის სარაიონო პარტიული კონფერენცია, რომელმაც აირჩია რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა და მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. ერთი კვირის შემდეგ ამ კომიტეტის სხდომაზე დამტკიცდა სამხედრო-ტექნიკური

კომისია, რომელსაც უნდა მოეწყო შეიარაღებული აჯანყება ზაშურის რაიონში. კომისიაში შედიოდნენ: ვ. ელბაძე, ვ. ქუჩუაძე, ს. კახანაძე და ჯარში მომუშავე ამხანაგები — ა. შინდრაძე და ცხოვრებაშვილი. კომისიამ შეიმუშავა ზაშურის აღების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული იყო ლიანდავის აჯრა და ორთქლმავლების ჩაგდება სადგურ ვომასა და ლიხთან, რათა გზა შეეკრათ როგორც თბილისიდან, ისე დასავლეთ საქართველოდან მენშევიკების დამხმარე ძალებისათვის. ამის შემდეგ ყოველი კუთხიდან ზაშურში უნდა შესულიყვნენ ბოლშევიკების შეიარაღებული რაზმები. უნდა აეღო მენშევიკთა გვარდიის შტაბის ყველა დაწესებულება, გამოეცხადებინათ საბჭოთა ხელისუფლება ზაშურის რაიონში და შემდეგ მთლიანად გორის მაზრაში. საბოლოო დირექტივების მისაღებად რაიონმა თბილისში თავისი წარმომადგენელი გაგზავნა.³

ბოლშევიკების ზაშურის რაიონულმა კომიტეტმა აჯანყებისათვის მზადების პერიოდში ხელში ჩაიგდო მენშევიკური გვარდიის იარაღის საწყობი სურამში, გამოიტანა იქიდან ისობით თოფი და დურითა გულხთა რევოლუციური რაზმებს. ზაშურის რაიონში გულხთა შეიარაღებულ რაზმებს ოპერატიულ ხელმძღვანელობას უწევდნენ ბოლშევიკების მიერ აღში, ხტონში, აელეში, ოსიაუჭასა და გომში შექმნილი რევოლუციური შტაბები. აჯანყების მოწყობისათვის რაიონში შეიქმნა აჯანყების ორი მძლავრი კერა: ერთი, მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზეისის აჯანყებულ გულხთა ცენტრი (შტაბის უფროსი ზ. აიდაროვი) და მეორე, მტკვრის მარცხენა მხარეს, ალი-კვირთხევის აჯანყებულ გულხთა ცენტრი (შტაბის უფროსი ა. ლომიძე). აჯანყების ორივე ცენტრი აერთიანებდა 3.000-მდე შეიარაღებული გულხთა გარდა ამისა, აჯანყების პატარა ცენტრები იყო ახალდაბაში (150 კაცი) და ქვეშეთში (100 კაცი). აჯანყების მხარდასაჭერად მომზადებული იყვნენ აგრეთვე ზაშურის სავაფონო და საორთქლმავლო დეპოს მუშები.

შემუშავებული გეგმის თანახმად აჯანყება ზაშურის რაიონში 24 ოქტომბერს დაიწყო. მაგრამ იმის გამო, რომ ცენტრიდან მიღებულ იქნა ცნობა აჯანყების გადადების შესახებ, ზაშურზე შეტევა აჯანყებულ მუშებსა და გლეხებს აღარ განუხორციელებიათ, აჯანყების შეჩერება კი შეუძლებელი შეიქნა (აჯანყების გა-

¹ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 11, ს. 312 ფ. 3-11.

² მარტისიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 26, ს. 2, ფურ. 251.

³ შ. ბერუაშვილი, ეტრნ. „მნათობი“, 1965, № 2, გვ. 108.

¹ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1861, ან. I, ს. 308, ფ. 1.

² საქართველოს სსრ ცსა, ფ. 2417, ს. 66, ფ. 1.

დაღების მიზეზი, როგორც ცნობილია, ის იყო რომ თბილისში მენშევიერმა მთავრობამ დააბრუნა აჯანყების ხელმძღვანელო სამხედრო-რევოლუციური შტაბი.

მენშევიებმა სასწრაფო ზომები მიიღეს აჯანყებულთა წინააღმდეგ. მათ კატეგორიულ წინადადება მისცეს ვორის მახარის კომისარს, პიელო გადაპტერი ზომები და დაეპატიმრებინა აჯანყების მეთაურები. ხაშურელ გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად მენშევიების მოაზრობამ დამა დიდძალი ჯარი, ცუდად შეიარაღებულ შეამბოხეთა წინააღმდეგ გალაშქრეს მენშევიური კავალერიის რეგულარულმა ნაწილებმა, არტილერიამ, ქვეითმა ჯარმა და ჯანდაბანა-მატარებელმა.¹

ხცის აჯანყებულებმა (1.700 კაცი) მენშევიურ ჯარებს შეაგებეს ძლიერი ცეცხლი. ბრძოლა, რომელიც 8-9 ნოემბერს დაიწყო, 14 ნოემბრის დღამდე გაგრძელდა. 14 ნოემბერს შეამბოხეთა წინააღმდეგ გამოიყენეს ქვეითი ჯარი, რომელსაც ხელს უწყობდა მტკვრის მარცხენა მხრიდან ჯგუფიანი მატარებლის არტილერია. შეამბოხებებს მოუხდათ ბრძოლა რიცხობრივად უარბ ძალებთან და დაიწყეს ხცილიან უკანდახევი ტუსიაცენ. უკან დახევის იცავდა ზ. აიდაროვი შეამბოხეთა პატარა ჯგუფით. უკან დახევის დროს აიდაროვი აფრთხილებდა ადგილობრივ მოსახლეობას, არ გამოსულაყენენ სახლებიდან, რათა აეცილებინათ ზედმეტი მსხვერპლი. მტერმა სოფელ ჭარულზე შემოვლით შეჭრა უკან დასახევი გზის გადაჭრა შეამბოხებისათვის, დაატყვევეს აჯანყების შტაბის უფროსი ზ. აიდაროვი და აჯანყების აქტიური მონაწილენი.²

მენშევიეები დაკითხვის დროს სანტიკად სცემდნენ ზ. აიდაროვს, როცა ჰკითხეს, არის თუ არა ბოლშევიკი, მან ამაყად უპასუხა: „აიხა, მე ბოლშევიკი ვარ“. მენშევიკმა ჯალბაში სასწრაფოდ მოაწყეს სამხედრო-სავლელ სასამართლო. აიდაროვს მიესაჯა დახვრება. 15 ნოემბერს, ნაშუადღევს იგი გამოიყვანეს საჯინიდან. საცობლის უკანასკნელ წუთებშიც კი აიდაროვს თავი ამაყად ეპირა, დახვრეტის წინ მან შემდეგი სიტყვა წარმოთქვა: „მე მუშა ვარ და მოვკვდები მუშათა საქმისათვის. მაგრამ ჩემი სისლი უშედეგოდ არ დაიკარგება. ჩემს შავკერ შურს იძიებენ ჩემი კლასობრივი ძმები. გულმარჯოს კომუნისმს!“ შემდეგ მან ხმადალა დაუმატა „ხელა მე მზად ვარ, მესროლეთ!“ ზ. აიდაროვი ჯალბაში გააფრთხილეს ზურგიით შებრუნებულიყო, მაგრამ უარი განაცხადა და ტყვის თვლი გაუსწორა. მენშე-

ვიკმა ჯალბაში დახვრეტეს ზ. აიდაროვი და მასთან ერთად აჯანყების სხვა მონაწილენი. დატყვევებული 60-მდე აჯანყებულნი, ერთმანეთზე თოყიბთა ვადაბმული, ხაშურის მენშევიკ-გვარდიელთა შტაბში გახაზენეს, სოფლებში ამოქმედნენ დამწყელი რაზმები.³

დამწყელი რაზმების თარეშს სოფ. ხცისში საზღვარი არ ჰქონდა. ისინი ცეცხლითა და მიხვლით უსწორდებოდნენ აჯანყებულ გლეხებს. წყვედნენ მათ სახლ-კარს, სოცდლით სვიდნენ ყველას, ვინც ხელში ჩაუეარდებოდათ.

ხაშურში მენშევიეთა ჯარების დიდი კონცენტრაციის გამო მტკვრის მარცხენა მხარეს აჯანყებულთა შტაბში თავი იჩინა უთანხმოებამ. ეს გამოიწვია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესუსტებამ. ამით ისარგებლეს მენშევიეებმა და მოაწყვეს შეთქმულება აჯანყების ხელმძღვანელთა მიმართ. შეთქმულებმა დამით ვერაგულად მოკლეს აჯანყების მეთაურები: ი. ლომიძე, გ. ბეკოშვილი და ა. ფილიშვილი.

მენშევიეებმა გლეხთა აჯანყების მეთაურთა გვამები ურმით ხაშურში ჩამოიტანეს და ცენტრალურ მოედანზე დაყარეს (გვამები სამი დღის განმავლობაში ეყარა მოედანზე). ეს მზაკრობა მენშევიეებმა ჩაიდინეს ხალხის შესაშინებლად. ამ ამავეს სიხარულით გამოგზავნა მენშევიეური გავითი „ერთობა“. მან გლეხთა აჯანყების მეთაურები „ხანდიტებად“ და „უჩინალებად“ გამოაცხადა. გავითი წერდა: „ცნობა მივილით, რომ „ხანდიტებში“ განხეთქილებმა მოხდა. ეს გამოიწვია გვარდიელების მიერ (მენშევიკ-გვარდიელები) „უჩინალოა“ მოძრაობის ლიკვიდაციამ. გარდა ამისა, გლეხობა დარწმუნდა, რომ მათ ატყუებენ და ამიტომ მოკლეს მეთაურები: „უჩინალები“ არსენა ლომიძე, გ. ბეკოშვილი და მესამე უცნობი.“⁴

ასე ხატავდა მენშევიური გავითი მომხდარ ფაქტს, სინამდვილეში კი გლეხთა აჯანყების მეთაურები მოკლეს არა გლეხებმა, არამედ მენშევიკმა ჯალბაში.

აჯანყების დამარცხების შემდეგ გამხეცებულმა მენშევიეებმა დაატყვევეს და დახვრეტეს მარცხენა მხარის გლეხთა აჯანყების აქტიური მონაწილენი: ეფრემ ჩაღუნელი, ვანო კორკოტაძე, არჩილ ქალაშვილი, ბესარიონ თბილაშვილი, მთბილისში ავლაბის ხიდაშ მოასწრეს და მოკლეს ხაშურიდან გაქცეული ლენტო გიჩილიაძე, ბეგრი დაპატიმრებული გაიხაზენა ციხეში. ხაშურელ გლეხთა აჯანყების ბერი აქ-

¹ გაზ. „ერთობა“, 1919.

² გაზ. „ერთობა“ 1919, № 262, გაზ. „გაზარდების გზით“, 1966, № 125, (იეტორს გამოყენებული აქეს საარქივო დოკუმენტები).

³ გაზ. „ერთობა“, 1919, № 269.

⁴ იქვე.

⁵ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1938, ან. 1, ს. 422, ფ. ფ. 71-72.

ტიური მონაწილე ჩრდილო კავკასიაში გაიქცა და წითელი არმიის ნაწილებს შეუერთდა თეთრ-რევოლუციონერების წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდგომში ისინი ბრძოლდნენ ამ XI არმიის რიგებში, რომლის დახმარებითაც საქართველოდან განდევნეს მენშევიელები. XI არმიის ნაწილებს ხაშურში შემოჰყენენ ტატე ბუხჩი-ტივი, ილიქსი მანსტრამე და მრავალი სხვა სამხრეთი რევოლუციონერი.¹

არქივში შემონახულია მენშევიეური მთავრობის წინააღმდეგ 1919 წლის გამოსვლების ხელმძღვანელთა სიები. სულ დასჯილთა სიაში შეტანილია 52 კაცი, აქედან ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე მოქმედებდა 39. სიკვდილით დასჯილ 5 კაციდან ზუთივე ხაშურის რაიონის მხრებელთა გამოსვლების მეთაურობდა.² ვარდა ამისა მენშევიეების თარეშის მსხვერპლი გახდა მტკვრის მარცხენა მხარის აჯანყებულ გლეხთა შტაბის სამი ხელმძღვანელი. ეს ფაქტები ერთ-ერთ კიდევ მიუთითებენ იმაზე, რომ ხაშურის რაიონს წამყვანი ადგილი ეკავა გორის მხარის რევოლუციურ მოძრაობაში.

1919 წლის აჯანყების დამარცხების შესახებ ფ. მახარაძე წერდა: „ბოლშევიეური მოძრაობა საქართველოში, მიუხედავად ამისა, რომ მას ხალხს ფართო მასებში ღრმა ნიადაგი ჰქონდა, კვლავ დამარცხდა. ამისთანავე ორგანიზაციები დაიშრა, თითქმის ყველა აქტიური მომხმევე ან დახვრტილი იყო, ან სატრუსალოში იჭდა. მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ ხალხი გაუტყდებოდა და ქედს მოიხრდიდა მტარვლების წინაშე, მაგრამ ეს არ მოხდა. მენშევიეების სიმშვემე და ქალაქობამ ხალხი ერთი მხრით კიდევ უფრო აღმშრომა და შეორეს მხრად, კიდევ უფრო გააქაჯა. მას იმედი ჰქონდა, რომ ახალი გამოსვლების დროს ის უსათუოდ გაიმარცხებდა...“³

გლეხთა ეს დიდი მოძრაობა ხაშურის რაიონში რკინიგზური მეშვების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა ხაშურში საკმაოდ დიდი იყო. მარტო ხაშურის რკინიგზის საწარმოებიდან პროფკავშირული ორგანიზაციაში გაერთიანებული იყო 2.000 მუშა. ამ ფაქტს ცხადყოფს საქართველოს პროფესიულ კავშირთა პირველი ყრილობის ოქმები, სადაც აღნიშნულია, რომ ყრილობის წინ (1919 წლის მარტი-აპრილი) საქართველოს პროფკავშირებში გაერთიანებული იყო... ხაშურიდან 2.000 მუშა.

მუშათა მდგომარეობა ხაშურში, როგორც

მთელ საქართველოში, კვლავინდებურად ადტი-ნელი იყო. 1919 წლის ოქტომბერში საქართველოს რკინიგზელთა II ყრილობაზე არა ერთმა დალევატმა აღნიშნა, რომ რკინიგზის ხაშურის რაიონის (მუშაობდა 2152 კაცი) „მუშა-მოსამსახურეთა ნიეთიერი მდგომარეობა აუტანელია. 8 საათიანი სამუშაო დღის ცხოვრებაში გაუტარებლობა დიდ უკმაყოფილებას იწვევს მვისრებებსა და კონსტრუქციებში... დიდი უკმაყოფილებაა დარაყუბს შორის, რადგანაც მათ, თანახმად № 17 ბრძანებისა, დღეში 12 საათს უხდებთ მუშაობა.“⁴

მენშევიეების ბატონობის წლებში კვების პრობლემების დასების ზრდამ კიდევ უფრო გაუთარესა მუშათა კლასის მდგომარეობა. დავცა ფულის სყიდვითი უნარიანობა. მუშას საშუალება არ ჰქონდა შეეძინა ტრანსპორტი, ფეხსაცმელი და ავეჯი. მუშის ბიუჯეტი იმდენად მცირე იყო, რომ იგი კვებაზე მინიმალურ მოთხოვნისაც ვერ აკმაყოფილებდა.

ამ ამბავს ვერ მალავდა თვით მენშევიეური გაზეთი „ერთობაში“. 1919 წ. გაზეთი წერდა: „წარმოებაში ნახშული მუშებო ქრონიკულ გაჭირვებას განიცდიან... მათი მდგომარეობა უნდევნოა... მუშას ხელფასი მარტო პურის ფულად არ ჰყოფნიდა. მუშის თანამედროვე მდგომარეობა აშხადებს ნიადავს უკმაყოფილებისათვის და, ერთი შეხედვით, გაფიცვები ნორმალურ მოვლენად ეჩვენება საზოგადოების ერთ ნაწილს.“⁵

1920 წლის მარტის მეორე ნახევარში საქართველოს სამრეწველო საწარმოებში გახშორდა საგაფიცუო გამოსვლები, რომლებმაც მეტად მასობრივი ხასიათი მიიღო. გამოსვლები მოიწინააღმდეგებოდა ბოლშევიეების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ამ გამოსვლათავე აღსანიშნავია ხაშურის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა, რომელიც 22 მარტს ჩატარდა. მასში 700-მდე კაცი მონაწილეობდა. გაფიცულებმა წამოაყენეს ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნები. მაგრამ დეპოს აღმინისტრაციამ და რკინიგზის პროფკავშირების ცენტრალურმა გამგეობამ გაფიცვას მხარი არ დაუჭირეს და დეპოს მუშა-მოსამსახურეებს მოუწოდეს განეახლებინათ მუშაობა. მიუხედავად ამისა, გაფიცვა ორგანიზებულად ჩატარდა. თითქმის მთელი დღის განმავლობაში შეწყვეტილი იყო მატარებლების მიმოსვლა და მუშაობა დეპოში.⁶ ხაშურის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვას

¹ ვახ. „გამარცხების გზა“, 1966, № 125.

² საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1938, ან. I, ს. 422, ფ. ფ. 71-74.

³ ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარცხებისათვის საქართველოში, 1917-1921 წლებში, 1927, გვ. 147.

⁴ მ. ჩიჯიშვილი, მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში (1917-1921 წ.წ.), თბ., 1965, გვ. 53.

⁵ ვახ. „ერთობა“, 1919, № 84.

⁶ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1825, ან. I, ს. 109, ფ. ფ. 45-48, და ვახ. „რკინიგზელი“, 1920, № 17.

გამოცხადებულ საქართველოს სატრანსპორტო მრეწველობის მუშები, რომლებმაც მოითხოვეს გაფიცულია წინადადების დაკმაყოფილება.

სოციალურ საბჭოელო დოქტრინიდან ირკვევა, 20 მარტს ზამურის საორთქმელო დეპოს მუშათა კრებამ აირჩია საფაფიკო ბიუროს მ. კაისის შემადგენლობით. ბიუროს შემადგენლობაში შედიოდნენ: დ. ლეკვაძე (თავმჯდომარე), ბ. მერტრეველი, ნ. მუყაწინიშვილი, კ. პაპუაშვილი, ი. ნოზაძე, ლ. მანგვალაძე, ბ. ფოცხვერია და ვ. ელიაშვილი.¹

რბინიზის პროფსინდიკატის მუშებმა ცენტრალური კომიტეტის დახმარებით შეწყვიტეს გააქვრებს რეპრესიული ზომები, მათ ხაშურის მუშათა გაფიცვის ბევრი მონაწილე პროფკავშირიდან გაიყვანეს და სამუშაოდან დაითხოვეს. დასჯალა შორის, ვარდა საფაფიკო ბიუროს წევრებმა, იყვნენ: ა. ბაბილოვი, ი. ბარბაქაძე, ვ. ვაგვი, დ. ლონკაიშვილი და სხვები.²

ზამურის ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრები, ვარდა იმისა, რომ აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ რაიონის შიგნით, აქტიურად ეხმარებოდნენ შეზღუდული რაიონების ბოლშევიკურ ორგანიზაციებსაც. მაგალითად, 1920 წლის ზაფხულში ახალციხეში მენშევიკურ არმიას ბოლშევიკური იდეების პროპაგანდასთვის დახურულ 12 ბოლშეიკს შორის ხაშურის ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრები იყვნენ პაულე ელიაშვილი, გიორგი კვიციანი, ლევანტი ლიპაძე, სოლო ნ. ხევალიძემ გაქცეული უწყველად თავს. ეს ფაქტი ერთდროულად კიდევ მიგვიჩვენებს ზამურის ბოლშევიკური ორგანიზაციის ძლიერებაზე.³

როდესაც აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, ზამურელმა მუშებმა მხარეაღი მისაღებად გაეგზავნენ აზერბაიჯანელ მშრომლებს. მისაღებაში ნათქვამია: „გილოცეთ საბჭოთა ხელისუფლების დიდი რუსეთის შემადგენლობაში. ახლა ჩვენთანაც იგრძნობა შუქი დიდი რევოლუციის“. აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიულმა გამარჯვებამ ახალი ძალა შემატა ქართველ მუშებსა და გლეხებს. 1920 წლის საბირველმაისი დემონსტრაცია წარმატებით ჩატარდა ხაშურში. დემონსტრანტები გამოვიდნენ ლოზუნგებით: „ძირს მენშევიკური მთავრობა!“, „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას ბოლშევიკების მეთაურობით“.⁴

1920 წლის 7 მაისს საქართველოს მენშევიკური

კურ მთავრობის ხელი უნდა გადაეხლებოდა მუშების დევნაზე და დაეშვა ბოლშევიკური ორგანიზაციების ლეგალური არსებობა და მოღვაწეობა, კრებების, გამოცემლობისა და პრესის თავისუფლება.¹

რუსეთის დიდებული ხელშეკრულების თანახმად, 1920 წლის 18 მაისს ზამურელ ბოლშევიკთა დიდი ჯგუფი ციხეებიდან და სამატი-მროებიდან დაბრუნდა.² ნაწილი კი, რომელსაც არალეგალურად უხდებოდა მუშაობა, იატაკქვეშეთიდან ამოვიდა, ვინაიდან ახალი ორგანიზაციული მუშაობა, ვინაიდან ორგანიზაციების ქსელი, მტკიცებოდა მუშებსა და გლეხებთან შიდა კავშირი. ამ ამბების შემდეგ მენშევიკები ხელისუფლების დაპყროვის ამკარა საფრთხის წინაშე დადგნენ. ამიტომ მათ კვლავ გააძლიერეს რეპრესიები ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ. ბევრი კომუნისტი დააპატიმრეს და ციხეებში გაგზავნეს, მარტო 1920 წლის ივლისში გორის სამხრობო ციხეში 166 კაცი ჩასვეს.³

კომსპარტიის მიზნით ხაშურის ბოლშევიკური ორგანიზაციის რეზიდენცია ზამურის ცენტრიდან გადატანილ იქნა სოფ. ტაშისკარში. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობდნენ გიორგი კალმახელიძე, ევგენი ბინიძაძე, კ. ბუნიაშვილი, ივ. ბინიძაძე და სხვ. ნ. მესხაძემ და ნ. ბაბაშვილმა უფერულად გატანეს ტაშისკარში ბოლშევიკების მიერ შეტანილი ცეცხლ-სროლიანი იარაღი. მთელ მენშევიკებმა იქაც მიაგნეს ბოლშევიკების კვალს. ვ. კალმახელიძე, ევ. ბინიძაძე და ნ. მესხიძე იძულებული გახდნენ ხარაგოულის რაიონში შეეფარებინათ თავი, კ. ბუნიაშვილმა კი მტკვრის მარჯვენა მხარის ტყეში მოძებნა ტატე ბუნიაშვილის რახ-ში და მას შეუერთდა.

1920 წლის ზაფხულში ზამურელ მშრომლებში ბოლშევიკური გავლენა მთლიანად გაბატონდა. მთუხედავად მენშევიკების ყოფილგარე რეპრესიებისა, ზამურის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის მუშაობაში ყველა ლეგალური და არალეგალური შესაძლებლობა გამოიყენა. იგი ვინაიდან და გადააქცა ძლიერ ორგანიზაციად, რომელიც მშრომელთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

1920 წლის 6 ივნისს ხაშურში კვლავ გაისმა ლეგალურად შეკრებილ კომუნისტური უჯრედების წარმომადგენელთა მიერ შემდგარი კონფერენციის ხმა. ეს იყო ნათელი გამოხატულება იმისა, რომ არ მომეცდარა და არც მოე-

¹ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1825, ან. 1, ს. 109, ფ. 49.

² იქვე, ფ. 50.

³ ზამურელ რევოლუციონერთა მოგონებანი, ტ. III.

⁴ ზამურელ რევოლუციონერთა მოგონებანი,

¹ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში, სტატიების კრებული, თბ. 1957, გვ. 51.

² საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1938, ან. 1, ს. 422, ფ. 87.

³ იქვე, საქმე 592, ფ. 66.

ვლება ის, რაც უკვდავია — კომუნისტური აზრი.

1920 წლის 15 აგვისტოს ზაშურის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით იტრიის ეკლესიისთან შედგა ხალხმრავალი კრება. კრებაზე ბოლშევიკები მოუწოდებდნენ, გაემთავრებინათ მეშაობა მასებში და ემზილებინათ მენშევიკური მთავრობის ანტიხალხური საქმიანობა. კრებაზე მიიღეს მიმართვა ზაშურის ახალგაზრდობისადმი, რომელიც მთავრდება და მოწოდებით: „ძირს საქართველოს მენშევიკური მთავრობა!“. „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას ბოლშევიკების მეთაურობით!“. ¹

1920 წლის ზაფხულში მენშევიკურ მთავრობას საკუთარი ჭარის ნაწილებიც კი გადაუდგა. მარტო 4 ივნისიდან 10 ივნისამდე ახალციხის მე-3 ბრიგადის საგანგებო სამხედრო სასამართლომ განიხილა მე-10 ქვეითი ოთხეულის ჭარისკაცთა და სახალხო ათასეულის გვარდიელთა საქმე, რომელნიც სასამართლოში იყვნენ მიცემული საომარი მოქმედების დროს ბრძოლის ველის თვითნებურად მიტოვებისა და უფროსთა ბრძანების შეუსრულებლობისათვის. სამხედრო საეცლე სასამართლოს გადაწყვეტილებით 350 კაცს მიესაჯა დახვრეტა. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 8 კაცის (ხელმძღვანელების)

მიმართ, დანაზღვნებს კი შეეცვალათ 12-15 წლის კატორღით. ²

1920 წლის ბოლოს ყველგან იგრძნობოდა, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობის დღეები დათვლილი იყო. მთავრობა, რომელსაც რევოლუციური ხიშტები ამოვრებდა, დიდხანს ვერ იარსებებდა. ასეთ ვითარებაში საქართველოში 1921 წლის 11 თებერვალს დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. მისი ხელმძღვანელობისათვის 16 თებერვალს შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება და დახმარებისათვის მიმართა რევოლუციის დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს, წითელი არმიის ნაწილებს.

ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებით წითელი არმიის ნაწილები, გ. ორჯონიძისა და ს. კირიის ხელმძღვანელობით, საქართველოს შსრომლებს მიეშველნენ. აჯანყებულ ქართველ ბაღბისადმი საბჭოთა მებრძოლების მძერი დახმარებამ კიდევ ერთხელ თვალნათლივ გამოავლინა რუსი და ქართველი ხალხების ისტორიულად ჩამოყალიბებული და განმტკიცებული მეგობრობა. წითელი არმიის ნაწილების დახმარებით 25 თებერვალს თბილისიდან განდევნეს მენშევიკური მთავრობა და დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

¹ ვაზ. „კომუნისტი“, 1920, № 5 (8 ივნისი).

² ვაზ. „გაუმარჯვების გზით“, 1958, № 21.

¹ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1938, ან 1, ს. 567, ფ. ფ. 12-15.



ი. ს. ტყეშელაშვილი XIX ს. ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში

XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ი. ს. ტყეშელაშვილის სახელი ცნობილი გახდა არა მარტო რუსეთში, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც და ამერიკაშიც. შემდეგში მწერლის ავტორიტეტი სწრაფად ვაზარდა და დასავლეთის მრავალმა გამოჩენილმა მწერალმა იგი თავის მასწავლებლად აღიარა. სტუდენტებიდან ხსნიან ტყეშელაშვილის ამ წარმატებას მკვლევარები: ზოგი ფიქრობს, რომ მკითხველთა გულის დაპყრობის მიზეზი ტყეშელაშვილის ნაწარმოებთა უბადლო პოეტური ფორმაა, ზოგი ამ მიზეზს ნაწარმოებთა მძაფრ სოციალურ პრობლემატიკაში ხედავს. XIX ს. ქართულ მკითხველს ბოძავდა როგორც ფორმა, ისე შინაარსი, მაგრამ განსაკუთრებით სამშობლოსადმი ის უფაქიზესი და უღრმესი გრძნობა სიყვარულისა, რომელმაც სული ჩაბერა ტყეშელაშვილის მთელ შემოქმედებას. მას არ შეეძლო სიცოცხლე რუსეთის გარეშე, ამისა მისი ზენდირება და ტრაგედია. ასე მძაფრად განცდილი ეროვნული ტკივილები ენათესავებოდა დამონებულ პატარა ერების გრძნობებს.

ი. ტყეშელაშვილმა დაანახვა მკითხველს რუსეთის XIX საუკუნის სოფლის კლასობრივი დიფერენციაცია და სოციალური წინააღმდეგობა. „მონადირის ჩანაწერებში“ ფაქტები ისეა მოცემული, რომ მკითხველი ერთადერთ სწორ დასკვნამდე მიდის: ბატონყმურ ურთიერთობაზე დამყარებულ საზოგადოებრივი წყობა უნდა მოსპობს, რადგან ასეთი წყობა ფიტავს ხალხის მატერიალურსა და სულიერ შესაძლებლობებს, თუკი ამას გავიხსენებთ, გასაგებია გახდება ის დიდი ინტერესი, რომელსაც ქართველი საზოგადოება იჩენდა ტყეშელაშვილის შემოქმედებისადმი.

ეს ინტერესი ჩანს ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების—ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, რაფ. ერისთავის, ანტ. ფურცელაძის, ან. თუმანიშვილის, ეგნ. ნინოშვილისა და სხვათა ნაწარმოებებში; ეს ინტერესი შელავნდება ჩვენი XIX საუკუნის პერიოდის ფურცელაშვილს, სადაც სხვადასხვა ხასიათის წერილებში ტყეშელაშვილის ლიტერატურული პერსონაჟები ხშირად არიან მოხსენებული.

სიმონ ჭუმბურიძე თავის მოგონებაში ეგნატე ნინოშვილზე ამბობს, რომ „განსვენებულს ძლიერ უყვარდა მოთხრობებში ტიპების დაკვირვება და აწონ-დაწონვა. ის უფრო გაიტაცა ტყეშელაშვილის, ტოლსტოის, გოგოლის და დოსტოევსკის თხზულებებში. ტყეშელაშვილის ნაწარმოებში ძლიერ მოსწონდა მოთხრობა „მამები და შვილები“. მას აკვირვებდა ბაზაროვის სულიერი ძალა, ენერჯი, აჩაქის სისუსტე, ბედოელათობა“.¹

როგორც ჩანს, ტყეშელაშვილს ქართულ მწერლობაზე უშუალო გავლენაც მოუხდენია, სახელდობრ, ზოგიერთი ქართველი მწერლის ლიტერატურულ სტილზე. ეგნატე ნინოშვილი, მაგალითად, საინტერესო ცნობა მოპყავს ამ საკითხთან დაკავშირებით. თავის მოგონებებში ილია ჭავჭავაძეზე იგი წერს: „ჩემი მოთხრობა „რომანი დიდებულნი“ მიუტანე კეკეს, ს. მესხის მეუღლეს, ეურნალ „ივერიაში“ გადასაცემათ...“ შემდეგ, როდესაც იგი კვლავ მისულა მესხთან, გაუგია ი. ჭავჭავაძის ნათქვამი მისი ნაწარმოების შესახებ: „უთუოდ მაგ ქალს ზებირად აქვს დასწავილილი ვიქტორ ჰუგოს რომანები, რომ მაგვარად მიუღწევია იმის სტილის მომგზავსე-“.

¹ ეგნ. ნინოშვილი, ტ. III, 1935 წ., გვ. 152.

ბაო... — მიქელაძემ რაღა სთქვა? — შევეციოთხე კეკს... — მიქელაძემ? აბა მიქელაძე ვის დავთანხმებდა! იმას ყოველთვის თავისი აზრი უნდა ჰქონდეს! — ვიქტორ პიუგოსი კი რა მოგახსენო, მაგრამ ტურგენევის კი თითქმის «რადიშიაც მიბაძასეს». აზროვნებაში თუ სულიერ შეთანხმებაშიო¹.

შესაძლებელია მართლაც მოინახოს ზოგიერთი ქართველი მწერლისა და ტურგენევის შემოქმედებაში მსგავსი ელემენტები, მაგრამ ამგვარი საკითხები უნდა გადაწყდეს ნაწარმოებთა იდენტურ-სტილისტური ანალიზის, ხანგრძლივ და გულდასმითი დავიკრებისა და შედარების შედეგად. მგავლობად, ა. ფურცელაძის ზოგიერთი ლიტერატურული გამოცემის ტიპიური „ზედ-მერთ ადამიანის“ და აშკარად ენათესავება ტურგენევის გამოცემებს. ეს ნათესაობა განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ფურცელაძის რომანში „ეკა მართალთა“, რომლის პერსონაჟი მიშო პარიზის ბარაკებებზე კვდება სწორედ ისე, როგორც რუდინი. მაგრამ ახლა ამ საკითხს არ შევეჩვენოთ. ჩვენაში მიზანია გამოვარკვეოთ, როგორ გამოიხატება ტურგენევის პართული პრესა ტურგენევის შემოქმედებისა და როგორი შეფასება მისცა მას ლიტერატურულმა კრიტიკამ.

როდესაც ილია ქვიციავაძე ქართულ სინამდვილეზე რუსული ელტურის გავლენის ფაქტს აღნიშნავდა, იგი პროგრესულ ელტურისა გულსხობდა და აღნიშნავდა, რომ ყოველგვარი ელტურის ათვისება სასარგებლო არ იქნებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ტურგენევის შემოქმედების ქართული ლიტერატურული კრიტიკა, მშრომელი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, „საკუთარი კრიტიკის ქარცხენს“² ატარებს. დასავლეთ ევროპაში ტურგენევის თავყვანს სცემდნენ, როგორც უბადლო რომანისტი, რუსეთი ამავობდა თავისი სახელოვანი მწერლით, ქართველები მის შემოქმედებაში სოციალური ცხოვრების საჭირობოტოს საკითხების გადაჭრას ეძებდნენ. ქართველი მოწინავე საზოგადოება ტურგენევის ლიტერატურული შემოქმედების შეფასებაში რუსეთის მოწინავე აზროვნების ხაზს გაჟუვა. ქართველებს ამ ნაწარმოებთა სოციალური პრობლემატიკა, საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობათა დრმა ანალიზი აინტერესებდათ. გაზეთი „დროება“ ტურგენევე წერდა: „ფხვდაფხვ მისდევდა იგი ყოველს პერიოდს, რომელიც რუსეთის ცხოვრებაში გაიარა 1840-70 წლებში. ვინ არ იცნობს იმის სიტყვაპირილა რუდინს, მის ბაზაროვს, ინსაროვს და სხვ., ამ ტიპების დაბატვაში ტურგენევი იხენდა შესანიშნავ ხელოვნებას და აჩვენებდა, თუ რამდენად წაიწია წინ

რუსეთის აზროვნებამ, ან რა ცელილება მით, რისთვისაც მას უძახოდნენ „რუსეთის აზროვნების ისტორიკოსსა“³.

ტურგენევი ისეთ დროს ცხოვრობდა, რომ დესაც რუსეთისა და საქართველოს მოწინავე საზოგადოებას ერთნაირი სოციალური სატყვეარი აწუხებდა. 1861 წელს „ცესკარი“ წერდა: „შვედებური აზრის მქადაგებელი ვეღარ გამოდგება ახლანდელ დროში, ახალი აზრები მეფობენ ეტლა და საზოგადოებაც ამ ახალი აზრების მიხედვით უნდა მოიქცეს საზოგადო საქმეში“². ეს ახალი აზრები იგივე გლეხთა საკითხის ირგვლივ ტრიალებდა. ამასთან დავამიერებით მწერლობის წინაშე დასმული ახალი ამოცანების შესახებ ნ. ურბნელი ვაზ. „დროება“ წერდა: „სულ სხვა გზას დაადგინენ ის მწერლები, რომელნიც ასპარეზზე გამოვიდნენ შემდეგ 60 წ., ან ცოტა ადრე. დაბალი წოდება გლეხობა, — აბ ახალი შინაარსი, საგანი ლიტერატურული მთავარეობისა... ახალმა წესწყობილებამ უჩვენა მწერლობას, რომ ხალხის უმეტარესს ძალ-ღონეს შეადგენს მისი უმარადესობა, სწორედ ის წოდება, რომელიც აქამომდე, სხვადასხვა მიზეზების გამო, მოკლებული იყო კაცურს ღირსებას. ამ კაცურის უფლებას, ღირსების მქადაგებელი შეიქნა ახალი მწერლობა“³.

ი. ტურგენევისადმი ინტერესმა საქართველოში განსაკუთრებული სიძლიერით მწერლის ავადმყოფობასა და სიკვდილთან დაკავშირებით იჩინა თავი. ყველაზე ფართოდ ვაზუთი „დროება“ გამოეხატება ამ ფაქტს.

ბირველი ცნობა ტურგენევის ავადმყოფობის შესახებ ვაზუთმა 1883 წლის 14 აპრილს გამოაქვეყნა. აქედან მოყოლებული ვიდრე მწერლის დასაფლავებამდე და დიდხანს შემდეგაც, თითქმის ყოველ ნომერში ვხვდებით ცნობებს ტურგენევის ავადმყოფობის მიმდინარეობის, მისი ვარდაცვალების, საფრანგეთიდან რუსეთში გადმოსვენების, დასაფლავების თაობაზე. ამავე დროს ვაზუთში იხებდებოდა ტურგენევის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კრიტიკული წერილები. სხვადასხვა გამოცემაში ამ წელს დაიბეჭდა მწერლის თორმეტი ნაწარმოების ქართული თარგმანი. წერილებში ტურგენევი ყოველთვის ერთნაირად იხსენიება: „რუსეთის სახელოვანი მწერალი“, „განთქმული რუსი მწერალი“, რაც, სხვათაშორის, ხელს არ უშლის ჩვენს კრიტიკოსებს, რომ ტურგენევი გააკრიტიკონ იმ ნაწარმოებთა გამო, რომლებიც

¹ „დროება“, 1883 წ., 11/X, № 201.
² ვ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, ტ. 1, თბ, 1941 წ., გვ. 201.
³ „დროება“, 1883 წ., № 178, „ლიტერატურული კრიტიკა“.

¹ ვ. ვაბაშვილი, „მოგონებანი ილია ქვიციავაძეზე“. საქართველ. ლიტ. მუზეუმის „ლიტერატურის შტაინი“, 1940 წ., გვ. 124.

მით არასასარგებლოდ მიიჩნიათ. კრიტიკის ასეთი ჭანსალი ტენდენცია აშკარად ჩანს იმდროინდელ ქართულ პრესაში: ტურგენევი გამოცხადებულია დიდებულ მწერლად, მაგრამ აკრიტიკებენ იქ, სადაც საამისო მასალა ეძლევათ. შეიძლება ვთქვათ, რომ ქართულმა კრიტიკამ შეამჩნია ტურგენევის წინააღმდეგობანი მსოფლმხედველობას და შემოქმედებამში, თუმცა კატეგორიულად ეს ანტიწერილობაში ვერ გამოხატა. პეტერბურგისა და სხვა განათებიდან გადმობეჭდილი მასალებიც ტურგენევის შესახებ ისეა შეჩვენებული, რომ ტურგენევისადმი რუსეთის მმართველი წრეებისა და რუსი ხალხის სხვადასხვანაირ დამოკიდებულების ფაქტს უსვამს ხაზს. ერთი მხრივ მოყვანილია ცნობები, რომ პეტერბურგის ექიმებს ფული შეუძრებიათ ტურგენევის სახელობის ერთი სტაქენდის დასაბრუნებლად. ორიოლში ზრუნავენ მწერლის ძეგლის დადგმისათვის („დროება“, 1883 წ., № 190); ტურგენევის გარდაცვალების „შმაგმა მთელი რუსეთის საზოგადოება შეაძრუნა“ (№ 201); მწერლის „დასაფლავებას 40000 კაცზე მეტი დაესწრო, მეტი, ვიდრე დასტოვესის დასაფლავებას“ (№ 198); „მეცნიერებთა აკადემიის საზოგადო კრებას გადაწყვეტია. ივანე სერგის ძე ტურგენევის დამარხებაზე სამივე აკადემიის განყოფილებათაგან იყვნენ დეპუტაციები, რადგანაც იგი იყო წევრ-კორესპონდენტი აკადემიისა“ (№ 176). ერთი სიტყვით, მოყვანილია ცნობები, რომლებიც ამტკიცებენ რუსეთის ფართო საზოგადოებრიობის პატივისცემას ტურგენევის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, ყველაფერს ამას უპირისპირდება ასეთი ხასიათის ცნობები: „პეტერბურგელმა ფოტოგრაფმა შაბირომ თავის სახელოსნოს ფანჯარაში ტურგენევის სურათი შავთ შემოსილი გამოჰდინა... პოლიციას განკარგულება მოუხდინა... რომ შაბირომ ტურგენევის სურათი შავთ მოხილი აიღოს დაწერა“ („დროება“, 1883 წ., № 177); „ცენზურის ნება არ მიუცია იმ ცალკე ბროშურის გამოცემისა, რომელიც იწვევს რუსეთის საზოგადოებას შესწოროს ფული ტურგენევისათვის ძეგლის დასაფლავებად“ (№ 179); „რიაზანის ვიწმინდის მოწოდებებს განუბრახავთ ტურგენევის ბანაშვილის გადახდა, მაგრამ ამის ნება არ მიუციათ“ (№ 202) და სხვა. ჩვენი აზრით, ვახეთის რედაქცია ცდილობდა მოთხვევის შეგნებამდე მიეყვანა ის ფაქტი, რომ არსებობს ორი რუსეთი, რუსეთი ოფიციალური, რომელსაც ტურგენევი სძულდა, და რუსეთი რუსი ხალხის, რომელიც ტურგენევის თავის მწერლად სთვლიდა და რომლის სულისკვეთებას ქართული ხალხიც იზიარებდა ამისთან დაკავშირებით საინტერესოა ქალაქ თბილისის სახელით ტურგენევის დასაფლავებაზე გვირგვინის მიტანის ისტორია.

1883 წლის „12 IX ქალაქის საბჭომ ფეხზე წამოდგომით მიიღო სამწუხარო ამბავი რუსეთის გამოჩენილი მწერლის ტურგენევის; გარდაცვალებისა და გადასწყვეტა: მიუხედავად ქვეტერბურგში მყოფ ხმისაღს თ. კ. ბებუთოვს განსვენებულის საფლავზე დაადგას გვირგვინი ქალაქის თბილისისაგან“¹ მაგრამ „ტურგენევის დასაფლავებაზე თბილისის წარმომადგენელს თ. კ. ბებუთოვს ვერ დაუდგამს თბილისის გვირგვინი მის საფლავზე და თბილისის საბჭოს გულითადი სურვილი ვერ შეუსრულებია. თითონ კ. ბებუთოვი იძულებულია თბილისში მოვიდეს“².

ბებუთოვის ამ მარცხის მიზეზს ის ვრცელი წერილი ხსნის, რომელიც თბილისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარესთან თითონ ბებუთოვს გაუგზავნია და რომელიც თბილისის ქალაქის საბჭოს უწყებებშია გამოქვეყნებული. ამ წერილიდან ირკვევა, რომ ტურგენევის დასაფლავებას ცერემონიულად თბილისისათვის საპატიო ადგილი მიუჩინიათ — ყველა პროვინციული დეპუტაციების სათავეში. ბებუთოვის შეკვეთით გაკეთებულ ძვირფას გვირგვინს დამსხვრეული ბორკილები ამკობდა. „როგორც მოსპობილი მონობის ანბანური სიმბოლო“ და სურვეთსოვ ემბლემა „მონაღარის ჩანაწერების“ ავტორის გვირგვინისათვის“. გვირგვინს გაკეთებული ჰქონდა წარწერა: «Ивану Тургеневу, г. Тифлис». როგორც ეს თბილისის გვირგვინი გამოჩნდა (დასაფლავება დაღეს), დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე გვირგვინიწამა კატეგორიულად მოითხოვა გვირგვინიდან ბორკილების მოხსნა, რაც ბებუთოვმა უმალ შეასრულა: ამის შემდეგაც „ამ ოღესდაც წესიერ მწერალს“ გვირგვინიგანს იმდენი უყვირია ხალხში ბორკილების შესახებ, რომ საზოგადოებისა და მოციციის ყურადღება მიუქცევია. შედეგი ის იყო, რომ პეტერბურგის ადმინისტრაციამ ბებუთოვს აუკრძალა პეტერბურგში ცხოვრება. „მე ისე გამოვემგზავრე პეტერბურგიდან, რომ ვერც კი ვაივარა ხანათისა ჩემი დანაშაული, ისიც კი ვერ გავიფიქრე ვინ გამასახლა მე... ჩემ სასიამოვნო მოვალეობად მიმჩნია მოვასენოთ... რომ ქალაქ თბილისის მონაწილეობამ ი. ს. ტურგენევის ხსოვნის აღსანიშნავ პროცესიაში, როგორც შორეული განაპირა მხარის წინაშე თანაგრძობისა რუსეთის მიმართ ეროვნული დანაქლისის გამო, მოუხვევა ქალაქს პეტერბურგის განაწლებული საზოგადოების სიმბატია“³ — წერს ბებუთოვი წე-

¹ კ. ა. ბებუთოვი, ბუბლიცისტი, თბილისის ქალაქის საბჭოს წევრი, მეფის განკარგულებით გამოყვანილი იქნა საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან.

² „დროება“, 1883 წ., № 182.

³ „დროება“, 1883 წ., № 198.

რილის ბოლოს, წერილი დათარიღებულია 1883 წ. 1 ნოემბრით.

განეთ „დროების“ კორესპონდენტი, რომელიც პეტერბურგში ტურგენევის დასაფლავებას დასწრებია, თავის წერილში უკმაყოფილებას გამოსთქვამს, რომ ამიერიის სახელი მიტანილ გვირგვინს თავადი ბებუთოვი ამოფარებოდა და არა ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები.¹ მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბებუთოვის ცუდად არ შეესრულებია თავისი მოვალეობა და ტურგენევის პრეფერენციულად გამოხატა დამსხვრეული ბორჯილების საშუალებებით. თავისთავად გვირგვინის დედა ბებუთოვს არ ეკუთვნის, არამედ ფრანგ მწერალს აბუს, რომელმაც ტურგენევის ცხედრის გამოცილებისას პარიზის საღვურზე წარმოსთვეა სიტყვა და დამსხვრეული ბორჯილები ასევე, მაგრამ ამ იღვის გამოყენების ფაქტი მაინც ერთგვარი მოლაპყრობით გამოვლადონის მანქანებულაა ყოველ შემთხვევაში, ასე მოსხანს ეს ფაქტი არსებული მსახლებიდან.

ქართული გაზეთები პარიზის საღვურში ტურგენევისადმი მიძღვნილ სამგლოვარო მიტინგზე უკმაყოფილო რეზინისა და აბუს სიტყვებსაც იმისთვის იყენებენ, რომ ხალხში გარკვეული კეთილშობილური გრძობები გააღვივონ. მათი გამოხსენებებიდან სწორედ ის აღვივლება მოკვანილი სრულად, რომლებიც საშობლოს სიყვარულის გრძობას გამოხატავენ. „დროებას“ მოჰყავს აბუს სიტყვიდან ასეთი ადგილი: „საღვრანგეთი სიამოვნებით გიშვილებდა შენ, რომ შენ თვითონ მოგუნდომებინა ეს, მაგრამ შენ ყოველთვის რუსეთის ერთგული იყავ და ნეტარება შენ, რადგანაც ვისაც საშობლო უზომოდ არ უკარას, ის მხოლოდ ნახევრად არის კაცი; შენი გული კაცობრიობას ეკუთვნოდა, მაგრამ რუსეთს პირველი ადგილი ეჭირა შენს გრძნობაში...“²

სინტერესოა ტურგენევის შემოქმედებაზე ა. ნა-ლის (ალ. ნანეიშვილის) წერილი, რომელიც 1883 წელს „დროებაში“ დაიბეჭდა სათაურით „ა. ს. ტურგენევი“.

ა. ნალი შემთხვევითი კაცი არ იყო ქართულ ლატერატურაში. იმდროინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ეხდებოდა მის კრიტიკულ წერილებს ლიტერატურის, თეატრისა და ენტერტის სხვა საკითხებზე. გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ნალი განათლებული და განსწავლული კრიტიკოსია. იგი კარგად იცნობს რუსეთის ცხოვრებას, ლიტერატურას, კრიტიკას, ეკუთვნის XIX საუკუნის რუსეთის რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში და მოწინავე იდეების პოპულარიზატორის როლში გამოდის საქართველოში.

კრიტიკოსი ტურგენევის შემოქმედებას ორ პერიოდად კყოფს. სინტერესოა, რომ ამ და-

ყოფას იგი საფუძვლად უდებს არა ნაწარმებთა მხატვრულ ღირებულებას, არა სიტყვის ოსტატობას, არამედ მათ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. იგი პირდაპირ ამბობს, რომ ტურგენევი ბოლომდე შესანიშნავი რომანისტი იყო (რამაც ასე მოხიზლა დასავლეთ ევროპის მკითხველი), მაგრამ ეს მისთვის მთავარი არ არის და არც გადამწყვეტი მწერლის შეფასებისას. მთავარი ისაა, რომ 40-50-იან წლებში „ტურგენევი იყო ერთი უნიჭიერესთაგანი ამხსნელი და მქადაგებელი საზოგადოების გულის წაიდლისა და აზრისა; ტურგენევი თავის ამხანაგებითურთ მიხვდა, თუ რა ესაჭიროებოდა რუსეთს წარმატებისათვის და რომელ გზას უნდა დამდგომოდა იგი ხალხისათვის კეთილის მისანიჭებლად“. აი, საიდან გამოდის კრიტიკოსი, იმ რაში მდგომარეობს მისი აზრით ტურგენევის სიდიადე და მნიშვნელობა. იგი, შეიძლება ითქვას, გამოიზიდა უოელის ტურგენევის და „მის ამხანაგებს“ იმას, რომ, რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების „ერთობ დახშულ“ ვითარებაში, მათ გაეხდეს ხმის ამოღება და სოციალური უკმაყოფირობისათვის შებრალა. „შეუბრალობას ფრთა შეკვეცილი ჰქონდა; მკენიერება მდამალ ხარისზე იდგა, ცხოვრების საზოგადო და ეკონომიური პირიბები ერთობ შემაიწროებელი და უსამართლონი იყვნენ, ხალხს კისრად ედო ბატონ-ყმობის უღელი, რომელიც რყვნიდა საზოგადოების და ხალხის აზრსა, ზნობასა, სჩაგრაეს ყოველს ეთილსა და უსსობს მას აღორძინების საშუალებას. ტურგენევი და მისი ამხანაგებიც აღზრდილნი იყვნენ ამგვარ ატმოსფეროში, და მართლაც დიდი ნიჭი და გაშვებობა იყო მათთვის სპირი ბრძოლის ენზე გამოსაცვლელად და უსამართლობასთან ომის გამოსაცხადებლად“.

პროგრესულად მოაზროვნე კრიტიკოსი ხედავდა და გრძნობდა, რომ ქართველი ხალხი, ქართული გლეხობა ისეთივე უღელს ქვეშ გზინავდა, როგორც რუსი ხალხი და შემთხვევითი არ არის, რომ ყველაზე დიდ დამსახურებად ტურგენევის უთვლიდა იმას, რომ მან „ამ ბუნდს დროს ხმა... აღიმდღა ჩავრულთა სასარგებლოდ და... იქადაგა ისეთი ელემენტარული ქვეშარტები, როგორც არის, მაგალითად, ის, რომ გლეხიც ადამიანია და არა უგრძნობელი და უგანთ პირუტყვი“.

„მონადირის ჩანაწერებში“ იგი „უხატავდა საზოგადოებას გლეხს, როგორც ნამდვილ კაცსა და არა პირუტყვსა და ჰპოვებდა მასში ყოველს კაცურ ღირსებას, რომელიც იმ ქმად დაჩაგრულ იყო რუსეთის საზოგადო და პოლიტიკურის წეს-წყობილებით... ტურგენევიც ამდროს საზოგადოებაში კეთილის გრძობა და სიბრალული ხალხისადმი...“

ნალი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ტურგენევიც 60-იანი წლებიდან ვერ შეინარჩუნა სი-

¹ „დროება“, 1883 წ., № 201.

² „დროება“, 1883 წ., № 192 და 205.

ნამდვილისადმი ის საღი დამოკიდებულება, რაც წინა პერიოდში ახასიათებდა, რომ მას „უმტყუნა ნათელმა აზრმა“ და მისი „მნიშვნელობაც შემცირდა რუსულს მწერლობაში“. იგი სთვლის, რომ რომანში „მამბე და შეილები“ მწერალმა „გამოილაშქრა, ისიც შეტად სუსტად, ახალი თაობის წინააღმდეგ და მით ასტეხა დიდი უთანხმოება რუსულს მწერლობაში“ ხოლო „უაზრის“ დაწერის შემდეგ „კიდევ ერთხელ დამტკიცა, რომ ის მოკლებული იყო წინამძღოლობის ნიჭსა“. არსებითად ამასვე უსაყვედურებს მწერალს „დროის“ კორესპონდენტი, რომელიც 1883 წლის 11 ნოემბრის ნომერში წერს: „...ბოლოს დროს ახლის დროების ტიპის გამოხატვა ვეღარ მოახერხა. ვეღარც საზოგადოების უმთავრესს კითხვებს მისცა პასუხი, მაგრამ /ეს უნდა დაბრალდეს რეაქციის ზედ-მოქმედებას და იმ სასოწარკვეთობებს, რომელშიც მე-80 წლებში ჩაყარდნოლი იყო საზოგადოების გრძნობა და აზრი...“ ტურგენევის შემოქმედებაში აქტუალობის დაკარგვას კორესპონდენტი სოციალური ცხოვრების მდგომარეობით ხსნის, რეაქციითა და „საზოგადოების გრძნობის“ სასოწარკვეთილობით. ეს ერთგვარი ცდაა ტურგენევის გამართლებისა, რომელსაც თავისი საფუძველი აქვს, მაგრამ ეს მოტივი მთავარი არ არის საკითხის გარკვევისათვის. და თუ ამ ცდას მხედველობაში არ მივიღებთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს კორესპონდენტი, ნა-ლი, ანტ. ფურცელაძე, ესოსლანი და სხვები ტურგენევის შემოქმედების მეორე პერიოდის შეფასებაში სრულიად ერთნაირ პოზიციებზე დგანან.

ნა-ლი იხილავს ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ველენაში მყოფ კურნალ „სოფრენიკიდან“ ტურგენევის გასვლის ამბავს და იმ იდეურ ბრძოლას, რომელიც ამის შემდეგ რანზომინულ-რევოლუციურ ჯგუფსა და შემამულურ-ლიბერალურ ჯგუფს შორის გაიწვავდა ლიტერატურაში. კრიტიკოსის აზრით, ტურგენევი „გვანზე ვიდრე დობროლუბოვის დასსა, ვერ შევიწინო მისი მიმართულება და სთვლიდა მას უკანონო და უმიზეზო მოვლენად რუსულს მწერლობაში“. ამით იხსენებო, წერს იგი, რომ მწერალს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში „ახლაგაზრდა და მოწინავე მწერლობა აღარ თანაუგრძნობდა, ...თავისი პოლემიკობის პირველის პერიოდით ტურგენევა აიგო საუკუნო ჭეგლი და მოიპოვა უკვდავება რუსულს მწერლობაში და მომავალი ისტორიისი რუსულის მწერლობისა აბატივებს მას მეორე პერიოდის შეცოდებათა, თუმცა ეს უკანასკნელი დღეს დიდს დანაშაულთან უნდა ჩაეთვლოს განსვენებულს“.

ტურგენევის შემოქმედების შეფასებისას ნა-ლი მეტისმეტ სწოტაზოვნებას იცავს, ხელ-ღებით უარყოფს მეორე პერიოდის ტურგე-

ნეეს და უმღერის პირველი პერიოდის ტურგენეეს, ვერ ამჩნევს, რომ ეს ე. წ. ორი პერიოდი ერთიმეორესთან ორგანულ კავშირში იმყოფება და ერთი მეორის გაგრძელებას წარმოადგენს, ხოლო წინააღმდეგობანი შემოქმედებაში, რომელთაც განსაკუთრებით იხიენ თავი მეორე პერიოდში, გამოწვეული იყო იმდროინდელ რუსულ საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობებით.

როდესაც თავის მოგონებებში ტურგენევი რუსეთთან საზღვარგარეთ გაღაბევიის საკითხს ეხება, მთავრე მიზეზად ბატონყური, მემამულური წრისადმი ზიზღს ასახელებს. მიუხედავად ამისა, ტურგენევი ვერ დაადგა მემამულური წრიდან გამოსულ იმ მწერლების გზას, რომლებმაც თავის კლასთან საბოლოოდ დაკატეგორიულად გაწყვიტეს კავშირი და, როგორც მ. გორკი ამბობს, „იგი ინსტიტუტურად აზნაურად დარჩა, ხოლო იდეებით თავისი კლასის ტენდენციების მოღალატე გახდა“. რუსეთის განმთავისუფლებული მოძრაობის დემოკრატიული ტენდენცია ძირს უთხრიდა ტურგენევის ლიბერალიზმი ილუზიებს, იგი იძულებული გახდა აღეარება სიცოცხლის ბოლოს (1882 წ. იანვარი), რომ ზევიდან რეფორმების გატარებისა მას ნამდვილად აღარ სურდა, იძულებული გახდა ეთქვა, რომ „მე სიამოვნებით თითონ შევეუბრდებოდი ახალგაზრდობის მოძრაობას, ასე მოხეებოდა რომ არ უყოფლიყავი და რომ ქვევიდან მოძრაობის უსაძლებლობისა მწეროდესო“. მისი ნიჭის რეალისტურმა ძალამ გამოამწვარა რეფორმამდელი და რეფორმისშემდეგი დროის რუსეთის ცხოვრების სოციალური წინააღმდეგობანი და ტურგენევი-მწერალი რუსული დემოკრატიული კულტურის პროგრესულ მოღვიწეთა რიგებში ჩააყენა.

როგორც აღენიშნეთ, XIX საუკუნის ქართული კრიტიკა ერთსულოვნად იწუნებს ტურგენევის მეორე პერიოდის შემოქმედებას და ფიქრობს, რომ მწერალმა უღალატა უსამართლობასთან ბრძოლის თავის პირვანდელ ხაზს. ნა-ლის შიერ ამ მომართულებით გამოთქმულ აზრს ანტონ ფურცელაძე იზაიერად ახსენიბთ. 80-იან წლებში ანტონ ფურცელაძისათვის ასეთი პოზიცია გასაუგებია. ამ დროს იგი პისარევის დებულებებს იცავს ხელოვნების გაგების საკითხებში, ე. წ. „წმინდა ხელოვნებას“ ებრძვის და სასარგებლო საქმის იღვას იცავს. ანტონ ფურცელაძის აზრით, ტურგენევი ცხოვრებას ჩამორჩა და, მამასადამე, თავისი შემოქმედებით სამსახურს ვეღარ უწევს პროგრესს.

ჩვენ არ ვიცი, ტურგენევის რომელი ნა-

¹ М. Горький, История русской литературы, М., 1939, стр. 149.

წარმოებები აქვს მხედველობაში ა. ფურცელაძეს სახელდობრ. შესაძლებელია „თავზეხელაღებულის“, „ძველეთმცოდნეობის სიყვარული“ და „ლექსები პროზით“, რომლებიც სწორედ იმ ხანებში დაიბეჭდა (1861-1862 წწ.) და რომლებშიც ქართული კრიტიკის თავდასხმა განიცადა და არამატერულ ნაწარმოებებად იქნენ მიჩნეული. მაგრამ, უმკვეთესი მხედველობაში ტურგენევის ის უკანასკნელი რომანებიც აქვს, რომლებშიც რუსეთის სინამდვილეში გააცხოველებული პოლემიკა გამოიწვიეს („მამები და შვილები“, „ბოლო“, „უკმობი“). მაშინ, 60-70-იან წლებში, ძველი და ახალი თაობები ტურგენევის ერთნაირად უსაყვედურებდნენ, თითოეული თავთავის იდეურ პოზიციებიდან. ანტ. ფურცელაძის შეხედულება პირდაპირი ანარქულია იმ განწყობილებიდან, რომელიც რუსეთის ახალ თაობას შეეჭმნა ტურგენევის რომანების მიმართ, თუმცა იგივე ახალგაზრდობამ 1879 წელს, როდესაც მწერალი საფრანგეთიდან პეტერბურგს ჩამოვიდა, აღფრთოვანებული შეხედვრა მოუწყო მას. ცხადია, ქართული მოწინავე ინტელექტუალი სულითა და გულით რუსეთის რევოლუციური ახალგაზრდობის მხარეზე იყო და მათთან ერთად ხალხის კეთილდღეობისათვის იბრძოდა, ხოლო მწერლობისაგან ხალხის ინტერესების გამოხატვასა და დაცვას მოითხოვდა. დ. სოსლანს ვერ უმატებია ზოგიერთი რუსი მწერლისათვის, რომლებსაც თავის დროზე შესანიშნავი თხზულებები დაუწერიათ, რომ ისინი „ღიღი ხანია თევზით გაჩუბებულან და მათი ხმა ლიტერატურაში აღარ ისმის...“ მაგრამ დ. სოსლანს ფიქრობს, რომ ისევ სიზღუმე სწობია, ვიდრე ისეთი ნაწარმოებების დაწერა, როგორცაა ტურგენევის „სიმღერა ძველეთმცოდნეობისა“, „თავზეხელაღებულის“ და „ლექსები პროზით“, რომლებსაც „მართალია რუსეთის კრიტიკოსები სიხარულის კივილით მიეგებნენ, მაგრამ მათ ხმაში სიყალბე და ფარისევური პირფერობა ისმოდა“¹.

დასახელებული ნაწარმოებები კრიტიკის გულსწყარომის იწვევდნენ (ა. ნანეიშვილი, დ. სოსლანი, ბოსლეველი), რადგანაც, კრიტიკოსების აზრით, ისინი სარკებლობას ხალხს ვერ მოუტანდნენ, ლიტერატურა კი ხალხის განათ-

ლებს, შეგნების დონის ამოღებას უნდა განსახერხებოდეს. ამკარაა, ჩვენმა კრიტიკამ აღმოვერ აუღო ამ ნაწარმოებთა ნამდვილ არსს. განსაკუთრებით „თავზეხელაღებულის“ დასახელებული პროზითა, რომელთა იდეური შინაარსი ორგანულად არის ჩაქსოვილი ტურგენევის მიერ შემოქმედებაში და რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ აქტუალურ საკითხს ეხება.

1893 წელს დაწერილ წერილში „ძველი და ახალ ქვეყნში“ ეგნატე ნინოშვილმა ტურგენევის მიმართ იგივე საყვედური გამოთქვა, რაც ანტ. ფურცელაძემ და სხვებმა. წერილში ე. ნინოშვილი ეხება 60-იან წლებში რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას და ამბობს, რომ ახალგაზრდობა მეცნიერებას დაეწაფა და ისე სწრაფად, რომ „ძველი თაობა, წარმოიდგინეთ, ისინიც კი, ვინც მეორეხარისხულ წლებში რადიკალურად იფიქრობდნენ, უკან ჩამორჩა და ვერც ვთხოვს რა იმ ახალი გზისა, რომელსაც დაადგა უცუთესი ნაწილი ახალ თაობისა. უკან ჩამორჩენილ ძველ თაობაში ერთი ისეთი გენიოსი იჩივის პატრონობენ კი, როგორც იყვნენ ი. ტურგენევი, თ. დოსტოევი, გონჩაროვი, პოსტოკოვი და სხვები...“²

ეგნ. ნინოშვილი მეტისშეტად მკაცრად ეკიდება ტურგენევის, როდესაც „უშარბილო პასკვილებს“ უწოდებს მის რომანებს. 90-იან წლებში, როდესაც ე. ნინოშვილი დასახელებულ წერილს წერდა, მამებსა და შვილებს შორის ბრძოლა განვითარების ახალ სტადიაში იყო შესული, თვითონ ე. ნინოშვილიც იცნობდა მარქსისტულ ლიტერატურას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტურგენევის შემოქმედების შეფასებისას ისიც სწორსაზოგუნებას იჩენდა.

მწერალი-პატრიოტის ა. ტურგენევის შემოქმედება, სხვა გამოჩენილი რუსი მწერლების შემოქმედებასთან ერთად, რუსი ხალხის განმათავისუფლებელ იდეებს ასახავს. მას ურყევი რწმენა ჰქონდა იმისა, რომ რუსი ხალხი ამოუწურავი ენერჯის მქონე ხალხია და სწორად თავისი ხალხის სულიერი სიმდიერისა. ამიტომ იყო სწორედ, რომ ტურგენევის შემოქმედებამ უსოდენ დიდი ინტერესი გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში.

¹ „დროება“, 1883 წ., № 119.

² ე. ნინოშვილი, ტ. 111, 1935 წ., გვ. 51.





თამაზ ჩხეიძე

გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის გარშემო

გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში, როგორც ფოკუსში, თავს იყრის XX ს. ქართული ლირიკის, შექმნისა და განვითარების კარდინალური საკითხები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული გასული საუკუნის პოეტური კულტურის ასეთსავე საკითხებთან. ამ უკანასკნელთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელი იქნებოდა სწორად შეფასებელიყო და განსაზღვრულიყო გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის მნიშვნელობა, მისი იდეოლოგიური ქართული პოეზიის სტრუქტურულ მთლიანობაში, მისი პოეზიის მინაგანი ბუნება და საზღვრები.

გალაქტიონ ტაბიძე ახალი ქართული პოეზიის არა მარტო ნოვატორი და ფუჭმდებელია, არამედ მისი ჭრე კიდევ მიუღწეველი მწვერვალიც, მით უმეტეს, შეუძლებელია წინამორბედი გარემოებისაგან მოწყვეტით მისი გამოღევა, რადგან ყოველგვარი სიახლე თავისთავად გულისხმობს მანამდე არსებული პოეტური კულტურის სხვადასხვა ასპექტების ან განზიარებასა და სრულყოფას, ან უარყოფასა და მისდაში დამარცხებებს. არც ერთი დიდი და ორიგინალური პოეზია არ აღმოცენებულა კაცუნში, ტრადიციისაღმე რაიმე — სულერთია პოეტური თუ ნეგატიური, დამოკიდებულების გარეშე.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს რომ XX საუკუნის 40-იან წლებამდე მიმდინარე ლიტერატურული პროცესები, თუკი მათ ფართო ისტორიულ პლანში წარმოვიდგენთ, თავიანთი მინაგანი სტრუქტურით გარკვეულ ანალოგიას აქვდავენებენ XIX საუკუნის დაბოლოებით ამავე პერიოდის ლიტერატურულ პროცესებთან. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის პირველ ნახევარში თანდათანობით გზის იკლავეს და ისახება ახალი ეპოქის შესაბამისი [ახალი] ქართული ლიტერატურა. საფუძველი

ახალი ქართული მწერლობისა არის **ვერობეიზმი**, ხოლო პირველი მწერალი, რომელიც მტკიცედ და საბოლოოდ ამკვიდრებს ახალ ერას ქართულ ლიტერატურაში, არის ნიკოლოზ ბარათაშვილი¹. „ვერობეიზმი“ ილია ჭავჭავაძის ტერმინია. იგი „ილიასათვის იყო არა უბრალოდ დასავლეთ ვერობის ლიტერატურულ მიმდინარეობათა გაყენის ან მათთან სიახლოვის მიმანიშნებელი ტერმინი... ილია ჭავჭავაძის „ვერობეიზმი“ ერთნელ სამწერლო კულტურაში იგივე პოეტური კულტურის უნივერსალიზმის ცნებაა“².

გრიგოლ ორბელიანმა დასძლია პირველად „ქართული კლასიკური ლირიკიდან მიმდინარე კოლოსალური ძალის ინერცია და ნაწილობრივ შეძლო ახალი გზების; ახალი პოეტური საშუალებებისა და ფორმების მიგნება“³, მაგრამ ბარათაშვილი იყო ის „პირველი ვერობელი პოეტი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით“, რომელმაც „დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში ახალი იდეების სამყარო. ბარათაშვილმა გამოიყვანა XIX საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობა **ვიწრო პროვინციალიზმის** რკალიდან, მისცა ქართულ პოეზიას ფართო დიაპაზონი... აიყვანა იგი თანამედროვე ვერობელი პოეზიის სიმაღლეზე“⁴ ამრიგად, ვერობეიზმი, როგორც ლიტერატურული მოძრაობა,

1 პ. ინგოროყვა, ნ. ბარათაშვილი, ფედერაცია, 1938, გვ. XVI.
 2 ს. ჩიქოვანი, რჩეული წერილები, 1963, გვ. 217-218.
 3 გ. ასათიანი, ქართველი ლირიკოსები, 1963, გვ. 62.
 4 პ. ინგოროყვა, ნ. ბარათაშვილი, 1938, გვ. XVIII.

ერთი მხრივ, ქართული პოეზიის ეროვნულ საწყისებთან დაბრუნებას, ხოლო, მეორე მხრივ, დროის ახალ სულთან შესაბამისად, მის უნივერსალუზაციას ან „**მსოფლიო რადიუსით**“ გამართავს (ვ. ტაბიძე) გულისხმობდა. „ველ საქართველოსთან ერთად, XIX საუკუნის მიჯნაზე დასრულდა განვითარების ციკლი ძველი ქართული მწერლობისა, რომელიც სულ სხვა საზოგადოებრივი ვარემოს ნაყოფი იყო“, ახალ პოლიტიკურ ვითარებაში ბარათაშვილმა—პროფეტული ნათელმზილველობით გაიცინობინა ქართლის ბედი“ და ერის სპონტანურ სურათს ძალეგს ახალი მიმართულება მისცა, რითაც სათავე დაუდო სამოციანე წლების დიდი მოღვაწეების ეროვნულ მსოფლმშვედველობას. ამ აზრით, ილია ჭავჭავაძეცა და აკაკი წერეთელიც ბარათაშვილის პოეზიიდან იღებენ დასაბამს.

თავის მხრივ, მათაც სავსებით ახალ სიტუაციაში მოუხდათ მოღვაწეობა. ფაქტობრივად, ისინი იყენენ საქართველოს ტოპობრივად დაქსაქსული სხეულის გამთლიანების პირველი მდებარეობები, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ფუჭემდებლები... სწორედ ამის გამო, მათ პოეზიაში ეროვნულ, სოციალურ და საზოგადოებრივ მიზნებს დამკვიდრებარა პოეტური შემოქმედების ყველა სხვა ასპექტი. ამ მიზნებმა განაპირობეს, ბევრ შემთხვევაში, მათი ლირიკის მატერულ ფორმაზე შინაარსის დომინირება.

ტყეან ტაბიძე სამართლიანად შენიშნავდა: „ჩვენ არასდროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ როცა... ყველაზე ფანტასმაგორიულმა ელგარ პომ ვაიარა (მარლ ბოდლერის) ბრესში და მიიღო ახალი შობა პოეზიისათვის. როცა უარყოფილი იქნა პრიმიტიული და სილამაზეს დაუპირობისპირდა დეკადანის პირველი არგუმენტაცია... მაშინ საქართველოში არც კი იყო დაწყებული დავა ი. ჭავჭავაძისა და ენ. ბარბაღე ჟორჯაძის შორის... ამ დროის შემოქმედება მოგვაგონებს ჭურში ჩაჭდარი ადამიანის სიმღერას. მთელი ტრაგიკი ქართული პოეზიისა ის იყო, რომ... ევროპის რადიუსი უკველივთ ავარდს უკვლიდა ტფილია“¹.

ილიას და აკაკის ტრატურული ძალისხმევების საგანი ქართული შემოქმედების ამ ჭურვიდან ამოყვანა იყო. მათი მოღვაწეობა, ქართველი ხალხის თანდათანობითი კონსოლიდაციის კვლადაკვალ მიმართული იყო ეთნოგრაფიზმის აძლევვის, ერთიანი სოციალურ-ტერაქტური ენის ახალი ნათებისა და ერთიანი ეროვნული ფსიქიკის შექმნის გეზით. ამ გეზით მათი დაყინებული მიზანსწრაფვის გამო, რაც გარდუვალი აუცი-

ლებლობით იყო ნაყარნახევი, მათი უკრინდების ორბიტაზე არ მოქცეულა იმის ინტერესი, რომ სინქრონულად მამყოლოდნენ სოციალურ-სეული პოეტური ცდებისა და ლექსის ესთეტიკური სრულყოფის ევროპულ გზას...

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან თავს იხენს ერთგვარი ლიტერატურული კრიზისი, რომელსაც ცხადად უტეობა ესთეტიკური კულტურის უკამრება და იდეური ძიებების უნიათობა. ამ კრიზისის სიუკუნის მიწერულამდის ფარავს ვაეას გოლიათური ფიგურა ვაეას ღრმად უნივერსალური პოეზია, დაყინებული, ეთნოგრაფიული მისშტაბით იყო შეფასებული და თითქმის გაუგებარი დარჩა მაშინდელ საქართველოში. გაუგებარი დარჩა იმიტომ, რომ იგი ერთადერთი შემოქმედი იყო, რომელმაც მზარი გაუსწორა ახალი დროის „დასავლეთის უდიდესი ინდივიდუალისტების ქმნილებებს“, „პიროვნების რელიგიით“² აღბეჭდილი თავისი გენიალური პოეზიებით.

XIX საუკუნის ქართული პოეზიის საერთო განახლების ფონზე ერთი შეტად უცნაური გარემოება შეიშინევა. ეს უცნაურობა შეეხება ქართული რომლის უარყოფით მერტაცას. ეს ბიოლოგიური ტერმინი ზელოვნებაში ლეის შემფორდმა შემოიტანა. იგი გულისხმობს სავნის ორგანულ ფესვებულ სახეცეილებას, რომელიც ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. ქართული რომლის პროსოდიულ გადაგვარებას მერტაციას იმიტომ ვუწოდებ, რომ: 1. იგი არ იყო სპორადული მოვლენა, 2. იგი არსებითი ელემენტია გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის პოეზიისა, 3. XX საუკუნის 10-იან წლებამდე, სხვადასხვა სახეცეილებით, იგი მოქალაქობრივ უფლებას ინარჩუნებს ერთ საუკუნეზე მეტ ხნის განმავლობაში. ვაეასა და აკაკის ქმნილებებში ქართულ რომის თავისი ბუნებრივი პროსოდია შენარჩუნებული იქვს, რაც იმით არის გამირობებული, რომ მათი ლექსოწეობა ხალხური პოეზიის წილიდან ამოიზარდა და თუ მას ზოგჯერ არ ეძეევა განსაზარებული ყურადღება, ეს ადვილად აიხსნება ლექსის ევრსიფიკაციული კულტურის ხარჯზე ანობობრივ-იდეური პლანის წინ წამოწევიით. მაგრამ ბარათაშვილიან, რომლის მიგეური სტილი და სიტყვიერი პერიზში რადინარების ეტალონად დარჩება მუდამ, ქართული რომის ბუნებრივი პროსოდიის დაყარგვა ამოუხსნელ პარადოქსად რჩება.

მართლაც, მხელად წარმოსადგენია, რომ ქართული რომიანი ლექსის არსებობის ათას-

1 ბ. ინკოროყვი, ნ. ბარათაშვილი, 1938, გვ. XV-XVI.

2 „შეოცნებე ნაპირობი“, № 10, 1923.

1 Б. Пастернак, журн. «Вопросы литературы», 1966, № 1.

წლოვანი ტრადიციის მქონე ერთი უდიდესი ქართულ პოეტთაგანი თავის უბრწყინვალეს ლექსში წერდა:

...და ჩემთა ბავთ რაღა დაუშო
შენდა სთქმელად,
მამა, დემილიც მიმოთვალენ
შენდაში ლოცვად,

და სტრიქონების დასასრულში ქორეულ და დაქტილური სიტყვის ბოლო ერთნაირი ხმოვნისა და თანხმოვნის კომპლექსს რითმად მიიჩნევდეს, მითუმეტეს, რომ უკანასკნელი სტრიქონი, შეიღო საუკუნის წინათ დაწერილი შავთელის კანონიერი სტროფის ერთერთი სტრიქონის პარაფრაზია. ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ ამევე ლექსში ბარათაშვილი ჰქმნიდეს სრული კლასიკური რითმებით ასეთ სტროფას:

...ცხოვრების წყაროვ, მისე წმიდათა
წყალთაგან შენთა,
დამინთქე მასში საღმობანი
ფულისა, სენთა,
არა დაჭროლონ ნავსა ჩემსა
ქართა ვენებისა,
არამედ მოვეც მას სადგური მყუდროებისა.

და ვერ გრძნობდეს განსხვავებას ბუნებრივი პროსოდიით გამართულ და პროსოდიულად დამახინჯებულ რითმებს შორის, ან არ ეხამებოდეს ისეთი გართმვა სხვა სტრიქონებისა, რომლებიც (რომ შეიძლება დღეს ამგვარად თქმა) ქართული პოეზიის ყველა დროის მკითხველზე ურითმო ლექსის შთაბეჭდილებას ახდენს. ქართული ენის ბუნებისათვის არადა-მახასიათებელი, უცხო, ზელოვნური მახების დანერგვას სიმონ ჩიქოვანი ქართულ ფეოდალურ ოჯახებში რუსული ენის გაბატონებითა და იმ გარემოებით ხსნის, რომ „ადრინდელ ეპიგონურ მწერლობაზე დიდი გავლენა ჰქონდა... რუსული პოეტური მერყეულებების გარეგნულ თვისებებს... ქართულ ლექსებში რუსული მახვილების გადმონერგვა დაიწყო და რუსული ლექსის ბუნების მიხედვით ქართული რითმა თითქმის გადაგვარდა“¹. ქართული რითმის უარყოფითი მერყევის ამხსნელი ეს დასკვნა უარსაყოფი იქნებოდა, მეტად თვალსაჩინო რომ არ იყოს, და რომ ასევე თვალსაჩინოდ ცხადი სხვა ახსნა მოიძებნებოდეს. უარსაყოფი იქნებოდა იმის გამო, რომ:

1. უცხო ენის გავლენა უფრო მეტი რიტმისობით სხვა ეპოქებშიც ყოფილა დადასტურებული. X-XII საუკუნის საქართველოს ელიტა დედანისავეთ ფლობდა ბერძნულ და არაბულ ხოლო XVII-XVIII საუკუნისა — სპარსულ ენებს, რომელთა პროსოდიც, აგრეთვე, უცხო იყო ქართული პოეტური მერყეულებისათვის, მაგრამ რითმის მერყეაც არ მომხდარა.

2. ქართული პოეზია უოველთვის და ყველა ასპექტში საერთო მინიგანი ბუნების მიხედვით ამსობრბიისა და აკლიმატიზაციის უდიდეს უნარს და, შესაბამისად, ურყვე მდგრადობას იჩენდა სხვა ენებისა და პოეტური კულტურების მიმართ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ისინი უფრო ხანგრძლივ და ნათესაურ ურთიერთობაში იყვნენ ქართულ კულტურასთან მთლიანად, ვიდრე რუსული ენა და პოეტური მერყეულება (გავიხსენით თუნდაც: „სპარსული ენის სიტკომანი...“).

3. გურამიშვილის მაგალითზე ჩვენ ვრწმუნდებით, რომ თვით უცხო ენობრივ სამყაროში მოხედრისას და უცხო მერყული სქემების ამჯარა კალკირების დროსაც კი ქართულ რითმს შენარჩუნებული აქვს ბუნებრივი პროსოდიც.

4. ეპიგონურ მწერლობასა და თვით უშუალო წინამორბედებსაც გავლენა ვერ უნდა მოეხდინა ისეთ დიდ ნოვატორზე, როგორც ბარათაშვილი იყო, მითუმეტეს, რომ მას გავი-ნანებული ჰქონდა ძველი ქართული პოეზიის მოღვლეაცეები.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთი ინტროსპექციული ბუნების პოეტს, როგორც ბარათაშვილი იყო, გაეცნობებოდა ანა ჰქონდა არამეთე თვალსაჩინო ფაქტი ქართულ ენაზე უცხო პროსოდიის ზეგავლენისა, არამედ ამ ზეგავლენის მიზეზიც. მაგრამ ბარათაშვილი სწორედ ეს არის, რომ მას, როგორც ჩანს, სრულე-ბით არ ეჩვენებოდა ასეთი რითმა არაბუნებ-რივად, წინააღმდეგ შემთხვევაში, წინ აღუდგე-ბოდა მას. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ მიზეზი ამ ზეგავლენისა ფსიქოლოგიური ხასიათის წინამორბედებშია საძიებელი, წინამ-ძღვრებში, რომლებიც ეპოპულური გარდატე-ხის აუცილებელი თანამზავრები არიან.

მთელი XIX საუკუნე ერთიანი სალიტერატურო ენის შექმნის პათოსით არის გაყვნილი, მაგრამ მონოლითური ენობრივი სტილის შექმნის ამოცანას იგი მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებს. ქალაქური ცივილიზაციის დაბალი დონე ამ ამოცანის უფრო დიდი მასშტაბითა და სიღრმით განხორციელების საშუალებას

1 ა. გაწერილია, ჩიქოვანი ნაწერები, თბილისი, 1965, გვ. 165.

2 ს. ჩიქოვანი, რჩეული წერალები, 1963, 83. 247.

არც იძლეოდა. ამის შესაბამისად, XIX საუკუნის პოეტური სტილი, როგორც ერთიანი პერსონაჟი, როგორც შინაგანი ფსიქიკური ცხოვრების ექსპრესიული სისტემა, ზნობად არის შეზღავდული არაესთეტიკური ელემენტების სიჭარბით, რაც განსაკუთრებით ცხადად საუკუნის მიწურულში ხდება საცნაური. ამ დროის ეპიგონური მწერლობა პერსონაჟულად ფიტავს ქართული პოეზიის შინაგან ძალებსა და ესთეტიკურ კულტურას. ეპიგონობა ყოველთვის გულისხმობს შემოქმედებით სიმაბუნეს, თუმცა ერთგვარ ლიტერატურულ სახეს მოკლებული არ არის. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში მან სავესებით დაკარგა ლიტერატურული ელფერი და ახალი საუკუნის მძაფრად დრამატული და დრამად ლიფერენცირებული ვერობულ-რუსული კულტურის ფონზე დეგრადირებული სახე გამოაჩინა.

ქრონოლოგიურ მიწას XIX საუკუნე ინერციით გადაეცა. მხოლოდ 1905 წლის რევოლუციამ და ილიას მკვლელობამ დაედო მას სიზღვარი. თითქმის ერთბაშად თვალსაჩინო გაიდა ქართული ლიტერატურის შინაგანი განახლება და ახალი დროის შესატყვისი პოეტური კულტურის შექმნის საჭიროება. ასეთი განწყობილებების ატმოსფეროში ჩაისახა XX საუკუნის ქართული პოეზია, რომლის განსაკუთრებული ინტენსიობით გამოვლინებას სტიმული მისცა პირველმა მსოფლიო ომმა და რუსეთის 1917 წლის რევოლუციებმა.

ამ აუცილებელი აღინიშნოს ერთი მომენტი. XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული პოეზია უაღრესად დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს. ლიტერატურულ ტენდენციებსა და ცალკეულ პოეტებს შორის, მათ ნიჟერებსა და ერთობლივად პოეტის სხვადასხვა დროს დაწერილ ლექსებს შორის იმდენად დიდი ზღვარი, რთულად ამოსაცნობი განსხვავება-მსგავსება და დამიხსიამობებაა. მიიწე შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის პოეტების ლექსებს თიან წლებამდე გასული საუკუნის პოეზიის ინერციის ბუკედი ახს. მხოლოდ 1915-16 წლებში, გალაკტიონის და «ცისფერ-ვანულებს» პირველი შედეგებით იკვეთება სპეციფიკურად ახალი მსოფლგანცდა და მოფრანსიტული სტილი, რომელიც არსებითად უპირისპირდება, ერთი მხრივ, XIX საუკუნის პოეტებსა და რაციონალისტურ აბრაკადებს, ხოლო, მეორე მხრივ, XX საუკუნის დასაწყისის დიფუზიურ პოეზიასა და ეპიგონების «ესთეტიკურ ბარბაროსობას» (გ. ტაბიძე).

XX საუკუნის ათიანი წლებიდან დაწყებული, დაახლოებით, 20 წლის განმავლობაში ქართული «პოეტური რენესანსი» ხანაა, რომლის მთლიან მდინარებაში, განსაკუთრებით, «მიწისთან დაბრუნების» (1922) პერიოდამდე,

აუცილებელია ერთმანეთისაგან მნიშვნელოვანად განსხვავებული რამდენიმე ნაკადი გამოიყოს. ზოგადად, მათთვის ნიშანდობლივია ქართული ლექსის ვერსიფიკაციული რესტრუქცია, რაც განუყოფლად იყო დაკავშირებული ქართული პოეზიის საერთო შიღვრინიზაციასთან, მის განახლებასთან აზრობრივი და ფორმალური ძიებების ყველა ასპექტში. პოეტური რენესანსის ამ ხანის დამახაზრებაა ქართულ პოეზიაში თავისუფალი ლექსის შემოტანა და ახალი მხატვრული საზომების დამკვიდრება (სონეტი, ტერცია, ტრიოლეტი და სხვ.), ლექსის რიტმულ-ინტონაციური გადახალისება, რომლების სრულყოფა, ალიტერაციისა და ასონანსის ახლებური გამართვით ლექსის გლერადობის გამძლირება და მთელი რიგი სხვა პოეტურ-თემატური სიახლენი¹. ქართული ლექსის ტექნიკური აღორძინების ამ ფონზე და მასთან მიმართებაში, მკვეთრად შეინიშნება სხვადასხვა პოეტებისა და პოეტურ დაკავშირებას განსხვავება, კერძოდ, გალაკტიონ ტაბიძისა და «ცისფერ-ვანულებს» შემოქმედებას შორის არსებული განსხვავება, რაც პოეტური განცდისა და ტრადიციისადმი დამოკიდებულების მთელ ხაზზე ვლილდება. უპირატესს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

«ვანულებს» მოდერნიზმი, არსებითად, ვერობულ-რუსული დეკადენტობის იდეოლოგიურ ბაზაზეა დაფუძნებული. მათ შემოქმედებაში, ერთი მხრივ, პირველადი ტემპარამეტრისა და მსოფლშეგრძნებისათვის არაორგანული ესთეტიკურ-ფილოსოფიური კონცეფცია და, მეორე მხრივ, მხატვრული ექსპრესიის ფორმები უპირატესად სიმბოლის სახით ცნაურდება. ასეთი არაბუნებრივი სიმბოლისი იშვიათად იძლეოდა სრულყოფილ შთაბეჭედობას. «ცისფერ-ვანულებსათვის» 1916-22 წლები ფაქტურად, შემდგომში მათ მიერ შექმნილი დიდი და ნამდვილი პოეზიის მოსამზადებელი ხანა იყო.

გალაკტიონ ტაბიძე, ამ მხრივ, არსებითად სინთეზურია. იგი იმთავითვე მეტნაკლები პარამონილობით ახდენს ევროპული მოდერნიზმის ასიმპლაციას და მისი ზოგიერთი მსოფლმხედველობრივი ელემენტის სრულ აკლიმატიზაციას. გალაკტიონის შემოქმედებაში, უმეტეს შემთხვევაში, პარამონიული მთლიანობით არის წარმოდგენილი როგორც რომანტიკულ-ტრადიციული, ისე დეკადენტური მსოფლმხედველობით აღბეჭდილი პიროვნული განცედა. ამის გამო, რომ აღნიშნულ დროის მინაკეთობი დაწერილი «ვანულებს» ლექსები თანამედროვე მიკოთხველზე ვერობულ-რუსული მოდერნიზმის იმიტაციის შთაბეჭდილებას სტოვებს მაშინ,

¹ მ. აბულაძე, ტიციან ტაბიძის პოეზია, აკადემიის გამოცემლობა, 1961, გვ. 10.

როცა ამავე პერიოდის გალაკტიონის ლექსებზე დღესაც ცოცხალ პოეზიად განიხილება.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას, ჩვეულებრივ, ორ პერიოდად ყოფენ და, ჩვეულებრივ, გამოყოფენ ნიშანდობლივ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თარიღი არის მიჩნეული. უნდა ითქვას, რომ გალაკტიონზე, როგორც მოქალაქესა და პოეტზე, დიდი გავლენა მოახდინა 1905 წლის რევოლუციამ, პირველმა მსოფლიო ომმა, 1917 წლის რევოლუციებმა და შემდეგდროინდელმა ამბებმა, მაგრამ შეუძლებელია მისი პოეტური სტილისა და მსოფლმხედველობის სფეროში მომხდარი ფერისცვალებების ქრონოლოგიურად იმავე თარიღებთან მისადაგება. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ გალაკტიონი „ერთი მთლიანი პოეტური სტილისა და შემოქმედებითი პოზიციის ხელოვანი იყო“¹, რაც მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მთელი მისი პოეზია განუმეორებელი პიროვნული ინტუიციის ერთიანი იერით არის აღბეჭდილი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ნახევარი საუკუნის მანძილზე მის შემოქმედებას მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განეცდამს.

1908 წლიდან „მე და ლამე“ გამოქვეყნებული გალაკტიონის ლექსები პირობითად თუ ჩაითვლება პოეზიად. ამ ლექსებში მხოლოდ ემბრიონური ელემენტების სახით არის მიმოფანტული მისი ტალანტისათვის ნიშანდობლივი სიტყვიერი და ფრაზობრივი მიმოქცევა. გალაკტიონ ტაბიძის ამ პერიოდის პროლექციის ვარდამავალი ხანის დიფუზიური პოეზია შეიძლება ეწოდოს. „მე და ლამე“, ფაქტიურად, მოდერნიზებული აკაის ლექსია, რომელშიც ძალზედ იგრძნობა როგორც რომანტიკულ-სენტიმენტალური, ისე ახალი პოეტური ცდებით შეფერილი განცდის ელემენტები. ამ პერიოდის ლექსების უმრავლესობაში გაზიარებულია და გაღრმავებული აკაისეული ტენდენცია პოეტური მეტყველების საღაპარაოდ ენის ბუნებრივ ინტონაციასთან შიხლოვებისა. გალაკტიონისათვის ეს არის მისი უადრესად თანადროული და სადა ენობრივი სტილის პასიური შემჯავების ხანა.

1915 წლიდან გალაკტიონის ლექსებში უჩვეულო ინტენსივობით გამოდის წინა პლანზე პოეტური აზროვნების საგნებით განსხვავებული სისტემა, მოდერნისტული თვალაზრედა, რომელშიც თვალსაჩინოდ შედგენდება ახალი ეპოქისათვის ნიშანდობლივი მსოფლმხედველობა. გალაკტიონის მსოფლგანცდა და სტილი, მისი პოეტური აზროვნების სისტემა ძირითადად, სიმბოლიზმის პოეტური კულტურის მხატვრულ

შეიქმედება დაფუძნებული, მაგრამ სიმბოლიზმისათვის ნიშანდობლივი თვალაზრედა „მისი პოეზიაში თითქმის ყოველთვის წმინდაქართული Weltbild-ით არის განხავევებული. შინაგანად მდგევი ეს „ველტილიდი“, რომელიც თავისთავად, ღრმა ინტუიციის შედეგია, იცავდა მას ევროპული და რუსული სიმბოლიზმისათვის ნიშანდობლივი თემებისა და მოტივების კლასიკებისაგან, რასაც ასე უხვად ეწეოდნენ „ცისფერყანაწყელები“. სიმბოლიზმის, ამ უზარმაზარი ძლიერებით მოტყმული პოეტური სკოლის გამსრუტნი ზეგავლენისაგან, მას იფარავდა თვითონ ქართული და, როგორც ტრადიციული, ნაციონალური მსოფლმხედველობა და შემოქმედების ფორმის განსაზღვრელი ფენომენი, რომელსაც გალაკტიონი, „ყანაწყელებისაგან“ განსხვავებით, პირველქმნილი, ინტუიციური უშუალოებით ფლობდა.

როგორც ცნობილია, ენა ერთდროულად წარმოადგენს მასალას, იარაღსა და მხატვრული ინსტირაციის შედეგს. აქედან: იგი პოეტური ნაწარმოების უბრალო შიგნე მეტა რამ არის. ნაციონალური ენის ფორმები მართავენ აზრის მოძრაობას (პარტამანი) და ყოველგვარი კულტურული შემოქმედება, უმრავლეს ყოვლისა, ენობრივი შემოქმედებაა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის თავდაპირველი ფორმა (პიდევერი). აღამიანის სამყარო მისი ენის სამყაროა (ვისსერებერი). ენა ჩვენთვის უფრო მეტია, ვიდრე აზრის გადაცემის სისტემა. იგი უხილავი სამბერედაა, რომელიც ჩვენს ხელს შემოვლდება და მის ყოველ სიმბოლურ გამოხატულებას წინასწარი შიხ ფორმით განსაზღვრავს (სეპირი). ამ აზრით, ზემოთხსენებში „ველტილიდი“ ქართულ ენაში იმთავითვე მოცემულ სპეციფიკურ მსოფლგანცდის სუბსტრატს მოიცავს. ტიციან ტაბიძემ „ცისფერყანაწყელების“ პირველ ნომერში იფინასწარმეტყველა: „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეგხედეს რუსთაველი და შალარმე. რუსთაველი მე შესმის როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთეული და შალარმე, ამავე აზრით, ევროპის პრეზენტისმისა“¹. ეს წინასწარმეტყველება გალაკტიონ ტაბიძის ადრინდელ (1915-28) პოეზიაში ქერ „ევროპის პრეზენტისმის“ პრიმატიო, ხოლო გვიანდელ (1940-59) პერიოდში რუსთაველური მოდულაციებით აღბეჭდილი სტილის პრიმატიო, საეგნებთ განხორციელება.

ამ კონტექსტში გასაგები უნდა იყოს, რომ XX საუკუნის ქართულ პოეზიაში ევროპის პრეზენტაციის განხორციელება, ილია ქაქავაძის მიერ „ევროპიზმად“ წოდებული, სტრუქ-

¹ ტ. ტაბიძის ციტატა დამოწმებული მაქვს მ. აბულაძის წიგნიდან — „ტიციან ტაბიძის პოეზია“, გვ. 27.

ტურულად ანალოგიური ლიტერატურული პროცესის უშუალო გაგრძელებაა. იგი ქართულ პოეზიის ევროპეიზაციის მეორე ეტაპს წარმოადგენს და ქართული პოეტური კულტურის უნივერსალიზაციას, ქართული პოეზიის „ევროპული რადიუსით გამართვას“ ვუღიხნებომა.

1928 წლიდან გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში თავი იჩენს სრულიად ახალი თვისებები და ნიშნები, რომლებიც პირდაპირი შედეგია მის პოეტურ შინადასაყაროში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მომხდარი არსებითი ხასიათის ცვლილებებისა. ეს ცვლილებები მინიმუმ მხოლოდ სპორადულად, შეზღუდული სახით გლინდობოდა მის შემოქმედებაში, მაგ.: „ჯონ რიდი“ (1924), მაგრამ „ეპოქის“, „პავლინის“ და „რევოლუციური საქართველოს“ სათაურით გაერთიანებულ ლექსებში საწინააღმდეგო სურათს ვხვდებით: აქ, სპორადულად ის ვლინდება, რაც მთლიანობაში ორგანიზებული იყო მისი პოეზიისათვის. უნდა პირდაპირ ითქვას: პოეტური კულტურისა და ქვეშაობრივი ინსტიტუტის ავლასაზრისით, ზემოთაღნიშნულ ციკლებად გაერთიანებული ლექსები შემოქმედებითი კრიზისის მომასწავებელია. ეს კრიზისი კარგა ხანს გრძელდება და მხოლოდ 30-იანი წლების მეორე ნახევარში კარგავს სიმწვევეს. ეს იყო პოეტის შინაგანი გარდატეხის პერიოდი. გალაკტიონის ერთიანი სტილი იხლიჩება და წინა პლანზე არაპროპორციული მოცულობით გამოდის პოეტური მთლიანობისაგან აბსტრაგირებული შენარჩობა, რომელიც შიშველი დეკლარაციების სახეს ღებულობს. ეს დეკლარაციები ფაქტურად ახალი იდეოლოგიური პოზიციის მთავრებისათვის წინამოებელი შავი სამუშაოს ფუნქციას ასრულებს და პოეტისთვის ორგანიზულ, შემპირებულ მხატვრულ ექსპრესიამდევრ მალდდება. „ხაბერბოლური გრატიესკი, განვრცობილი მეტაფორა, ორატორული მათეტიკა“ გულშინაგნებელი დარჩა გალაკტიონისათვის, ჩვენს სამწერლო კრიტიკაში სავსებით სწორად იყო აღნიშნული, რომ „ჯონ რიდის“ პოეტიკა ტიპური არ იყო გალაკტიონისათვის 2, და თუმცა ეს უკანასკნელი და ზემოთაღნიშნული ლექსთა ციკლები განსხვავდება ურთიერთისაგან, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საერთო ფონზე ისინი ერთდებიან, როგორც მის-

თვის არაორგანიზებული პოეტის ნიმუშები. ახალი იდეოლოგიური პოზიციის მთავრებამ კოეტის საშუალება მისცა კავშირი გაედრმანებინა დროის სულთან, უფრო ფართო მანშავით დაენახა ეპოქის საზღვრები და, უკვე ჩამოყალიბებული მსოფლმეგარქნების გადახალისების გზით, თანდათანობით დაეძლია ის დისტანცია, რომელსაც ახალ სინამდვილესთან მიმართებაში ძალაუნებურად მადებდა მისი განვლილი პოეზიის ხილვებისა და განცდის შინაგანი რიტმი.

ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში პოეტი მნიშვნელოვნად აფართოებს თავისი პოეზიის თემატურ რეალს და თანდათანობით აკლუნს მიქთვის დამახასიათებელ პოეტურ ბრწყინვალეს („ჩემი სიმღერა“ — 1934, „ჩემი გული“... — 1934, „მესხი მეღვინე“... — 1936). ფაქტურად ამ ლექსებშია ფესვი გალაკტიონის გვიანდელი პოეზიისა, რომელიც ღრმა ეროვნული განსახებით არის აღბეჭდილი, როგორც შინაგანად ისე გარეგანად და სრულიად ახალი ეტაპია მისი პოეტური მთავრებისა: ამროვად, გალაკტიონის შემოქმედებაში, ჩემი აზრით, გამოთქვამა ოთხი პერიოდი:

1. ინტენციის პერიოდი (1908-1915),
2. მოდერნიზტული სინთეზის პერიოდი (1915-1928),
3. ვარდებების პერიოდი (1928-1935),
4. კლასიკური სინთეზის პერიოდი (1935-1959).

ყოველგვარი დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია და ცოცხალი პოეტური ორგანიზმის ფერისცვალების ვერც ქრონოლოგიურ საზღვრებს დაემოხვევა აბსოლუტური სინტეზით და ვერც მის შინაარსს ამოსწურავს მთელი სისავსით. პოეტის შემოქმედების ქრონოლოგიურ პერიოდებად დაყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუკი იგი გააადვილებს მთლიანობაში მის გაგებას და მის შინაგან არს შინაინ არ მიაყენებს.

• • •

ქერ კიდევ 1908 წელს შეინიშნავდა ბლოკი, რომ „დეკლარაციების სახელით აერთიანებენ ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებულ ადამიანებს“. ეს იყო მცდარი მიდრეკილება, მაშინდაც დეკლარტური კულტურის ნიადაგზე ჩამოყალიბებული დიდი პოეტების ცოცხალი შემოქმედება სავსებით არასდღეს არ თავსდება თეორიებისა და დოგმების შავრ ჩარჩოებში. ამის მკათოდ მავალითა თვითონ ბლოკისა და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, რომელსაც დეკლარტური მსოფლგანცდა უწინურად არის განიხილებული რომანტიზმისათვის ნიშანდობლივი ელემენტებით. „არტისტული ყვაილების“ პირველმავე რეცენზენტმა მართებულად აღნიშნა, რომ „გალაკტიონ ტაბიძე წმინდა წყლის

1 ქერ კიდევ 1924 წელს აღნიშნავდა პ. ინგორთყვა: ქართულში მწერლობამ უკვე დააღწია თავი ვიწრო პროვინციულობას და „კავკასიონი“ შეეცდება შეეწყოს ხელი ქართულ მწერლობის ევროპეიზაციას“. თურ. „კავკასიონი“, № 1-2, 1924, გვ. 5-6.

2 გ. მარგველაშვილი, სიტყვა და საუბრე, 1960, გვ. 27.

რომანტიკოსია. მის პოეზიაში მოდერნიზმი და მისი უკანასკნელი ზედნაწილები ახალი რომანტიზმის საღებავებია გავლენული. მისი ფუტურისმიერ კი უარესად რომანტიკულია¹. ამ კონტრესტს საინტერესო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ვალაკტიონი არცერთ დეკადენტ მხატვარს არ ასხენებს თავის ლექსებში: მის გემოვნებს საესებით აკმაყოფილებს ჯოტო, ბოტიჩელი, მიქელანჯელო, და ვინჩი, რემბრანდტი, გოია, ვან დეიკი...

ვალაკტიონ ტაბიძის პოეტური ინტუიციის მთლიან ნაკადში დეკადენტური და რომანტიკული მხოლოდშეგრძნების ელემენტები მოდერნისტული სინთეზით ზორცილდება და კლასიკური ფორმით კრისტალიდება.

ვალაკტიონის პოეტური ინტუიცია XIX საუკუნის ტრადიციიდან არის ამოზრდილი, რაც ერთი შეხედვით ძნელი შესაძენეა, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დროის ახალი სტლის შესაბამისად არის ტრანსფორმირებული. პოლ ვალერი გონებაშახელებულად შენიშნავს: „ჩვენ ვამბობთ, რომ მწერალი ორიგინალურია, როცა იგი ეერა გრძობს დაფარულ სახეცვლებებს, რომელთა მცველობით გამოვლინდნენ მასში სხვები. ჩვენ გვინდა ეთქვათ, რომ გაბიზობებულთა იმისა, რასაც ის აკეთებს—იმით, რაც უკვე გაკეთებულ იყო, განსაკუთრებით ოთელი და თავისებურია. არსებობს ნაწარმოებები, რომლებიც სხვა ნაწარმოებების მსგავსებას წარმოადგენენ, არსებობს ისეთები, რომლებიც მათდამი დაპირისპირებულია, და ბოლოს, ისეთები, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება წინაშობრბდ ქმნილებებთან იმდენად ოთელია, რომ ჩვენ ვიხევიით და ვამტკიცებთ, რომ ისინი დასაბამს უშუალოდ დმერთისაგან იღებენ. პოეტი ყოველთვის იმეორებს წინაშობრბდ პოეტებს, ანდა უარყოფს მათ, ე. ი. იმეორებს მათ და სხვაგვარად, სხვანაირი ტონალობით, ხეყწს, ამიმებს, აესებს, ამარტივებს ან მეტისმეტად ტვირთავს მათ“...²

ის, რაც უარესად არის დამახასიათებელი ვალაკტიონის ადრინდელი მსოფლგანცდისა და თელთახედვისათვის ყველაზე კარგად 1915 წელს დაწერილ „შერიგებში“ ჩანს. აქ ორიოდე სიტყვით უნდა აღინიშნოს შემდეგვი:

ყველა სიმბოლისტი პოეტი და სიმბოლიზმი-საგან გამოსული ან მასთან ახლო მდგარ პოეტურ სკოლათა და მიმართულებათა უმრავლესობა იზიარებს ბოდლერის მიერ მიკვლევულ და განზორციელებულ ერთ მეთოდს, რომელიც მანამდე უცნობი იყო. ეს მეთოდი გულისხმობს

პოეზიის ისეთი საკუთარი სამყაროს შექმნას, სადაც დემიურგად და ექვტეტურად — ფრანგი მკვლევარების — დეკადენტურ კოსების მიერ le reve-ად წოდებული პოეტური ვანუობის მდგომარეობა გამოიღის, რაც სხვა ენებზე ზუსტად არ ითარგმნება და დაახლოებით ნიშნავს „ზმანებას“, „ოცნებას“, „ენისმიერებას“¹.

აქვე უნდა აღინიშნოს მეორე მომენტიც, რომელიც სამყაროს მუსიკალური ზმირებით განცდას გულისხმობს. მოთავარი ამ პრინციპში ლექსის მუსიკალური ზმირება კი არ არის, არამედ ის, რომ აზრით დატვირთული პოეტური სახე იძენს მუსიკალურ დენადობას, განუსაზღვრელობას, რაც მკითხველის ცნობიერებაში ლირიკული ვანუობილების განსაკუთრებულ ეხოს ბადებს. **ვალაკტიონისთვის აბსოლუტურად ნაშანდობლივია ორივე ეს მომენტი.** აქვე აღმოიხსენიოს იმპრესიონისტური ელემენტების სიკარბე ვალაკტიონისეულ პერიანებასა და აღწერილობაში, რაც, საერთოდ, დამახასიათებელი იყო გვიანი სიმბოლისტიზმისათვის, რომლებიც ნაყოფიერად იყენებდნენ პარანასელთა გამოცდილებასა და ბოდლერის, ვერლენისა და მალარმეს პოეზიის იმპრესიონისტულ მიღწევებს.

„შერიგებში“ გახსნილი სურათი აშკარად იმპრესიონისტულია თავისი პლენერითა და წარმავალი შთაბეჭდილების სიციხეებით:

ტოტებს ქარისას ვადაწყვა მარტი,
თეთრ ტანსაცმელში მე მოყრათეები
და წვაალ ქარში, როგორც მოცარტი,
გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით.

დღეს ყველგან მზეა. ახლა ამ ბალებს
და მყინვარს, მალალ ზრახვათა მეფეს.
მაისი ალით ააზამბახებს,
ვით შეყვარებულს და მეოცნებეს.

ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი,
ლაშაში — შუქთა მარადი სთებით;
მე — მსუბუქ დაფნის ფოთლებით სავსე,
მყინვარს — უმძიმეს იაგუნდებით.

ამაღლდი, სულა, თეთრ აკლდამაზე
მშვენიერების ლექსით მქებელი:
დღეს ყველგან მზეა და სილაამაზე
სიყვდილითან ჩემი შერიგებელი.

აღსანიშნავია, რომ ამ ლექსის პირველი სტროფის მეოთხე სტრიქონი ბუნების რეა-

¹ ეურ. „შვიდი მნათობი“, № 2, 1919, ვ. ჩ.
² П. Вальери, Избранное, М., 1936, გვ. 142.

¹ В. Лившиц, Франц. лирика XIX и XX веков, 1937, გვ. 202.

ლერი სურათის უაღრესად ნებისმიერი, სუბიექტური ვაიწყობილების შესაბამისად ტრანსფორმაციის შედეგად არის მიღებული. ვახაჯხელის მთელ ამ სურათს რადიკალიზაცია ხალხთა-წიბა, სიმშებუქე და აღმადგრენა ატყვია. ვალაქტიონის პოეტური ტალანტისათვის საერთოდაც ნიშანდობლივია ელინური გამჭვირვალეობითა და გრაციულობით აღბეჭდილი ხილვები, რომელთაც „ზმანებათ მსუბუქი დარღვი“, უმსუბუქესი ნისლი ზურავთ. მისთვის უცხოა ჩრდილოელი პოეტებისათვის დამახასიათებელი პირქუში მსატყიობა („ელადა, ელადა, აქ სული ატარებს თვის მსუბუქი სამოსელს“). ეს მყინვარი — „მალა ზრახვითა შევე“ — უნებურად, ილიას მყინვარის და თავად ილიას მოგონებას აღძრავს. ამ ასოციაციას შესაძლებელი სტროფი თითქოს ამართლებს: მოცარტისეული ტალანტის მსუბუქი სიმღერას, ბუნებრივი იქნებოდა, ილიას პოეტური ტალანტისათვის ნიშნულად ზვიადობა და სიმშინვე დამბრისპირებლობა.

მზისა და სილამაზის მეოხებით სიკვდილიან შერაცხვა, თავისთავად სიცოცხლისა და შესაბამისად ხელოვნების, შემოქმედების, მშენებარების პოზიტიური აღიზნებლების აღიარება. მაგრამ ეს აღიარება იმთავითვე ამოქმედებული პერსონატიზმად არ არის მიჩნეული. არის რადიკალური სიკვდილ-სიცოცხლის შერაცხვის ამგვარ გადაწყვეტაში: ამ ლექსს გაიჩნია თავისი პირქუში ორეული (სედარდებოდა შეშლილს), სადაც უფრადდება სამყაროსადმი ნეგატიურ მომენტზე გამახვილებული, მაგრამ ეს ნეგატივა ლექსის შიგნითვე, ხელოვნების აქტში წყდება. ლექსი, ხელოვნება, იგივე არტისტული ყველაღები, პოეტის აზრით, ის ერთადერთი რამ არის, რაც შეიძლება დაუბრუნდეს სიკვდილს. და თვისი წიგნი „თვისი ქალა ანტიტული ყველაღებით“ გამოქვეყნების თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, ვალაქტიონი ლექსში „ვარდები“ იტყვის: „წიგნიცა ყოველთა მამინდელთ ზემო ვარდით მოზრთული ჩნდა თავისი ქალა“, სადაც ამ ვარდს, „წაწვიმარ სილა-ში“ ნახული ვარდის გადახალისებულ პარაფრაზს დავუვარდებთ, როგორც სიცოცხლისა და ნაყოფიერების უმაღლესი აზრის გამომხატველ სიმბოლოს.

ამრიგად: თქმა იმისა, რომ ვალაქტიონი დეკლენტი, დეუსტეტა და ვანმარტებათ მითითხოს, რა თქმა უნდა, ვალაქტიონს აქვს მყოფოდ გამობატული დეკლენტიური ლექსები, მაგრამ მითლიანობაში მისი პოზიციისათვის ნიშანდობლივია, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომანტიკულ-ტრადიციული მსოფლმეგობრების ფორტში გატარებული დეკლენტიზმი... ვალაქტიონ ტაბაიის პოეზიაში იგი უპირატესად, მოდერნიზმის მოდელის როლს ასრულებს და

პოეტი მხოლოდ ზოგად, თანადროულდობისათვის ნიშანდობლივ ხაზებში იზარებს მის ვაიწყობილებებს.

საქართველო
განხილვისათვის

1914-22 წლებს ვალერიან გაგრინდაშვილი ქართული პოეზიის „დინამურ ლამეს“ უწოდებს.¹ უარიყოფა ძველი, იქმნება ახალი. ამ ხანის პათოსი კარგად არის გამოხატული „ვალაქტიონ ტაბაიის ეურნალი“ მოწინავე წერტილში: „განახლება ან სიკვდილი ძირს ყოველგვარ რუტინა, ძირს დრომოქმელი შემოქმედების უნაყოფო ელემენტები. გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას“.² მაგრამ განახლების ეს დეცხრომელი მისწრაფება, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხელმე ასეთ დროს, ზედმეტ გულმოღვივებას იჩენდა გარდასულსა და ტრადიციულს უარყოფისას, რის გამოც საკვებით იგნორირებული იყო ძველი ქართული პოეზიისა და, საერთოდ, ძველი ქართული კულტურის უმდიდრესი გამოცდილება ახალი პოეტური კულტურის დადგენაში. ეს იყო საერთო ტენდენცია და იგი, როგორც ხანს, ყოველმომხვეული იყო ვალაქტიონის სიტყვები: „მეხეთე საუკუნის სტილი შეენის თვით მეხეთე საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისათვის იგი მარტოდენ ძინძეებია ახს სეთი ხასიათის ვადაქარებად უნდა მივიჩნიოთ. ცხადია, ყოველთვის ძალაში იყო და იქნება შეგონება: არაფერ შთასისის ღვიწითი ახალი თხიერსა ძველსა... მაგრამ თქმა იმისა, რომ ძველი სტილი „მარტოდენ ძინძეებია“, ე. ი. ისეთი რამ, რაც ზედმეტ და გამოუსადაგარია, უფოდ გადაქარება. საგულისხმოა, რომ ეს აზრი პოეტურ პრაქტიკაში ყველაზე უწინ და ყველაზე თვალსაჩინოდ თვითონ ვალაქტიონმა უარყო, როცა თავის გვიანდელ პოეზიაში, ფრაზობრივი კონსტრუქციების მეტი დინამიკურობის მიზნით ძველი ქართული ენისათვის ნიშანდობლივი გრამატიკული ტრეში შემოიტანა, როგორც ახალი დროის შესაბამისი სტილური ნოვაცია და არა როგორც არქაული „ძინძე“. ვალაქტიონ ტაბაიის, მსგავსად ყოველი დიდი ხელოვანისა, იცოდა, რომ „ხელოვნებისათვის არ ასტებობს წარსული და მომავალი... რომ ფერისცვალება ევოლუციის არ ნიშნავს“ (მეცხს) და რომ ზევი რამ „არქაული“ უფრო თანადროულია, ვიდრე „ფორტურისტული გამოცანები“, როგორც დაცივიით უწოდებდნენ ლამაზი უნიკო პოეტების თვითდაქვრებულ ჩხიკედელაონას.

XX საუკუნის ახალი ქართული პოეზიის შექ-

1. ეურნ. „კავკასიონი“, № 3-4, ტფილისი, 1924, გვ. 207.
2 ვალაქტიონ ტაბაი, ტ. 1, გვ. 37.
3 იქვე, გვ. 36, ვახუთა „პოეზიის დღე“, 1922.

1 გ. ტაბაი, ტ. I, გვ. 456, ვარიანტი.
9. „მნათობი“, № 11.

მნისა და ინტენსიური აღმავლობის პერიოდში ლიტერატურული ტრადიციის ფონად XIX საუკუნის მწერლობა იველისმებოდა და მოდერნისტი ლირიკების ტრადიციასთან მიმართებას XIX საუკუნის დიდ პოეტებთან დამოკიდებულება განსაზღვრავდა. მიუხედავად იმისა, რომ „ყაჩაღთა“ თეორიულ დეკლარაციებსა და წერილებში ხშირად იყო მოხმობილი რუსთაველის სახელი, როგორც ქართული სიტყვის უდიდესი მებტრისა, რუსთაველური და რუსთაველის ეპოქის პოეტური კულტურის მიღწევებსა და ქართული მოდერნისტული პოეზიის ცდებს შორის შემაერთებელი არც რეალურად არ არსებობდა. თანამედროვეობა ითქვას, რომ ოცნებებს წლებამდე გალაკტიონია ის ერთდერთი პოეტი, რომელიც ამ არსს, მართალია იშვიათად მოქმედს, მაგრამ მანც ინარჩუნებს ენობრივი სტილის სფეროში (იხ. ლექსები: „მზეთა თბათისა“, „ათი ქალწული“ „უნახესი ზღაპრები“, „სალამოვ, ვიცი...“, „მემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა ზავანში...“). მხოლოდ უფრო გვიან, ოცდაათიანი წლების მიწურულიდან, მის პოეზიაში თანდათანობით ფართოვდება და ძლიერდება ეს არსი, რაც იმაზე მიუხედავებს, რომ უფრო ღრმა და სრულდება სდება როგორც პოეტის მსოფლმეტრების ეროვნული წყარო, ისე პოეტური ტრადიციისაღმის დამდგრადი ეროვნული და ინტიმური კავშირი.

მისი გვიანდელი ლირიკის შედევრი „ვით არ მივარდეს“, როგორც ექსპრესიის, ისე იდეური მიზანსწრაფვის თვალსაზრისით, თითქმის იმ არის დადასტურებას წარმოადგენს, რომელიც ოცნებანი წლების დასაწყისში გამოთქვა ვალერიან ვაჭარინისაგან: „ახლა იწევს ქართულ პოეზიაში რუსთაველისა და ძველი პოეტების რენესანსი, თუმცა ეს რენესანსი ჯერ ლექსიკონის აღდგენას შეეხება. წარსული ეპოქები, მათი ინტიმური სტილი უფრო ძნელი მისაწვდომია, და ეს იქნება მიზანი მწერლობის შემდეგ მოღვაწეობისა. თანდათან უნდა დავიბრუნოთ წარსული, როგორც პომპეა და პეტრუპოლი...“

„მე არ ვიცი ვინაა, რომლის წარსული თეოდონტიანული წელიწადი ტყე-უსსოფარ ხნიდან დროგადასული აქ დაბრუნდა მისი სახე.“

ამბობენ თითქმის ამ გზების წინა აქ დაგრეული ზღუდე და ბინა უფრო ძველია, ვიდრე ათინა და უფრო ძველი, ვიდრე თვით რომი.

როგორც დავითოვ და წაილის დროში, რომელიც გზებზე მრავალთ სარწყვი, იქ რომ კორდია და იმ კორდზე რომ გადარჩენილი სამი ცაქცია.

ის სამი ცაქცია მათ ქვეშ მთელი აღმოჩენილია, იმედია შილთა და ოცნებათა გადახდენილია ჩემთა ოცნებათ გროვა აწვევს...

იქ ძველის-ძველი, უსსოფარ ხნიობს, რაც კი ბილი და ნანგრევია, მას ჩემი ყრმობის, საოცარ ყრმობის უნებელი სევადა ჰხვევია...

ნანგრევი... როგორ მიყვარდა მე ის. რამდენი სევის, რამდენი სიამის — მე დაფიქრებულს ვინ უწყს რა წვაში მდიდარე ღამე იქ მთოვია...

მედგად, გრძობამ წინ რომ გაიწიოს, მეშინის ვისი, მეგრადღის რასი? ამ ნანგრევებთან მშობლიურ სიოს კვლავაც ვუპოვნით მშობლიურ მისს...

გალაკტიონ ტაბიძის ადრინდელი და გვიანდელი ხანის ლირიკა, ერთსა და იმავე, განუმეორებელი პოეტურ-პიროვნული შემოქმედების ფარგლებში შესაძლებელია მნიშვნელოვანად განსხვავებულ სახეს აქვს. ამის სიალუსტრაციოდ, ურთიერთისაგან დაახლოებით ოცდახუთი წლის დისტანციით დამორბეულ ორ ლექსს შევეპირისპირებთ ორივე ლექსი ტიპოურია გალაკტიონის პოეტიკისათვის: „ქარი მოგონებათა“ და „ზღვა ახმაურდა“.

პირველ ლექსში აღნიშნავთ შემდეგი ვარტობა: შთაბეჭდილებათა მონაცვლეობა აქ განცდის ერთიან მომენტზე დაყვანილი. ყველა შთაბეჭდილება განცდის ერთიან დროშია ნაწერული. ანაფერი არ ეთარება. დრო ერთბაშად და მთლიანად არის მოცემული. ეს დრო გაქვითილია განწყობილებით, რომელიც წინათგრძობის სახით თავისთვის ურყევად შეიცავს. ლექსში გახსნილი სურათი ლავარდოვანი, თბილი და წყნარია, მაგრამ მოლოდინით დაყურსული. მოლოდინი აუღარსა და ქარიშხალს გულისხმობს.

ავისტო, თბილი სამხრეთის ქარი შენს ლავარდოვან მანდილში ჰქროდა. ისმოდა შორით „რამო-და შოდა“ და კრალეზდა მზიანი დარი, როგორც ოცნება უმოკრეს დროთა, თითქმის ქალწულმა პირველად სცოდა და სინათლის დაგებად ღვარია...

ზღვა იყო წყნარი.

თითქმის თვინობა ზურმუხტის რტოთა, ცის დასავლამდე უსიზმროდ მდგარი, უსმენდა ჩანებებს და მოელოდა.

შორს, ძალიან შორს მოსწანდა ქარი.
მე შენ გყოცნიდი და გული თრთოდა...
ზღვა იყო წყნარი.

ლექსის აქომაქანეშენტა ორჯერ განმეორებულ, სტროფების დასკვნითი რეფრენი „ზღვა იყო წყნარი“ ქმნის. ბუნება ამ ლექსში მშვიდი მზიერებით არის გამსჭვალული. თუმცა სადღაც, შორს, უკვე მოსწანს „ქარი“. ეს ქარი პირველი სტროფის „თბილი სამზრეთის ქარი-საგან“ არსებითად განსხვავდება. უკანასკნელი ობიექტური რეალიაა, მაშინ როცა ხილვლობის ატრიბუტით წარმოდგენილი ქარი ვალაკტიონის პოეზიაში სხვადასხვა ნაუფასო აქცენტრებული ფსიქოლოგიური რეალიობის აღმნიშვნელი სიმბოლოა: „ქარი არა ჩანს“, მაგრამ მწვერვალებს მაინც ეღებება ქარი, „ქარანს არ ჰქვია“, მაგრამ ზედა მანქანა თითქმის ხოლო ამ ლექსში ქარი ძალიან შორს ჩანს. მის ვიბრირებას მხოლოდ წინათგანნობა ხედავს. დრო ქერ კიდევ მზიერობით სუნთქავს, თუმცა მასში უკვე იგარზნობა დაძაბული მოლოდინი... „ესმენდა ჩან-გებს და მოელოდა“... მოელოდა რას? — ქარი აქ სტიქიონურის სახეა, ხოლო სტიქიონური ხეელაზე უწინარეს და უშუალოდ მუსიკით გამოიხატება ამ კონტექსტში ჩინეთან და ქართან ერთად, ზღვაც ერთერთი იპოსტასია აშნაირად გაგებულ მუსიკა-სტიქიონისა. „ზღვა იყო წყნარი“, ვინაიდან რაღაც (სინაზული) დაგუბებულია და არ იძვრის. ქვეტექსტი ასე წაითხება: დაგუბებული იხველებს, დაიძვრება ქარი-მუსიკა-სტიქიონი, წყნარი ზღვა აღელდება. სიწყნარეში ემბრიონურად მოყუჩებულია სტიქიონის სიმავა (ამ ლექსის მიხედვით: სიყუარლის პირველ თითოილვას მის წარმოიცი ქარიშხალი მოჰყვება).

ამ ლექსში თვითველი საგანი პოეტური განცდის მსუბუქ ზმანებაშია გახვეული და მის შეუზღუდველ ხელმწიფებას ეპორჩილება (Le ravel). ლექსში გამოსახული ბუნება ღა რეალიკობა პირველად სტროფიდან პირიქით შთაბეჭდილობის უარესად სუბიექტურ პლანშია „ახატული“ და აღქვებურად ფერმეველი. განწყობილების სიზმრისეულ ნაკაღში (მთელი ლექსიც ხომ მოგონებათა ინტროვერსიულ ბუარტშია გახვეული). სიტყვებს მოძარტული აქვს „სავსობრიობა, კონკრეტულობა, ნოეთიერობა“.

ოპის შემდეგ დაწერილი „ზღვა ახმაურდა“ სამი სტროფისაგან შედგება, სამივეს რიტმულად ენერგიული რეფრენი ამთავრებს. პოლიანად ლექსიც მოუყვანარი, ნერვიულად დაძაბული განწყობილებით არის დატენილი. უკვე დასაწყისში დიუოებელი მინივარებასა და მისი თანდათანობითი ვაშლის პერსპექტივაა შექმნი-

ლი. პირველ სტროფშივე მინიშნებულია ლექსში მოხაზული ობიექტის (ზღვა, გრივადი) და ნავლისხმევი სუბიექტის განწყობილი განწყობა: ის, რაც ხდება სუბიექტის გარეშე, მის არსებაში უღრმეს რეაქციას იწვევს. მეორე სტროფში რამდენადმე ნათელი ხდება ამ მწვევე რეაქციის შინაარსი: ლექსში ნავლისხმევი სუბიექტის /შინასამყარო თანდათანობით და გარდაუვლად იმსჯელება გარესამყაროს სტიქიური მღელვარებითა და თვითონვე ამგვარსავე სტიქიურ შემართებას ესწრაფვის. ამ ურთიერთის იდენტურია, ზღვა-გრივადი-სიმფონია. სტიქიონური აქ პირდაპირ არის სახელდებული მუსიკად ან მუსიკალური სტრუქტურის მქონე მოვლენად. მეორე სტროფშივე გამოხატული რეგისტრის ამღლება. ზღვის რიტმული ხმაური და გრივადი ზენს ვაწავს არსებული რეალური ცხოვრების სიმბოლოა და უნდა ვიგულისხმობთ, რომ გრივადის მეთაურობით მოგზაური ანბა თვითონ პოეტის სულია.

საველისხმობა, რომ ზღვის დაგინებულ ხმაურს პირიქების გულში ცოცხლად ახვართებული ჩაბატლის (დღევ წინაურთა) ზღვის ხმაური ერთობს, რომ განვლილი დროების ზღვად ახმაურება, ამღერება უეცრად, ექსტაზურად ხდება და რომ ეს დღევები ამის გამო ნაცრისა და ფერფლს კი აღარ წარმოადგენს, არამედ ახლა (ექსტაზის შემდეგ) უკვე ისეთივე ენერჯის ვამცველ მთლიანობას, როგორც სუბიექტის შემეფრანებული ზღვაა. ამას ხაზი უნდა ვავსავს, რადგან ლექსში მინიშნებულია პირიქების ქერ დაღვეული და რეალიობისთან გათიშული შინასამყარო, ხოლო შემდეგ მასზევე აღძრული ქმედითი აქტით წარსულთან და აწმყოსთან პარმონიულად შერწყმული პირიქება. მესამე სტროფში რეგისტრი კიდევ უფრო ამღლება. შინაგან პირიქითი და გარეობიექტური განუყვეთვლ რეალიობად ერთიანდება, რითაც სრულდება ადამიანისა და სინამდვილის უმაღლესი ურთიერთქვეყნობა:

და მე ვიგრძენი უეცრად, მკაცრად —
რომ არა ფერფლად და არა ნაცრად
დღევ წინაურთა —
არა ჩემს ვარეთ, არა რამე სხვა,
არამედ ჩემში ახმაურდა ზღვა, —
ზღვა ახმაურდა.

პირველ ლექსში შთავგონება ინტროვერსიულია, მეორეში — ექსტრავერსიული. პირველი რესენტმენტს, ხოლო მეორე აწმყობა წარსულის ცოცხალ ქმედებას გამოხატავს. ამიტომ პირველში განწყობილება პასიურია, იმპრესიონისტული, მეორეში აქტიურ-ენერგიული და ეს სავესებით არის გამჟღავნებული პირველის სტატიკურ და მეორის დინამიურ რიტმში.

„ჩვენი დღეების პოეტური ლიტერატურა მსოფლიოს რომელიც ვინა ქვეყანაში, მათ შორის, რუსეთსა და საქართველოშიც, სიმბოლიზმისა და აველა მისგან გამოსული და, აგრეთვე, მის წინააღმდეგ მებრძოლი სკოლის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს“.¹

გალაკტიონ ტაბიძის მსოფლგანცდა სიმბოლიზმის ფილოსოფიურ და მხატვრულ ბრძოლაში გამოიწვით. და თუმცა მისმა მოაზროვნებამ ვაგუნენების ბევრი სხვა, შედარებით მცირე მნიშვნელობის, ქურაშიც გაიარა, სიმბოლიზმი იყო ის უნივერსალური მოდუსი, რომლის მეშვეობითაც გალაკტიონმა მეოცე საუკუნის პოეტური სიტყვა თანადროულობის ბეჭდით დაბეჭდა. მან დანერგა ქართულ პოეზიაში მრავალმხრივ დახვეწილი ევროპული თანამედროვე პოეტური აზროვნების სტილი და ფართო დინებით შემოიწვია ქართულ ლექსში სიღრმისეული მნიშვნელობით იბეჭდილი ინდივიდუალური განცდა. მის იდრინდელ ლირიკაში ამ ძლიერმოსილი მიმდინარეობისათვის ნიშანდობლივი ელფერით ცნდდება თანადროული მსოფლიოს ურბანული სახე (ფანტასტიკური, დამაჯადეს შენმა ჭრეხებმა და შენმა გზებმა*), რვეოლუციური გარდატეხების „სისხლი და ცხედრები“, ტექნიკური ევილიზაციის სასოწარკვეთილი კვილი („ევრპარსი გაისმის მათი ხარხარი, ნუთუ არასდროს არ შეჩერდებით?“) და სხვა უამრავი, ახალი ქართული პოეზიისათვის მანამდე უცხო პრობლემა და მოტივი. საინტერესოა, რომ 1916 წელი, როცა გალაკტიონ ტაბიძისა და, საერათოდ, XX საუკუნის ქართულ პოეზიაში ერთბაშად, დიდი ინტენსივობით გამოვლინდა „მოდერნი“, — ინშტაინის ფარდობითობის თეორიის გამოქვეყნების წელიცაა, და მისი სახელად შემთხვევით არ გვხვდება გალაკტიონის ლექსებში. „ამა, ქალაქთა გვიანი ნებით ბურუსებში ჩანს ინშტაინი“. ლექსში „ისევ ეფემერა“ პოეტი თითქოს ახალი დროის უღრმესი ტენდენციების მავთური ხილვის პროცეიტრებას ახდენს:

დადგა დრო, რკინამ აიღვა ენა!
ის ითხოვს პასუხს, როგორც შეკვლელობა,

¹ Б. Пастернак, Вопросы литературы, № 1, 1966.

და სასტიკია, როგორც გენა
მისი სისწრაფის უღმობელო ჭკუა
და ახრჩობს თავის ცხელი თითები
მასვე, ვინც იმას სული შთაბერა...

1927 წელს გამოქვეყნებული წიგნით მოაზრდება „ევროპის პრეზენტაციის“ ათწლეული. შემდეგში პოეტის ყურადღება ეპოქალური მნიშვნელობის ამგვარი ხასიათის ძეგრებასა და მოვლენებზე უკვე აღარ წერდება.

40-იანი და 50-იანი წლების მანძილზე გალაკტიონის პოეზია თანდათანობით იმსკვლეება კლასიკური პოეზიის რეალისტური ელემენტებით. რა თქმა უნდა, სიმბოლიზმის მხატვრული მეთოდის ბაზაზე მოპოვებულ ძირითად მიღწევებს იგი ინარჩუნებს, მაგრამ მისი ხილვები თითქოს კარგავს ზმანებრივ სიმსუბუქეს და შესიავლურ დენალობას. თუმცა ამ ახალი თვალთახედვით დანახულ საგნებშიც კაყოველთაის იგარბნობა მიწიერიდან მოწყვეტის მოსალოდნელობა. ლექსების რიტმი მკაფიოდ რელიეფურია, ხოლო სიტყვიერი ფაქტურა კლასიკურად გამკვირვალა.

შემოქმედების გვიანდელ პერიოდში გალაკტიონს ქართული კულტურის ფესვეული მოდულის მოახლოებისა და აპოლოგიის პათოსი იმერობს. ეს პათოსი მისთვის არც ადრე უოფილა უცხო, მიუხედავად იმისა, რომ სპორადულად ვლინდებოდა. მაგ. 1916: „მის ედა არ სმენია დიდება მარადი და ქართლის გენია“, I. 363; 1918: „და სამუშებთან იყო ქნარი გვიანტიური, ქართული სულით მეოცნებე პოეტის ქნარი“, II. 31; 1919: „და სამუდამოდ იყო ქართული მისი ჰიმნები გენიალური“, II. 68; 1922: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არა ქართული, ძაფი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტის“, II, 103; და სხვ. მაგრამ ახლა პოეტისათვის ქრება იმპრესიონისტული განწყობილების ნიადაში განზავებული თუნდაც ამგვარად გამყვანებული ერაყნული განცდა. ქრება გალილიად არჩეული თბილისი-ემალოტის სახე, პროვინციული იმერეთის დავით კავბამისეული მწუხრობა, „უკაბადონა“ ცით დაბინდული ეზოების რომანტიკა და წინა პლანზე გამოდის ანტიკური მზორობის შექმნე დანახული ქართული მიწა, როგორც „გარდასულის ხილული სახე“ — თავისი განუმეორებელი რელიეფით, უძველესი ტყეებითა და ტაძრებით... და ზედმეწერიით...

ვეფხისტყაოსნის ერთი გამოცემის გამო

ამ სათურადან ნათელია, რომ ეს წერილი არაა რეცენზია. იგი წარმოადგენს ზოგიერთ აზრს 1966 წელს გამოცემულა „მეცნიერების“ მიერ გამოცემულ წიგნზე: შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ვარიანტებით. ნაშრომი სამეცნიერო აკადემიის დაელოებული მოამზადეს აკად. აკ. შანიძემ და ალ. ბარამიძემ.

„წინამდებარე I ტომში, — წერენ ავტორ-რედაქტორები, — მოქცეულია შ. რუსთველის უებრო ნაწარმოები, ხოლო II ტომში გადატანილია რუსთველის მბაძველთა მიერ პოემაში შიგ და შიგ ჩართული სტროფები და ბოლოში გავრძელებად დართული თავები (სათანადო ვარიანტებით).“

უდავოა, რომ დასახელებული პუბლიკაცია ფრიალ საიამოვნო მოგუენაა, როგორც იმის მიხედვებით, რომ რუსთველის ტექსტს ჰყავს გულდადებული ჰირისუფალი, რომელსაც შესწევს ძალა და უნარი, ანუ, როგორც წერდა იოანე პეტრიწი თავისი კომენტარების III ნაწილში, „სურვილი“, სერიოზული დაკვირვებისა და შესწავლის შემდეგ, მიაწოდოს მკითხველს ის დამუშავებული მასალა, რომელიც თუ დღეს-დღეობით კიდევ არ სწყვეტს სადავო საკითხებს, სათანადო გზაზე დგას და ადრე თუ გვიან თავის მიზანს მიაღწევს — შ. რუსთველის „უებრო ნაწარმოების“ დადგენის სახით.

ყოველ შემთხვევაში, მრავალი მონაცემით დასახელებული პუბლიკაცია გამოირჩევა ყველა იმისგან, რაც საქართველოს საბჭოურ მოთარობის მიერ დაუზოგველი მხარდაჭერის შედეგად მიღწეულ იქნა ტექსტის დადგენის საკითხში.

შეუხედავად ამ პუბლიკაციის მრავალი ღირსებისა, ზოგი რამ მაინც გაუკეთებელი დარ-

ჩა, და ამ საქმისათვის გულუხვმა მთავრობამ ეს ფაქტი მით აღიარა, რომ ტექსტის დადგენი კომისიის მუშაობის ვადა გააგრძელო სათანადო მორალური და ნიუთიერი დამხარებით.

ამ გარემოებასთან დაკავშირებით იბადება რამდენიმე საკითხი, რომელთა შორის პირველია: გამართლებულია თუ არა ავტორიტეტული ავტორების მიერ რუსთველის მბაძველთაგან პოემაში შიგდაშიგ ჩართული სტროფებისა და ბოლოში გაგრძელებად დართული თავებისადმი ერთნაირი მიდგომა? ყოველ შემთხვევაში, ვეფხისტყაოსნის გამგრძელებლებზე ლაპარაკი დიდ სიფრთხილეს საჭიროებს, ვიდრე პოემის შიგურ სტროფის საკითხი არა უდავოდ გამოირკვეული.

განსაკუთრებით დაკვირვებულ მიდგომას მოითხოვს შიგურ სტროფის ორი პეკარი, რომელთაგან პირველი არ უნდა იყოს სწორი სახით შემონახული. აკადემიკოს ნიკო მარსაც აშფოთებდა ამ პეკარის საკითხი. უნდა ითქვას, რომ ეს პეკარი — „მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიმდე გასატანისა“ ნ. მარს უაზროდ მიაჩნდა, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას უსაფუძვლოდ. მას შემდეგ სიტყვა „სურვილის“ მნიშვნელობა ვაირკვა ისე, როგორც ეს პეტრიწის აქვს ნახმარი გამოთქმაში „ყველა სურვილსა ხედვისასა“, რაც, კონტექსტის მიხედვით, ძალას ანუ უნარს ნიშნავს, მაშინ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ჩვენამდე მოღწეული დამწერლობა „მომეც მიჯნურთა სურვილი“, რომლის მიმართ გენერტივი „გასატანისა“, როგორც ნ. მარს ამბობდა, მართლაც ვაუკვებარია.

ამავე ვაუკვებობას აძლიერებს ისიც, რომ რუსთველი ამ შიგურ სტროფის შიგურ პეკარში ვეადრება დმეროს, ძალა მომეცი „დათრგუნვად მე სატანისა“ო. დიდმა ოსტატმა რუსთველმა კარგად იცოდა; რომ ამის შემდეგ მე-

მაგრამ ამით არ ამოწურება ყოველივე. საქმე ისაა, რომ ინდურ რელიგიურ-ფილოსოფიურ ტექსტებში ვარგად არის ცნობილი სიტყვა რუმე.

ინდურ ენათმეცნიერულ წიგნებში ეს სიტყვა ამგვარად განიხილება: რუმე — ფორმით გამოვლენილი იდებდა. მას უპირისპირდება არუმე — ფორმით გამოვლენილი იდებდა.

რუმე ბნობილ თხარება საკუთარი ზედსიტურ წერილებშიც და აქ აღნიშნავს ფორმას, სხეულს, ზოგიერთი ვაგებით — მატერიის ელემენტებს (ს. რადჰაკრიშნანი) თუ ფერის მოქრობას (პროფ. შერბატსკი).

• • •

„სიბრძნე ბალავარი“ საეტაპო ნაწარმოებია ქართული აზროვნების, ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის. როგორც ფოქსში, ისე იყრის მასში თავს შუა საუკუნეთა ქრისტიანული კულტურის ბაზმულმატყა. ამდენად, ცხადი უნდა იყოს: ზემოთ მონათხრობის საფუძველზე ჩაწერილი თხულებად მივიჩნევთ მას, თარგმანად თუ ვადმოკეთებთ-ვადამუშავებად. უშუალოდ გვმართებს გაეთვალისწინოთ, რომ მისი ავტორი, მთარგმნელი თუ გადამოკეთებული ვერასგზით ვერ იქნებოდა შემთხვევითი პირივნება, როგორც პირველადი ქართული ვერსიის, ისე ვრცელი და მოკლე რედაქციების შემქმნელი ზედმიწევნით უნდა ყოფილიყვნენ ვაკრეველნი იმდროინდელი რელიგიური ფილოსოფიისა და ლიტერატურული პრაქტიკის ნიუანსებში, მათ უნდა აღეზრდებინათ არა საკუთარი კაბრიზის შედგად დასახელი საქმე, არამედ უაღრესად პასუხსაგები და სავსებით კონკრეტული დაკვეთა ქართული ეკლესიისა.

„ხოლო აჲ მიქსანხარ მტერთაგან... და გამოვტაცე შორის მათსა, რამეთუ გაუწყე მეცნიერებად ღმრთისაჲ და მოციქულთაჲ და წილთათა მათათა მცენებად და ყოველი შეელი ქრისტიანობისაჲ გასწავე“ — ეთხლება ბალავარი იოლანათს. ეს სიტყვებიც რომ არა, თავად სათაური თხულებისა მიგვანიშნებდა მის არსებას: მან მივიჩნევს მხატვრულ ჩარბთში უნდა წარმოუდგინოს ქრისტიანული რელიგიის ძირითადი დებულებები, დასაბუთოს ამ დებულებათა უპირატესობა. ამ ამოცანის შესრულება თავისი დროისათვის ღრმად განსწავლულ ადამიანს შეეძლო მხოლოდ. მას ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა არა მხოლოდ თავის მიერვე მოთხრობილი ლიტერატურა (სადაც ვერძოლი, პატრისტიკა), არამედ აგრეთვე ერეტიკოსთა ნაწერებიც, საწინააღმდეგო მოძღვრებათა დოკუმებიც და, საერთოდ, ფილოსოფიაც (ეპიკურაზმ, ეს თანაბრად ეხება ავტორსაც, მთარგმნელსაც და ვადმოკეთებულსაც), რადგან თხულებ-

1 შედარებით: „ეარღთა და ნებეთა ვინითგან მზე სწორად მოეფინებოხ, დიდთა და წვრილთა წყალობა შენსცა ნუ მოეწყინებოხ“. მიხედვად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამ სტრიქონებს შესატყვისია სიბრძნის მოვლუბები, მაინც ყურადღებას იპყრობს ლექსიკური თანხვედრა — „მიეფინებოხ“, „დიდთა და მცირეთაჲთა“. აქ სანატრესო ლიტერატურული რემინისცენცია უნდა გვიჩინდეს.

ბაში წარმოდგენილი ცოდნა მისი შექმნელის სიბრძნე კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ოფიციალურად აღიარებული ეპოქურბუნალი სიბრძნე ქრისტიანობისა. უამისოდ ბუღას ცხოვრებას ამბავი პროზელიტი ქრისტიანი მოლაშქის, „ნეტარი“ და „სამგზის სანატრელი“ ოოდის-ფის ამბად ვერ იქცეოდა. ბუღისმის ძირითადად დასუკა იმ მიგნებამდე შიხე უნდა განხორციელებულიყო, — ეთიკის სფერომდე, — სადაც ორი სხედასხვა რელიგია შესაძლოა შეინაგან წინააღმდეგობათა გარეშე შეერწყას ერთიმეორეს.

ჩვენთვის ნაცნობ არაბულ თხზულებაში ეს ამოკანა ვერ არის განხორციელებული თუნდაც იმტომ, რომ ჰუმანიტების წვდომის ძირითად გზად, ავტორიტეტისა და ლეთებრივე გამოცხადების გარდა და მათს პრაქტიკურად, დასახელოა, მსგავსად ბუღისმისა, ინდივიდუალური, ვინგებაზე დამოკიდებული ძალისხმევა. რელიგიური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით არაბული ევრასია ბუღისმისა და ისლამის საყმაოდ არაარგანელი ნახავია. ამის საწინააღმდეგოდ ქართული რედაქციები ვაზარებულ ქრისტიანობის ნიშნებს წარმოადგენს. ბუღისმში, როგორც სისტემა, აქ თავს აღარსად იჩენს, მისგან აღგავლად დაჩენილია მხოლოდ ცალკეული სენტენციები, აზრები თუ გამოთქმები, რაც ნაწარმოებთა შილიან ქსოვილს შეუბამებულ ლაქებად აღარ აჩნია.

ორივე რედაქციის შემქმნელი, პირველადი ქართული ევრასილიან მოაღინარე ნაყადის სახით თუ დამოუკიდებლად, უხვად და მარჯვედ იყენებს ძველი და ახალი აღთქმის, პატრისტიკის, არისტოდეს აპოლოგიისა თუ სხვა ქრისტიანული ლიტერატურის ელემენტებს. გარდა 1937 და 1957 წლების გამოცემების მიერ მოითებებული ადგილებისა, ორსავე რედაქციაში მრავლად აღინუსხა სათანადო შემთხვევები. აი, მგავლითი: „...[ევრებები] არა ხედევენ, არცა ესმის, არცა კმობენ კორკითა მათითა...“ (ვრცელად რედაქცია, 144, 37); „...თულა ასენ (ევრებებს) და არა ხედავენ, ყურა ასენ და არა ესმის... არცადა კმობენ კორკითა მათითა“ (ფსალმუნნი, 113, 14). ან კიდევ: „ხოლო ნაქორს რაქამს ესმენს სიტყუანი ესე ოოდისაფსიგან, გულისქმე-ყო, რამეთუ შთავარდა მოხრებლბა მას რომელცა ქნა“ (ვრცელად რედაქცია, 114, 33-35); „ქარაღვ თხარა და აღმოკლეთა იგი და შთავარდა მოხრებლბა მას, რომელცა ქნა“ (ფსალმუნნი, 7, 5).

არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც, სრულად მოულოდნელად, ჩვენი ძველი ფსევდოლიონისე არეოპაგელის ნაცნობობას უნდა ამეღანებდეს. ასეთად შეჩვენება, მგავლითად, შემდეგი ადგილები:

პრემილი რამაშვი: (ღმერთი) „უხეშთაეს არს გამოთქმისა და უხეშთაეს ბუნებისა და

ხილვისა“ (46, 7); „...უხილავსა და გამოთქმე მელსა...“ (56, 5); „პრეტუ ოოდისაფს: მესია შენგან სიტყუა და გამოთქმამა ლმრისა დრედასათჳს. აქ შესხილა ევალად უგანცხადებულსადაც, რამელ ვითამცა თელასითა მირუნენს. პრეტუ ბალავარი: გამოთქმულ არს ხატა ღმრთებლბა და გონებამა ვერ მსწუთების გომადებდა, ვითარ-იგი არს, და ვერცა ყოველნი ენანი შემბლენი არიან ღირსებით ქებად მისა. და მიუწოდებულ არს დახადებულთაგან მეცნიერება მისი...“ (69, 8-17);

პრემილი: „და ყოველთა მოგონებათგან მოგონებულ არს ზემთაგონებისა იგი ერთი; და გამოთქმულ არს ქოელისა სიტყუსაგან ზემთაიტყუსა იგი სახიერება...“ (6, 19-21); „არამედ ყოელისა ღრმის-მეტყულებლისასა უგანცხადებულესიკა იგი ოუსუამსი ჩუენბერ ქორცთ-შესხმამა ღმრთისადა გამოთქმულე არს ყოელისა სიტყუსაგან და უცნაურ ყოელისა გონებისაგან...“ (21, 30-33).

ვერ კიდევ საკითხავია — ეძიებლად არეოპაგელს თხზულებებით უნდა ესარგებლა თუ არა იმ პირობებისა, ვინც ქოელი რედაქციის ზემთ მოტანილი სტრიქონები დაწერა პირველად, თუ სხვა წყაროებიც მოიპოვებოდა საამისოდ? ამ კითხვის პასუხისთვის წერილის ავტორს ვერცერთი ვერ მიუკვლევი.

ოღონდ წერილის ავტორს მაინცა, რომ, გარდა ტექსტუალური მონაცემებისა, სხვა საფუძველი არსებობს „სიბრძნე ბალავარისის“ დასაკვირებლად არეოპაგეტიკასთან. ამ საფუძველის მისაკვლევად მცირე წიაღსვლა იქნება საკმობი.

როგორც ძირითადი (არაბული, ქართული, ბერძნული) ევრასილიან ჩანს, ბუღას ცხოვრების ამის ინდივიდუალური ფარგლებს გარეთ დამუშავება უმთავრესად იმ გზით წარამართა, რომ ბუღას ცნობილი ოთხი შეხვედრიდან (ბეროკატონი, სნეულთა, ჰედარის გეგამიან და ასკეტ მონაზონიანი) უბოლოდ გაიზარდა მნიშვნელობა უკანასკნელი შეხვედრისა, რამაც თხზულების მეტი ნაწილი დაიკავა მართლად, მუდმივად ლეგენდებშიც ამ შეხვედრას სხეებზე მეტი მნიშვნელობა მიეწვიეს: ვერ ერთი, სწორედ ეს შეხვედრა ხდება „ლეთის/შვილთა“ ძალით, მეორეც, ასკეტ მონაზონის მხოლოდ სიღაპრტა ხედავს, სხვათა თვალთათვის იგი დაფარულია (ამ უკანასკნელი მომენტის ნაშთი უნდა იყოს ბალავარის ძვირფასი თვალის, რომლის ხილვა მხოლოდ გამორჩეულია ჰედარია). მგვრამ საბოლოოდ ეს შეხვედრაც ოდენ საბაბო ჰუმანიტების საძიებლად გაქრისა. რადგან ბუღა ამ სცნობდა ჰუმანიტების წვდომას ვარეშე ძალის დახმარებით: მას მიიჩნდა, რომ ათაფრთთ არ იყო დავლებული არც ლეთაებათაგან და არც კაცობიან, მიზანს საკუთარი ძალებით მიადწია, შემწეობას იღებდა მხოლოდ მასზე წინ არსებულ

ბუღალთავან, მაგრამ მათ ძლევია კი არ ბუნებრივ-
ბიით, ვნებები დაუსახეს მხოლოდ და მხოლოდ.
ასევე მონაზონთან შეხვედრამაც სიღმარტა
კაცთაგან განდგომის, განმარტობის იდეით
ღაფრო და ამით ამოიწურა ამ შეხვედრის
მნიშვნელობა. უმთავრესი ამის შემდეგ დაიწ-
ყო — დაუცადებელი, მრავალწლიანი ცვათება
ქვეშაობების მისაყვლევად, რაც ბოლოსდა-
ბოლოს გამარჯვებით დასრულდა. გამარჯვებამ-
დე კი განდევნილ ქვეყნი ბოღმისატება
ბრძანდ დასახულ განდევნილებსვე დაემოწადა,
მაგრამ მალე დარწმუნდა ამგვარი გზის უმაქნი-
ლობაში. მხოლოდ შემეცნებმა ხის — „ბოღმის“
ძირას შეიღ წელთქანდ მარტობამარტო ყოფნის
შემდეგ მოწვედა იგი ქვეშაობებას. ამასთან,
თავისი მდღარი გამოცდილება ქვეშაობების
ძიების გზაზე ამგვარ სენმტეილი დააფორმუ-
ლა: „სარებობის ორი უკიდურესობა, რომელთა-
განაც შორს უნდა იდგეს სულაერი ცხოვრების
მატარებელი ადამიანი; ერთი უკიდურესობა
არის ცხოვრება ტებობისა, მინდობილი ავტო-
კომასა და სიამოზე. ეს არის მღაბალი, უმატოოს-
ნი, სულიერებასაგან განმარტული, უღარსი,
დაკნინებული ცხოვრება. მეორე უკიდურესო-
ბა არის ცხოვრება თვითგვემისა. ეს არის ბნე-
ლი, უღარსი, დაკნინებული ცხოვრება. სრულ-
ქმნილი შორსაა, ორივე ამ უკიდურესობისგან
და შეცნობილი აქვს საშუალო გზა, თვალთა
აღმტეული, გონების აღმტეილი, მშვიდობი-
სად მწოდებელი, ნათლის მოფენისა და ნორჯ-
ნისად მწოდებელი გზა“.

ქრისტიანული თუ მუსლიმანური სამყაროს-
თვის ქვეშაობების წიღობის ამგვარი ვაგება
სრულად მიუღებელი უნდა ყოფილიყო. ამ რე-
ლიგიოზისათვის ქვეშაობების მიღება ხდება ან
წინასწარმტყველთა, მოციქულთა და აღიარე-
ბულ საყვლესიო ავტორიტეტთა მომღვრების
გაცნობის, ან კიდევ ლეითებრივი გამოცხადების
გზით. ამიტომ არის, რომ ქართული ვრცელი
რედაქციის შემქმნელისთვისაც მიუღებელია
„განმარტებული ეგე სიბრძნე ამის სოფლისად
(148,38), რადგან „ყოველი ქვეშაობებაა იე-
სუჟას ქრისტეს მიერ მოციქულის კაცსა“ (47,17).

ამან განაპირობა ასევე მონაზონის როლის
გაზრდა ბუღას ცხოვრების ქრისტიანულსა და
მუსლიმანურ ვერსიებში. აქ უმთავრესი იყო არა
პარაფრების ინდივიდუალური ძალისხმევა, არა-
მედ მათთვის ქრისტიანული თუ მუსლიმანური
სიბრძნის იმ სახით მიწოდება, რომ „ტაბულა
რახა“ აღესტებულიყო ამ სიბრძნის ქვეშაობი-
ბის რწმენით.

ამგვარი რწმენის მიღების შემდეგ იოღასაფს
თუ ბუღასაფს ქვეშაობების თვალსაზრისით სა-
მიღებელი აღარაფერია აქვთ — ისინი ეხზარენ
სხვათა მიერ დადგენილ ქვეშაობებას. ამიტომ
არის, რომ იოღასაფი უღაბნოდ გასვლამდე უკვე
იმდენად ბრძნულად მომღვრავს მის შემცველ

მეფეს — ბარაქისა, რომ არც შემეცნებებზე
ბიით და არც ნათქვამის სიღრმეზე მაღაყვრეს არ
ჩამოუყარდება. ამიტომევე, რომ ბუღასაფი თა-
ვის ძირითად სიბრძნეს შეფესთან და აღმა-
განთან კამათისას გამოავლენს (როგორც ზემო-
თაც ითქვა, არაბული ძეგლის შემქმნელი ბუ-
ღასაფს ამის შემდეგაც ბოღმისატებას გზით ატა-
რებს — შემეცნების ხესთანაც მიიყვანს, სიბრ-
ძნეს ხელახლა მიაღებინებს, მართალია, ანგელ-
ოსთა მიერ ზეცად აღყვანის შემწეობით, შემ-
დეგ თავის ხალხთან დაბრუნებულს ქაღაგებ-
საც ათქვეინებს, რაც ბუღას პირველი ცნობი-
ლი ქაღაგების, ბენარჯისში წარმოთქმულის, ან-
ლოგიით კეთდება. მაგრამ ბუღასაფს ეს უკ-
ნასკნული ქაღაგება, სიბრძნის ფაქტურად ხელ-
მეორად მიღების შემდეგ თქმული, აზრდილია
მის მიერ აღრევე ნათქვამი სიტყვებისა, საქმა-
ოდ უგეშობი კონსპექტი ყოველივე აღრე წარ-
მოდგენილისა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ძეგლის
პირეანდელი, ანდურდიან მომდინარე ქარგის
გავლენით არაბული ვერსიის შემქმნელმა თუ
მისმა დედამმა დროულად ვერ დაუსვა წერტი-
ლი და ბილუპარის მიერ განმარტობილ ბუ-
ღასაფს ხელახლა აძიებინა სიბრძნე და ქვეშა-
ობება, რის გამოც, როგორც აღინიშნა, ნაწარ-
მოები ბუღაზისა და ისლამის საქმაოდ არა-
ორგანულ ნაზავად იქცა).

მაგრამ ამის შემდეგაც იოღასაფი და ბუღას-
ფი მთელი არსებით ისწრაფენად უღაბნოდ
გასვლისაკენ. რატომ სჩადის ამას ბუღასაფი, ეს
აქვე, ზემოთ ითქვა უკვე. მაგრამ იოღასაფი?

აქ ჩვენ ქრისტიანული ვერსიის შემქმნელთან
ერთად საქმაოდ რთული პრობლემის წინაშე
ვდგავართ.

ბუღას ცხოვრების ლეგენდალ ქვეყლი ამზავი
ქრისტიანი ავტორისათვის იმით არის მომზიბე-
ლელი, რომ ფუფუნებით აღზრდილი უღლის-
წული ყოველივე ამქვეყნიურს უყოყმანოდ მი-
ტრეებს და უღაბნოს მიამტრებს ქვეშაობების
მაძიებელი. ამგვარი ქარგა ზედგამოტრიალია
მონაზვნობის იდეალისთვის თავგადაღებული
ქრისტიანი ავტორის თვალსაზრისით. მაგრამ ამ
კონკრეტული ამბის შინაგანი აზრი მეუღაბნოე-
ობის შუა საუფენეთა ქრისტიანულ იდეალს
სინამდვილეში ეწინააღმდეგებ და ეს შინაგანი
წინააღმდეგობა ბოლოსდაბოლოს სადინარსაც
პოვლობს და თვით თხზულების სიუჟეტშიც გა-
მოვლენდება.

საჭმე ის არის, რომ, ბუღაზის მთელი შემდ-
გობი ისტორიული ბუღის მიუხედავად, თავად
ბუღა ფილოსოფოსი უფრო იყო, ვიდრე წინა-
სწარმეტყველი ან მოციქული (ამ შემთხვევაში
ჩვენ არ გვიანტრეხებს ის გაბრძოება, რომ ამ-
როგნულ ღმერთს მოწყურებულმა ბუღაზის
მიმღვრებმა შემდეგ თავად ბუღა, უფრო სწო-
რად, პირველადი ბუღა — ადიბულა დასახეს
ღმერთად და თავყვანისციქის საგნად. ამგვად

ამას არა აქვს მნიშვნელობა აქ გამოიღო მსკე-
ლობისათვის). ამ ფილოსოფოსისთვის კი განდევ-
ვილად წასვლა თვითმიზანი, საკუთარი სულის
სხნის საშეღებია კი არ ყოფილა, არამედ მხო-
ლოდ დროებითი აქცია, რომლის შედეგითაც
კუმპარტების მიკვლევა უნდა განხორციელბუ-
ლყო. ამის შემდეგ, როგორც ზემოთ მოტიანი-
ლი ციტატირაც ცხადი შეიქმნებოდა, ბუდამ,
სიამეს მიყოლილ ცხოვრებასთან ერთად, დავმო
სხუელის მოკვინებისა და თვითვემის ფარის-
ველური იდეალი (მართალია, ზოგიერთი ბუ-
დაისტური სექტა შემდგომში ამ იდეალს მაინც
დაუბრუნდა, მაგრამ აქ ხომ საქმე ეხება თავად
ბუდას — ჩვენთვის საინტერესო თხზულების
საფუძველს — და არა ბუდიზმის ისტორიულ
განვითარებას). მან ჩამოაყალიბა თავისი ორდუ-
ნი, იწყო ინდოეთში მოგზაურობა და თავის
მეორე მიკვლეული კუმპარტების ქადაგება.

ხოლო განდევლობის შუა საუკუნეა ქრის-
ტიანული იდეალის თანახმად, მეუღანბრედ ქცე-
ვა თვითმიზანია, საკუთარი სულის გამოხსნის სა-
შეღებია და არა საკუთარი კუმპარტების ძი-
ება (აქ ვერ გამოვლდებოდა ამგვარი იდეალი ძვე-
ლი ან ახალი აღთქმის ნამდვილ მოძღვრებას.
ლამაჩაკია ქრისტიანობის იმ ისტორიული სახის
გამო, რომელიც მან მიიღო ადრეულ შუა საუ-
კუნეებში, ჩვენი ძველის შექმნის ეპოქაში).

მეუღანბრედ ამიტომ მიიღონდნენ, რომ მთლი-
ანად განდგომოდნენ, მტრად ქცეოდნენ საწუთ-
როს, სოფელს, რომელიც „ვითარცა ანრდლი
წარგალს და ვითარცა კეამლი ვანჭარდების“,
და, რადგან „მტრობაა სოფელსა და ვეებს
ღმერთსა“, ამით დაემყვიდრებოდა მერმე სო-
ფელი, საუკუნო სასუფიველი, უბარწელი და
მისადილი ნეტარება. ამას კი არაფერი აქვს
საერთო ბუდასეულ ნიჭანას იდეალთან, რად-
გან, მართალია, ბუდა არ უარყოფდა ამქვეყნი-
ური ცხოვრების რავეარობისა და მიხედვით იმ
ქვეყნად საზღაურის მიწყება, მაგრამ მისთვის
ამას არაფერია მნიშვნელობა არ ჰქონდა: ბუ-
დისმისთვის უმთავრესია არა საწუთროს მოძე-
ლება, არამედ საერთოდ გამოყოფილი არსებო-
ბის (როგორც მატერიოლოგის, ისე იმპერია-
ლოგის) განქარება და ნიჭანას დამკვიდრება.
„ნიჭანა“ კი ჩაქრობას ნიშნავს, საერთოდ ყო-
ველგვარი გამოკლების დასასრულს. ამიტომ
იყო, რომ კუმპარტების წყდომის შემდეგ სი-
ბრტა ვიტამი, იგივე საჰია მუნი, აწ უკვე
ბუდად ქცეული, ცხოვრებას დაუბრუნდა და
სხვათა გამოხსნისთვის იწყო ზარუნვა.

ამის ამგვარი დასასრული მიუღებელი იყო
მანაზერონის იდეალის დამაკვიდრებელი ქრის-
ტიანი ავტორისათვის. მას უნდა ეჩვენებინა, რომ
საწუთროს საბოლოოდ მოძავეების ვარეუტ ხსნა
არ არის. აი, ამიტომ ისრაფუვოდა ითავითვე
იოდსაფი უდაბნოსაცენ.

მაგრამ იოდსაფი მოქცევისთანავე უღბანოდ
რომ გასულიყო, ერთბა მძიმე იქნებოდა კონტ-
რასტი ბუდას ცხოვრების პოზიტორქ შედეგებს
თან შედარებით და მამინ ბუდისტ-მიადანის
ქრისტიანი მოღვაწე კი აღარ დაუბრისპირდე-
ბოდა, არამედ ჩვეულებრივი მონაზონი, თუნ-
დაც ყოფილი უფლისწული, ხოლო რით უნდა
დამირისპირებოდა იოდსაფი ბუდას კუმპარი-
ტება მან უკვე მოიბოვა ბალაქარის შემწეო-
ბით, ასე რომ კუმპარტების ძიებისას მწელად
დასათმენი კვეთება (ეთქვათ, იმდაგვარი, როგო-
რაც მოუხდა შემეცნებას ხის ძირას მყოფ ბუ-
დას სიკვდილის მეუფე მარასთან შეტყინებისას)
მას აღარ ესაჭიროებოდა.

აქ ქრისტიანული ვერსიის შემქმნელი მწელი
პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ვარდა ყოველა-
ცე ზემოაღნიშნულისა, წარმოიქმნა სამიზრობა,
რომ ბუდას ცხოვრების მომზიბველი ამბავი
ნაადრეად და უგემურად დასრულდებოდა
უდაბნოდ ვასვლის ტრაფარეტით.

და, აი, ავტორმა იოდსაფს დააქარა მისია
ქრისტიანულ რეულე ინდოეთის მომპქვეელო-
სა. ხოლო, რაც ყველაზე უფრო მოულოდნე-
ლია, თხზულების ეს ნაწილი პლატონის მოძ-
ღვრებაზე დამყარებით დამუშავდა (ამ საკითხზე
აქ ვერ შევჩერდები, მხოლოდ აღნიშნავ ამ
ფაქტის უდატეს მნიშვნელობას ქართული ფი-
ლოსოფიური აზრის ისტორიისთვის).

ამ მისიის აღსრულებას შემდეგ, მას შემდეგ,
რაც დამტაცდა ქრისტიანობის პრაქტიკული
უპრატესობა, იოდსაფი, ყოველ შემთხვევაში
ფორმალური თვალსაზრისით, გამოჩენილ მოლ-
ეაწედ იქცა და ქრისტიანული ვერსიის შემქმნე-
ლსაც საშუალება მიეცა დამუშავებული სინდო-
სით გამოეკეთა თავისი იდეალი — გმირის მე-
უღანბრედ ქცევა.

მაგრამ აქ მოვლენათა ლოგკამ კიდევ უფრო
მწელი პრობლემის წინაშე დააყენა პირველი
ქრისტიანული თუ პირველადი ქართული ვერ-
სიის შემქმნელი (გამორჩეული არ არის შე-
საძლებლობა, რომ ეს ერთიდაიგივე პიროვნე-
ბა იყოს): განდევლობის იდეალი, როგორც
ლამის თავისთავად აქსიომატორ კუმპარტებად
მისაზნევი რამ, რის დამკვიდრებასაც მოქმდნა
ფაქტორად მთელი თხზულება, მოულოდნე-
ლად კრახის წინაშე აღმოჩნდა.

რადგანაც იოდსაფმა ვადაწყვიტა, საიდუმ-
ლოდ მიეტოვებინა მეფობა და განდევნილ წა-
სულიყო, და ეს აზრი ვანდო ბარაქიას, ამ უკა-
ნასკნელში მიუგო:

„არა საშარლოდ სავე, მეფე, რამეთუ წერილ
არს: შეიყუარე მოყუარო შენი, ვითარცა თავი
თქმა. ხოლო შენ აღირჩევ უმეობესსა და ჩემი
გნებავეს წარწყმედა. ხოლო თუ უმეობეს არს
დატყუება საწუთრობა და ძიება საუკუ-
ნობა, გუაღე და წარვიდეო ორნივე“
(158,1-9. ციტატი მომპქეს მოკლე რედაქცი-

დანი; ვრცელ რედაქციაში გამოდიოდა ტექსტია, ოღონდ შინაარსი იგივეა).

აქ იშვიათი ძალით არის მხილებული განდევნილობის ეკონომიკური არსება, მასში დაფარული შინაგანი წინააღმდეგობა, და უადრესად სიამაღლობა, რომ ამის თვალს აფრთხილებს ვარსკვლავს. ის, რა მისდევს ზემოთ მოტანილ ციტატას ტექსტში:

„ხოლო ბარაქობასგან რაა ესმენს სიტყუნი ესე, ეხილა სამართალი და არაღაა მიუგოა“. მაგრამ ავტორი, ცხადია, უახს მინც არ ამბობს თავის იდეალზე, იოდალს უჩუქრიალ ვაინარება სისახლიდან. ბარაქია და მთავარი დევივიანი და ეუბნებანი:

„უაქეთო დაუტოო ესოდენი სიმრავლე უწინამძღუროდ და ანუ აღდგენ ბრძოლანი და შფოთნი, ანუ კუალად მოქცენ კრპთა მიმართ, არა შეგნას იხლვისა ვისოდენი სული, რომელ არს სამეფოსა ამას შინა შენსა?! ხოლო მინ (იოდასაფმა) პრქვა: ბირი იგი უტყუებრი ამას ბრძანებს: რაა სარკებელ არს, უაქეთო უოველი სოფელი შეიძინოს კაცმან და სული თვის წარწყმედოს გინა იხლვის. აქ უწუადეთ, შე უამადალ წარვალ სათნოთა თანა ღმრთისათა, ხოლო თქვენ ძიეთ თვისა თქუენისა მცემ“ (159,10-25).

ამრიგად, საკითხი ორჯერ აღიძრა და იოდასაფმა (და მისთან ერთად ავტორმავე) ორჯერვე უბახუბოდ დატოვა:

ეს გარემოება განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთ მხრივ, თხზულების შექმნის უმთავრესი მიზანი განდევნილობის იდეალის დამკვიდრება, მეორე მხრივ, თანმიმდევრულად განხრების შემთხვევაში ეს იდეალი სრულდისთვის არ აღმოჩნდება (მართალია, იოდასაფი არ შეიცვლის თავის გადაწყვეტილებას, მაგრამ ბარაქისთან და მთავრებთანაც სიტყვისგებისას ფაქტურად მარცხდება).

ზემოთ გავკრიო უკვე აღინიშნა, რომ განდევნილობის იდეალი საკუთრივ ძველი და ძალიან ადრევე წიგნებიდან არც მომდინარეობს. მაგრამ ჩვენ მოვლენები უნდა განვიხილოთ არა ევანგელისტის მხრივით, არამედ ისტორიული პერსპექტივის თანხმად. ისტორიული პერსპექტივა კი გვიჩვენებს, რომ სოფლის მომაკვების ტენდენცია ერთ-ერთი ყველაზე რელიგიურად გამოხატული ნიშანი იყო ადრეულ შუა საუკუნეთა ქრისტიანობისას (მით უმეტეს, იმ პერიოდსა, როდესაც ჩვენი ძველი იქმნებოდა). სოფელი, საუფროთ არა მარტო მწარაგლწარმავალია, განხრწნალი, ბოროტებით აღსავსე, ზეული და საუფრო, არამედ, არსის საბაზისობით, ყველა პლატონის თანხმად, არა-არხიც არის (როგორც იუდასის მამათა, ისე ქრისტიან ფილოსოფოსთა თხზულებებიდან შეიძლება მოვიტონოთ უამრავი ამონაწერი, რომლებიც ამ თვალსაზრისის მტკიცებულებაა. სხვათა შორის შეე-

ნიშნით, რომ სწორედ სოფლისა და ზესთათოფლის ამგვარი გათიშვის საბოლოო შედეგი იყო ის უფსკრული, რომელიც მოგვიჩვენებთ ქანტა დიქსაბა აღმზინის შემცენებას). ამიტომ ათელის მიმართ ყოველგვარი კომპრომისი ზესთათოფლისკენ მიმავალი გზის გამრუდებას ნიშნავდა. ხოლო ქართულ რედაქციებში არსებული ზემოთ ნაჩვენები ეთარება ამგვარი კომპრომისის უქვეელი ჩანასახი იყო; იოდასაფის უძღურებას ბარაქისა და მთავართა საფედერებისთვის დასაბუთებული პასუხის გასაცემად თანმიმდევრული გაზრების შემთხვევაში განდევნილობის იდეალის უარყოფამდე უნდა მიყვანილიყო მკითხველი, სწორედ ის მკითხველი, ვინც მანამდე თხზულების მთელი მდინარებით ჩინებულად რწმუნდებოდა სოფლის მომაკვების აუცილებლობაში.

როგორც მოხდა, რომ ამგვარი რამ დაიწყო იუდასის დაკვეთით შექმნილ ნაწარმოებში, რა წინამძღვარი განამართებდა განდევნილობის თვით არსებობა დამარცხელი წინააღმდეგობისთვის თუ თვალის გასწორებას არა, თვალის მოტანებას მაინც.

ადრეული შუა საუკუნეები იცნობს ერთადერთ მოაზროვნეს, რომლის მოძღვრებასაც შეეძლო ეტვირთა ამგვარი წინამძღვრის როლი. ეს იგულისხმებოდა ზემოთ, როდესაც ითქვა, რომ, გარდა ტექსტუალური მოწყობისა, სხვა საფუძველიც არსებობს ზღვის ცხოვრების ქართული რედაქციების (და, ამდენად, პარველადი ქართული ვერსიის) დასაყვამირებლად არსობა-გატიკასთან.

ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანული აზროვნებისთვის უცხო შეხედულება, რომელიც ჩვენს ძველში, მართალია, ჩანასახიანი ფორმით, მაგრამ მაინც საკმარისად აქცია სოფლისა და ზესთათოფლის გათიშვა და სოფლის მომაკვების გარდევლობა, რომელმაც შემდგომში ქართული კულტურა „ორისავე იყოს მხლებელის“ მთავალი იდეალად იღაზევა, ხოლო ევროპაში ერთიგვანს ნაზრების სახით იჩინა თავი, საფუძველს პოულობს ფსევდო-დონისე ანუპოპულარული მოძღვრებაში.

შეზოად იმ ავტორს შეეძლო თუნდაც ვაუცნობიერებლად საუკვოდ ექცია განდევნილობის თავის მთავრე ნაქადაგები იდეალი, ვინც იცნობდა არეობაგვლს აზრებს, რომელთა თანხმა-

1 წერილის ავტორს სულს სიღრმეზედ სწამს ნუცუმიძე-მონანიის ცნობილი თეორიის ტემპარიტება და, თუ ამ მოაზროვნეს ხსენებთ ფსევდო-დონისე არეობაგვლის და არა პეტრე იბერის სახელით, მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადო ტრადიციო ქრისტიანული დამკვიდრებელია — ზოგიერთი უცხოელი მელოგარბი ხსენებულ თეორიის ემეით უფერებს.

დაც: „არააა არს ყოვლად არა არს“; „არაააა არსთაგანი არს ბოროტისაგან“; „უკეთეთ ყოველითერთ მოსო კეთილი, არცა არსება იყოს, არცა ცხოვრება, არცა სურვილი, არცა ძრვა, არცა სხვაა არცა ერთი რაა“. „ყოვლად უზაწილი კეთილისაგან არცა იყოს, არცა არს, არცა არსთა შორის არს“ და, ამდენად: „არააა არს ესრეთ ყოველსა შინა ბუნებასა, არცა რაა არს ბოროტ ყოველსა შინა ბუნებასა... არცა კოტყთა შინა არს ბოროტი... არცაღა ბრავალ-განსმენილსა შინა ნიეთსა (==მატერია) შინა არს ბოროტი, ვითარ-იგი იტყვან ეთეთნივე ბოროტ-ყოფისა ნიეთისასა, რომელი იგი არა ბოროტი არს. უკეთეთ ოდენ ევრეთ იყოს ნიეთ, ვითარ იგი დაბადებულ არს? რამეთუ შასცა აქუს შიმღებლობაა სიკეთისა და შემკობისა და საბოუნებასა... ამას თინა ევალად ვითარ იყოს ნიეთი ბოროტ? რამეთუ უკეთეთ არასადა არა არს არს, არცა კეთილ არს, არცა ბოროტ... უკეთეთ საქირო-ყოფად იტყვან ნიეთსა, ვითარცა აღმაყებელსა ყოვლისა სოფლისა საყსებოისასა, ვითარ ბოროტ იყოს ნიეთა?.. ვინადა არა ნიეთისაგან არს სულთა შინა სიბოროტე, არამედ უწყისობსა და ბრალეულად აღძრვისაგან“.

აქ ვერ გამოვუდგებო ბიძს გარკვევას, თუ რამდენად შეესატყვისება ფსევდო-დოქსინე ანტიპაველს მომღვრებელს ცოდნა ქართული რედაქციების თუ პირველადი ქართული ვერსიის აღმოცენების საგვედებავ ხანას. ეს საკითხი სპეციალური გამოკვლევის საგანია.

უაღველობის გამო ვერ შევებება ავრთვევ ზოგიერთ უაღრესად საველისხმო ფილოსოფიურ პრობლემას, რომლებიც თავს იჩენს ქართულ თხზულებაში, და კიდევ ერთ მწვავე საკითხურ საკითხს (შეფის ხელისუფლებისა და ქრისტიანობის დაბრისპირება და მტრობა), რომლის თავლის შიდვევებაც საფიქრებელს ხდის, რომ პირველადი ქართული რედაქცია გაცილებით უფრო ადრე უნდა იყოს წარმოქმნილი, ვიდრე მეცნიერთა მეტი წილი ვარაუდობს, და რომ პირველი ქრისტიანული ვერსიის შემქმნელი (შესაძლოა ქართველი ავტორი) უამკველად კარგად იცნობდა პლატონის თხზულებებს.

• • •

შესწავილი ძველთაგან (არაბული ვერსია და ორი ქართული რედაქცია) ძირითადი მიზანდასახულებისთვის (ჩვენს შემთხვევაში — ქრისტიანობის აპოლოგია და განდევლობის იდეა) უმჯობესი ფორმა მოძებნილი აქვს ქართულ მოკლე რედაქციას. ეს იოქმის, უწინაჲს ყოვლასა; თხზულების აღნიავობის, კომპოზიციის გავით. ამ მოსაზრების მშვენიერა ნიმუშია ის ფაქტი, რომ ვრცელი რედაქციისა და არაბული ვერსიის სამი პირველება — სოფლის ამოებისთვის შეტყველო ვილაც დიდებული, სიტყვის

მეკრავის მიერ გადარჩენილი ვეზირი და თავად ბალაშვარი (ბილაშვარი) — მოკლე რედაქციის შემწვემულია ერთ პერსონაჲდ (== ბალაშვარად, რაც თხოობს გაცილებით უფრო დინამიკურსა და მიზანმიმართულს, ლოკატურს ხდის).

უკვი არ არის, ამგვარი შერწყმა მეორეული შოვლენაა და არა პირველადი ვითარების ამსახველი (ძარბებულად აღნიშნავდა ავადმყოფი კორნელი კეკელიძე, რომ წარმოუდგენელი რამ არის ერთი პირთვენებს სამად დაშლა შემდეგ მომზადარყოფს). ოღონდ ვრცელი რედაქციისა და არაბული ვერსიის ზოგიერთი მონაკეში ვექს აღმოჩავს, რომ ბალაშვარი (ბილაშვარი) პირველადს თხზულებაში არ იყო იმდენად შორი ქვეყნიდან მოსული და სასახლისთვის უცხო პირი, როგორც ახლა არის გამოყვანილი ამ ძველებში.

ქართული რედაქციებისა და არაბული ვერსიის კომპოზიციურ სხვაობათა გამო ნაწილობრივ ზემოთაც იყო საუბარი. აქ დავსძენ: ბუღისხის დაუძლელობა არაბულ ვერსიაში, რაც სწორედ კომპოზიციითაც იჩენს თავს, იმას მტრეველებს, რომ ანეთვე იყო მისი ორიგინალი ფაქტური თხზულება (ან, როგორც დ. შ. ლანგი ვარაუდობს — პირველადი არაბული ვერსია): ზამ არ შეიძლება ბუღისტური ელემენტები ხელახლა განვილიყო ამ თუ იმ ვერსიაში, თუცა მის ორიგინალს უკვე დაძლეული ჰქონდა ეს ელემენტები? ამგვარა ვითარებამ შესაძლოა მომავალში სულ სხვა ასპექტით წარმოვიდგინოს პირველადი ქართული ვერსიის როლი თხზულების ქრისტიანიზაციის რთულ ეტაპებად მიმდინარე პროცესში.

ქართული რომანის აღმოცენების ხანისთვის მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ავრთვევ ორივე რედაქციის ლექსიკა, მაგრამ მისა აქ თუნდს ნაწილობრივ განხილვა ძალზე დიდ ადვილს დაიქვრდა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ზოგიერთი ლექსიკური მონაკეშიც იმას გვაფიქრებინებს, რომ პირველადი ქართული რედაქციის წარმოქმნის სავარაუდო თარიღი მომავალში გაცილებით უკან გადაიწევის ალბათ.

ეკრატე, ერთ-ერთი ამგვარი შემთხვევაა სიტყვა „ნება-ს“ ხმარება, ვტყობა, ძალზე ძველი მნიშვნელობით, როდესაც ამ სიტყვას „ნებელობასთან“ ვაწვირი არ ჰქონდა და მხოლოდ „სურვილს“ მნიშვნელობით იხმარებოდა. „ნება“ გამოყენებულია სწორედ ბუღისტური „სურვილის“ შესატყვისად და მთავი ხმარა აქცენტირება საფიქრებელს ხდის ქართული თხზულების ინდურ პირველწყარაობთან გაცილებით მეტ საბალოეს, ვიდრე დღეს გვაქვს წარმოდგენილი.

დასასრულ, ქართული რომანის მატერიალი კომპონენტებიდან მხოლოდ ერთ საკითხზე შევხერხდები.

სრულიად მოთლოდნელად აღმოჩნდა, რომ ირივე ქართული რედაქციის ტექსტი ხშირ შემთხვევებში წარმოადგენს რიტმულსა და ალიტორებულ, ალაგ-ალაგ მარტივი რითმებით გაწყობილსა და საზეთა პარალელიზმს დამყარებულ პროზას.

ცნობილია: მას შემდეგ, რაც პველ ინგოროთეამ პროზაულად მიჩნეულ მრავალ ტექსტში ლექსებს მიაცვლია, ძველი ქართული ძეგლების ამ თვალსაზრისით შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. მაგრამ ტუვადაც არ შეიძლება გვეფიქრა, რომ რაიმე მსგავსს დაადგინებდა აგრეთვე „სიბრძნე ბალაქვარისი“.

ჩემი ყურადღება პირველად ალიტერაციებზეა მიბუნო. მოკლე რედაქციის სიმფონიის შესაღვენად ტექსტიდან ლექსიკურ ერთეულებს რომ ვაწერდი, შევნიშნე, რომ ზოგჯერ ერთ წინადადებაში ერთსადაიმევე ასოზე რამდენიმე სიტყვა ლაგლებოდა მიყოლებით. მაგალითად, ამგვარად:

„... მოწყალეებისა მითისათვის მიიკებს ცხადად“ (მანი); „ესე შეიკრძალე და შეისწავე და უკარათა შეიჭურე და ღმერთი შემეიდობისა“ იყვენ უოველთა თანა შინა საქმეთა შენთა“ (მინი); „... წარმეველისა წილ აღვირზევეს წარუვალ“ (წარი); „... გუესმის ვალობა ტუბილი, რომელი გამოვალს პირთაგან ანგელოზთასა“ (განი)...

რამდენადაც მოკლე რედაქცია გამოცრებისა და ვადამუშავეების შედეგად მიღებული ნაწარმოებია, საფიქრებელი იყო, რომ ზემოაღნიშნული თვისებები მხოლოდ მისი პრიორიტეტი იქნებოდა და ვრცელი რედაქციის საკმაოდ მღორე თხრობას მსგავსი არაფერი ეცოდინებოდა. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა რამ გაირკვა.

ამჭერად ეს ეკმართო, აღენიშნოთ მხოლოდ, რომ ქართული რედაქციების ხსენებული თვალსაზრისით შესწავლა, გარდა სხვა ასპექტებისა, ძეგლის წარმომავლობის საკითხსაც გარყვეულ შექს მოჰყენს აღბათ.



სახელოვანი მუხნიერი

(დაბადების 70 წლისთავის ბავშვს)

1918 წ., როდესაც დიდი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის ივანე ჭავჭავაძის თაოსნობით თბილისის უნივერსიტეტი დაარსდა, სიბრძნისკვებულების ფაкультეტის ენათმეცნიერების დარგზე სულ 4 მსმენელი ჩაირიცხა. ამათგან 1922 წ. უნივერსიტეტი დაამთავრა ორმა, შემდგომში, სახელმწიფოებრივ ენათმეცნიერებმა — არნ. ჩიქობავამ და ვ. თოფჩიანი. ეს იყო უნივერსიტეტის პირველი გამოშვება.

უნივერსიტეტში არნ. ჩიქობავა გაატყობით დაეწაფა არა მხოლოდ საენათმეცნიერო დონციპლინებს — ქართულს, სვანურს, მეგრულ-ქანურს, ზოგად ენათმეცნიერებას, რომლებშიაც მისი მასწავლებლები იყვნენ პროფესორები: ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ვ. აბულელიანი, არამელ ნისტრეპატურაძე და სერგიოზულაძე მუშაობდა მომწიფავე და რეგებშიაც. საქართველოს ისტორიის უსმენდა პროფ. ივ. ჭავჭავაძის, ქართული მწერლობის ისტორიას პროფ. ქ. კეკელიძის. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიისადმი. ამ საგნებს კითხულობდნენ პროფ. შ. ნუცუბიძე და პროფ. დ. უზნაძე.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე არნ. ჩიქობავა, ა. შანიძის წარდგენით, დატოვებულ იქნა პროფესორად მოსამზადებლად. პირველ წლებში უნივერსიტეტში ერთ, კერძოდ, დოქტორის სამეცნიერო ხარისხს იცავდნენ. არნ. ჩიქობავამ, პირველმა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, დაიწყო სადოქტორო დისერტაცია 1929 წ. იგი საჯარო პაექრობაზე წარდგა ნაშრომით „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. I. ქვეყნებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში“. რომელიც 1928 წ. გამოქვეყნდა. ეს ნაშრომი ბრწყინვალე დადასტურება იყო იმისა, რომ თბილისის ახლად დაარსებულ უნივერსიტეტს შესწავლა

ძალა აღეზარდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანდნენ მეცნიერებას განვითარებაში.

„მარტივი წინადადების პრობლემა“ არსებითად ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია ავტორის ზოგადი კონცეფცია არა მხოლოდ სინტაქსის, არამედ საერთოდ ენის აღწერის პრინციპულ საკითხებზე. არნ. ჩიქობავა მეთოდოლოგიურ იმანენტობის იტყვს. იგი მოითხოვს, რომ ენობრივი მოვლენები დახასიათდეს ენობრივი ნიშნებით და ენის ანალიზის დროს არ იქნეს გამოყენებული არა-ენობრივი, ლოგიკური ან ფსიქოლოგიური თვალსაზრისი, როგორც ეს ტრანსცენდენტობის გეგმებს. ტრანსცენდენტობის მოყვარულ ენათმეცნიერებაში ლოგიკიზმისა და ფსიქოლოგიზმისაგან, რაც ემუქრება ენათმეცნიერების დამოუკიდებლობას, ქმნის მისი, როგორც თავისთავადი მეცნიერების, გაუქმების საფრთხეს. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ენის სტრუქტურისა და ფუნქციების შესახებ მსჯელობას. ავტორი საქაროდ მიიჩნევს ორივეს შესწავლას. ამასთან, იგი თვლის, რომ აღწერითი ენათმეცნიერების უპირველესი ამოცანაა სტრუქტურის საკითხის გადაწყვეტა, ვინაიდან ენები ერთმანეთისაგან, პირველ რიგში და ძირითადად, სწორედ სტრუქტურით განსხვავდებიან. ნაშრომში დასმულია აღწერითი და ისტორიული ენათმეცნიერების ფრაიფრობის საკითხიც. აღწერას უნდა მოჰყვეს ახსნა. ახსნა კი ენობრივი მოვლენის ისტორიის გათვალისწინებას მოითხოვს. ისტორიული კვლევის საიმედო საშუალებად ისტორიულ-მედარებითი მეთოდი აღიარებული.

ყველა ჩამოთვლილი საკითხი თანამედროვე ენათმეცნიერების უაღრესად აქტუალური პრობლემაა. არნ. ჩიქობავამ ეს პრობლემები დასვა და თავისებურად გადაწყვიტა უფრო აღ-

რე, ვიდრე დასავლეთის ენათმეცნიერების ბევრმა დღეს სახელგანთქტელმა სკოლამ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა სტრუქტურალიზმთან მიმართების საკითხი. სწორედ სტრუქტურალიზმმა მოაქცია თავისი ყურადღების ცენტრში ენის სტრუქტურის შესწავლა. მაგრამ ამ მიმდინარეობის სხვადასხვა სკოლამ, ენის სტრუქტურისა და მასთან დაკავშირებულ პრობლემათა კვლევისას, რაღაც სადავო ან სტრუქტურული მიუღებელი დებულება წამოაყენა. ასე, მაგ., ენის სტრუქტურის წინ წამოწვევამ კომპენსაციის სტრუქტურალისტურ წრეში, კერძოდ, ლ. იელმსლევის გლოსემატიკაში, გამოიწვია ბგერათა და მნიშვნელობათა შესწავლაზე ხელის ატება, ამერიკელი სტრუქტურალიზმი, რომელიც დესკრიფციული ლინგვისტიკის სახელწოდებით ცნობილი, შემოიფარგლა ენათა აღწერით, ამასთან ბიქვიორიზმის გავლენით ბოლო წლებამდე იგი უარს ამბობდა მნიშვნელობის შესწავლაზე. პრადის სტრუქტურალიზმმა თავის ერთ-ერთ ამოსავალ პრინციპად აქცია ტრელოლოგიური პრინციპი. მართალია, სტრუქტურალიზმში გაილაშქრა ენათმეცნიერებაში ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ, მაგრამ საბოლოოდ მან მაინც ვერ მოაღწია დამოუკიდებლობას, ვინაიდან სხვა დისციპლინის — მათემატიკური ლოგიკის ტრევაბაში მოექცა.

არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების პრობლემა“ და ენათმეცნიერების მეთოდოლოგიისადმი მიძღვნილი სხვა, უფრო აღრინდელი შრომები თავისთავადაა იმ შეცდომებისა და ცალმხრივობისაგან, რამაც ზემოდასახელებულ მიმდინარეობებში იჩინა თავი, არც ის უნდა გამოვკარგეს მხედველობიდან, რომ ეს შრომები გამოქვეყნდა უფრო ადრე, ვიდრე ჩამოყალიბებულა კომპენსაციისა და ამერიკის სტრუქტურალიზმი.

ლიტსემანინაზე ფაქტია, რომ არნ. ჩიქობავას ყოველი ნაბიჯი მეცნიერებაში მთლიანად დაკავშირებულია თბილისის უნივერსიტეტთან, ხოლო მოგვიანებით, აგრეთვე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისთან, რომლის პირველ შემადგენლობაშიაც ის დაამტკიცეს 1941 წ. იგი ცოდნის გაღრმავების თუ ვალიდიაციის ამალგების მიზნით არც მიუვლინებიათ არც სამკოთა კავშირის, არც ევროპის დიდი ტრადიციების მქონე რომელიმე უნივერსიტეტში ცნობილ სპეციალისტებთან. მიუხედავად ამისა, საქართველოში ახლადგზავდებულ სამეცნიერო დაწესებულებებში თავისი დიდი ტრადიციის, ფართო ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური განათლების, დაუტოვებელი ინტელისა და უსაზღვრო შრომისმოყვარეობის წყალობით, მან შეძლო ასულიყო თანამედროვე მეცნიერების უმაღლეს საფეხებზე.

უკვე აღრინდელ შრომებში დაისახა არნ. ჩიქობავას მეცნიერული ძიების ორი ძირითადი

ღი გზა: ერთი მხრივ, კონკრეტულ ენათა შესწავლა, ხოლო მეორე მხრივ, ზოგადმეცნიერული პრობლემების დამუშავება.

მისი კვლევა ქართული ენით დაიწყო და დღემდე ქართული ენა რჩება მეცნიერის ყურადღების ცენტრში. ძნელია დავასახელოთ ქართული ენის გრამატიკული წყობისა და ლექსიკის რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არნ. ჩიქობავას საფუძვლიანად არ შეესწავლას. იგი წარმატებით იკვლევს ახალ ქართულ სალიტერატურო ენას, ძველ ქართულს, ქართული ენის დიალექტებს. რაღაც გამოკვლევა უძღვნა დიდი შოთას უკედეგ „ვეფხისტყაოსანს“, თანამედროვე ქართული ენის სანამუშო ადწერა არის მოცემული მის ნარკვევებში, რომელთაგან ერთი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 1-ტომში გამოქვეყნდა 1950 წ. მეორე კი რუსულად („სსრკ ხალხთა ენების“ IV ტომში 1967 წ.), მის შრავლ ნაშრომში გამოქვეყნულია ქართული ენის ისტორიის ძირითადი საკითხები.

ქართულთან ერთად მეცნიერი იკვლევს ქართლის მონათესავე ენებს — მეგრულ-ჭანურს ანუ ზანურს და სვანურს, რომლებიც, ქართულთან ერთად, ქართველურ ენათა ჯგუფს შეადგენენ. მონოგრაფიაში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ“ (1926 წ.) არნ. ჩიქობავამ დაასაბუთა, რომ მეგრული და ჭანური ერთი ენის ორი დიალექტია და არა ორი დამოუკიდებელი ენა. ქართველურ ენათა პირველ შედარებით ლექსიკონს წარმოადგენს „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (1938), რომელშიაც სვანური ენის მასალაცაა მოხმობილი. ქართველურ ენათა სტრუქტურის ისტორიული შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მონოგრაფიას „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (1942 წ.) ამ ნაშრომში ავტორმა ქართველურ ენათა ფუძის თადაბიორველი აღნაგობა აღადგინა.

რაგ შრომაში არნ. ჩიქობავამ შეაქამა ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის შედეგები და მოახდინა ამ ენების სტრუქტურული-ტიპოლოგიური და ისტორიულ-გენეზისური მიმდინარეობის რეკონსტრუქცია.

არნ. ჩიქობავა არ შეჩერებულა ქართულისა და სხვა ქართველურ ენათა კვლევაზე. თვით ამ ენების ღრმა მეცნიერული ანალიზი მოითხოვდა მათი ფარგლებიდან გასვლას, მათ შესწავლას მონათესავე ენათა უფრო ფართო კონტექსტში. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ ენებს ენათესავენ ქართული და ქართველური ენები, კარგა ხნის განმავლობაში სადავო იყო მეცნიერებაში. ფრ. ბოპი ამ ენებს ინდო-ევროპულ ენებს უკავშირებდა, მაქს მიულერი — ურალურ-ალთურ ენებს, ნ. მარო (აღრინდელ

პერიოდში) სემბლერ ენებს. ყველა ეს შეხედულება უსაფუძვლო აღმოჩნდა.

ამთვევრები ფრ. მიულერის მიერ ის მოსახრებად იყო გამოთქმული, რომ ქართველური და მთის კავკასიური ენები, კერძოდ, აფხაზურ-დიღურული, ჩაჩურ-ინგუშური (ნახური) და დიდესტინის ენები, ქმნიან საერთო წარმოშობის მქონე მონათესავე ენათა ერთ ოჯახს (ამ ოჯახს შემდეგში იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი ეწოდა). ამასთან ისინი წარმოადგენენ ნაშთებს ოდესღაც უფრო ფართოდ გავრცელებულ ენათა წრისა, რომელსაც ეყუთვნოდა წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვის უძველესი კულტურის ხალხთა აწ მკვდარი ენები (პროტოხეთური, ურარტული, ზურტიული) აგრეთვე ცოცხალ ენათავე ბასკური.

ეს იყო მეცნიერული პიპოთეზა, რომელსაც დანახულება ესაპირებოდა. ვის უნდა ეტყუნა მის დასახულებებზე, თუ არა ქართველ მეცნიერებს? იე. ჯავახიშვილი, რომელსაც მშვენიერად ესმოდა ამ პრობლემის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა და თვითონვე იკვლევდა მას, ერთობით შრომაში წერდა: „ცნობილია, რომ მსოფლიო მეცნიერება უღრესად დინტერესებულია ქართველური და კავკასიური ენების ბუნებითა და მათი სხვა ენებთან, მათ შორის ხალდურ, ხეთურ და სემერულიან ნათესაობის საკითხებით... ამაზე უკვე მრავალი გამოკვლევა გამოქვეყნებული უმოაგრესად უცხოეთში... სრულიად ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნული საკითხებით... ქართველი მეცნიერებიც იყენენ დინტერესებულნი... მეტის თქმაც შეიძლება, ამ პრობლემების მეცნიერულ შესწავლა ჩვენს უმარტულეს მოვალეობასა და კი შეადგენს, რადგან ეს ენათმეცნიერული საკითხები უშუალოდ ჩვენვე გვეხება... რამდენადაც ყოველი ქვეყანა ვალდებულია მსოფლიო მეცნიერების სავანებში თავისი წვლილი შეიტანოს, ამდენად ქართული მეცნიერებაც... (მოვალეა) ამ პრობლემების შესწავლის უდიდესი ყურადღება მიაქციოს, მით უმეტეს, რომ ეს ამასთანავე ჩვენი ხალხის წარსული კულტურის ახალ-ახალ ცოდნას შევქმენს და ძველს ვავადრთავებინებს“.

არნ. ჩიქობავამ თავს იღო ამ ენათმეცნიერულ პრობლემათა კვლევა და ასეთი კვლევებით მისი ფართო მასშტაბით ორგანიზაცია ჩვენს რესპუბლიკაში. საჭირო იყო ამ ენათა საფუძვლიანი შესწავლა, რომლებიც ქართველურ ენათა მონათესავედ ივარაუდებოდნენ მთის კავკასიურ ენათა რაოდენობა სამ ათეულს აღემატება. პირველ ამოცანას წარმოადგენდა ამ ენათა სპეციალისტების მომზადება. არნ. ჩიქობავას თაოსნობითა და ზემოაღნიშნულით 1933 წ. დაარსდა კავკასიურ ენათა კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 1936 წ. — მთის კავკასიურ ენათა განყოფი-

ლება ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (რომელსაც შემდეგ საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტი გამოიყო). 1933—1934 სასწავლო წელს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა კავკასიურ ენათა განყოფილება, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციალისტებს ზრდის.

ამჟამად არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით შემქმნილი კავკასიოლოგიის თბილისის სკოლა როგორც სამკოთა კავშირში, ისე უცხოეთში აღიარებულია იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის მოწინავე ცენტრად. ამ ინტენსიურად და გვერდობითრად შესწავლება ყველა იბერიულ-კავკასიური ენა, მათი დიალექტებითურთ, თუნი არნ. ჩიქობავა ხუნძურის დაეუფლა და არა ერთი გამოკვლევა უძღვნა დაღესტნის ამ ენას.

თავის ფუძემდებელი შრომებით არნ. ჩიქობავამ მეცნიერების თანამედროვე დონეზე აყვანა იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევა და გზა გაუკაფა მის მიერ აღზრდილ სპეციალისტებს წარმატებით ემუშავათ ამ სფეროში. არნ. ჩიქობავა იკვლევს იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის, ისტორიისა და და გენეზისური ურთიერთობის საკითხებს. წლების განმავლობაში მისი ყურადღების ცენტრშია ერგატული კონსტრუქცია, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა დამახასიათებელ, მეტად თავისებურ სინტაქსურ კონსტრუქციას წარმოადგენს და შინაგანად უკავშირდება მათი მორფოლოგიური სტრუქტურის სპეციფიკას. ამ პრობლემაზე მეცნიერება რიგი გამოკვლევა და ორი მონოგრაფია უძღვნა. არანაკლებ ინტერესს იწვევს გრამატიკული კლასები, რომლებიც გამსჭვალავს მეტწილ იბერიულ-კავკასიურ ენათა მთელ მორფოლოგიას. ზოგ ენაში, მათ შორის ქართულურ ენებშიც, კლასის კატეგორია ამჟამად არ მოგვემოიხება, მაგრამ დადგინდა, რომ წარსულში ამ ენებსაც ჰქონიათ იგი. ერგატული კონსტრუქციისა და გრამატიკული კლასების ისტორიის გათვალისწინებამ შესაძლებლობა მისცა მკვლევარს გაეშუქებინა იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნის უღვლილებისა და სახელის ბრუნების საკვანძო საკითხები.

იბერიულ-კავკასიურ ენათა სერიოზულმა, ღრმა მეცნიერულმა შესწავლამ სურს უფრო და უფრო ნათლად წარმოაჩინა ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა ნათესაობა. ამჟამად ვახდა, რომ ამ ენებს შორის ამჟამად არსებული განსხვავებები მუორეულია, რაც უფრო შორს შევდივართ ისტორიის სიღრმეში, მით მეტი საერთო ვლინდება მათ შორის, როგორც სტრუქტურისა და ბერით შემადგენლობაში ისე, რაც მთავარია, ფორმანტებსა და ფუძემუშა.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-მე-

დარებით კვლევა აზნადებს ნიადაგს ამ ენათ-
და წინა აზის ძველი ცივილიზაციის მკვლარ
ენათა გენეზისური ურთიერთობის ვადასაწყვე-
ტად.

არნ. ჩიქობავას მეცნიერული ძიების მეორე
ძირითად მიმართულებას ქმნის ზოგადი ენათ-
მეცნიერების პრობლემატიკა. მან ჯერ კიდევ
თავის აღზრდილ შრომებში (1924-1928 წწ.)
დასვა და თავისებურად ვადაწვევითა ენათმეც-
ნიერების მეთოდოლოგიის ძირითად საკითხე-
ბში. შემდგომში მკვლევარმა კიდევ უფრო ფარ-
თოდ გაშალა ენის თეორიის საკითხთა კვლევა.
მის მრავალრიცხოვან შრომებში ვაშუქებულია
ენათმეცნიერების ისეთი კარდინალური საკი-
თხები, როგორცაა ენის რაობა, ენობრივი
ნიშნის ბუნება, ენის მიმართება საზოგადოებას-
თან, აზროვნებასთან, კულტურასთან, კონერ-
კენციისა და დივერგენციის პროცესებში ენათა
განვითარებაში და მათი განსაზღვრეულ საზო-
გადოებრივი პირობები, აღწერითი (სინქრონი-
ული) და ისტორიული (დიაქრონიული) ენათ-
მეცნიერების ამოცანები და მეთოდები, ენათა
ძირითადი კლასიფიკაციები, ენათმეცნიერების
მიმართება მომხრევე მეცნიერებებთან: ლო-
გიკასთან, ენის ფილოსოფიასთან, ენის ფსიქო-
ლოგიასთან.

არნ. ჩიქობავამ შექმნა მთლიანი, ბო-
ლომდე გააზრებული, შინაგან წინააღმდეგობა-
თვან თავისუფალი ზოგადლინგვისტური კონ-
ცეფციის ეს კონცეფცია ემყარება იბერიულ-
კავკასიურ ენათა მონაცემებს. ახალი, თავისე-
ბური მასალა ახალ პრობლემებს სუამს ან შე-
საძლებლობას იძლევა ახლებურად გააზრინ-
დეს ძველი საკითხები, მკვლევარი სათანადო ან-
გარიშს უწყევს ენათმეცნიერების ისტორიას,
იკავს ენათმეცნიერების იმ მონაბოგრებს, რომ-
ლებიც კვლევა-ძიების პრაქტიკამ გააშროლა.

სანიშნუა არნ. ჩიქობავას დამოკიდებულე-
ბა სხვა ენათმეცნიერო მიმდინარეობებთან,
თავის გამოკვლევაში მეცნიერი იძლევა
ენათმეცნიერების ამა თუ იმ თეორიის ღრმა
კრიტიკულ ანალიზს იმის დასაბუთებით, თუ
რა არის მასში მისაღები, ფასეული და რა
მიუღებელი ან სადავო. მას არ სჩვეია ცალმ-
ხრიობა, უკიდურესობა, ყველაფერს, რაც ხელს
უწყობს ენათა შესწავლის წინსვლას, არნ. ჩი-
ქობავა სიამოვნებით ხვდება, მაგრამ არც იმაზე
ხუჭვს თვალს, რაც ენათმეცნიერების ინტე-
რესებში გაუმართლებელია. როდესაც თანა-
მდროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი მიმდი-
ნარეობა, სტრუქტურალიზმი მოხდა იქცა და
განუხველად იქნა მიღებული ბევრი ენათმეც-
ნიერის მიერ, ზოლო სხვების მიერ ხელაღიერი
ყო უარყოფილი, არნ. ჩიქობავა მისთვის ჩვე-
ული სიღრმითა და საბუთთანაობით განიხილავ-
და ამ მიმდინარეობის ამოსავალ თეორიულ
პრინციპებსა და კვლევა-ძიების შედეგებს, გა-

მოყოფდა მასში როგორც დადებით, ისე უარ-
ყოფით მხარეებს. ემყარებოდა რა საერთო
კონცეფციის პრინციპებს, იგი არასაკმაოინად
მიიჩნევდა ენის აღწერითს ანალიზს, მოითხოვ-
და მის ისტორიულ შესწავლასაც. ადრეობრივად
თვლიდა ენის სტრუქტურასთან ერთად მნიშე-
ნელობისა და ბგერითი მხარის კვლევასაც, ავ-
რეთვე ენის ისტორიის დაკავშირებას ამ ვნაზე
მოლოპარავე საზოგადოების ისტორიასთან. ბევ-
რი იმ დებულებათაგანი, რომლებსაც არნ. ჩი-
ქობავა წლების განმავლობაში იცავდა, აჭამად
უარყოფდა აღიარებული ენათმეცნიერებაში.

არნ. ჩიქობავა მოწონებით შეხვდა ახალი
დარგის ჩამოყალიბებას, რომელიც მათემატიკე-
რ ენათმეცნიერების სახელითაა ცნობილი და
ენათა შესწავლას მათემატიკისა და მათემა-
ტიკური ლოგიკის მეთოდებს იყენებს, ამასთანა-
ვადვე მკვლევარი მიუთითებდა, რომ მათემატი-
კური ენათმეცნიერება არ უნდა დაუბირისხი-
დეს ისტორიულ-შედარების ენათმეცნიერებას.
ეს იყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მათემატი-
კური ენათმეცნიერების რაობის საკითხი ცხარე
დისკუსიის საგანს წარმოადგენდა და ადგილი
ქონდა უკიდურესობებს მის როგორც დად-
ებითად, ისე უარყოფითად შეფასებაში.

მკვლევარი დიდ დროს და ენერჯიას უთმობს
ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. იგი მეცნიე-
რისა და მოქალაქის საუკეთესო თვისებებს
უნერგავს სტუდენტებსა და ასპირანტებს. მან
უყოფთვის იცის, რა უჭირს და რა უღიხს
ახალგაზრდას, როდის და რაში სჭირდება მას
დახმარება, ხელის შეწყობა. ამასთანვე შეა-
რია და მომთხოვნი: საფუძვლან ცოდნას-
თან ერთად სავალდებულოდ, თვლის კრიტი-
კული განწყობის უნარს, დამოუკიდებელ აზრო-
ვნებას. დღეს მისი ხელმძღვანელობით აღზრდი-
ლი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები
წარმატებით მუშაობენ უმაღლეს სასწავლებ-
ლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში არა
მხოლოდ ზეწვის რესპუბლიკაში, არამედ მის
გარეეთაც: დაღესტანში, ჩინეთ-ინგუშეთში,
აღიღეში, ყაბარდო-ბალყარეთში, მოსკოვსა და
ლენინგრადში. მასთან საკონსულტაციოლ არა-
ერთი უცხოელი ენათმეცნიერი ჩამოიღს.

არნ. ჩიქობავა უნივერსიტეტში კითხულობდა
და აჭამადაც კითხულობს ისეთ საგნებს, რო-
გორცაა „ენათმეცნიერების ისტორია და მე-
თოდოლოგია“, „ენათმეცნიერების შესავალი“,
„ზოგადი ენათმეცნიერება“, „ქართული ენა“,
„ზნური ენა“, „ხუნური ენა“, „იბერიულ-კავ-
კასიურ ენათა შესწავლის შესავალი“. ყველა
ეს კურსი თვითონ მის მიერ არის ჩამოყა-
ლებული იმ კვლევა-ძიების შედეგად, რაც მის
იბერიულ-კავკასიურ ენებში და ზოგად ენათ-
მეცნიერებაში უწარმოებია წლების განმავლო-
ბაში. არნ. ჩიქობავამ შექმნა ორიგინალური,
სრულფასოვანი სახელმძღვანელოები უნივერ-

სიტატის სტუდენტებისათვის: „ხუნძური ენა“ (ილ. ცერცვაძის თანაავტორობით, 1962 წ.), „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ (1965), „ზოგადი ენათმეცნიერება 1. პრაქტიკული ნაწილი“ (1935), „ზოგადი ენათმეცნიერება. II ძირითადი პრობლემები (1945) შენაშენიერების შესავალი“ (1952), 30 წელზე მეტია, რაც არნ. ჩიქობავას ზოგადი ენათმეცნიერების სახელმძღვანელოებზე იზრდება ქართული ენათმეცნიერება თაობები. რუსულად გამოქვეყნდა „ენათმეცნიერების შესავალი, I- (I გამოცემა. — 1952 წ., II გამოცემა. — 1953 წ.) და „ენის როგორც ენათმეცნიერების საგნის პრობლემა“ (1959), რომლებიც სსრკ. უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ მიღებულია დამხმარე სახელმძღვანელოებად საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებელთათვის. „ენათმეცნიერების შესავალი“ თარგმნილია ჩეხურ, ბულგარულ, ჩინურ, პოლონურ ენებზე.

არნ. ჩიქობავა დიდ უვრადლებს უთმობს ენობრივი მშენებლობის საკითხებს, იგი იღწვის ქართული მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის, მონაწილეობს სასკოლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენასა და რედაქტირებაში, აქვეყნებს წერილებს სკოლის მასწავლებელთა დასახმარებლად.

დიდი ამაგი დასდო მკვლევარმა ქართული ენის ნორმათა მოწესრიგებისა და უნიფიკაციის საქმეს. მისი მონაწილეობით მომზადდა რამდენიმე ტერმინოლოგიური ლექსიკონი, როგორც ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიის წევრმა, მან გამოიმუშავა ქართული ენის ნორმათა დადგენის მეცნიერული პრინციპები.

გვირდს ვერ ავეულით ისეთ დიდ ეროვნულ საქმეს, როგორცაა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემა. არნ. ჩიქობავა ამ ლექსიკონის მთავარი რედაქტორი, ავტორები, I და IV ტომების რედაქტორია. აი, რას წერს იგი უკანასკნელი ტომის წინასიტყვაობაში: „ლექსიკონი“ ხალხის პირველ სიტყვად თქმულა... ისევე, როგორც „დედამწამ“ ბავშვის პირველ წიგნს წარმოადგენს. ჩვენ მოგვეპოვება მდიდარი მრავალსაუკუნოვანი მწერლობა, გვაქვს ეროვნული უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია, უხერხული იქნებოდა ვრცელი განმარტებითი ლექსიკონი ანა გვექონოდა“. და, მართლაც, დღეს გვაქვს ქართული ენის მდიდარი ლექსიკონის ამსახველი რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონი და თუ ეს ლექსიკონი გვაქვს, ეს, პირველ ყოვლისა, არნ. ჩიქობავას დაუმრეტელი ენარჯისი, თავდაზნოვანი შრომისა და დიდი ორგანიზატორული უნარის შედეგია. არნ. ჩიქობავამ დაამუშავა ლექსიკონის შედგენის ძირითადი პრინციპები, მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ქართულ ლექსიკონ-

ლოგთა კვალიფიციური კადრები. ოცი წლის დამატებული მუშაობა დასჭირდა მარტინოვიჩის განმარტებითი ლექსიკონის შედგენას. მარტინოვიჩი ენათა ანალოგიური ლექსიკონების ისტორიას გადაეხედავთ, ეს არტულიადაც არ არის ბევრი დრო. ლექსიკონმა, როგორც ხალხის კულტურის ღონის ამსახველმა დოკუმენტმა, სპეციალისტთა, მაღალი შეფასება დაიმსახურა ჩვენშიაც, უცხოეთშიაც. მშენიერად თქვა ცნობილმა ნორვეგიელმა ენათმეცნიერმა, ქართველ ლოლოგმა პანს ფოგტმა: „ეს ლექსიკონი დაიკურს ღირსეულ ადგილს ჩვენს დროის ერთ-ერთიან ლექსიკონებს შორის, ეს არის ძველი აღმართული ენისა და მისი ძველი ათასხუთასწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად და სამაყობა მათთვის, ვინც ჩაიფიქრა ეს სასიქაფულო საქმე და ვინც განაზოციელა იგი“.

არნ. ჩიქობავა ავტორია 230-ზე მეტი შრომისა, რომელთაგან ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 14. იბერიულ-კავკასიურ ენათა და ზოგადი ენათმეცნიერების გამოჩენილი სპეციალისტის სახელი ცნობილია მსოფლიოს საქენათმეცნიერო ცენტრებში. მისი ბევრი შრომა გამოქვეყნებულია რუსულ და რიგ ევროპულ ენებზე, იგი დაჭილდობებულია ლენინის ობი ორდენით, შრომის წითელი დროშისა და საბატიო ნიშნის ორდენებით, მედლებით, სივრცებით. არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საქმის III, IV, V და VI მოწვევათა დეპუტატად. იგი არის ლომონოსოვის პრემიის ლურჯაბი, ჰემოლიტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტის სამატიო დოქტორი, სამატიო წევრი დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოებაში, რომელიც აღნიშნავდა, რომ საზოგადოება „აღიარებს საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრის ა. ს. ჩიქობავას დიდ დამსახურებას კავკასიის ხალხთა ენების შესწავლის დარგში და მეცნიერის იმ დიდ დეაქსს, რომელიც დასდო ქართული ენის რეატიომიანი აკადემიური ლექსიკონის გამოცემას როგორც მთავარმა რედაქტორმა“.

სახელოვანი მეცნიერი ამჟამადც ჩვეული ენერჯით მუშაობს ქართული და სხვა ქართველურ ენების, მისი კავასიურ ენათა, ზოგადი ენათმეცნიერების კავანძო საკითხებზე. ეწევა ინტენსიურ პედაგოგიკა-აღმზრდობობის, აგრეთვე მრავალმხრივ საზოგადოებრივ მუშაობას. მხელია დავასახველით რაიმე მნიშვნელოვანი წამოწევა ენათმეცნიერებისა და მოიქნევა დარგების სფეროში, რომლის სულისამდგმელი, ორგანიზატორი და განმარტოკელებელი ის არ იყოს.

უესურვოთ ქართველი ენის სამაყობო შვილს პართ. არნ. ჩიქობავას დღეგრძელობა, რათა იგი კვლავაც წარმატებით ემსახუროს ქართულ მეცნიერებას, ქართულ კულტურას.

აღმსარებელი გეგმები

„როგორ ვუხელოთ ქართულ ენას?“

ამ სათურით დაიბეჭდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. თაყაიშვილის სტატია („ციცქარი“, 1966 წ. № 4), რომელიც ავტორმა „ლიტერატურული საქართველოს“ 1965 წ. 27 ავგისტოს ნომერში მოთავსებული ჩვენი წერილის („ჩვენი უწყინდესი მოვალეობა“) პასუხად გამოაქვეყნა. ა. თაყაიშვილის წერილი საჭედა მუცნიერული მსჯელობისათვის შეუფერებელი, ირონიული გამოთქმებით და ობიექტურობას მოკლებულია.

რაკი ჩვენს წერილში **რამოცამდე** საკითხია განხილული, ამას გარდა, **ახამდე** სხვადასხვა ტიპის მშავალითა მოუყვანილა (თითო მშავალით თავისთავად თითო საკითხია) და ამითგან ა. თაყაიშვილი კი შოლოდ ათობდე საკითხზე გვეკამათება; რაკი დანარჩენ საკითხებზე მეცნიერი დუმს და ეს დუმილი კი იმას მოწმობს, რომ შრავალ საკითხზე არაფერი ეთქმის, თორემ, ცხადია, არ დავგინდობდე; რაკი მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ კრიტიკა კარგისა და ავის გარჩევას ჰქვია და, ა. თაყაიშვილის სტატია ობიექტური და სამართლიანი რომ იყოს, ავტორი ჩვენს წერილში „ავთან“ ერთად კარგად დანახავდა; რაკი საყოველთაოდ ცნობილია, რომ გამწინაშეობა და ლანძღვა-გინებაზე გადასვლა მეცნიერებისათვის შეუფერებელი საქციელია, რაკი ყველაფერი ეს ასეა, კაცმა რომ თქვას, შეიძლება აღარც კი უფიქროსო საკითხი ა. თაყაიშვილისათვის პასუხის ვაცემა, მაგრამ არც ჩვენ გვინდა დაიბნეს „ენის

საკითხებით დაინტერესებული ზოგიერთი მკითხველი“.

დღდაენა რომ გვიყვარს, ა. თაყაიშვილი ამასაც იმეც საქციელად გვიფიქროს (ირთნილად წერს: „ზეგაშვილს შეუძლია არხეინად იყოს, საყვარელ დღდა ენის უმისოდაც არაფერი მოუვა“) და, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ესეც კმარა მისი ტენდენციურობის დასამტკიცებლად. გავიწონა, ყმა მმას ენხუბუნოდეს, დღდაიგვი მარტო მე უნდა მიყვარდესო!

ა. თაყაიშვილს უჩუბენია ქართულის დამახინჯებაზე ხმა არავინ ამოიღოს. განა არა სჯობს საზოგადოებას მისი ყველაფერი სჯეროდეს, რაკი მეცნიერებათა კანდიდატი? აკი ამიტომაც აცხადებს მონობოლიას და ამბობს, ქართული ენის საკითხებზე წერის უფლება მხოლოდ კომპეტენტურ პირებსა და რჩავაობებს აქვთო (რითაც თვითონვე ამათილებს თავის სიტყვებს: „ენის ნორმებზე რომ იმსჯელო, სავალდებულო არაა ენათმეცნიერი იყო“).

ა. თაყაიშვილი სამეცნიერო ხარისხის უქონელ პირებს დიდტანტებად ნათლავს. იგი, იმის მაგიერ, რომ ამბობდეს, ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთო, ფიქრობს: „უჩემოდ ვინ იმეურეთათ“.

ჩვენ, ჩვენწილად, ძალიან და უნარის შესაფერისად, ვცდილობთ პირნათლად მოვიხადოთ ყველა მოქალაქის სამართო მოვალეობა — დღდაენის სიმწინდისათვის ვიბრძობოთ. მეცნიერ მძლონათ ასეთ დიდ საქმეს რომ შეგვიძლია, შეიძლება ვცდებოდეთ რამეში და კეთილი, რჩევისათვის, სამართლიანი და წესიერი შენიშვნებისათვის მადლობის მეტს ჩას ვიტყოდით! ა. თაყაიშვილმა კი წესიერ კამათს ავდებელი და დამცინავი ტონი ამჯობინა. საკითხავია: რატომ? ჩას ვეუმართლებოდა?

ა. თაყაიშვილის წერილის წაკითხვის შემდეგ

* იბეჭდება ჯადემიკოს გიორგი ახლედია-ნის, პროფ. დიმიტრი ბენაშვილის, პროფ. გიორგი შალამბერიძის, მწერლების აღქმანდრე ქუთათელისა და სანდრო მანშიაშვილის რეკომენდაციით. რედ.

ზოგერთი გულბერკელო მეთხველი იფიქრებს, რომ ასაღლვებული არაფერია; ენის სიწმინდასთვის ბრძოლა ზედმეტია, ან, თუ ენა მახინჯდება, ეს მხოლოდ „კომპეტენტურ ორგანოს“ა და პირებს“ ეკითხებათ, ჩვენ კი მეცნიერების „კარგალულ ზონაში“ შევიქვითოთ და უნდა მოვეშვათ ამ საქმეს, საერთოდ „წერტილი უნდა დავსვათ ქართული ენის საკითხებზე დილტანტური წერილების გამოქვეყნებას“.

იქნებ მართლაც არ არის საჭირო „დილტანტური წერილები“ გამოქვეყნება? იქნებ ქართული პრესის ენა სანიშნოა? იქნებ მართლაც ზარბაზიშებით არაფერ ანაკვიანებს ქართულს? იქნებ მართლაც გულბედდასაყრეფად გააქვს საქმე?

თუ ეს ასეა, თუ „დილტანტური წერილები“ აერთიანო აღმფიქვებასა და გულბედვილს მიზეზი არა იქვს, მაშინ ა. თაყაიშვილი ჩვენიან მართალი ყოფილა. მაგრამ არა, მოვესმინოთ ქართული საენათმეცნიერო სკოლის ფუძემდებელსა და შამამთაფარს აკაკი შანიძეს: „საერთოდ უცხო ენების გავლენა ისე მოედო ქართულ ლექსოებასა და სინტაქსს, რომ მძიმე მდგომარეობა შეიქმნა... მიზეზი ის არის, რომ არ ვუვლით ქართულ ენას“. (ა. შანიძე, „ქართული ენათმეცნიერების პრაქტიკული საკითხები“, „სახალხო განათლება“, 1965, № 9).

თუ რას წერს ცნობილი რუსი მწერალი კ. პაუტოვიკი:

„ენა თავიდან ბოლომდე ბუროკრატიული ხდება, გაზეთებითა და რადიოთი დაწყებული და უოველ წუთს სახმარა, საყოფაცხოვრებო მეტყველებით დამთავრებული. ყველაფერი, რაც იქ რუსული ენის შესახებ არის ნათქვამი, შეიძლება სსრ კავშირში შემაჯალ ერთა მეტი წილი ენების შესახებაც ითქვას. თითქმის ყველა ენას დამახინჯებული რუსული ენის დონე უფარდებენ“ (კ. პაუტოვიკი, „უდავო და სადავო აზრები“, „ლიტერატურა“ გაზეთი“, 1959 წ. 20 მაისის ნომერი).

როგორც ვხედავთ, მართლაც „ძიმე მდგომარეობა“ შეიქმნა. „დილტანტური წერილების“ ავტორები, ენათმეცნიერებთან ერთად, სწორედ ამ მდგომარეობის გამოსაყვანსაღებლად იბრძვიან და მარტო ის დიდი და უთუოდ დასაფასებელი, ეტიმოლოგიური თუ ისტორიული, წმინდა თეორიული კვლევა-ძიება, ჩვენი ფრიად პატივცემული მეცნიერები რომ ეწევიან, საკმარისი არ იქნება, თუ ჩვენს პრესაში დედენის გულშემატკივართა, უწინარესად კი მწერართა და ევრნალისტიკა პოპულარული და მებრძოლი წერილების ბეჭდვაც არ ვნაღდა!

რათ იწყებს ა. თაყაიშვილი ჩვენს „გაყრიტეკებას“, რას ვეწინებს, კერძოდ, რაში ვგვდავება?

მეითხველს გეახსენებთ, რას ეწერლით ჩვენს წერილში: „ქართული ენა ნაძალადევი და ხელოვნური, კაბინეტური, ცუდი მთარგმნელების ხელში დამახინჯებულა, ჩინოვნიკურ-სიცილიტარული ენა რთობა. არა! ნამდვილი ქართული სწორედ მარღვიანი და ხალხური, ვასაგება და ნათელი, მოქნილი და მადლიანი, ლილი და ძლიერი ქართულია; ის ქართულია, სიუეუნეთა მანძილზე ქართველი ხალხი რომ მეტყველებს, ჩვენს კლასიკოსებს შედეგები რომ შეუქმნიათ. ენის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში მეცნიერების როლი ძალიან დიდია, მაგრამ ეს იმ აზრს არ უარყოფს, რომ ენას ხალხი ქმნის. ყველას მოეხსენება ამ საკითხზე დიდი დილია, დიდი აკაკის, იაკობ გოგებაშვილის აზრი“.

ა. თაყაიშვილს ან ეკვი ეპარება, რომ ეს ასეა, ან ის აბრაზებს, რომ ჩვენს ვართ ამ სტრიქონების ავტორი. ამა მოვესმინოთ ა. შანიძეს: „ენა ბუნებრივი, მართალი სახით ცოცხალ, ხალხურ მეტყველებაშია მოცემული... ენის დამახინჯებული თვისება, ენის განვითარების კანონზომიერება ცოცხალ მეტყველებაში უნდა ვეძიოთ. ამ მხრივ ილიას მსჯელობა მტყვე მეცნიერულ ნიადაგზე დგას“ (ა. ჩიქობავა, „ილია ქვეყანა ენის შესახებ“, თბ., 1938, გვ. 12).

სხვა წერილში ა. ჩიქობავა იმასაც წერს, ენას ხალხის ენის საფუძველზე, მწეაალი ქმნის, ენათმეცნიერების ამოყვანა ის არის, გამოივლინოს ენის კანონზომიერებები.

აი ასე ფიქრობენ ენათმეცნიერები. ა. თაყაიშვილი კი თავს ნებას იძლევის მათი სახელით ილაპარაკოს და „კომპეტენტური პირები და ორგანოები“ „დილტანტებს“ დაუპირისპიროს.

ჩვენი ნათქვამი, ნამდვილი ქართული ხალხური, ნათელი და მარღვიანი ქართულიაო, იმას როდო ნიშნავს, რომ ყოველდღიური სასაზღვრო ენის ლექსიკა ზუსტად განესაზღვროს, შემოვიფარგლოთ და ნამდვილ ქართულად ის მივიჩნიოთ, ან ენაში მიმდინარე პროცესები უგულვებელყვათ. ტერმინ „ხალხურში“ ის იგულისხმება, რომ ენას საყოთარბო ელფერი არ უნდა დაეკარგოს, სლატერატურაო ენა ხალხის სამეტყველო ენაზე უნდა იყოს დაფუძნებული. მას არ უნდა გაემოყვოს, სხვა ენებიდან შემოსული ფორმები ქართულს ბუნებრივად უნდა შეესისხლბორცოს.

„რამდენადაც იგი (ხალხურობა — ა. ბ.) წმინდაა“ (თუმცა ბრძულებაში სვამს, მაგრამ ამ სიტყვას შინკი ვერ ელევა! ა. ბ.) სასაზღვრო მეტყველებაში, იმდენად ნაკლებ მოქნილია ევრნალისტიკისა და მეცნიერული ენისათვის“. — წერს ა. თაყაიშვილი.

ნამდვილად კი ქართული ენა ხალხურ (სასა-

უბრო) და სალიტერატურო (პრესისა და მეცნიერების) ენებად როდი იყოფა. პროფ. შ. ძიძგური საპართლიანად ამბობს: „სალიტერატურო ენა იგივე ხალხური ენაა, გადამუშავებული სიტყვის ოსტატების მიერ. იგი თავისი ბუნებით საერთოფოუნელია“ (შ. ძიძგური, „ენა და ლიტერატურა“, თბ., 1965, გვ. 29). მაშასადამე, ის აზრი, თითქოს ხალხური ენა „წამყვანია“ სასაუბრო მეტყველებაში“, მაგრამ „ნაკლებ მოწილია ფორნალისტიკისა და მეცნიერული ენისათვის“, მცდარია.

ქართული ენის გამდიდრება და განვითარება მისი ბუნების, საკუთარი ვლადიმერის შენარჩუნების საფუძველზე უნდა ხდებოდეს. პარზარზმების კარი არ უნდა გაეღოთ, ქართულს ქართულადაც უნდა დავუკარგოთ. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ფორნალისტიკასა და მეცნიერებას არ აწყენს, თუ ნაშრომებში აზრის სიღრმე-სიზუსტე და სინათლე-სილამაზე კარგად იქნება ერთმანეთს შეხამებული.

ენის ხალხრობა, სოფლისა და, კერძოდ, გლეხის მეტყველება ხელწამოწყობა და ავად მოახსენიებელი როლია. სალიტერატურო ქართულის უბე და წინადა წყაროს სათავე სწორედ სოფელია. ეს წყარო სათაიდან კამკამ მოედინება და ზვენი ვალი სწორედ ის არის, რომ ფხიზლად ვუთვალთვალოთ, ვხადავბა არ აიძღვრეს—კალკები, პარზარზმები არ შეეროს.

ენობრივი კალკების წინააღმდეგ ქართველ მწერალი და მოღვაწეთა ბრძოლა კარგად არის ცნობილი. ა. თაყაიშვილის წერილისა და, საერთოდ, მისი ნაშრომების ძირითადი აზრი კი კალკების აბოლოგია!

ა. თაყაიშვილი გზას უკაფავს ქართულში უცხო ფორმათა და კონსტრუქციათა გაბატონებას, კალკებს ვედრებს უმეყს.

მოზღვაებული კალკები, სიმწეზაროდ, ისედაც იოლად მოიკლვს გზას და ღეღეინის სიწმინდისადმი გელვრილ ადამიანებს რად ვახალსება უნდათ კალკების შეგებება და გვაკლავს? პერზიზმთან ბრძოლის იარაღებათ პარზარზმების დაცვა ქართულს ვადავარებაშიდე მიიყვამ. ენათმეცნიერი უნდა არჩეულეს ენის განვითარებასა და ვადავარებას, ხელს არ უნდა უწლილეს ენის სიწმინდის დაცვას! მას უნდა ახსოვდეს, რომ „მეტყველების ნიველურება უცხო ვაღენათა შედეგად ენისა და მეტყველების განვითარებად არ ჩაითვლება“ (ვივი ვაჩეილიასე — „ეგვბ არ ღირდეს ამის გამო კამათი?“, „ლიტერატურული საქართველო“, 1967 წ., 15 დეკემბერი).

რაკი კალკებისათვის კარის ფართოდ ვადებას არ ვეზნობით, ა. თაყაიშვილი პურისტობას გეწამებს. ზვენ ეწერათ: „ცხადია, ქართული ენა მდიდრდება და კლავაც უნდა ვადიდრდეს, მაგრამ ახალი ფორმებისა და სიტყვების შექმნა ან შემოტანა ფაქტად და ღიდი უფრა-

დლებია უნდა ხდებოდეს, ისეთი ფორმები არ უნდა ვაბატონდეს, ენის ბუნება რომ ვერ შეიკვებას, თვისად რომ ვერ აქტვეს და ვერ შეისისხლობრკებს“.

ეს აზრი, რომელსაც საერთო არა აქვს რა პერიზმთან, ა. თაყაიშვილს „ლიტონი ვანცხალებს“ ნიშნულ მიანიხია.

უცხო კონსტრუქციათა და ფორმათა მზამზარეულად, ხელალებით შემოტანას რომ ვებრძვით, პარზარზმებით ენის დანავიანების მოზხზე რომ არა ვართ, ან კიდევ, არავის წყენას რომ არ მოვერიდეთ და ხმა ენათმეცნიერთა ნაშრომებზეც ამოვიღოთ, კერძოდ, ენის დამახინჯების მავალთებში (თუმცა ავტორის დამსახურებად) ა. თაყაიშვილის სიტყვებით რომ მოვუკტოთ („სტრუქტურული ამოღებარა“), იქვე ვოვლევე ამის ვამოა ზემოთ აღნიშნული ზვენი აზრი „ლიტონი ვანცხალების ნიშნული“!

ა. თაყაიშვილი რომ ამბობს, „ჩვენი ამოსავალი წერტილი (თი მეცნიერული“ ქართული ა. ბ.) ასეთია: მიუღებელია კალკი, თუ იგი ეწინააღმდეგება ენის ბუნებრივი ფორმების განვითარებასთ“, ლიტონი ვანცხალების ნიშნული სწორედ ეს არის! როგორც ქვემოთ უკეთ დავინახავთ, ავტორის ყველა მოსაზრება და პრაქტიკული მოქმედება საწინააღმდეგოა აღნიშნული სიტყვებისა.

ა. თაყაიშვილი იმასაც ცდილობს, თავისი მცდარი აზრების ქადაგებისას ყველაზე ღიდი სახელი—ილია ქვეყანის სახელი გამოიყენოს. ილიამ ქართული ენის ბუნების შესატყვისი და საჭირო ახალი სიტყვები რომ დაამკვდრა („მიმართლება“ და სხვ.), განა ეს იმას ნიშნავს რომ იგი კალკების მოზღვაებისა და ენის ვადავარების მოზმზრე იყო?!

ის აზრი, თითქოს ილია, ქართული ენის სიწმინდისათვის ეს ღიდი მებრძოლი, „განსაკუთრებულ მნიშვნელობას კალკობებას ანიჭებდა“, დუესაბუთებელია.

ა. თაყაიშვილი ამბობს, ბევრავილს ილიას წერილებისათვის არ ვადახედავსთ. ზვენ კი ვიტყვი: ილიას ნაწერებში იმდენი სიბრძნე, ზემანიზმის, კულტურის, ზრდილობისა და კეთილშობილების ქადაგება, რომ ამ ნაწერების ვადამხედავი და შემთვისებელი სჯავს არ შექადრებს, არაფერი წავიკითხავსთ.

ა. თაყაიშვილი არ უარყოფს, რომ ა. ვოგებაშვილის „დედა ენის“ „ემოციურად ნეიტრალური მარტივი თხრობითი წინადადებებს“ ვანალოზების შედეგად „238-დან 229 შემთხვევაში შემასწენელი ბოლოკიდური წევრი უოფილა“, და იქვე დასძენს: „თანამედროვე საშეწიერო ტექსტების ანალიზში ცხადია, რომ შემთხვევათა სამ მეზუოდში შემასწენელი არაბოლოკიდურია“ (ე. ბ. ბოლოკიდური არ არისთ).

ღიან, ეს ასეა და სადავო რაღა გვაქვს! ჭარბულა წინადადების ზენების გასარკვევად ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ და ქართული ხალხის მეტყველება (თუნდაც სხვა ენათა უკოდინარი გლების მეტყველება) უფრო გამოვლენა, ვიდრე ზოგიერთი სამეცნიერო წიგნის ავტორისა, რომელიც დედანების მადლს ვერ ზიარებია, მაგრამ მძალდასრდოვანი სამეცნიერო ტერმინების კორიანტელს აყენებს, უცხო სიტყვებით, გართულებულ მსჯელობით თავებრუს ახვევს ზოგიერთ მკითხველს და იმით სარგებლობს, რომ შეიძლება მკითხველთა შორის გულდერკველო ადამიანები იპოვო, რომლებიც, კაცის ნიქის, ცოდნისა და გემოვნების საზომად ყოველთვის სამეცნიერო ხარისხი რომ მიაჩნიათ.

ა. თაყაიშვილი ზმნის ადგილს საკითხზე ჩვენი აზრის ვასაბათილებლად ამბობს, სამეცნიერო ტექსტების სფეროსა და ღვედ ჭარბულა შეგონებით, ბ. ფონხუას, ა. კიხიას და სხვათა ნაშრომები წყვეითხით, სტატისტიკური გამოთვლა მოკონველითო.

ბ. ფონხუას, ა. კიხიას და სხვათა მოღვაწეობა, საერთოდ, დაფასების ღირსია, მაგრამ განა შეიძლება, რომ, რაკი ბ. ფონხუას და ა. კიხიას აზრს არ ემთხვევა, ხალხური მეტყველება, კლასიკოსთა ენა, კერძოდ, ი. გოგებაშვილის ენა დავიწუნოთ, მის. ჯავახიშვილის, ს. გორგაძის და სხვათა აზრი ვაბათილებულად ჩავთვალოთ?!

იმის დასადასტურებლად, რომ ზმნას ქართულ წინადადებაში ბოლო ადგილი უჭირავს, ს. გორგაძე ხალხურ ანდაზებს, ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა მხატვრულ ნაწარმოებებს იმორჩებს, შემდეგ კი ერთ ასეთ წინადადებას არჩევს: „გუშინ ჩემმა მეგობარმა ტყეში ფეხი მოიტეხა“. იგი წერს, შემასმენელთს აქ ვეუღაზე უფრო ახლოს დამატება (ფეხი) ზისო, და განატვრობს:

„წინადადება რამდენჯერმე ისე შეეცვალათ, რომ შემასმენლის წინ რიგ-რიგად დანარჩენი ნაწილებიც მოხედნენ და თან ვუცქიროთ, მისი შინაარსი (წინადადების აზრი) როგორ ნიუანსებს მიიღებს. აი ეს ცვლილებანი:

1. ჩემმა მეგობარმა ტყეში ფეხი გუშინ მოიტეხა.
2. გუშინ ჩემმა მეგობარმა ფეხი ტყეში მოიტეხა.
3. გუშინ ტყეში ფეხი ჩემმა მეგობარმა მოიტეხა.

ს. გორგაძის სამართლიანი დასკვნით, განუმარტებლადკაც ცხადია: პირველგვარად შეცვლილ წინადადებაში ის აზრია, რომ ჩემმა მეგობარმა დღეს ან სხვა დროს კი არა, სწორედ გუშინ მოიტეხა ფეხი; მეორე სახით შეცვლილ წინადადებაში ლოგიკურად ის აზრია ხაზგასმული, რომ ჩემმა მეგობარმა ფეხი შინ ან სხვა-

გან საღმე კი არა, სწორედ ტყეში მოიტეხა; მესამე სახით შეცვლილ წინადადება ლოგიკურად ხაზს იმ აზრს უსვამს, რამე, ფეხი უბრალო წინსობმა ან ნათესავმა კერძო, ჩემმა მეგობარმა მოიტეხა; ამ წინადადების პირველყოფილ ფორმამი („გუშინ ჩემმა მეგობარმა ტყეში ფეხი მოიტეხა“) ლოგიკური უპირატესობა დამატებას („ფეხი“) აქვს მინიჭებული, სხედლობრ ის აზრია ხაზგასმული, რომ ჩემმა მეგობარმა ზელი ან სხედლის სხვა ნაწილი კი არა, ფეხი მოიტეხა. „ამგვარად, ნათელია ის აზრი, — აღნიშნავს ს. გორგაძე, — რომ, როცა წინადადებაში შემასმენელს ჩვეულებრივი ალაგი (უკანასკნელი) უჭირავს, მამინ ქვეშეღებარე, დამატება და გარემოებითი სიტუებები მის უახლოეს ადგილს ლოგიკური უპირატესობის მიხედვით იჭერენ“. განა ჩვენც ამასეუ არ ვამბობთ? ჩვენი ასრთავი ხომ, თუ იმის თქმა გვირდა, რომ ერთ-სეუ სხვა რომელიმე არსება კი არა, ადამიანი იზადება, მამინ მართლაც ურდა თქვას: „ადამიანი იზადება ერთხელ“, მაგრამ, თუ იმის თქმა გვირდა, რომ ადამიანი რამდენჯერმე კი არა, ერთხელ იზადება, ურდა ვთქვათ: „ადამიანი ერთხელ იზადება“.

შემდეგ, ს. გორგაძე საესეებით სამართლიანად ამბობს, ამ ჩვეულებრივ წესს გამოჩალისი აქვსო; გამოჩალისების მავალითები მოჰყავს და აღნიშნული წესის დარღვევის მიზეზებს ასახედლებს. ეს მიზეზებია: ა) წყობილსიტუებობა ანუ ლექსი; ბ) ძველი ქართლის ნორმების გავლენა; გ) უცხო ენათა გავლენა.

თავის დასაცეად ა. თაყაიშვილმა ზელი გ. კვარაცხელიას მიერ ილიას და ვეჯას ნაწერების შესწავლას რომ არ ჩაჰტიღოს, გვირდა მკითხველმა ს. გორგაძის შემდეგი სამართლიანი აზრი მოიგონოს. მე-19 საუუნის ქართველ მწერალთა უმრავლესობა, როგორც ს. გორგაძე ამბობს, ქართულ ლიტერატურაო ენას უმთავრესად ძველი მწერალთების (V-XVIII ს.) საშუალებით ეცნობოდა, მისხამ მავალითად ძველი ქართული ლიტერატურა ჰქონდა, რადგან თანამედროვე ცოცხალი ხალხური ენით დაწერილი თხზულებები არ იყო, ან, თუ იყო, — ძლიერ მცირე. ძველი ქართული ენა კი, მისივე სამართლიანი აზრით, ლექსში და პრიაზში, უმეტესად, თანამედროვე ქართულის ხაწინააღმდეგო საკონსტრუქციო წესს მისდევს.

ბოლოს ს. გორგაძე ფსიქოლოგიურ-ფექტურ და მესიკალურ-ესთეტიკურ ფექტობებსაც ასახედლებს, ამბობს, ამ ორი ფექტობის გავლენას, რამდენადც ჩანს, ქართული სადასიტუებობა (ე. ა. პრიაზი) ვერასოდეს ვერ აციღებს და არც სასურველია აციღოსო.

მის. ჯავახიშვილიც, ცნობილი შედაგოგი და ჯამატიკოსი ხიდ. ხუნდაძეც და, ქართული ენის ერთ-ერთი ჯამატიკის ავტორი ა. ნიკოლაიშვილიც ამ აზრს იზარტებენ. ი. ნიკოლაიშ-

ელი ამისაც წერს: „თუ ავტორს მსურს მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას სუბიექტის მოქმედებას მიუქცოს, შემასწავლავს წინადადებას თავში ათავსებს. ყაზბეგს ასე აქვს აწერილი ჟიხების ქილაობა: „მეორე ჟიხი ეი ზევიდან მოექცა, შედგა უკანა ფეხებზე, წამოვიდა ისე და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაეცა რქებით კლდის პირას მყოფს ჟიხეს რქებზე“ (ი. ნიკოლაიშვილი, „ქართული ენის გრამატიკა“, გვ. 133, 134). ი. ნიკოლაიშვილის ამ სამართლიანი აზრის წინააღმდეგე არც ჩვენ ვყოფილართ როდისმე, ჩვენს წერილში არსად არა სწერია, რომ ზნა უყოველთვის წინადადებას ბოლოში უნდა იყოს, ასე რომ, ა. თაყაიშვილი ტყუილად ვამარტყა, ა. კიხიძე რომ მთავრდება, დღისად და აქაინს ნაწარმოებთა აღვილები რომ გაიხსენა და ზნებს ხაზი ვაუსვა: „შევაძებ ესა იმედმომორბეულმა და ვაბრაზე-ბულმა, ვაეძებ ხაზადი და ვადავდი მიგ...“ („გლახის ნამუბობი“). „დედაჩემი არ ვაქალაჩულებდა ჩვენი ნამეტანი პატარა აფუქებს ყაზბეგისა — იტყოდა ხოლმე“ (საინტერესოა, „იტყოდა“-ს ხაზი რომ ვაუსვა, ა. თაყაიშვილი იმას ხომ არ ფიქრობდა, ვეგაშვილი „ხოლომე იტყოდა“-ს თქმას მოითხოვოს!).

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ავტორთა აზრი დამაყრებლიდ არის დასაბუთებელი და იმის გამო, რომ სხეულები პირინ ცოცხალის აღარ არიან, არ შეიძლება მათი შეხედულება განვიღო ვტაად ჩავთვალოთ. ქართული ენა, კერძოდ კი მისი სინტაქსი, რომელიც, მ. ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, ენის სულია, უკანასკნელ 30-40 წელნიდან არ შეცვლილა. ბოლოს და ბოლოს, რა არის სხეული? „ამის გაკეთება მას დაევალ“ და „მას ამის გაკეთება დაევალ“ ვინა სხეულსა აზრს არ გამოხატავს!

და ვის შეუძლია უარყოს, რომ ჩვენი პრეტენზიულუბზე ქართულინათვის უცხო კონსტრუქციები ვაბატონდა, რომ ზნისათვის თავისი ადგილის მიუჩენდა ქართული ენის დამახინჯების მოთავარი მიზეზია! სწორედ ამხუე ლაპარაკი ჩვენს წერილში, აქ ამის მავალითებდე არის მოყვანილი („მაშინ ვამოგვივა არა სამოც, არამედ სამის მინც ასეთი მონოგრაფია.“ ანა ზნას თავისი ადგილი მიუღწინოთ: „მაშინ სამოცე კი არა, სამისი ასეთი მონოგრაფია მაინც ვამოგვივა“. ეს ნამდვილი ქართული წინადადებაა, არა-ც თავის ადგილზე“).

არ შევედებებით ა. თაყაიშვილს, დაცე იმ ვემტრს, სიტყვათა ვადაადგილებით რომ ვაღწევთ, მახვილი კი არა, უყრადღების ვამახვილება ვტყბას, მაგრამ ჩვენს მოღვაწეს უყრადღების ვამახვილების საკითხიც სწორად არ ესმის. მან არ იცის, რომ „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, რაკი ფილმის გმირს მეორე გმირისათვის იმის თქმა სურს, თქვენ სიკვდილი გელით, ასე

უნდა შეიცვალოს: „ბოდიში, თქვენ სიკვდილი გელით“. „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“ კი იმ აზრს ვამოხატავს, სიკვდილი, სხვა ვინ არა, თქვენ გელით.

ა. თაყაიშვილს ქვემდებარისა და შემასწავლავს რიცხვში შეთანხმების წესის დარღვევა არაფრად მიაჩნია, მკითხველს ჩვენს მიერ მოუვანილ მავალითებს აღწობს და „მკერდს ორდენები, უმშვენიერდნენ“. „კლასები გაქრნენ“, „კლასები პოპულარობით სარგებლობენ“ („პოპულარობით სარგებლობაზე“ აღარაფერს ვამბობთ), „დარგები ვითარდებიან“ და სხვა ამისთანები მოსწონს. მას რომ დავუყვართ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ „თვალები დამსივდნენ“, „ფეხები დამსივდნენ“, „ქვევარები დამსივდნენ“, „სახლები დამსივდნენ“, „მშობიარები დამსივდნენ“ კარგი ქართული ყოფილა, ხოლო „კლასები პოპულარულია“, „კლასები გაქრა“, „მკერდს ორდენები უმშვენიერდა“, „მრეწველობის დარგები ვითარდებიან“, „მშობიარები დამსივდნენ“ კი — უმართებულო გამოთქმები! კარგი ამბავია! მამ დღეიდან ასე ვილაპარაკოთ! წინასწარვე ვამბობთ, რომ ა. თაყაიშვილს ამ საკითხზე თავისი აზრის დასაცავად ლიტერატურაიდან მრავალი მავალითის მოუყვანა შეუძლია, მაგრამ ვინა ამ მავალითთა მიზანზე შეიძლება? შეცდომები ვეცოდა მწერალს მოსვლია (დღესაც და პატარასაც). ამ შეცდომებს რომ ზელი ჩაეჭიღო, ძველი ქართულიც რომ მავიშველით და ვამტაკოთ, ვითომც „კლასები იმეკლები“ და „საწინე ქართული იყოს, „კლასები იმეკლებიანი“ კი — მოსწონს, ხალხს არ დავაყვარებ. ენის საკითხებზე კამათის დროს დასამოწებლად ვამსრჩენილ მწერალთა და მოღვაწეთა, თუნდაც დიდ მწერალთა ის აზრი ვამოდგება, რომელიც ენის შემქმნელისა და კანონმდებლის — ხალხის აზრს ემთხვევა.

მ. ჯავახიშვილს „კანონები, ერთ დროს საპირონი, სხვა დროს უყარგისნი აზრან ზოღობე“ არ მოსწონს. მისი აზრით, როცა კანონებზე ლაპარაკი, „საკირონი“ და „უყარგისნი არიან“ მხოლოდით რიცხვში უნდა იყოს! (მ. ჯავახიშვილი, თხ. ტ. VI, გვ. 319).

ახლა რ. თვარაძეც მოვესმინოთ: „ცნობილია, რომ უსულო საგნის ვამომხატველი სახელი, ზოგიერთი ვამონაქლისი შემთხვევის ვარდა, ზნას რიცხვში ვერ ითანხმებს. მაგრამ ინდოევროპულ ენათა ვაგენენს მოძალების შედეგად ეს წესი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა“ (რ. თვარაძე, „რა ენა წახდეს“, „მართობი“, 1964, № 5). ეს სიტყვები ჩვენს აზრს სთლიანად დასტურებს. რ. თვარაძე იმასაც სამართლიანად ამბობს, როცა საგანი სულიერად არის წარმოდგენილი (ზოგიერთი შემთხვევის ვარდა), ზნაც მრავლობაში ვეხედებო. ვამონაქლისებს არც ჩვენ უარყავთ.

ა. თაყაიშვილი წერს, ბევრჯერ „ადგილი აქვს“ („ადგილი აქვს მნიშვნელოვან ზრდას“, „ადგილი აქვს მანქანების მოცდენას“) არ მოსწონსო, და, შეითხველზე ეფექტის მოსახდენად, დამცინავად ამბობს: „ისე კი არ არის საქმე“ ეფექტობით, შეითხველი მიხ. ჭავჭავაძის უფრო დაუჭერებს. მ. ჭავჭავაძის აზრით, „ზარბაზისმად უნდა ჩიოთვალის უცხოურიდან სიტყვა-სიტყვითი თარგმანიც, შავლითად: ადგილი აქვს...“ (მ. ჭავჭავაძის, თხზ., ტ. VI, გვ. 343). პროფ. გ. შალამბერძენი მ. ჭავჭავაძის აზრს იზიარებს (იხ. მისი წერილი: ვახუთი „სახალხო განათლება“, 1965 წ. № 36).

„უიცი ღატება“, „ხიბტვა გაბრტეული“, „ფიცი დებს“ ზმნის აღწერითი ფორმები არ არის, იდიომებიცა, არაფრით არა ჰგავს ჩვენს მიერ დაწესებულ გამოთქმებს. („ჭრილობა მიიღო“, „ხახათის ატარება“). ის, რაც ამ იდიომებით გამოხატება, მარტივი ზმნებით არ გადაჭრიცა, იდიომს ვერ შეეცვლით. ამ იდიომების დასახელებით ავტორი ვერ ამათლებს ჩვენს აზრს, რომ „დაიჭრა“ უცუთესია, ეიდრე — „ჭრილობა მიიღო“.

შეცნიერებათა კანდიდატი ა. თაყაიშვილი წერს, „ქვეშ“ თანდებელიანი კონსტრუქციები („ლივის ქვეშ მყოფი“, „მოსიას ქვეშ“ და სხვ.) ბევრჯერ სტატიის ბოლოს მორიგე საებლოდ შემოუნახავსო, მართალია, აღნიშნული მოდელი ქართული სათვის შეუფერებლად არის მიჩნეული, მაგრამ ძველ ქართულ ტექსტებში ამ მოდელის ადგილებზე რამდენიმე ნიმუშს წააყუფითო.

ჯერ ერთი, ძველი ქართული დამოწმება ახალი ქართული საყოფიერო შესაღობისას მედამ არ გამოგადგება (მეგავსაა, „ვისრამინში“ სწერს: „ქორწილი თავისა თუალითა მინახავს“, დღეს კი ვამბობთ: „ქორწილი ჩემი თვალთ მინახავს“) და, მეორეც, თუ ავტორი არ გვედავა და ძველი ქართულის რამდენიმე მაგალითი არ ამათლებს მისს, რომ „ქვეშ“ თანდებელიანი კონსტრუქციები ახალი ქართული სათვის მართლაც შეუფერებელია, მაშ „მაგრამ“ რისთვისა დასჭირდა? პასუხი ერთია: ძველი ქართულის ცოდნა რომ დინახებინა, მაგრამ... ვანვარძლოთ!

ა. თაყაიშვილის წერილში ვკითხულობთ: „ესა და სხვა შემთხვევები (მაგ., მოვიდა გონიერებასა — „შეშინიეს წამებიდან“. შტრ. რუს. пришел в сознание). გვიჩვენებენ, თუ რამდენად სხიხეთათა გამოთქმების კალკად გამოცხადება, როდესაც არ იცნობთ ენობრივი ფაქტების ისტორიას“ (ხაზი ჩვენით).

თუ ვინ არ იცნობს ენობრივი ფაქტების ისტორიას, ეს იმან ვანაჯოს, ვინც „შეშინიეს წამებს“ გადაიკითხავს და დარწმუნდება, რომ იქ „მოვიდა გონიერებასა“ არსად სწერია (არის: „ქვენამცა გონიერებასა“, 1-ლი თავი, მე-14

სტრიქ.), ვინც შეამჩნევს, რომ „თაყაიშვილს“ „სტრუქტურა“ „საქმის ცხოვრება“ აქვს მოხსენიებული, ასეთ ნაწარმოებს კი სულ უკრუცუნობს ქართული ლიტერატურის ისტორიას! [წუთად ამას ჰქვია სინამდვილის გაყვანება! რას მიეწრება ეს, უცოდინრობას თუ უპასუხისმგებლობას?

ჩვენ არცა გვექონია და არცა გვაქვს ძველი ქართულის ცოდნის პრეტენზია, არც ის გვიფიქრია, რომ ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის საფიხებზე სპეციალისტებთან, შეცნიერებთან როდისმე დავა მოგვიხდებოდა, მაგრამ ა. თაყაიშვილის წერილში ზოგიერთი შეცდომის შემჩნევა მაინც შეეძლებოდა.

ეურნალის 145-ე გვერდზე სტატიის ავტორს მოჰყავს ციტატი: „მე ნათელ-გაცემ თქვენ წყლითა“ (=მოგვანათლა. „ნათთავი“). როგორც ვხედავთ, ამას („მე ნათელ-გაცემ თქვენ წყლითა“) ა. თაყაიშვილი განმარტავს: მოგვანათლა, ჯერ ერთი, თქვენ კი არ უნდა იყოს, არამედ — თუ-ენს მეორეც, — ძველი ქართულის ნათელ-გაცემ თქვენ ა. თაყაიშვილს სწორად არა აქვს განმარტებული; მოგვანათლა კი არ უნდა იყოს, არამედ — ვნათლავთ (თქვენ); ამას გარდა, აქ „ნათთავი“ მითითებული, მაგრამ მოდი და ამ 400-გვერდიან წიგნში ეძებე სად არის ეს ადგილი! ავტორიც, თავიც და მუხლიც უნდა იყოს მითითებული (მათე, 3, 11).

148-ე გვერდზე ა. თაყაიშვილს დასახელებული აქვს „ასურ. შამათა ცხოვრ“. უნდა იყოს „ასურედ მოდაწეოთ ცხოვრების წიგნთა ძველ რედაქციებში“.

ა. თაყაიშვილი წერს: „შეიძლება თამამად აღინიშნოს, რომ „წალმა“ წერის ნიმუშები (სოფლისა ცხოვრებისათვის შეეცისა აგარაკისათვის) ძველ ქართულში არც დასტურდება, იგი მისთვის უჩვეულია. თუ უჩვეულია, მაშ ეს რა არის: „შეუდართა აღდგომისათვის“ (მათე, 22, 31)!

144-ე გვერდზე ა. თაყაიშვილი ჯერ ამბობს, ძველი ქართული ენ-იანი არსებითი სახელი (სულიერი თუ უსული) საერთოდ ვერ ითანხმება და ზმნას რიცხვშით, შემდეგ კი, — თუ შეთანხმდება შემთხვევებით, ეს ზამ ა. თაყაიშვილისავე აზრთა წინააღმდეგობაა!

ა. თაყაიშვილი ვერ უარყოფს, რომ ში, ზე, ქვეშ თანდებელიანი კონსტრუქციები („გაყუდიეაშია“, „დაინტერესებელია სრულყოფილი“), „ძირითადში ასეა“, „ღასი სიძინდუ“, „სახეზეა“, „დუხსაცელი ტყავზე გვაქვს...“) ჩვენს მიერ სამართლიანად არის დაწესებული, მაგრამ არ მოსწონს, რომ „საქმე იმაშია“-ს ეაქართულებით და ვამბობთ: „საქმე ის არის“. მის არსებობა, რომ „საქმე ის არის“, „ამოცანა ის არის“ კანონიერად არის მიჩნეული და ამხუე აღარაფერ დავობს.

„რაშია საქმეს“ „რა ამბავია“ და „რა მოხ-

და არ მიუღებდნენ. „სწორედ ამასია საქმე, მე-
გობრებო“ სხვანაირად არ გამოითქმისო. რატო-
მაც არ გამოითქმის: „სწორედ ეს არის საქმე,
მეგობრებო“!

წინდა ქართული მეტყველებისათვის, კლასი-
კური ჭეღვლებისათვის „რაშია საქმე“ და „საქმე
იმაშია“ უცხოა.

„უბედურება იმაშია“ (უბედურება ის არის);
„რბაღრბებში გვაქვს“, „წვეთებში გვაქვს“
(აბები გვაქვს, აბებად გვაქვს, წვეთები გვაქვს,
წვეთებად გვაქვს); „პალტოში ვარ“ (პალტო მა-
ცივია, პალტოთი ვარ); „რაშია განსხვავება“ (რა
განსხვავება); „ქვეშაა გამოკვეთილი“ (ქვისგან
არის გამოკვეთილი); „პრინციპში (პრინციპუ-
ლად); „ორ ფერში მიღის“ (ორ ფერად იბეჭე-
დება); „იმედშია ანაწილი ბევრი საკეთა“ (ის ანა-
წიანი ძალიან კეთილია); „ძირითადად“ (ძირითა-
დად) და სხვა ანალოგური გამოთქმების, სხვა
ენათგან ში თანდებულის ასე ხელაღებით გაღ-
მობრანის გამართლება მხოლოდ იმით აძლევთ
ხელს (მათი საყვარელი სიტყვით რომ ეტყვიან,
მხოლოდ იმათ აწყობთ); ვინც ზაფხუ სანა-
რომებს ამგვარი „ქართული“ ატრულებს. „რა
ამბავია“ და „რა მოხდა“ ყოველთვის არ გამო-
დებდა, ა. თაყაიშვილი იმიტომ ამბობს, რომ
„რაშია საქმეს“ შეეჩვიო და სხვა გამოთქმის
არსებობა ვეღარ წარმოუდგენია. ასევე: ისა-
ნი, ვისაც „მაწუხებს“ ვარჯ ქართულად მიუბნე-
ვია, ხშირად კითხულობენ ხოლმე: „თქვენ რით
შესცვლიდით?“ (თითქოს, ვისაც ეს სიტყვა ჯერ
არც კი გაუგონია, ქართულად ლამაზად ვე-
ღარ მოუბნებებია, დალბებულა და ეს არის!).
ჩვენი მათ ვუბნებებთ: ყურს გამჭვარი უცხო
ფორმა დავიფიქსოთ, ქართულად ვიაზროვნოთ,
წინადადება თავიდანვე ქართულად ვავაგოთ და
გამოთქმები: „რაშია საქმე“, „ფორმაში ვარ“
თუ „მაწუხებს“ თავისთავად ამოვარდება ჩვენი
მეტყველებიდან. სილ. ხუნდაძესა და რ. თვარაძე-
საც „რაშია საქმეს“ და „საქმე იმაშია“ ხმარე-
ბა უნართებულობად მოაჩინათ (იხ. ს. ხუნდაძე,
„ქართული მართლწერისა და სწორების საფუძ-
ვლები“, გვ. 75; რ. თვარაძე „რა ენა წაბღეს“,
„ზნაობი“, 1964 წ. № 5, გვ. 107).

ა. თაყაიშვილი, ენობრივი კალკების დაცეი-
სას, იმავე ამბობს, „ფეხზე დადგა“ და „ხელი
მოათბო“ „რუსული წარმოშობის“ გამოთქ-
მებითა. რაც, ჩვენი აზრით, ძალიან საეჭვოა
(გაფიხანეთ: „სახლი გეწოდეს, ხელი მოით-
ბეო“).

ჩვენი აზრით, „მოთხრობილი გმირთა შესა-
ბება“; „ამის შესახებ კრებაზეც ითქვა“; „შე არ
ვიცი მისი არსებობის შესახებ“; „მოთხრობის
(მიყვება) მასზე...“ ცუდი ქართულია. გმირთა
შესახებ არის მოთხრობილი, მაგრამ რა არის
მოთხრობილი? ამის შესახებ კრებაზეც ითქვა,
მაგრამ რა ითქვა? მე არ ვიცი მისი არსებობის
შესახებ, მაგრამ რა არ ვიცი? მასზე მომიო-

ბრობს, მაგრამ რას მომიხრობს? ასეც არა
ჩანს.

ა. თაყაიშვილს ეს არა სჯერა, მხვრამ „საქ-
ლობასა და ჩვენი საწინააღმდეგობა“ „ზნაობის“
ბუთების თავს არიდებს და მხოლოდ ამას წერს:
„ჩვენი შევასხენებთ ბეგაშვილს, რომ კრებაზე
რაც ითქვა, ამის შესახებ წინა ფრაზებშია თქმუ-
ლი და აღარ ღირს გაიმორება. ასევე, რაც მო-
თხრობილიც გმირთა შესახებ, ის უკვე მოთხრო-
ბილია და საჭირო აღარაა ვახსენება...“

ეს არის და ეს, ჩვენი მოდავე მეტს არა-
ფერს ამბობს ეს ზომ მკითხველის აბუხად აე-
ღებდა! ჯერ ერთი, რა იცის ა. თაყაიშვილმა, რა
არის წინა ფრაზებში ნათქვამი? მეორეც, კიდევ
ვინ რომ იცოდეს, განა ეს საქმეს შევლის?!
წერტილის შემდეგ ახალი წინადადება იწყება
და მასში ყველა წვერი უნდა იყოს. ა. თაყაიშ-
ვილი კი თვითონვე წერს: „ამის შესახებ წინა
ფრაზებშია თქმული და აღარ ღირს განმეორე-
ბა“. გვიფერ, წინა ფრაზებშია ნათქვამი, მაგრამ
რა არის ნათქვამი? „ამაზე (ამის შესახებ) არის
თქმული“ ბადებს კითხვას: რა არის „თქმუ-
ლი“? ან უნდა იყოს: „ამაზე ეს არის ნათქვამი“,
ანდა: „ამაზე (ამის შესახებ) არის ლამაზად
(საუბარი)“. თუ ა. თაყაიშვილი ამ საკითხზე
ველე შემოგველაგება, მაშინ ჩვენი მისი ახალი
წერტილიანაც (აქნა ძველი, ენა ახალი“, „ვის-
კახია“, 1968, № 4, გვ. 125...) ამოვიწეროთ ად-
გილს — „აქვე უნდა ითქვას ნიკო ავალიშვილის
შესანიშნავ თარგმანებზე“ — ლ. შევეკითხე-
ბით: რა უნდა ითქვას?

სამწუხაროდ, ამ წერილის მოცულობა გან-
საზღვრულია და ყველა საკითხზე ვრცლად
შეველობა არ ხერხდება. წერილის შემცირების
გამო ბევრი რამ მკითხველისათვის უთქმელი
დაგვრჩია. თუ საშუალება მოგვეცემა, ავტორს
ვევლა სადავო საკითხზე ვუბნებებთ.



აღმწავთებელი რომ არ იყოს, სასაცილო
იქნებოდა, ცინიკური წერილის ავტორი სხვას
რომ უსაყვედურებს, „ცინიკური ელფერიო“. ამა
რა ცინიკური ელფერი დაქრავს ჩვენს
სტრუქტურებს, სადაც კრიწულ, ახვანურ, კამუ-
ჭურ, წაბურულ და სხვა ენებს ჩამოვთვლით და
ეწერთ, რომ ამ ენების „კვლევა და შესწავლა
კარგი საქმეა, მაგრამ როცა ქართულში ბევრი
რამ მოუწესრიგებელია და ქართული ენის სინ-
ტაქსის ღრმამეცნიერული სახელმძღვანელოც
კი არ გავაზინია, როცა ბევრი ნორმა დაუდგე-
ნელია და ვრცელი ორთოგრაფიული ლექსი-
კონის გამოცემა დღესდღეობით ჰიანურდება,
დედაენის მეტი ზრუნვა სჭირდება“!

სად არის ამ ცინიზმი, ან ვინ არის წინააღ-
მდეგი კავკასიური ენების შესწავლისა!
კავკასიური ენების შესწავლა ცუდი რომ
არ არის, მაგრამ ჩვენი საკუთარი გაჭირ-

ეების დროს მეცნიერთა ნიჭი და ენერჯია დედანას შეტად თუ მოხმარდება, უკეთესი რომ იქნება, ამას სხვებიც წყარან (გ. ვაჩხილაძე, მ. ურუშაძე და სხვ.).

« თაყიშვილი ბრალად იმასაც გვდებს, რომ ჩვენი «ფორმულები მეტისმეტად სადა და მოკლეა», რომ ჩვენს წერილში დამტკიცება იშვიათად არის მოცემული. ჯერ ერთი, ვინმეს რომ ვუღებოდეთ, ორჯერ ორი ზეითი არ არასო, აუცილებელი როდია მას ეს დავუტკიცოთ, თუნდაც საგანუთო წერილში იყოს ამის საშუალება, მეორეც, თავიდანვე ვთქვით, რომ მეცნიერობის პრეტენზიას არ ვაცხადებთ. შერტალს (და დედანის ყველა გულშემატკივარს) უფლება აქვს დედანის დამახინჯების ფაქტები სამსჯავროს წინაშე გამოიტანოს და მდგომარეობის გამოსწორება მოითხოვოს. ჩვენი ასე მოგვიქცით. ვისაც ჩვენი შენიშვნები უსამართლოდ მიანია, დე ჩვენსას თავისი შენიშვნები დეპარტის-პარტისა და თვითონ დამტკიცოს ჩვენი მტკარობა!

ჩაკი საერთოდ ჩვენი წერილი გასამბიბრუებლად მიიჩნია, ა. თაყიშვილი მოვალეა, იმ საეთხების ვარდა, რომელთა «მედარობაც» მინ «დამტკიცა», ჩვენი ვრცელ წერილში აღმრეულ და განხილული სხვა მრავალი საეთხისის მტკარობაც დამტკიცოს.

«რივი საეთხისი» («რივი ქარხანა» და სხვ.); «უნათა კლასიფიკაცია შლაიხერთან»; «მოსმინეთ ვადაცემა 120 მეტრ ტალღზე» (რაც იმას ჰგავს, კაცმა რომ თქვას «ვიგზავრე თვითმფრინავით ორ მოტორზეოა»); «სასარგებლო საქმეს წარმოადგენს» (სასარგებლო საქმე); «სადაც ეს მართალია»; «მე ტრამეით მგზავრობა მაწყობს»; «რუსთაველის სახელს ატარებს»; «მსოფლიოს ჩემპიონს ქალთა შორის ვაფრინდამვალს»; «ნაწვევტი ბოემიდან გვანდვილი»; «აზრიდან მკვიდრეთ; ვეზიბოლოთ დიდი სიმინდისათვის»; «გასულ წელს»; «კონცერტი მივეტოთ»; «ლორის სუქებაზე დაყენება»; «სახელმწიფოზე მიყიდვა»; «ლორის სუქებიდან მოხსენა»; «პონეშენტის გარეშე»; «ღარში ვერ ვეტყვი»; «ღვინის ქვეშ მყოფი»; «განაცხადი ვაყვითა»; «ეს საეთხისი ქარხნის მუშაობაში ვიწრო ავტოს წარმოადგენს»; «თავისთავებ მეშაობს»; «თავისთავში იმერება»; «სასაათში კარგად ზის; როლში კარგად ზის»; «სამუშაოზე დაბალი შეზორცების პირუტყვი»—აი ერთი ნაწილი იმ ენობრივი სიმბინდისა, ჩვენს წერილში რომ არის გამოშვებული. მართალია, ა თაყიშვილი ამ საეთხისზე არაფერი თქვა, დღემო აქობინა, მაგრამ ჩაკი საერთოდ ჩვენი წერილი, ენის სიწმინდისათვის ჩვენი ბრძოლა აბურად იიდლო, თავისთავად იფულისსებება, რომ ამ მახინჯ გამოთქმებზეც ენაში გვამდნარ, ანგარბვსაწვე ფაქტებს! უწოდებს!

ა. თაყიშვილი, რაკი ჩვენს მოსახრებებს ეღლებულად იხსენებს, ვაღლებულია დაატკიცოს, რომ ზემოთ აღნიშნული გამოთქმები ქართულს არ ამახინჯებს. მაგრამ ის ამას არ იზამს და არც უშეძლია ქნას, რადგანაც თვითონვე წერს: «ჩვენ საქმაო დოზით ვეგვულება საერთარ ნაწერში ასეთი მახალა, იგი ჩვენი წერთი კულტურის ორგანული ნაწილია». ენახთო როგორია მისი «წერთი» კულტურა:

1. დედა ენა (გვ. 138; 139; 150; უნდა იყოს: დედა ენა. იხ. ე. თოფურაის და ა. გვიგინეშვილის «ორთოგრაფიული ლექსიკონი»; გ. შალაბერიძის «დედა ენა თუ დედა ენა?»; — «ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში» 1966 წ. № 1; მ. მამულაშვილის «მცირე შენიშვნა» — «თბილისი», 1966 წ. 13 ივლისი).
2. ...ის მაგალითები ქმნიან, აშკარად კალკებს რომ წარმოადგენენ, მაგრამ ამით დასაწუნი არაფერი აქვთ» (130; ის მაგალითები ქმნის, აშკარად კალკები რომ არის, მაგრამ ამით დასაწუნი არაფერი აქვს).
3. «გადაადგილების გარეშე» (გვ. 139, 140; გადაუადგილებლად);
4. შეუძლებია» (გვ. 142; შეუძლებია);
5. «არაგვისპირელთან გვაქვს» (144; არაგვისპირელი წერს);
6. «აქვე დავსძენთ იმას, რომ აღწერთი ფორმების გაჩენა ენებში დღესაც ჩვეულებრივი პროცესია» (145; «ენებში არის პროცესი» თუ «ენებში» გაჩენა» არის ჩვეულებრივი პროცესი? უნდა იყოს: აქვე დავსძენთ, რომ ენებში აღწერთი ფორმების გაჩენა დღესაც ჩვეულებრივი პროცესია);
7. «სიტყვათა იმ ორგანიზებულ შენაერთს, რომელსაც შესიტყვათა ეწოდება, შეისწავლობ არა მარტო სინტაქსი, არამედ სტილისტიკაც» (158; სიტყვათა იმ ორგანიზებულ შენაერთს, რომელსაც შესიტყვათა ეწოდება, მარტო სინტაქსი კი არა, სტილისტიკაც შეისწავლის);
8. «პირველ რიგში თვით ენა დგას თავისი სიწმინდის სადაზაროზე»; «ბეგაშვილისათვის, რომელიც პირველ რიგში, პირტა» (150; რუსული В первую очередь პირდაპირ რატომ უნდა გადმოვიტანოთ. ახტი უნდა ვთარგმნოთ: უწინარეს ყოვლისა, უწინარესად, ჯერ; უპირველეს ყოვლისა (უპირველესად) თვით ენა დგას...; ბეგაშვილისათვის, რომელიც უპირველეს ყოვლისა, პირტა (ჯერ პირტა...));
9. «ბეგაშვილი ცდებო მაშინაც, როდესაც ამბობს...» (152; ბეგაშვილი მაშინაც ცდებო, როდესაც ამბობს...);
10. «აქედან არახწორი დასკვნა გამოაქვს» (152; უნდა იყოს: მტკარო დასკვნა გამოაქვს, ან: სწორი დასკვნა არ გამოაქვს);
- 11; «რა დასაშლია» (154; რა დასაშლია);
12. «უარყოფითად აფასებს კალკს, როგორც ენობრივ მოვლენას, იმიხდა მიუხედავად. ამა-

ხინჯებს თუ ამდიდრებს იგი შობილიურ ენას" (158; უნდა ითქვას, რომ კალკი: „იმისდა მიუხედავად“ („მიუხედავად იმისა“) ენას არ ამდიდრებს, ამხინჯებს. მას დაუმახინჯებელ ქართულში უმეტესად „თუმცა“ და „მაგრამ“ ენაცვლება. ეს წინადადება კი სწორი ქართულით ასე უნდა შეიკვალას: „უარყოფითად იფასებს კალკს, როგორც ვინაობი მოვლენას, სულ ერთია, იგი ამხინჯებს თუ ამდიდრებს დედაენას“).

13. „როგორც უდიერო მობხენიება — რაღაც მახვილით — ახვევ ავტორის შემდგომი მსჯელობა“ (139; უნდა იყოს: ისევე ავტორის შემდგომი მსჯელობაც, წესიერ ქართველში „როგორც“ სიტყვას „ასე“ („ასევე“) არ მოსდევს, „ის“ („ასევე“) მოსდევს; როგორც ეს, ისე ის

14. „ალბათ, ფიქრობს, ცოტა მეთიხველმაც ხომ უნდა გაანძრის თავი“ (138; ალბათ ფიქრობს, ცოტა მეთიხველმაც ხომ უნდა გაანძრის თავი).

15. „ბურიშის რებრესიები ყოველივე უცხო მხიართ ვაიარა თითქმის ყველა კულტურულმა ენამ“ (144; „უცხო მხიართ ვაიარა“ თუ „ყველა კულტურულმა ენამ უცხო მხიართ ბურიშის რებრესიები ვაიარა“ წინადადება წესიერად რომ გაიმართლოს, იქნებ: ყოველივე უცხოურის მხიართ ბურიშის რებრესიები თითქმის ყველა კულტურულმა ენამ ვაიარა).

16. „არა ჩვენი“ ამ დროს გამოდიოდა მტრულის სინონიმად“ (147; ჯერ ერთი, ლ. ბუბოხოსკის ეს ბიჩი ა. თყაიშვილს თავისი სიტყვებით აქვს გადმოცემული და, მეორედ, ციტატადაც რომ ჰქონოდა ამოწერილი, რაკი იგი გადმოთარგმნილია, ქართულს დამახინჯებს ავტორის ვერ დაბარალებდა. „არაჩვენი“ ქართულად „სხვისია“, „უცხოა“).

17. „მაგრამ ის, რაც დახაზვები იყო წარსულში, შეიძლება არ ეპატიოს დღევანდელ ინტელიგენტს (147; მაგრამ ის, რაც წარსულში ეწიწეს ეპატიებოდა (ან: რის პატივაც წარსულში შეიძლებოდა), შეიძლება დღევანდელ ინტელიგენტს აღარ ეპატიოს);

18. „ბოდიშს, სრულად უნდა გვეოქვავ...“ (151; ბოდიშს ვიხდით (უცაცრავად), სრულად უნდა გვეოქვავ...);

19. „მისი აკადემიური ტონი ჩანს იქიდანაც, რომ...“ (146; მისი აკადემიური ტონი იქიდანაც ჩანს, რომ...);

20. „ახეთი პარალელური წარმოება ყველა ენის უძველეს ეტაპზე უაქტია და მას არ უარყოფს არც ერთი მეცნიერი“ (145; აქ არც ერთი კი არა, არცერთი უნდა იყოს. არც ერთი ცალკე მაშინ უნდა დაიწეროს, როცა ვაშობთ: არც ერთი, არც მეორე. მაშასადამე, უნდა იყოს: ...უაქტია და მას არცერთი მეცნიერი არ უარყოფს. ამასთან, „ახეთი პარალელური წარმოება ყველ ენის უძველეს ეტაპზე უაქტია“ კი

არა, არამედ: „ყველა ენის უძველეს ეტაპზე ასეთი პარალელური წარმოება უაქტია“);

21. „რა მტკივნეულ საყთხინჯეს...“ (137; რა მტკივნეულ საყთხინჯე არ ნახავს აქ პასუხს);

22. „მაგალითები გვიჩვენებენ“ (თუკი ავტორი 142-ე გვერდზე წერს: „ფრაზები ვსაღებს იძლევა“, ან: 143-ე გვერდზე, — „ისინი გვხვდება“; მამ რატომ არ შეიძლება დაიწეროს: „მაგალითები გვიჩვენებს“?);

23. „სავსებით ბუნებრივია, რომ სიტყვა მაღალ ისეთივე ნიუანსები გამოემუშავებინა ქართულში, როგორც ВЫСОКИМ-ს აქვს რუსულში“ (152; „ბუნებრივია, რომ გამოემუშავებინა“ თუ ქართულა, მაშინ ჩიქართული რაღა იქნება? რომ იყოს, „სავსებით შესაძლებელია გამოემუშავებინა“, ან: „სავსებით ბუნებრივი იქნება, თუ ვიტყვით, რომ გამოემუშავებინა“ ანდა: „სავსებით ბუნებრივი იქნებოდა გამოემუშავებინა“, მაშინ სადავო არავის აზრით ექნებოდა. ამა ვარდა, განა „ისეთივე“, „როგორც“ უნდა მოსდევდეს? უნდა იყოს: „სავსებით ბუნებრივი იქნებოდა (ან: სავსებით შესაძლებელია) სიტყვა მაღალ ისეთივე ნიუანსები გამოემუშავებინა ქართულში, როგორც ВЫСОКИМ-ს აქვს რუსულში“);

24. „რასაც ნორმად გვათავაზობს, უხვირო ქართულად „გამოაუფრება“ (137; „გამოიფრება“ რომ მართებული გამოთქმა არაის, შეიძლება ზოგმა არ იცოდეს და შეგვედავოს კადვს რადგან თვლი უხვირო თარგმანებს კითხვას აქვს მიჩვეული, მაგრამ ეს სინამდვილე არა სცელის. გვათი „კომუნისტი“ სამართლიანად ებრძვის ამ უმართებულ სიტყვას. მაშასადამე, უნდა იყოს: რასაც ნორმად გვათავაზობს, ის უხვირო ქართულია);

25. „მის ავ-კარგიანობაზე გვიქნება საუბარი“ (137; მის ავ-კარგიანობაზე ვისაუბრებთ);

26. „ამ პატარა ექსკურსით ვვებულობთ“ (139; ამ პატარა ექსკურსით ვივებთ);

27. „მოახდინოს ელემენტების გამოჩინება“ (140; „გამოჩინება“ რა სიტყვაა? იქნებ უნდა „გამოჩინა“ ეთქვას? მაგრამ არც ეს შევლის საქმეს: „მოახდინოს გამოჩინა“ რა ქართულია? ელემენტები გამოაჩინოს);

28. „შემთხვევათა სამ მუხტედში შემასწენელი არაბოლოკიდურია“ (140; „არაბოლოკიდურია“ ქართულად იქნება: ბოლოკიდური არ არის);

29. „რიცხვი შეთანხმება მოხდა არასულეთთანაც“ (144; რიცხვი შეთანხმება უსულთა სავსისაც მოხდა);

30. „ამს იგი უბრალოდ „უმართებულბას“ უწოდებს“ (150; ეს „უბრალოდ“ — რუსულიდან უბრაოდ გადმოტანილი наросто. — ასეთ კონტრექსტს სრულად უცხოა ქართული წინადადებისათვის);

31. „ენობრივად მახინჯ ფორმებს ცელის სწორი ქართულთ“ (152; ენობრივად მახინჯ ფორმებს სწორი ქართულთ ცელის);

32. „...ზნანზე მეტად ანალიზური ფორმება იყალიბებ ვზას“ (145; სწორია: აზრები ვრცელდება; ტერმინები მკვიდრდება; ფორმები ვზას იყალიბებს და სხვ.);

33. „მედიკალინური წარმოების შეცვლა აღწერილით შეინიშნება ქართულში“ (145—146; ძველი ორგანიზაციის წარმოების აღწერილით შეცვლა ქართულშიც შეინიშნება);

34. „ამევე დროს არასწორადია ნახშირი“ (ამევე დროს სწორად არ არის ნახშირი);

35. „კონკრეტულად რაში გამოიხატება...“ (146; კონკრეტულად რით გამოიხატება)...

36. „ნეგატიურ პერსონაჟ“ (147; უნდა იყოს: ნეგატიურ პერსონაჟს. ნეგატივი — ნეგატივიზმი; ვ ეწოდება და რჩება: ნეგატივიზმი);

37. „პათეტური“ (138; უნდა იყოს: პათეტიკური, პათეტიკა — პათეტიკური);

38. „სპეკულატივი“ (154; უნდა იყოს: სპეკულაციური, სპეკულაცია — სპეკულაციური; სპეკულანტი — სპეკულანტი);

39. „ვის საყვედურობ“ (153; ვის უსაყვედურებ);

40. „კურსი აილი“ (146; ვეზი აილი);

41. „სალიტერატურა უნა ასეთ მონოლითურ ერთეულს წარმოადგენს“ (147; სალიტერატურა უნა ასეთი მონოლითური ერთეულია);

42. „ერთგულად აღიზნებისა და სიტყვა-თქმანის უმრავლესობა“ (148; „სიტყვა-თქმანის უმრავლესობა“ არაფრად არ ვარგა, უნდა იყოს: სიტყვა-თქმანთა უმრავლესობა);

43. „იგი გვხვდება ჯერ კიდევ „რუსთაველთან“ (148; იგი „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება);

44. „ჩვენი ამოსავალი წერტილი ასეთია“ (1), გვ-149;

45. „მაგრამ არიან ისინი (150; გამოთქმებზეა ლაპარაკი, ა. ბ.) სრულიად იდენტურნი?“ (ჯერ ერთი, წყობა უკუღმართია („არიან ისინი“) და მეორეც — „გამოთქმები არიან“?);

46. „ზნანს ანალიზური ფორმების სახით გაჩნდა რამდენიმე კონკრეტული შესატყვისი“ (146; ს. ყუხუჩიშვილი წერს: „გამოთქმის გაჩნდა ქართულ მეტყველება ხმარობს მხოლოდ უარყოფით წინადადებაში, ე. ი. ხმარობს „არ გაჩნდა“, ხოლო გაჩნდას ხმარება დადებით წინადადებაში კატეგორიულად უკუხედავდება“, — „ციცქარი“, 1960 წ. № 6. ს. ყუხუჩიშვილის წერილი: „მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებისათვის“);

47. „მოვიტანო რამდენიმე ტიპურ მაგალითს (151; მოვიყვანო რამდენიმე ტიპობრივ მაგალითს; იხ. ვ. თოფჩიას და ი. გიგინეიშვილის „ორთავრადიული ლექსიკონი“);

48. „ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან“

(152; ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, 144-ე გვერდზე თვითონვე წერს: „სწორად ერთნაირი მონაცემება სხვადასხვა სწორის იმეორება“);

49. „ქართულში ჯერხანად გაპროცენდულობის ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს“ (145; მოდი და ვიხეი კაცმა რამე);

50. „ბევრგვითადად მიიღებდა ასეთ „ამოუკლებულ“ ხასის“ (151; ეფიქრობო, „ბევრგვითადად მიიღებდა“-ს კომენტარი არც კი სჭირდება);

51. „ანალიზური ერთეულები, რომლებიც მოყვებულნი არიან ზნანს შესატყვისებს“ (146; ანალიზური ერთეულები, რომლებიც მოყვებულნი);

52. „რა დასკვნის გავიყვანე შეიძლება იქნება?“ (141; დასკვნის გამოტანა; 152-ე გვერდზე თვითონვე წერს: „დასკვნა გამოაქვს“);

53. „იგი დაუნდობლად ებრძვის ყოველივე უცხოურის შემოტანას მშობლიურ ენაში“ (138; იგი დაუნდობლად ებრძვის დედაენაში ყოველივე უცხოურის შემოტანას);

54. „იქ საუბარია არა მარტო შემსაქმნელის, არამედ წინადადების ყოველი წევრის ადგილზე“ (140; იქ მარტო შემსაქმნელის ადგილზე კი არა, წინადადების ყოველი წევრის ადგილზეა საუბარი);

55. „ჩინში მოემწყვდო კალს წარმოადგენს“ (149; „ჩინში მოემწყვდო“ კალკია);

56. ერთგან წერს: „რუსთაველთან“ (გვ. 148). მეორეგან — „რუსთაველი“ (გვ. 151).

57. ერთგან წერს: „შინაარსობრივი“ (გვ. 146). მეორეგან — „შინაარსობრივად“ (გვ. 151). მეორე უმართებულოა.

58. „ზოგიერთი სიტყვა“ (გვ. 151; ზოგიერთი სიტყვა);

59. „წაღმა წერა კარბობს“ (143; სკარბობს მას — უკუღმა წერას);

60. „უმისოდაც ირადერი მოუვა“ (150; უმისოდაც...);

61. „ეს არის ლიტონი განცხადების ნიმუში“ (138; უნდა იყოს: „ეს ლიტონი განცხადების ნიმუშია“, რადგინაც, ავტორის იმის თქმარაოდ სურს, რომ ლიტონი განცხადების ნიმუში სხვა კი არა, სწორედ ეს არის. მას იმის თქმა უნდა, რომ ეს სხვა რამისა კი არა, ლიტონი განცხადების ნიმუშია).

62. „ეს არის თვითონვე ვარაუდი“ (140; ეს ფრაზა ისეთ კონტექსტშია, რომ იგივე მდგომარეობაა, უნდა იყოს: ეს თვითონვე ვარაუდი);

63. „ზნანს შესატყვისებს აქვს შედარებით ოფიციალური ხასიათი“ (146; ზნანს შესატყვისებს შედარებით ოფიციალური ხასიათი აქვს);

64. „ამ საკითხს სხვადასხვანაირად აფასებენ. ზოგს იგი მიაჩნია უარყოფით მოვლენად“ (147; აქაც, ის აზრი კი არ არის, რომ ზოგს სხვა კი

არ, იგი მიაჩნია ოფიციალურ მოვლენად, არამედ ის აზრია, რომ იგი სხვა რამედ კი არა, ოფიციალურ მოვლენად მიაჩნია. ამიტომ, უნდა იყოს: ზოგს იგი ოფიციალურ მოვლენად მიაჩნია);

65. „აღნიშნული მოდელი მიიჩნეულია ქართული ენისთვის შეუფერებლად“ (148; აღნიშნული მოდელი ქართული ენისთვის შეუფერებლად არის მიჩნეული);

66. „მიიჩნევა მათ მახინჯ ფორმებად“ (145; მათ მახინჯ ფორმებად მიიჩნევა);

67. „ილიახთან კი დასტურდება“ (144; ილია კი წერს; ილია კი ამბობს; ილიას ნაშრომში (წერალში, სტატიაში...) კი დასტურდება);

68. „ზემოთქმული, ცხადია, ჩიება ძალაში“ (141; „ძალაში რჩება“ იმას გვაგონებს, დედანის უტოლინარნი რომ წერენ ხოლმე, „გაზაფხული ძალაში შევიდაო“. უნდა იყოს: ზემოთქმული არ ბათილდება; ზემოთქმულს ძალა არ ეკარგება...);

69. „ისინი იქცევიან (სიტყვებზეა ლაპარაკი ა. ბ.) ზნებად“ (151; ისინი ზნებად იქცევა);

70. „წერილი კულტურა, განა შეიძლება ითქვას: კეთხილი კულტურა, მეტყველებითი კულტურა!);

71. „წერია“ (145; ა. შანიძისა და ენათმეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, „სწერია“ უნდა იყოს. ეს სამართლიანი აზრია. მართალია, ამ ზნას მეორე პირი არ უჩანს, მაგრამ ამგვარ ზნებს ორპირიანი ფორმებით უცხადი დასაყვებით: სწერია — ეწერა; მხატვა — ეხატა; ჰგონა — ეგონა; ე ორპირიან ვნებით აწარმოებს, ამასთან, სწერია და შეტენია აწერია-ს, აფენია-ს უდრის. ადგილი, რასაც ეწერია, აფენია, შეიძლება ობიექტად აღვიქვათ, რომელსაც თავისი გამოხატველი ფორმა — ირანბი ობიექტი აქვს და სათანადო პრეფიქსით გამოიხატება);

72. „ენას სჭირდება მუდმივი მოვლა და კონტროლი, მხოლოდ ეს საქმე უფრო კომპეტენტურ პირებსა თუ ორგანოებს ევალებათ“ (150; ენას მუდმივი მოვლა და კონტროლი სჭირდება, ოღონდ ეს საქმე უფრო კომპეტენტურ პირებსა თუ ორგანოებს ევალებათ);

73. „სათურების შემდეგ ბეგაშვილი ფრანგებს წვდება“ (150; უნდა იყოს: სწვდება);

74. „ბოლო ხანებში გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდა მისი ზნეური ეკვივალენტი: დავალდებულა...“ (146; ერთ გაზეთზე როდია ლაპარაკი. უნდა იყოს: 'პრესაში გამოჩნდა...);

75. „მოთელი რიგი მოვლენების ანალიზით ნათელი გავახადეთ, რომ...“ (147; ბევრი (ან: ზოგი — კონტექსტს გააჩნია) მოვლენის ანალიზით ნათელი გავახადეთ, რომ...);

76. „ეფექტრობთ სავსებით უნებლიეთ მოუვიდა ავტორს...“ (143; ეფექტრობთ, სრულიად უნებლიეთ მოუვიდა ავტორს...);

77. „მათ (გამოთქმებზეა ლაპარაკი, ა. ბ.) ქართულში შესატყვისი მოცემუბუნების...“ (150; ზნა მხოლოდით რიცხვი უნდა იყოს...);

78. „ესა და სხვა შემთხვევები გვიჩვენებენ, რომ...“ (148; ესა და სხვა შემთხვევები გვიჩვენებს, რომ...);

79. „სახლბურობის პრინციპს უველანდ ერთი-ორად ვერ მოუყვანებთ“. რამდენადღაც იგი „წამყვანია“ სასაუბრო მეტყველებაში, იმდენად...“ (გვ. 154; ვის ვერ მივეყვანებთ? როგორც ვხედავთ, წინადადებას წვერი აქლია).

80. „ასეთია აღწერით ფორმისა და ეკვივალენტ ზნას შორის მიმართება ამის აუღიარებლობა ქარის წესქედელობათ ბრძოლის უდრის“ (გვ. 147; უნდა იყოს: „აღწერით ფორმისა და... მეორეც, რა შუაშია „პირის წესქედელობათ ბრძოლის უდრის?“ ეს ხომ სრული უაზრობაა!);

81. „წაეაწყდით რამდენიმე ნიმუშს, რომელიც ზემოაღნიშნული მოდელის ადეკვატურია“ (გვ. 148; უნდა იყოს: წაეაწყდით რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც ზემოთ აღნიშნული მოდელის ადეკვატურია);

82. „მის აღმოფთვებს“ (გვ. 150; უნდა იყოს: აღმოფთვებს; აღმოფთვებს იგივეა, რომ ეთქვათ: ღრიცხავს, ღნიშნავს...);

83. „...იმ სინტაგმებშიც, რომელსაც იგი გეაწვდის...“ (გვ. 151; უნდა იყოს: ...იმ სინტაგმებშიც, რომლებსაც...);

84. „ერთი და იგივე სიტყვის...“ (გვ. 152; უნდა იყოს: ერთი და იმავე სიტყვის...);

85. სიტყვის გამოჩინება წერისას კი არ ხდება, არამედ... (139; კვლავ „გამოჩინება“);

86. „რუსული და ფრანგული ენის გავლენასთან ერთად ამ „ნორმის“ დარღვევის გამოწვევად წყობილსიტყვაობას ანუ ლექსს... ასახელებს (140; რუსული და ფრანგული ენების გავლენასთან ერთად ამ „ნორმის“ დარღვევის მიზეზად წყობილსიტყვაობის ანუ ლექსს ასახელებს);

87. „...შემასმენელის ადგილი წინადადებაში არ იყო მკვიდრი და ამდენად მისი ხაველდებულო ხმარება წინადადებას ბოლოს ისტორიულად გაუმართლებელია“ (141; „...წინადადებაში შემასმენლის ადგილი არ იყო მკვიდრი და ამდენად წინადადების ბოლოს მისი სავალდებულო ხმარება ისტორიულად გაუმართლებელია);

88. „შეიძლება შემასმენელი ვიხმართო წინადადების თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც, უფრო ხშირად კი შუაში“ (141; შეიძლება შემასმენელი წინადადების თავშიც, ვიხმართო, შუაშიც და ბოლოშიც, უფრო ხშირად კი — შუაში);

89. „...ეხ ნიშნით გამოხატული უსულო არსებითი სახელი, როგორც წესი, დღეს ზნას რიცხვი არ ითანხმებს“ (144; „როგორც წესი“

რუსულიდან შექანიკურად არის გადმოტანილი);
 90. „ეფექტობთ, ჩვენ მთელი რიგი მოვლენების ანალიზით ნათელი ვახვადით, რომ ის, რაც ავტორს ზოგჯერ რუსული ვაგლენად მიანია, ყოფილა ტრადიციით გამაგრებული, დიდი პოტენციის მქონე ენობრივი ფაქტი, რომელსაც საკუთრივ ქართულ წიაღში მოექმნება გამართლება“ (147; როგორც „მთელი რიგი მოვლენები“ ჩათვლება ტრადიციით განმტკიცებულ, დიდი პოტენციის მქონე ენობრივ ფაქტად და საკუთრივ ქართულ წიაღში მოექმნება გამართლება, ისევე მოქმედება გამართლება ა. თაყაიშვილის ამ აზრსაც);

91. „აღბთ მასში უღიღეს განცვიფრებას იწვევს გამოთქმები...“ (153); „მასში განცვიფრებას იწვევს“ არ გვესმის რა არის, მაგრამ მართლა განცვიფრებული კი ვართ, რომ მეცნიერის კაცი ეთიკის ნორმებს ვერ იცავს (შეუტრიახმობდელად ოხუნჯობს), მართლწერის უბრალო წესების ცოდნით ვერ დაიტრიახვება წერს „ზოგიერთი სიტყვებით“, „ეს საუვეღღრობა“ და ისე კი კაღვივრდება, რომ სხვას იგდებს აბუჩად.

92. „ვარაუდებია თქმული“ (143; ვერ ვართ; თქმული“ კი არა, „ნათქვამი“, მეორეც, „ეპოპეიდების თქმა“ რა არის?);

93. „...ამიტომ აქ სიტყვათგანაღება არ შეიძლება იყოს გრამატიკულად განმარტებულია, როგორც ეს, ეტყვათ, ინგლისურ-გერმანულშია, სადაც აფექსების ნაკლებობა ანაზღაურებულია მკაცრი თანმიმდევრობით წინადადებაში“ (140; „აფექსების ნაკლებობა ანაზღაურებულია მკაცრი თანმიმდევრობით წინადადებაში“ მკითხველს, ვიგეუთ რამე? ახრ რომ გვესმოდეს, სიტყვებს აქაც წესიერად დავუღაღადებთ);

94. „ბეგაშვილი სათოფეზე არ ევარება (!) დღერით კონსტრუქციებს, მიიჩნევს მათ მახინჯ ფორმებად, და რატომღაც, ყოველთვის კალკებად“ (145; ...მათ მახინჯ ფორმებად და, რატომღაც, ყოველთვის კალკებად მიიჩნევს);

95. „პირველ რიგში ავტორს უნდა მივეუთოთოთ რამდენიმე ზოგად, მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომაზე“ (137; პირველ რიგში ქლომა“ გვესმის რა არის, „პირველ რიგში მითითება“ გაუგებარია, უნდა იყოს ავტორს ვერ რამდენიმე ზოგად, მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომაზე უნდა მივეუთოთოთ“ არ; ავტორს, უპირველესად...);

96. „...დასტურდება, რომ შემასმენლის ადგილი წინადადებაში არ იყო მკვიდრი და ამდენად მისი საკლდებულო ხმარება წინადადებას ზოლოს ისტორიულად გაუზიარებელია“ (141; ...დასტურდება, რომ წინადადებაში შემასმენლის ადგილი არ იყო მკვიდრი და, ამ-

დენად, წინადადების ბოლოს მისი საკლდებულო ხმარება ისტორიულად გაუზიარებელია);

97. „ჩვენ ასე თუ ისე ეხმარებით გამოთქმის წერტილში მოიყვანა...“ (150; ასე თუ ისე მითმებით უნდა იყოს გამოყოფილი);

98. „ა. ბეგაშვილი ვერ ეგუება იმ თვალანაზრით ფაქტს, როდესაც სიტყვა ქართულში იქნის მნიშვნელობის ისეთ ახალ ნიუანსს, რაც მას, ეტყვათ, რუსულში აქვს“ (151; „როდესაც“ აქ სულ ზედმეტია და უადგილოა. უნდა იყოს: ა. ბეგაშვილი ვერ ეგუება იმ თვალანაზრით ფაქტს, სიტყვა ქართულში მნიშვნელობის ისეთ ახალ ნიუანსს რომ იქნის, რაც მას, ეტყვათ, რუსულში აქვს);

99. 153-ე გვერდზე ავტორი წერს: „...ყოტა უცხო მოვლემები და კონსტრუქციები? რამდენიც გნებავთ, მაგრამ ის ისეა შეზრდილი...“ 154-ე გვერდზე კი ვკითხულობთ: „...არც ილიას წერილებისათვის გადაუხვადავს, თორემ ასე ხშირად ვერ დამოწმებდა მასს ავტორს“. ურთვან „მასს“ და მეორეგან „ის“?!

100. 146-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი მეტად გადმოცემენ“, 149-ე გვერდზე კი: „ასეთი ერთეულები ამდიდრებს ენის ფრაზეოლოგიურ მარაგს“. როგორც ვხვდებით, ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმებას წესი ხან დაცულია, ხან არა.

არ უნდა დავივიწყდეს, რომ ეს შეცდომები დიდი გულმოდგინებით, ყოველი სიტყვის დაკვირებით დაწერილი საპოლემიკო სტატიიდან არის ამოღებული. თუ შემოხევეთ მოგვეცა და ა. თაყაიშვილის სხვა წერილებიც განვიხილოთ, აი მშინ დაინახავთ, რამდენით გაიზრდება შეცდომათა რიცხვი!

„ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონისა და სინტაქსის კარგი სახელმძღვანელოს შექმნა მარტოაც საშური ხექმეა, თუნდაც იმიტომ, რომ წერტილი დაეცავს ქართული ენის საკითხებზე დილტანტური წერილების გამოქვეყნებას“. ასე ამბობენ რბ. ა. თაყაიშვილი თავის წერილს. ამით ზუსტად ის არის ნათქვამი, აღნიშნული წიგნების გამოსვლის შემდეგ აღარ იქნება საჭირო ქართული ენის საკითხებზე წერილების გამოქვეყნება. მაგრამ ორთოგრაფიული ლექსიკონიც გამოვა (რომელიც, როგორც დავინახეთ, ა. თაყაიშვილსაც დიდ დახმარებას გაუწევს), სინტაქსის სახელმძღვანელოც და, რაც არ უნდა გაბრაზდეს მეცნიერი, „დილტანტებიც“ ხელს ვერ აიღებენ დედაენისათვის სურნებაზე, რადგანაც, მიხელო ჯაბახიშვილის სიტყვით რომ ეტყვათ, „ყოველი შეგნებული მოქალაქე მოვალეა თავისი ენა კულტად გადააქციოს“.



გვიჩ ახვალაიანი

ერთი უხსოვი კვლის ფოლკლორული მოტივები

